1522
2009

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლიტერატურა და ხელოვნება

N12
12/2009

მუხიანი
„ერისიონი“

ლექსი
გივი სიხარულიძე

ქართველთა
ომარ მხეიძე

ხსოვნა
პეტრე
ბაგრატიონ - გრუზინსკი

ლექსი
გელა დაიაური

ნოველა
არჩილ გამზარდია

ესსე
გივი თოიძე

გივი თოიძე



ლიტერატურა და ხელოვნება

N12(48)

12/2009

ყოველთვიური ჟურნალი

Author and publisher of project:
vaja otarashvili
Literature And Art

ISSN 1512-3189

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამფუძნებელი, პროექტის ავტორი და გამომცემელი:

ვაჟა ოთარაშვილი

მთ. რედაქტორი

ტარიელ ხარხელაური

პასუხისმგებელი მდივანი

დავით კახაბერი

რედაქტორი

ვერიკო ზამთარაძე

გარეკანის მხატვრობა

გივი თოიძე

რედაქციის მისამართი:

ნუცუბიძის III მკრ. შესახვევი მხატვრის ქ. №4

ტელ.: (+995 32) 32 73 62;
(+995 32) 31 70 47;
(+995 99) 25 60 14.

E-mail: litandart@yahoo.com
vaja.otarashvili@yahoo.com

Web: www.litandart.com.ge

ჟურნალი „ლიტერატურა და ხელოვნება“ გთავაზობთ რეკლამის განთავსებას ჟურნალის ფურცლებზე. დაწვრილებითი ინფორმაციისათვის მოგვმართეთ:

ტელ: 31- 70 -47;
მობ: 899 25 60 14;
893 58 95 44;

სარჩევი

ქართული, ქართული

3. გელა დაიაური - ლექსები
6. ზაზა ქინქლაძე - ვენგახა (დასასრული)
16. ვაჟა ჩოხელი - ლექსები
18. გეგელი ტოგონიძე - ჯოლხი გოგონა
22. ვეფიკო ზამთარაძე - ლექსები
25. გივი სიხარულიძე - მოთხრობები

დასამცურგელი

29. ირაკლი სამსონაძე - მეხუთე ვერსონავი (დასასრული)

ოსური

36. ლეიზე ჩინზერი - ახავითარი მემამსებელებელი... (გერმანულიდან თარგმნა ჩესლედან ბეჟაშვილმა)

წერილები

39. ირჩილ გამზარდია - ორი ლედაენის შესახებ
47. მარიამ ქავქავაძე - "ვიყავი მხოლოდ ლექსით მდიდარი"

ხელოვნება

54. ვეტრე ბაგრატიონ-გრუზინსკი - ლექსები

ოფლური

56. ხვიჩა ყალაბეგაშვილი - სუბიექტური ანალიზი...

ლექსიკონი

61. ნანა ლოლიძე - სახოგადოებრივი მაუნყებელი.

ქორეოგრაფიული

65. ჩეზო ქანიშვილი - ლიდერთველი ხელოვანი
ზაურ ლაზიშვილი (ომარ მხეიძე)

მუსიკა

76. გულბათ ტორაძე - "ექსტრიონი"

მხატვრობა

79. ილია ოცხელი - გივი თოიძის შემოქმედება

ეროვნული ბიბლიოთეკა

„რიგორც უფალი, სამშობლო, ერთია ქვეყანაზელა!"

რაფიელ ერისთავი

საკითხულიფაცალი სიტყვა:

ფასტუა ამირეჯიბი, ბაჩანა ბრეგვაძე,

მერაბ ბერძენიშვილი, მაყვალა გეთასშვილი,

თენგიზ ყიფიანი, ნათელა ყარუშაძე, გიგი
ნიასარიანი, ჯანსუღი ჩანტლაძე,

ოლგა ფუტკარაძე,

თამაზ ჩხეიძე, გიორგი ბერიტაშვილი.

საუკუნის გამოცემა!



გამომცემლობა „ეროვნული მწერლობა" საზოგადოებას მალე მიაწვდის „უახლესი ქართული პოეზიის ანთოლოგიის" უნიკალურ გამოცემას.

ანთოლოგია მოიცავს პერიოდს 1978 წლის 14 აპრილიდან (ქართული ენის დასაცავად ივერთა ერთად დგომის დღიდან) დღევანდელობამდე.

წიგნი 800 გვერდიანია, მაღალი პოლიგრაფიული დონის. ანთოლოგიაში პოეტურ ქმნილებათა გარდა წარმოდგენილია გამოჩენილ ქართველ მხატვართა ნამუშევრების ფერადი ილუსტრაციები.

იდეის ავტორი და მთავარი რედაქტორია ვაჟა ოთარაშვილი.

ანთოლოგია იბეჭდება ქ.თბილისის მერიის თანადგომითა და ხელშეწყობით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუცოს გოდება

სადაც ოქროსფერი მზის ქაფია,
თორღვაის ცხენი იქ აბია,
ჯაჭვი ძაგანისა მიაბნია
ჟამმა გზა-ბილიკებს უცნობს...

„მეც ხომ ვიძახოდი ღვთის კაფიას,
მტერი მამულისა მიკაფია,
სისხლი წყაროსავით მიხაპია,
იმედი ხომ მერქვა მუცოს.

ღმერთო, ძე ღვთისაო და მარიამ,
მტერი, მოყვარე მთავარია,
ჩემთან არცერთნი არ არიან,
ყველასთვის გავმხდარვარ უცხო."

ნეტავ, რა ხმაა და რა ზარია,
რა გოდება და თავზარია,
მუცოს ბეჭები გაჰბზარვია,
ჟამისგან ძლეულა მუცო.

სურდათ აკვნები ურწეველი,
მტერი არ დარჩა უწვეველი,
წასული თავ-ბედ უწყევლელი,
„ქართლს მტერი ეყოლება ნურცო..."

ასე ურღვევი და ურყეველი,
მტრისათვის ხარკის უძლეველი,
გაუტეხელი და უძლეველი,
ჟამისგან ძლეულა მუცო.

სადღაც ლამპიონთა ღაღანია,
სადღაც ცეკვაა და არღანია,
სადღაც ვაჭრობაა გაგანია,
ვიღაც მდიდრდება და წუწკობს.

აქ კი აღარც თორღვა ძაგანია,
აღარც ფარ-შუბების ჭახანია,
მშველელს ელოდება რა ხანია,
ბეჭებგაბზარული მუცო.

სიზმარი

ეს რა სიზმარი ვნახე წუხელის,
შენ გიტაცებდი თეთრი რაშებით,
ქვას ატირებდა შენი წუხილი,
კრთოდნენ ვარსკვლავნი მოკაშკაშენი.

ცხადში მე ამას ვიზამდი როგორ,
მერე ხომ ბევრი უნდა მენანა,
შენ კი სულელი ყოფილხარ, გოგო,
რატომ კივილით შესძარ ქვეყანა.

მოწმე გამხადე ჩემი დაცემის,
რად ამატკივე უფრო იარა,
მერე რა, თუკი მოგიტაცებდი
სიზმარი იყო, ცხადი კი არა.

მე კალმახი ვარ

მე კალმახი ვარ, — არაგვისა,
ტანდაწინწკლული,
მთის ჩანჩქერებთა ჩქარ ჩქერებთან ძმად
გაფიცული,
ავყვები აღმა მდინარეს და შენ ხარ სათავე.
ჩავყვები წყალს და ჩემს სავალ გზას კვლავ
შენ ამთავრებ.

მე კალმახი ვარ, — ასხლეტილი ტალღის
სარკეზე,
ჟინით დავეძებ სატყუარას, ბადეს, ანკესებს,
გვერდზე გავუვლი ყველა ანკესს, ბადეს და
ფაცერს
და ბედის კარავს შენი მზერის ბადეში
დავცემ.

მე კალმახი ვარ, — სატყუარას ადევნებული,
სატყუარაა შენი მკერდი ამტევნებული,
გიჯობს, მოდი და ზღვათა მეფე უღმერთოდ
დამკალ,
ვიდრე ლაყუჩში გამიყრიდე ფარის ჩანგალს.

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

26675

განწყობილება

ეგ ენა არას მოუბარია,
ოთახში მეფობს დარდი და სითბო,
გარეთ ისეთი ბობოქარია,
მეორედ მოსვლა გვეწვია თითქოს.

უბერავს ქარი დარის ჯინაზე,
ღამემ სამყარო შავად შემოსა.
წვიმა შხაპუნობს ფანჯრის მინაზე,
თითქოს ოთახში ლამობს შემოსვლას.

— წვიმს, — მეუბნები რაღაც ღრმა სევდით,
— ქარიშხალია, — სარკმელს გახედავ.
ამინდს ქარიშხალს არ დაარქმევდი,
ახლა ჩემს სულში რომ ჩაგახედა.

მუცოს ცა, ცელქი ცქრიალი

გახსოვს: ის ცელქი ცქრიალი
მუცოში მოცვზე ცილობა,
ცად ცისარტყელას ციალი,
ან ცეკვა და სიცილობა.

კოცნა — დამქცევი სიცივის,
ან ცვენა ცხელი ცრემლების,
ან ცივი ცვარის ციმციმი,
ცერებზე ცეკვა ცელების.

კლდის ცქერით ზღვა გაოცება,
ცად აცერილი ფიცარით,
ან საოცნებო ცხოვრება
სიმტკიცით შენაფიცარი.

ან ციყვის მომცრო ცაცებით
ცირცელზე გადაცოცება,
ალიცლიცული ცაცხვები,
ცად ატყორცნილი ლოცვებად.

ან ჯერაც გასაცივები,
ცვრიანი ხორცი აცმული ...
მეცხრე ცას ასაცილები,
ცხელი კოცონის ტკაცუნი.

იმაზე ანცი ოცნება,
რაც არ იცი და რაც იცი,
ცისკარზე ცის დამორცხვება,
ცისფერ სივრცესთან ლაციცი.

ციცინათელას ციალი,
ოცნება და სიცილობა,
გახსოვს,— ის ცელქი ცქრიალი,
მუცოში მოცვზე ცილობა.

* * *

„— მიყვარხარ", — ვიღაც ჰფიცავდა
ჩუმად და შიშველტოტება
ხეს წყნარ ნიავის თრთოლის ხმა
ათრობდა, როგორც შარბათი.

„— მეც მიყვარხარო", — იძახდა
ვიღაც და ღამის გოდება
შიშველ ხეს მხრებზე მოესხა,
როგორც ლეკური ნაბადი.

სამადლობელი უარის შემდეგ

წერილს სამადლობელს გიგზავნი და
თან ვგრძნობ სიამაყეს ამოდ გიქებ,
რადგან მაგ გულიდან, ვით ვაზიდან,
დამჭკნარ ყვავილივით ამომიღე.

დაუნანებელმა გულს ჩამაგე
დაშნა - უარი და დამდნარ სანთელს
სული შემიბერე და ჩამაქრე,
ღამე, რომელმაც რომ გაგინათე.

შენდა სადიდებელ ლექსთა წყება
დიდი სიამაყით აბულბულე,
ჩემი სახელი კი დავიწყებას,
ისე, ძველ ვალივით დაუბრუნე.

წინა დღის კალენდრის ფურცელივით
სევდის სანაგვეზე მომისროლე,
ღვინის გაბზარული ჭურჭელივით,
მზერით დამცალე და მომიშორე.

ჩემი სიყვარული რატომღაც შორს
ისროლე იაფი ალაფივით,
წარსულს გადაუგდე სათამაშოდ,
ხელში შემოხარჯულ კალამივით.

არაფრად ჩააგდე მოლოდინი,
გულიც აღარაფრად არ ჩააგდე,
დაცლილ სიგარეტის კოლოფივით,
ხელში დაჭმუჭნე და გადააგდე.

ძველი წერილივით გაუგებრად
ცეცხლში ხელუკუღმა ჩაუძახე,
სამგზის სამპირ ცეცხლით დამბუგე და
სამგზის, მე, მადლობა ამოგძახე.

თუმცა ოდენ ტანჯვა მიწილადე,
სულში კვლავ ტრფიალის ცურავს ტივი
და მას შევინახავ სიკვდილამდე,
შენი მშვენიერი სურათივით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მახსოვს

მახსოვს, მახსოვს, მახსოვს, მახსოვს,
როგორც ფიფქი ბანგი,
ყოველ სიტყვის თითო ასო,
ადნებოდა ბაგეს.

მახსოვს თეთრი გარიჟრაჟი,
თეთრი თოვლი წმინდა,
ხვეულ თმების ქარიშხალში
გახვეული ბარდნა.

მახსოვს ჩქერი ავარდნილი,
თეთრი თოვლის წინ და
გულში გრძნობა დაბარდნილი,
იმ თოვლივით წმინდა.

მახსოვს ტკბილი ბედისწერა,
შენი თბილი ხელი,
ჩვენი ცხელი ვნებისფერად,
შეღებილი ხენი.

მახსოვს ფერი მაგ თვალების,
შავი ღამის ფერი,
თოვლზე ჩვენი ნაკვალევი,
ო, გზა ბედისწერის.

მახსოვს მზერის გასწორება,
წარკვეთილი სასო,
სამუდამო განშორება,
მახსოვს, მახსოვს, მახსოვს.

* * *

ნეტავი, მთების სულიმც მქნა,
აროდეს დავილეოდი,
ჯვარ-ჯვარისკარზე ლუდიან
სანდედან დავილეოდი,
ლუდით დამთვრალი კაცივით,
შუღლ-ჯავრად დავიცლებოდი,
ძველ-ძველ ჭვარტლიან ფანდურზე
კაფიად დავიღვრებოდი.
ბერხენ ჯიხვს გაკიდებული,
მგლის მუხლად დავიღლებოდი,
კლდე-ქარაფებში ქარისგან
ჯანღებად ავირეოდი,
ტატაბრის თავზე, ლამაზად,
მთვარისებრ გავილეოდი,
საკვირავ გორის ბილიკზე
ცირცელად დავირხეოდი,
პირქუში კოშკის ბეჭივით,
ჟამისგან დავიხეოდი,
საფეხვნოს ბრძენ ხევსურივით
დავდინჯდებ-დავღვინდებოდი,
ნეტავი, მთების სულიმც მქნა,
აროდეს დავილეოდი.

მთა-ბარი

მე ბარიც მიყვარს, მთაც მიყვარს,
მეცხრე ცაზე რომ ამიყვანს,
ლექსების ზღვაში გარეულს
ნაპირზე რომ არ გამრიყავს.

მე ბარიც მინდა, მთაც მინდა,
ბარიც წმინდა და მთაც წმინდა,
როგორიც არის თბილისი,
როგორიც არის მთაწმინდა.

მე ბარელიც ვარ, მთიელიც
და ვიღაც გადამთიელიც,
სუყველგან ჩემი კუთხეა,
სადაც სიყვარულს მიველი.

მთიელსაც ვეტრფი, ბარელსაც
და ერთსაც ვიტყვი ბარევალ,
ნეტავ, ეღირსოს ჩემს სულსა
საქართველოსთვის დალევა.

ფრთხილად

არ შეგიყვაროს ვიღაცამ, ფრთხილად,
ნუ, ნუ იცინი ეგრე ლამაზად,
თითქოს მოცურავს ნისლების ფთილა,
თითქოს წკრიალებს ოქროს თამასა.

თითქოს ამღერდა ნარნარა სიო,
თითქოს სხივი ღვრის მომნუსხველ ხმაურს,
გოგო ვიღაცა არ გადარიო,
ე, რა ლამაზად იცინი, აუ...

ნაზი ღიმილიც ზოგჯერ ურდოა,
ზოგჯერ ღიმილიც უნდა დამალო,
თორემ გადარევს ვინმეს უთუოდ,
შენი ღვთიური სიცილი, ქალო.

თავი თუ არა, სხვა შეიცოდე,
ისეთი ნაზი გული აქვს ზოგს, ო,
რომ გააგიჟებს ვინმე უთუოდ,
შენი ლამაზი სიცილი, გოგო.

ვიღაცას ტანჯვის ქარ-ცეცხლში შერევ,
ვინ დაგიჯერებს მართალ მიზეზებს,
რამდენი ცოდვა იქნება მერე,
შენი სიცილის ბროლის კისერზე.

თითქოს შხაპუნა ბეჭებს მისველებს,
თითქოს ედემში ბულბული გალობს,
მერე უარი ვეღარ გიშველის,
თუ გადარიე პოეტი, ქალო.



ზაზა ალიტერაძე

ვენგარა

VI თავი

ბევრმა შავმა და თეთრმა მხედარმა გადაურბინა ცის კაბადონს ამ მოგზაურობისას და ერთ დღეს ზღვას მიადგა ვენგარა. ლიათი და ლაგაზით დასვრილი ცხენიანად შევიდა წყალში. როცა გაგრილდა, ნაპირზე გამოვიდა და ჰორიზონტს გახედა. ორჩხომელების, კარჭაპების, დრომონების დანახვაზე მიხვდა, ახლოს ქალაქი იყო. ხევისბერისგან სმენოდა, ბოლო წლებში განუწყვეტელი შინაომებია ზღვის სამეფოშიო.

ნაპირზე ალიტრიონი შენიშნა ვენგარამ. ტალღებს გამოერიყათ თეთრი, გამჭვირვალე, მრგვალი არსება, ალბათ, მალე მზე დაადნობდა და ქვიშაში ჩაიჟონებოდა მისი სხეული. შეეცოდა მოყმეს, თავის ბედს ამსგავსა ვარამპოვნილი, აიყვანა და ზღვაში ჩააბრუნა.

უცებ მოშორებით ტალღა სოკოსავით აიწია, აქაფდა და წყლის გვირგვინზე სამპირა ჰოროლით თეთრწვერა ლევიათანი დადგა.

— პირველად ვხედავ, მოყმევ, მედუზა შეიცოდოს ადამიანმა. – კუდი გაიქნია კაცთევზამ, — არავის უყვარს საბრალო, ნაწიტს ჰგავსო, ამბობენ. მადლობელი ვარ ჩემი ყველაზე უსუსური ქვეშევრდომის გადარჩენისთვის, დიდი გული გქონია. თუ რამეში დაგჭირდე, ზღვისკენ მოტრიალდი და მომიწოდე, იქვე გავჩნდები. – წყლის სვეტი დაიწია, გასწორდა, ნელ-ნელა დაცხრა და მხოლოდ მკრთალი ნაშაში დარჩა, რომელიც მალე გაქრა.

ვენგარამ ნაპირის გაყოლებით შორს ქალაქი დალანდა და მისკენ გაემართა. ჯერ ცაში ობლად დაკიდებულ ღრუბელს ჰგავდა სამეფო, მერე, მიახლოებისას, კამკამა ლაჟვარდში გამოიკვეთნენ თეთრი ქვით ნაგები, მაღალი, შუბის წვერივით ათლილი კოშკები, დაკბილული გალავნები, ცას მიჭედილი კიპარისები, ნავსაყუდელში ანძათა ტყეები. ისეთი ლამაზი იყო ზღვის სამეფო, ვენგარამ იფიქრა, შეცდა ხევისბერი, აქ რა უნდა ომსა და სისხლის ღვრასო.

ქალაქის კარიბჭესთან ბუჩქნარიდან ხოხობი აუფრინდა ჭაბუკს, ანთებული ჭურვივით გაიშხუილა საარაკო სილამაზის ფრინველმა და გალავანს გადაევლო. კარგად ენიშნა ეს მოყმეს, პირჯვარი გადაიწერა და თქვა:

— ღმერთო, აქ მაინც ასულდგმულე სათნოება და სამართალი!

სამეფოში შესვლისთანავე პირველი, რაც შემოესმა, იყო ყურთწამღები გუგუნი, რომელიც მთავარი მოედნისკენ მიიგრაგნებოდა. ჭაბუკს ჯერ დოღის რია-რია ეგონა ეს, მაგრამ როცა ქუჩებში გრძლად გაჭიმულ ხალხის ტალღებს გადააწყდა, მიხვდა, ქვეყანაში აურზაური სუფევდა და რაც მთავარია, წინა სამთავროსთან შედარებით, მოქალაქეებს მეტად გაბედულად ეჭირათ თავი.

ნათქვამია, ქარს აყოლილი ბუმბული ქარის გზით ივლის მხოლოდო, და ჭაბუკი მიჰყვა მათ. მალე მოედანზე გავიდნენ. იქ თეთრი, უზარმაზარი, ცად აღერილი ტაძარი იდგა, გალავანშემოვლებული. შენობას ერთი მაღალი გუმბათი ჰქონდა, რომელიც ანთებული კანდელივით ლაპლაპებდა ლაჟვარდში. მის წვერზე ყალყზე შემდგარიყო მარმარილოს რაში. ქალაქის უმთავრესი ქუჩები მოედანს უერთდებოდნენ და ხალხის ტალღებიც გაუთავებლად მოედინებოდნენ სხვადასხვა მხრიდან იარაღის ჟღარუნით, დროშების ნანავით, ბუკთა ხმიანობით.

—ძირს ზანგელა მეფე!

— ძირს ჩვენი მტერფავი და ამომგდები!

— ქვებუდანა მამაბერი!

— მოგვეცით სახნავ-სათესი! შეგვიმცირეთ ღალა-ბეგარა!

მთის ტაფობზე შეგუბებულ, ჩამოსაქცევად გამზადებულ ლავას ჰგავდა მღელვარე ბრბო. ვენგარა მათ უკან დადგა, დაკვირვებით აცქერდებოდა ყველას, აინტერესებდა, რით დამთავრდებოდა შფოთი.

ქუჩები დაცარიელებულიყო, მხოლოდ ერთმანეთს ხელმოჭიდებული ვიღაც გოგო-ბიჭი

დასასრული. დასაწყისი №11

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეამჩნია ნატრულეთელმა. გაოცებულთვალებიანი ყმაწვილები, ალბათ, სულ რაღაც წუთების წინ სიყვარულზე და სამოთხის ჩიტებზე ლაპარაკობდნენ. მათ ნაზ გულებს სულაც არ ესურვილებოდა ეს აურზაური, მაგრამ ცნობისმოყვარეობას მაინც მოეყვანა აქ.

ცოტა ხანს კიდევ გაგრძელდა ხმაური. მერე ტაძრის გალავანზე გველეშაპებივით ამოყვეს თავები ზარბაზნის ლულებმა. იმავ დროს მოედნის განაპირას მდგარი ზვიადი ციხესიმაგრის ალაყაფიდან მწყობრად გამოვიდნენ წითელ-შავად ჩაცმული ჯარისკაცები, თოფის ლულათა პრიალით. წინ ამხედრებული ოფიცერი მოუძღოდათ. ის დაწინაურდა და მიმართა ხალხს:

— მეფის სახელით გიბრძანებთ, ახლავე დაიშალეთ, არამზადებო!

პასუხად ქვებმა გაიზუზუნეს და დამფრთხალმა, აყალყულმა ცხენმა კინაღამ გადმოაგდო მხედარი.

— ცეცხლი! – დაიყვირა გაცოფებულმა ოფიცერმა.

ბათქმა გადაუარა მოედანს. შემდეგ ღმერთმა უწყის, თავზარდაცემული ხალხი საით გარბოდა, როგორ თელავდა ერთი-მეორეს. ისმოდა კივილი, კვნესა, ვედრება, წყევლა.

ვენგარამ პირველად ნახა ამდენი თოფზარბაზანი და გაოგნებული ადგილიდან ვერ დაძრულიყო. ლტოლვილებმა ამასობაში მიაღწიეს იქ. ნიაღვარში მეჩეჩზე გარჩენილ მუხას ჰგავდა მხედარი. ჯარისკაცებს ხმლები გაეშიშვლებინათ და ჩეხვით მოჰყვებოდნენ მოჯანყეთ. ნატრულეთელმა ქალ-ვაჟი დაძებნა თვალით და ერთი სახლის კედელთან საწყალობლად ატუზულები იხილა. ვერც გაქცეულიყვნენ, ვერც დამალულიყვნენ შეყვარებულები. ძლივს დაძრა ცხენი ვენგარამ მათკენ. როცა მიაღწია, ნახა, მოედანი დაცარიელებულიყო და მხოლოდ რამდენიმე ჟანდარმი დარჩენილიყო ახლომახლო. მათ შეამჩნიეს კედელთან მდგომნი და ცხენები გამოაჭენეს.

— რაო, ძაღლიშვილებო, თქვენ არ კადრულობთ გაქცევას? – დაიძახა ერთმა და მათრახი მოიმარჯვა.

ვენგარამ შუბის ტარით გუდასავით გადმოაგდო ცხენიდან ჯარისკაცი. მეორემ დამბაჩისკენ წაიღო ხელი, მაგრამ არც იმას აცალა ჭაბუკმა, თავში ჩაარტყა შუბი და გონდაკარგული ძირს დასცა. ამასობაში სხვებმა შეამჩნიეს ეს და ბარე ოცი ზანგელა ჯარისკაცი გამოქანდა მისკენ. ნატრულეთელმა წაქცეულის ცხენს ჩაავლო ხელი აღვირში და შეყვარებულებს გასძახა:

— ჩქარა, შეჯექით!

ბიჭმა გოგო უკან მოისვა და სადავეები მიუშვეს ბედაურებს. ვენგარა სხვა ცხენზე ამხედრდა — რამდენიმე ტყვიამ ჩაიზუზუნა ახლოს, მაგრამ მშვიდობიანად გააღწიეს მდევართ.

მოედანზე რამდენიმე ათეულ გვამს აცხუნებდა მზე.

გაოფლილი ცხენები ჩორთზე გადაიყვანეს. გარეუბნის ქუჩებში მიდიოდნენ. ვენგარამ ზღვისკენ გაიხედა და თვალი ვერ მოწყვიტა წარმტაც სანახაობას. ვენგარა სხვა ცხენზე ამხედრდა ნაპირიდან თითქმის ვერსზე, ცისფერ ტალღებში სოკოსავით ამოღერილიყო თეთრი მარმარილოს უზარმაზარი სვეტი, რომელზეც მრგვალი, ფართო მოედანი დაეშენებინათ. ზედ პატარა, კოპწია ბაღი მოეწყოთ, აუზიც ლიცლიცებდა და ლამაზი, სვეტებიანი, ვაზშეცოცებული სახლი იდგა.

— ვისია ეს სავანე? – იკითხა ნატრულეთელმა.

— მეფის გასართობია, თავის ცხრამუცელა და გარყვნილ ქვეშევრდომებთან ერთად იქ ღრეობს ხოლმე, ძია. – უთხრა ბიჭმა.

ვენგარას ისარივით დაესო გულზე „ძია", გაოცებულმა მიხედა მათ. ის მაშინ ოცდაათი წლისაც არ იყო.

— ნუთუ ასე მოტეხილი ვჩანვარ, ნინველებო?

გოგონას ბავშვური, წრფელი ღიმილით აუელვარდა თვალები, — იცით, თითქოს დიდი ხნის არ უნდა იყოთ, მაგრამ ჭაღარა კი მოგხშირებიათ.

ნატრულეთელმა მისდაუნებურად გადაისვა თმაზე ხელი, მერე ნაღვლიანად გაეღიმა და უმისამართოდ მიაჩერდა სივრცეს.

— არ ვიცოდი... – ხმა გაებზარა მას.

— ვისთან მიბრძანდებით? – მოგვიანებით ჰკითხა ბიჭმა.

— ფუნდუკში შევალ.

— აქაური არ ყოფილხართ. ჩვენთან წამოდით, რა! მშობლებს ძალიან გაუხარდებათ. თქვენ ხომ ასეთი ხიფათისგან დაგვიხსენით! – დიდხანს, ალალად ეხვეწებოდნენ ყმაწვილები. დათანხმდა ვენგარა.

როცა სახლს მიუახლოვდნენ, ვაჟმა გოგო დაითხოვა და სტუმარს შინ შეუძღვა. მშობლებმა გულთბილად მიიღეს ჭაბუკი. მამამ, მკვიდრად აღნაგმა, ღიმილიანმა, სახენაიარევმა კაცმა სუფრა გააშლევინა, ორ მეზობელსაც დაუძახა და ხმიადი გატეხა. ღარიბულ, მაგრამ ფართო სენაკში ოთხი ბავშვი ღლაბუცობდა. დედამ ისინი ეზოში გაუშვა სათამაშოდ და თავად ბუხართან დატრიალდა.

— შვილო, გური! – ვაჟს მიმართა სახენაიარევმა, — ერთ დროს აკვანს გირწევდი, ახლა, მგონი, ის დროც დადგა, ღვინო დაგისხა. მოდი, გვერდით მოგვიჯექ, დღეს ხომ თხუთმეტი წლის ხდები?

თანამესუფრეებმა ადღეგრძელეს ბიჭი. დათამ, — ასე ეძახდნენ ოჯახის უფროსს - თასი აავსო, ვენგარას შეხედა და თქვა:

— არც სადაურობა ვიცი შენი, ძმობილო, არც – ვინაობა, მაგრამ ათასჯერ ნაბრძოლი და ნაჩეხ-ნაიარევი იმას მაინც ვგრძნობ, ვისი კაცობის მახვილს ცხია შხამი და ვისას – არა. თუნდაც შვილისგან არაფერი მსმენოდა, შენი იერი

მეუბნება, რომ ის კაცი ხარ, ვინც იერუსალიმს არ ყოფილა, მაგრამ ქრისტეს გულით ატარებს. ნაადრევი დარდის ბინდი ჩაგწოლია თვალებში, ნაადრევი ჭაღარაც გინათებს თმებს. მე კი ვიცი, ვინც ტანჯვაში ძუნწი არაა, სიკეთის ქმნაშია ხარბი. თუ ასეა, მშობლიურ სახლში მისულად ჩათვალე თავი. შენ გაგიმარჯოს! – ცერზე დაიკრა დაცლილი ფიალა. სხვებმაც ადღეგრძელეს ის. ჭაბუკმა მადლი მოახსენა მათ, გაიღიმა და თქვა:

— მაპატიეთ, ვერ გაგაცანით აქამდე თავი. ნატრულეთელი ვარ, ვენგარა მქვია.

დათამ ნატრულეთის ხსენებაზე შუბლი გაშალა, თვალებში სხივი ჩაუდგა და ისე დააქნია თავი, ასეც ველოდიო, იგულისხმებოდა.

— დღეს მოედანზე სისხლი დაიქცა!.. – ერთმა მესუფრემ ბოღმით მოკუმა ტუჩები და დანის ტარი ჩაბღუჯა, — აქამდეც მივიდა საქმე... ნეტავ, როდემდე ვითმინოთ, დათა? ხომ ხედავ, რა გაბედეს? იქნებ დროა, ხვალვე მოვუწოდოთ ხალხს, ავიტაცოთ რაც ხელში მოგვხვდება და შევუტიოთ იმ წყეულ სასახლეს.

— ალბათ, სულ მალე მოხდება ეგ. — თქვა სახენაიარევმა. — ჯერ ის უბედურები დავმარხოთ. დაკრძალვაზე მთელი სამეფო მოვა, მაშინ ვცადოთ და... მერე ღმერთი იყოს ჩვენი მფარველი!..

— ღმერთი, რა თქმა უნდა, თქვენს ნაცვლად არ იბრძოლებს, ისევ ხალხის სისხლი დაიქცევა. — დათას შეხედა ვენგარამ, — მხოლოდ ეს მითხარით, რატომ ხართ დარწმუნებული, რომ იარაღს აიღებენ ხელში?

— სხვა გზა არა აქვთ, ძმობილო. — ხელი მომუშტა მასპინძელმა, ვიღაც უხილავს დაემუქრა, — ძაღლური ცხოვრებისგან თავის დასახსნელად ორი გზა არსებობს: სიკვდილი ან ბრძოლა. რა გასაკვირია, ეს უკანასკნელი ვარჩიოთ?

— უცნაურია, — თვალებში ბინდი ჩაუდგა ნატრულეთელს. — აქაც შიში და გაჭირვება აერთიანებს ხალხს... ნუთუ ბედნიერებას არ შეუძლია ეს?

— რას ამბობ? — ჰკითხეს გაოცებულმა მესუფრეებმა.

— არაფერია... — ფიქრებიდან ამოთქვა ვენგარამ, — რაღაც გამახსენდა. — ცოტა ხანს სივრცეს მისჩერებოდა, მერე დაურთო: — თუმცა, გეტყვით... სანამ აქ მოვიდოდი, ორი სახელმწიფო ვიხილე. ერთგან ხალხს დაემხო მტარვალი მთავრობა, ბრძოლით მოეპოვებინა თავისუფლება და რჩეულებისთვის გადაეცა ქვეყნის ხელმძღვანელობა. მეორეგან ისეთი თავისუფლებისთვის მიეღწიათ, ყოველგვარი სახელმწიფოსაკანონმდებლო უწყებანი მოესპოთ, საჭმელსასმელი თავზესაყრელად ეშოვათ, მოსაპარავი, გასაძარცვი და შესაშური არაფერი ჰქონდათ. პირველგან საკუთარ კეთილდღეობაზე ფიქრით დავიწყებოდათ მეთაურებს ხალხისთვის მიცემული პირობები და ქვეყანაში ახალი შფოთის სამსალა გროვდებოდა. მეორეგან ადამიანურ საზრუნავთაგან განთავისუფლებულნი თითქმის უსულო არსებებად გადაქმნილიყვნენ, ისიც არ იცოდნენ, რისთვის ცოცხლობდნენ. არც მეგობრობა, არც სიყვარული მათში არ იყო. როგორც სკაში ფუტკარს ფიქა, ყველას მიჩენილი ჰქონდა ერთი საქმე, მაგრამ სხვა ფეხებზე ეკიდა.

თქვენს სამთავროს რომ ვუყურებ, მგონია, იმ ვითარებაშია, როცა ჯანყით დღეს თუ ხვალ მთავრობას დაამხობთ და არჩეულებს გადასცემთ ძალაუფლებას. თუკი, როგორც წეღან ვთქვი, ამას იმ პირველი სახელმწიფოებრივი წყობისკენ მივყავართ, აღარ ღირებულა სისხლის ღვრა. ამაო ყოფილა ყველაფერი.

სენაკში დუმილი ჩამოდგა. დათა მაგიდას ჩასცქეროდა და ფიალას ათამაშებდა.

— რა დაემართათ იმ სამთავროებს? — იკითხა მასპინძელმა.

— ერთი ყვითელმა მეფემ დაიპყრო. მეორეგან 1800 წელს ელოდებიან, წარღვნა იქნებაო, იძახიან.

— ცხოვრების ჩარხის ტრიალის შეჩერება შეუძლებელიაო, ხომ ამბობენ?.. ჰოდა, მეც მაქვარ! მზისკენ მანამ უნდა მივიწევდეთ, სანამ ვხედავთ, თორემ წუთისოფელი ერთ დღეს რომ ჩაგვიქრება, ყველამ ვიცით! — დათამ ნატრულეთელს გახედა.

— ერთხელ ვიღაცამ მითხრა: — ვენგარამ სევდიანად გაიღიმა, — „როცა იპოვი ბედნიერებას, ჩქარა დაკარგე, რომ სხვამაც ნახოსო“. როგორც ჩანს, წუთიერია ის და ყოფის კირთებას იმ წარმავალი ნეტარებისთვის ითმენენ ადამიანები... დე, ასე იყოს, ვიბრძოლოთ თავისუფლებისთვის! გამარჯვების წამებში ხომ მაინც ვიქნებით ბედნიერნი? მერე?.. მერეზე ნუ ვიფიქრებთ! ცისკრისას დაისი არავის ახსოვს.

— ფიალები! — დათა წამოდგა და თასი ღვინით ააქაფქაფა. სხვებიც წამოიშალნენ. — რისთვისაც გული არ გვენანება, თავიც გადავდოთ, თუ იბედითა! — უცებ გაეცინა თამადას, — ძმებო, ნუ გვეშინია სიკვდილის, ხომ ვიცით, სადაც ის არის, სიცოცხლეც იქაა!

გულიანად ახარხარდნენ თრობამორეულები, დაცალეს სასმისები, მერე სიმღერა შემოძახეს, ცეკვაც გააჩაღეს.

მგლოვიარე, მძინარე ქალაქში ამ ხმების იმედიანობა და ომახიანობა რომ არა, კაცი იფიქრებდა, წუთისოფლის ეს ღამე არ გათენდებაო.

დაშლისას ვენგარამ, ჯერ არ დამეძინებაო, სანაპიროზე გაისეირნა. ერთ კბოდეზე ავიდა, მორზე ჩამოჯდა და წყლის ბინდიან უსაზღვროებას გახედა. ჭრიჭინების ღამე იყო. ვარსკვლავები მანათობელი თევზებივით ლიცლიცებდნენ ზღვაზე. მთვარე გულაღმა ამოტრიალებულ ზვიგენის ლეკვს ჰგავდა სილივლივეში. სუსტი არავი ქროდა ლევიათანის სამეფოდან და მრეში, მშვენიერი ვარჯები ერხეოდნენ ჭაბუკს. კბოდეზე მოფერხულეებივით იდგნენ გრიგალში ნადრეკი ალვები.

ვენგარამ სიშორეში ნათელფენილი სილუ-

ეტი შენიშნა უცებ. თეთრი, გამჭვირვალე კაბა და ბიალონი ერხეოდა წყალზე მოსრიალე ქალწულს. მოახლოვდა ჩვენება და ჭაბუკმა დალანდა მისი ტანი, ნაქანდაკები მკლავ-აშავერები, ცისფერი, კამკამა თვალები, ცრემლის ნაკვალევივით დარხეული დალალები.

— იასამ! — წამოვარდა და ხელები გაიშვირა მოყმემ.

უხმოდ ამოსცქეროდა მდუმარე ასული. უცებ სახე მოეღუშა, შეშფოთებული თვალები მიაპყრო ნატურულეთელს და გაქრა.

როცა გამოერკვა, ჭაბუკმა ნახა... ერთი ნაბიჯი დარჩენოდა ქარაფის პირამდე.

გულში რაღაც ცხელი და მწვავე ამოძრავდა, ნელ-ნელა მაღლა ამოიწია, ყელს ამოყვა, თვალებთან ამოცოცდა, — ცრემლებმა გაიბრწყინეს მთვარის შუქზე.

გვიან დაბრუნდა ვენგარა მეგობრებთან.

VII თავი

ნასაუზმევს მასპინძელი გამოუტყდა ვენგარას შეთქმულების მეთაურობაში და შესთავაზა, თუ ბედს გვიკავშირებ, ბარემ ახლავე წავიდეთ, ზოგ ამხანაგს გაგაცნობო. ნატრულეთელი უსიტყვოდ გაჰყვა. ბჭობა-კამათის დროს ჭაბუკის ღირსეულმა სიტყვა-პასუხმა და ქცევამ მოჯანყეთა დიდი პატივისცემა დაიმსახურა. დაკრძალვაზეც დათა და ის ერთად წავიდნენ.

გულგამეხებულნი, გალეგებული სახით იდგნენ შეთქმულნი სამარის პირზე გამწკრივებულ კუბოებთან, რომლებსაც ქვითინით გადამხობოდნენ თალხიანი დედაკაცები. რისხვად გელავდა მათ გულებში მტარვალთადმი უსაზღვრო სიძულვილი და როცა საფლავებიდან ბელტების ხრაგუნი მოისმა:

— ძმებო! — ფოლადის ხმით ამოთქვა დათამ, — განა შეიძლება თქვენს თანაშეზრდილთა დასამიწებლად განირვა შერჩეს ვინმეს? დებო, დედებო! შეგაშრებათ ცრემლები ოდესმე ან მოგიოხდებათ გული თქვენს პირმშოთა და ძმათა სისხლის ტბორში ჩახრჩობისათვის? მამებო, ეგ მოცახცახე მარჯვენა ნუთუ ერთხელ მაინც ვერ აწევს ლახვარს მტარვალის გულში ჩასაცემად? დავიჯერო, მოქალაქენო, თავისუფლების ზარების რეკვას ყურად არ ვიღებთ და უკანასკნელ, გადამწყვეტ, ამდენი ხნის ნანატრ ბრძოლას შევუშინდებით? არა და არა!.. დასაკარგავი არაფერი გვაქვს — ან გამარჯვება ან სიკვდილი! — აღგზნებულად, გულბედითად ლაპარაკობდა სახენაიარევი კაცი და მოწოდებაზე— ყოველგვარი იარაღით ახლავე შევუტიოთო თეთრ სასახლეს, — ღრიალითა და გმინვით შეზავთული ხალხი ქალაქისკენ გაქანდა.

საუკუნის დინამიტი ზოგჯერ წამში აფეთქდება და თუ რომელიმე პიროვნება ამ წამის დადგომას იგრძნობს და აალებს, ისტორიის ფალავანიც ის არის.

როგორც ჩანდა, ეს იყო საბაბი ხალხის უსაზღვრო აღშოთების გადმოფრქვევისა. ცულებით, კეტებით, თოფ-ხანჯლებით შეიარაღებულნი, ზოგი ქვეითად, ზოგი ამხედრებული მოედანზე შეიჭრა.

მთავრობაც მომზადებულიყო. ჯარისკაცების ბატალიონმა სეტყვასავით დააყარა ტყვიები მათ, ზარბაზნებმაც დაიგუგუნეს გალავანზე. გათიბული ბალახივით შეიცელა წინა რიგები, ბევრმა ფეხი წაჰკრა მოკლულს და წიაქცა. კვნესა, ვედრება, ღრიალი ბუღივით ავარდა მზით გახურებულ ფილაქანზე.

მაგრამ ზვავი უნდა ჩაიმეწყროს ხევში...

გააფთრებულმა ხალხმა მიაღწია მსროლელებამდე. ხელჩართული ბრძოლა გაჩაღდა. ნარმოუდგენელი სისასტიკის ხოცვა-ჟლეტა სატანასაც შეაზარებდა. შიშისგან გონდაკარგული ჯარისკაცების ვედრებას, შეგვიბრალეთო, კბილთა მხეცური ხრჭიალით და შეყივლებით პასუხობდნენ მოქალაქენი, დაუნდობლად ჩეხდნენ, სრესდნენ საბრალოთ.

როგორც თეთრი დათვი სელაპების ხროვაში, ისე ტრიალებდა ვენგარა ზანგელა ფორმიანთა შორის და მისი ჩოხა, ტაიჭი, ყაბალახი ყასბის წინსაფარს დამსგავსებოდა.

აჯანყებულებმა გადათელეს ჯარისკაცები, შეანგრიეს საკრებულოს კარიბჭე და იქაურობას მოედვნენ. ერთი ნაწილი ყაზარმისა და სახაზინო დარბაზისკენ გაიჭრა.

დათამ ცხენი მოაგელვა ნატრულეთელთან და შეუძახა:

— ვენგარა, ეს ხოცვა-ჟლეტა ძარცვა-გლეჯაში არ გადაიზარდოს! სანამ რისხვა უდუღთ, მდინარის გაღმა მთავრის სასახლისკენ წავიდეთ!

ჭაბუკმა თავადაც იგრძნო, კარგი გეზით ვერ მიიგრაგნებოდა ხალხის დრტვინვა, უზანგებზე აიწია და დაიჭექა:

— ძმებო, გონს მოსვლა არ ვაცალოთ მტარვალთ! სასახლეს შევუტიოთ!

— სასახლისკენ! — დაიყვირა რამდენიმემ.

ხმა სხვებმაც აიტაცეს.

— სასახლისკენ! — აღრიალდა ყველა და ხიდისკენ გადადინდა მრისხანე ლავა.

ზვავი უნდა ჩაიმეწყროს ხევში...

ხიდზე ცადაწვდილი ცეცხლის ალები იგრაგნებოდნენ. შეჩერება კი არა და არ უნდოდა ხალხს. ბევრმა ცურვით მოინდომა გადასვლა... ისინი ქვასავით ჩაძირეს გვარდიელთა როყიო ტყვიებმა.

ზვავი უნდა ჩაიმეწყროს ხევში, მაგრამ თუ ქედი შეხვდა, აილუფხება, აგრიალდება, დაზავთდება და ბოლოს გაირინდება.

დათამ იგრძნო, დღევანდელი შეჯახება ასე უნდა დასრულებულიყო და ხალხის დაშოშმინებას შეუდგა სხვა მეთაურებთან ერთად. ეს ად-

ვილი როდი იყო. საკრებულოს პალატებში მდიდართა გვამები ზოგს ნაკუნებად ექცია, ზოგსაც შუბზე წამოეგო და ფანჯრიდან აქანავებდა. ქალ-ბავშვიც არ დაენდო ბევრს. რამდენიმე მოჯანყე ოქრო-ვერცხლსა და ათასგვარ ზარაურთს ეზიდებოდა სახლისკენ.

განრისხებულმა დათამ ათიოდე კაცი გაამწკრივა ყაზარმის კედელთან და მოქალაქეთა თანდასწრებით დახვრიტა.

— განა იმისთვის ვამხობთ მტარვალს, რომ თავად გადავაჭარბოთ უკეთურობით? — თვალებაფეთქებული უყვირდა ის ამბოხებულებს, — ძმებო, თავისუფლება თუმცა მსხვერპლს მოითხოვს, მაგრამ უდანაშაულოთა წამებას ღმერთი არ გვაპატიებს, ის ჩვენც დაგვამხობს, თუ გულს ლაგამი არ ამოვდეთ, თუ ასეთი საზარელი ცოდვები ჩავიდინეთ! დღეს გავიმარჯვეთ. ახლა მთავარია, შევინარჩუნოთ ქალაქის ეს ნაწილი და უახლოეს დღეებში მდინარის იქითა მხარე დავიპყროთ! ახლავე შევუდგეთ სანაპიროს გამაგრებას და ყოველ წამს მზად ვიყოთ მტრის შემოტევისთვის!

ხალხი, როგორც იქნა, დაშოშმინდა. ეს კი მეტად სასურველი იყო მეთაურებისთვის, რადგან აწი მებრძოლნი მშვიდად განსჯიდნენ შექმნილ ვითარებას და მომავალში მათგან მეტი გონივრული მოქმედება იყო სასურველი.

საღამოს ქანცგაწყვეტილი ვენგარა, დათა და გური თავს ძლივს იჭერდნენ უნაგირებზე, შინ მიდიოდნენ შუბლშეკრულები.

ნატრულეთელი ამაოდ ცდილობდა გასისხლიანებული ხელების ჩოხაზე შეწმენდას, ერთიანად გასვრილიყო ტანსაცმელიც.

— დათა, ასე მგონია, ბევრი ცოდვა დავიდეთ ჩვენც.

ცხენის ყურებს ჩაშტერებულმა სახენაიარევმა ოდნავ დააქნია თავი: — არ მეგონა, თუ ესეც საჭირო იყო ზოგჯერ.

„სანამ ადამიანს რაღაც უნდა, კეთილიცაა და ბოროტიც... ნუთუ მართალი იყავ, წყეულო?“ — ვენგარას თავი უბრუოდა.

— რას ბუტბუტებ? — ჰკითხა ამხანაგმა.

ხელი ჩაიქნია ნატრულეთელმა.

დუმილით გალიეს გზა. სახლისკენ მიმავალ ქუჩას დაადგნენ. ჭაბუკმა წინ გაიხედა და თვალები გაუფართოვდა...

ტანკენარი, თმებდატალღული ქალი იდგა ჭიშკართან.

„ისევ მეჩვენება“. — უცნაურად გაეღიმა ჭაღაროსან მოყმეს.

— რა მოგდის? — იდაყვში ხელი მოჰკიდა დათამ, — სულ შეგეშალა სახე.

— იქ... გარდაცვლილი ცოლი მელანდება.

— თუ იმ მშვენიერ ქალზე ამბობ, ცრემლები რომ ღაპაღუპით სდის, ის შენსკენ მორბის, ვენგარა.

ნატრულეთელმა ახლა კი დაიჯერა ნანახი.

— იასამა! — იღრიალა მან, ცხენიდან გადმოხტა და წინ გაიჭრა.

— ვენგარა! — ქმრის ხელებში შევარდა ქალი.

— იასამა!.. იასამა... იასამა! — უაზროდ იძახდა კაცი.

— ვენგარა!.. ღმერთო, დიდებულო, ცოცხალი ხარ!. ვენგარა! — სულს ძლივს ითქვამდა ქალი.

ოდნავ დამშვიდდნენ და კითხვები დააყარეს ერთმანეთს:

— საიდან?.. როგორ?.. თქვი ჩქარა!

— მე მაშინ დაჭრილი ვიყავი... ორი ჩალმიანი შემოგვივარდა ოთახში. ერთმა მამა აჩეხა, წალდი ჩავკარი წყეულს და თავი გავუპე. მეორემ ამის დანახვაზე დაუნდობლად დამარტყა მათრახის ტარი კეფაზე და ძირს დამცა... მერე მოვიდა, გადმომატრიალა, მკვდარი ვეგონე, შეიგინა და გარეთ გამოვიდა. ამ დროს შენც შემოვარდი... ღმერთო, როგორ მინდოდა დაძახება! შენც მკვდრად ჩამთვალე და გარეთ გაიჭერი. ...იქიდან ხმლის ჩახაჩუხი მესმოდა... უკანასკნელად ვცადე წამოდგომა და გონიც წამერთვა.

— იასამა, ჩემო სიცოცხლევ, მე უკეთურმა იქ დაგტოვე!.. ღმერთო ჩემო, მაპატიე, იასამა! — ეხვეოდა და ჰკოცნიდა ქმარი, — მერე? მერე?

— მეზობლის დედაბერმა მიმკურნალა... მერე ძველმანები ჩავიცვი, სახე თავშლით ავიხვიე და გეძებდი, ჩემო სიყვარულო, სად არ ვიარე, ვის არ მივმართე, იყო და წავიდაო, მეუბნებოდნენ. დღეს აქ მოვაღწიე და ამ სენაკში მომასწავლეს... შეთქმულთა მხარე დაგიჭერია... ისევ ომობ, ისევ სხვათა ბედნიერებისთვის სწირავ თავს... ვენგარა, ახლა ჩემი ხარ, არსად გაგიშვებ!..

დიდხანს იყვნენ ერთმანეთს ჩაკრულნი.

დათამ და გურიმ შეიპატიჟეს ისინი და შინ შევიდნენ.

ოდნავ გულმოხებული ისამა ტახტზე დაჯდა, ქმარს მიაჩერდა, უცებ ტუჩებზე მიიდო ხელი გაკვირვებულმა.

— ვენგარა, როგორ გაჭაღარავებულხარ!

ხელები გაშალა და გაიღიმა ნატრულეთელმა.

დათას ცოლი სუფრას აწყობდა. ამ დროს სენაკში შემოვიდა და კართან აიტუზა შვიდიოდე წლის, ცისფერთვალება, მრეშთმიანი, ლამაზი ბიჭუნა. იასამა მასთან მივიდა, მხრებზე ხელი მოხვია და ქმრისკენ წამოიყვანა.

— ამასაც ვენგარა ჰქვია... მიდი, შვილო, მამასთან.

ნატრულეთელს გულმა ვეღარ გაუძლო, — დათა რომ არა, წამოდგომის ნაცვლად მაგიდას გადაემხობოდა...

VIII თავი

ვენგარა მისდაუნებურად ხალხის საყვარელ გმირად იქცა და დათასთან ერთად გაიზიარა ბე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლადობა.

მეორე დღეს პატარა შეტაკება მოხდა მდინარის პირას მდგარ არსენალთან.

მოედნის ერთი მხარე აჯანყებულებს ეკავათ, საპირისპიროდ გვარდიელები იდგნენ.

გამაგრებულ ზღუდეებთან ჩასაფრებულები ერთმანეთს თოფის სამიზნეებით ადევნებდნენ თვალს.

— რაღას ვუცდით, მამა? შევუტიოთ! — მერამდენედ ამბობდა გური.

დათამ ბრაზით მოკუმა ტუჩები და მკვახედ უთხრა შვილს:

— თუ კიდევ გაიმეორებ, შინ დაგითხოვ! გაიგე, უაზრო სისხლისღვრა ხელს არ გვაძლევს, ხალხს ტყილუბრალოდ შევაწყვეტ. დაველოდოთ დაღამებას, იქნება გვერდიდან დავუაროთ.

ბიჭმა უკმაყოფილოდ გააქნია თავი და გვერდზე გავიდა.

ვენგარა მოვერცხლილ დამბაჩას დასცქეროდა, მერე ყანიმიდან ტყვია ამოიღო და ხელში აათამაშა.

— მაინც ვის მოაფიქრდა ამ წყეული ტყვიის მარცვლის გაკეთება, ჰა, დათა? თუ ხორცში ჩაითესა, სისხლს აღმოგიცენებს და გულს გაგიჩერებს. არც მამაცს არჩევს, არც ლაჩარს, არც მოხუცსა და მოყმეს.

— იმ ველურის შთამომავლს, ერთხელ რომ ჯოხი ესროლა ვაშლის ხეს და ხილი იგემა.

— ადამიც ამისთვის არ გამოაგდეს სამოთხიდან?

— ასე ამბობენ.

— დიდხანს გვაზღვევინებს კიდევ ღმერთი პირველ ცოდვას?

— რა მოგახსენო, ძმობილო.

ფიქრებში წასული ვენგარა ჩიტების ჟივჟივმა გამოარკვია. მოედნის განაპირას მდგარ დიდ ჭადარს ფრთოსნები შეფენოდნენ, რტოდან რტოზე ხტოდნენ, თამაშობდნენ, გალობდნენ. თვალდაუხამხამებლად მისჩერებოდა ნატრულეთელი მათ.

„ბედნიერები... რომელ ტოტზეც სურთ, იმაზე სხდებიან“.

ხერგილებიდან კვლავ სამიზნეებით უდარაჯებდნენ ადამიანები ერთმანეთს.

— ვაიმე! — დაიყვირა უცებ დათამ, — იასამა, ჩქარა აქეთ! აქეთ!

ნატრულეთელს ეკლებმა დააყარა ტანზე, გახედა და შუა მოედანზე, შემოსახვევი ქუჩის თავში დაინახა მეუღლე. როგორც ჩანს, შინ ვერ გაეძლო შეშფოთებულ იასამას და ქმრის სიახლოვეს ყოფნა ერჩია. გზა ვერ მოეზომა და ცეცხლის ხაზზე მოხვედრილიყო.

გვარდიელებმა გაიგონეს სახენაიარევის შეძახილი და იგუმანეს ქალის ვინაობა. ერთი ოფიცერი მთელი ტანით ამოიმართა საფარიდან და თოფი მიაშვირა ქალს.

— თეთრჩოხიანო მეთაურო! — დაიძახა მან, — ვიცით, ეს მანდილოსანი შენი ცოლია, ჩაგვბარდი და ახლავე გავათავისუფლებთ. წინააღმდეგ შემთხვევაში... — ჩახმახმა გაიჩხაკუნა.

ნატრულეთელი ხერგილს გადაევლო და მოედანზე გაიჭრა.

— ვენგარა! — დაიყვირა დათამ და მის ხმაში ყველა აჯანყებულის ვედრება იყო, არ მიეტოვებინა ხალხი საყვარელ მეთაურს.

შებარბაცდა ჭაღაროსანი მოყმე და დაჭრილი ვეფხვივით გახედა გვარდიელს. მერე წინ წადგა ბიჯი.

— ვენგარა! — ამ ხმაში უკვე იმედმოკლული ადამიანის ჩივილი იყო.

ისევ შედგა ნატრულეთელი. სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა მოედანზე. ოფიცერი თვალმოჭუტული გაჰყურებდა თეთრჩოხიანს.

ვენგარას უცებ გვერდითი სახლისკენ გაექცა თვალი და გური დალანდა რამდენიმე ამხანაგთან ერთად. დაუდეგარ, უშიშარ ბიჭს თანამებრძოლთა თნხლებით უჩუმრად შემოევლო მოედნისთვის და შენობის კედელს აფარებული თოფს უმიზნებდა ოფიცერს.

წამები არაბული ცხენებივით მიქროდნენ.

— ჩქარა! — იყვირა ვენგარამ.

თოფმა დაიჭექა და ოფიცერი ქვაფენილზე დაემხო. სანამ დანარჩენები გონს მოვიდოდნენ, გურის ამხანაგებმა ისინიც ამოთოფეს და უკან გამოიქცნენ. იასამამაც დრო იხელთა, ისარივით გამოიჭრა ქმრისკენ, ამ უკანასკნელმა ჩაავლო ხელი მაჯაში და ხერგილისკენ გააქანა. ტყვიებმა ელვანასავით გაიწუილეს, ბედად ყველა ასცდა. უვნებლად მიეფარნენ ურემს და ერთურთს ჩაეკრნენ.

— იასამა, რა ჩაიდინე!.. იასამა, ხომ ვიღუპებოდით!.. — სულს ძლივს ითქვამდა ვენგარა.

ქალი საწყლად მობუზულიყო და დამნაშავის იერით იყურებოდა.

— დამშვიდდი, ღვთის მადლით ყველაფერი კარგად დამთავრდა! — მხარზე ხელი დაკრა დათამ მეგობარს.

შორიახლოს გურის დოინჯი შემოეყარა და იღიმებოდა. ვენგარა მივარდა, გულში ჩაიკრა ყრმა.

— მადლობელი ვარ, ვერ დაგივიწყებ! — მერე თვალებში ჩახედა ბიჭს და უთხრა: — ისე, გახსოვდეს, ზედმეტი დამიზნება აცილებაა, კიდევ რომ დაგეყოვნებინა, ღმერთმა უწყის, რა მოხდებოდა.

ქალაქის ნახევარი ერთ კვირას აჯანყებულთა ხელში იყო. მერე მაშველი ჯარი მოუვიდა მეფეს და გააფთრებული ბრძოლების შემდეგ შეთქმულებს მხოლოდ ზღვისპირა კარიბჭის უბანი შერჩათ. ვენგარა და მისი ამხანაგები თავგანწირულად იბრძოდნენ, მაგრამ გაცილებით ჭარბი ძალა თავისას შვრებოდა. იმ დღეს თითქმის ლაშქრის ნახევარი დაკარგა ნატრულეთელმა, ღამით შეშფოთებული, სისხლში გასვრილი მივიდა შინ და იასამას სთხოვა, დათას ჯალაბობასთან ერთად ქალაქიდან გასულიყვნენ, — ნატრულეთისთვის შეეფარებინათ

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავი. დიდ ხანს უარობდნენ ცოლები. ბოლოს შვილების უშიშროების გამო დათანხმდნენ ამ განზრახვას და ცრემლებით გამოეთხოვნენ ქმრებს.

როცა ფორანი გზას გაუყვა და ნატრულეთელი უკანასკნელად ემშვიდობებოდა იასამას, ქალმა აცახცახებული ხმით უთხრა:

— ვენგარა, მეშინია... ღმერთი რომ არ დადგეს შენს მხარეზე?.. რატომ მიატოვე ნატრულეთი მაშინ? სხვისი ომის მთავარსარდლობას ხომ სამშობლოს ჯარისკაცობა უნდა ერჩივნოს კაცს?

უკიდურესი ტანჯვა გამოესახა სახეზე მოყმეს.

— იასამა, ნუ გამსჯი ამისთვის. მე მთელი ქვეყანა მიმაჩნია სამშობლოდ... ისიც მეყოფა, ასე დაჩეხილი და შხამით სავსე რომ არის. ნუ გეშინია, საყვარელო, მე დავბრუნდები, ჩვენ სიბერემდე ვიცოცხლებთ... ბედნიერები ვიქნებით. მხოლოდ ახლა... ახლა აქ უნდა ვიყო. მიხედე ჩემს ვაჟკაცს! — და გადაეხვია ცოლ-შვილს კაცი.

უკან წამოსულმა ვენგარამ რამდენიმე ნაბიჯი გადადგა და ადგილზე გაშეშდა: ველზე დაგდებულ თეთრ ქვაზე წელში გაწყვეტილი გველი აცოცებულიყო და ჩამავალ მზეს გაჰყურებდა. მიხვდა ნატრულეთელი, ვიღაცის მიერ ხმლით თუ კეტით დასახიჩრებული მცურავი ჩვეულებისამებრ დაისს ელოდა სიკვდილის შესახვედრად, მაგრამ ამას არ გაუკვირვებია.

გველი... გალობდა.

გალობდა საოცარი, მშვენიერი ხმით, არცერთ იადონსა და ბულბულს რომ არ დასცდენია, იმგვარად.

იმ ხმაში იყო გოდება სამყაროსადმი იმის გამო, რომ ის ბორტების და შიშის სიმბოლოდ გაჩენილა, იმ ხმაში იყო სინანული ოდესღაც დაკარგული სიკეთის მაგიისთვისაც.

იგრძნო ვენგარამ, განგებ მოუვლინა ეს სასწაული ღმერთმა: უხსენებლის მომწვანომოლურჯო ზურგის ბრწყინვაში მას ეცნო ტბებისა და ქედების ფერი; ჭრელი მუცლის ხატებაში დალანდა ფერად ყვავილთა, პატიოსან ქვათა და ზეცის საღებავები; აღიარა მან, არსად ენახა ასეთი თავზარდამცემი მშვენიერება!

იგრძნო ვენგარამ, ენაზე ადგა სიტყვა-სასწაული, რომელსაც ამდენი ხანი ეძებდა და რომლის წარმოთქმისთანავე ზეცა გაეხსნებოდა უკვდავებაში გადასასვლელად.

ისიც იგრძნო ვენგარამ, რომ უღმერთოდ დარჩა, — რამდენიმე წამით მისცა უფალმა არჩევანი.

მიხვდა ის, რა ყოფილა ადამიანი... არ წარმოთქვა სიტყვა-სასწაული და ქალაქისკენ წავიდა მოჯანყეთა წინამძღოლად.

— საღამო მშვიდობისა! — მოესმა უცებ და იხილა ბოროტების მეუფე, უჟმურისფერი მხედარი, — გახსოვს? ოდესღაც გითხარი, ადამიანს სანამ რაღაც უნდა, იგი კეთილიცაა და ბოროტიც-მეთქი. ახლა უფრო დაგიზუსტებ: ადამიანი ერთადერთი ცხოველია, რომელიც ქონებას აგროვებს და ამისთვის ხშირად უამრავ თანამოძმეს სწირავს.

— სამწუხაროდ. — თავი ჩაქინდრა ვენგარამ.

— არ უნდა მიგეტოვებინათ ხეები მილიონი წლის წინ; არ ღირდა წელში გამართვა, იარაღის მომარჯვება, ღმერთის ძებნა, თუ ლემურებივით უაზრო გამრავლების შემდეგ ომებში დაიხოცავთ თავს; არ ღირდა ათასგვარი კანონის გამოგონება მხოლოდ იმისთვის, რომ გამუდმებით დაარღვიოთ ისინი; მეტსაც გეტყვი: ადამიანი ერთადერთი ცხოველია, რომელიც ჭამით იავადებს და ხშირად იკლავს კიდეც თავს; ერთადერთი არსებაა, ვისაც თავი ბუნების მეუფე ჰგონია; საქალწულე აპკი აქვს და სიყვარულში პოზებს იგონებს; ცეცხლს იმორჩილებს მხოლოდ იმისთვის, რომ ნებაყოფლობით ჩაიწვეს შიგ და კვამლიც თავისი ნებით ჩაყლაპოს; ჰმ, ადამიანი? სასაცილოა, სამწუხარო რომ არ იყოს! რას იტყვი? რად დუმხარ?

— გისმენ და ვერ გამიგია, მართლა ბოროტების მეფე ხარ თუ?..

— ჰო, ძნელი გასარჩევია სიკეთე და ბოროტება. მშვიდობით, მოყმევ. თუმცა რაღა მოყმე, ისე მოტეხილხარ, ჭარმაგს ჰგავხარ. — მხედარი გაჭენდა და სივრცეში გადნა.

უთვალავი ომი ახსოვს დედამიწას. თუ ისინი ყოველთვის ვიღაცის დამარცხებით დამთავრებულა, განადგურებით მხოლოდ ერთეულები განადგურებულან. არც შეიძლება სხვაგვარად იყოს. სიცოცხლის კანონია ასეთი, გათელილი ჯეჯილი თუ შემოდგომაზევე ვერა, გაზაფულზე ამოიწვერება ისევ. ბევრჯერ დამარცხებულ, მაგრამ გაუნადგურებელ ლაშქართა შორის უდიდესი და უკვდავია თავისუფლება.

დამარცხდნენ აჯანყებულები. ზოგი ბრძოლის ველზე დაეცა, ზოგს შაყი ჰკრეს, ძელზე გასვეს, თვალები დასთხარეს, ზოგიც ოჯახში დაბრუნდა და სამარადისოდ ჩაიმარხა გულში შურისძიების ძელიცხოველი.

ვენგარა, დათა და სხვა მეთაურები ერთ დღეს მოედანზე აღმართულ ფიცარნაგზე გაიყვანა მეფემ და ხალხის თანდასწრებით მათი დასჯა ბრძანა.

ბოლოსთვის შემოინახეს ნატრულეთელი. ლევიათანი თავზარდამცემად აგრიალებდა ზღვას, მთისხელა ტალღები ასკდებოდნენ სანაპიროს და აზანზარებდნენ დედამიწას, — ნატრულეთელი კი არ უხმოდა საშველად წყლის მბრძანებელს, იცოდა, წარღვნის ნება ადამის ძეს არა აქვს.

ნისლიან, შხეფებიან ჰაერში საწყალობლად ირწეოდნენ სახრჩობელაზე ჩამოკიდებულნი.

ხალხი სახეგამეხებული შეჰყურებდა მეთაურთა კირთებას. ალაგ-ალაგ ქვითინი ისმოდა, ჩუმი წყევლაც წამოსცდა ზოგს.

თავად მეფემ მიმართა ჭაღაროსან მოყმეს:

— სიკვდილის წინ ყველას უნდა შეუსრულდეს უკანასკნელი ნადილი. რას ისურვებდი, ნა-

ტრულეთელო?

ვენგარამ თავთან მოქანავე ყულფს გახედა. უცებ ორი ჭიანჭველა შეამჩნია თოკზე. რაღაც თეთრი ნამცეცისთვის ძიძგილაობდნენ მწერები. დიდხანს არ თმობდნენ ნადავლს. ბოლოს ერთს ფეხი მოუცდა და ფიცარნაგზე ჩამოვარდა, მეორე გაოცებული ტრიალებდა აქეთ-იქით, სად დამეკარგაო მოქიშპე, მერე პირი დაავლო ნამცეცს და გაიქცა.

გაეღიმა ვენგარას და მთავარს გახედა. ის პასუხს ელოდა.

„მოვუხმო ლევიათანს?.. ალბათ, ყველაფერს წალეკავს". — ფიქრობდა ნატრულეთელი.

— ბატონო! — ხალხს ვიღაც გოლიათური აღნაგობის, შავჩოხიანი კაცი გამოეყო, ამაყ თვალებში მწუხარე ღიმილი ედგა. — ნება მომეცით, უკანასკნელად მშობლიური მიწის ღვინო ვასვა და პური ვაჭამო.

მეფე დასთანხმდა.

ვენგარა გაოცებული შეჰყურებდა ფიცარნაგზე ამომავალს, რაღაცით ეცნობოდა, ვერაფრით კი გაიხსენა.

ხურჯინიდან პური, ყველი და ხელადა ამოიღო უცნობმა, ორი თასი აავსო, ერთი ნატრულეთელს გაუწოდა.

— ვინ ხარ? — ჰკითხა ვენგარამ!

— დაილოცე! — უთხრა მოღუშულმა გოლიათმა.

ჭაბუკმა ხალხს გახედა, — თქვენ გაგიმარჯოთო! — და თასი დაცალა. უცნობმაც იგივე გაიმეორა. რამდენიმე ქალმა ვერ შეიკავა თავი და ქვითინი გაისმა.

ცოტა ხანს მდუმარედ შესცქეროდნენ ერთმანეთს. ნატრულეთელს გულღვიძლში ცხელი ბურთი აუმოძრავდა, რომელმაც ეკლები გამოისხა და შიგნეულის ფლეთა დაიწყო. სახე დაეღმიჭა მოყმეს, ტკივილმა დაუბრიცა ტუჩები, ნელ-ნელა ჩაიჩოქა. მუხლებზე დაეცა შავჩოხიანიც, მკლავში ჩაავლო ხელი ჭაბუკს და უთხრა:

— ერთად ვერ ვიცხოვრეთ... ერთად მაინც მოვკვდეთ!

თვალები აუელვარდა ვენგარას და ძლივს ამოთქვა:

— ირაკლი?

გაოცებული ხალხის თვალწინ ორივე ერთმანეთს გადაემხო და გაშეშდა.

IX

რა უცნაური ფერი აქვს წყვდიადს, შავ-რუხი, უჟმურშერეული, არანაირი ხმა, შეგრძნება და სურნელი.

„სად ვარ?" — გაიფიქრა და ირგვლივ მიმოიხედა. არსად არაფერი ჩანს.

— ჰეი! — მძლავრად დაიყვირა. ხმა ძველებურია, თუმცა არანაირი ექო, გამოძახილი არ ისმის. არც შიში, არც ტკივილი, არც წყურვილი, არც შიმშილი, არც დარდი, არც სიხარული. რა არის ეს ყოველივე?

მოიცათ. რაღაც ჩქამი გაისმა და სინათლეც გაკრთა. შორს, მაღლა თითქოს გვირაბის ხვრელიც გამოჩნდა.

— სულეთის გვირაბია? — გაიფიქრა ვენგარამ, — ნუთუ?.. ირაკლი სადღაა, ნეტავ?

— არა, მოყმევ, სულეთის გვირაბში ჯერ არ შეხვალ, ჯერ შენი უწინდელი საცხოვრისიდან ძახილის დალოდების დროა!

— შავო მხედარო, შენ? — იცნო კაცმა სიკვდილის მეუფე, ერთ-ერთი ოთხი მხედრიდან, ოდესღაც გზაჯვარედინთან რომ შეხვდა.

— მე ვარ.

— რა ძახილს უნდა ველოდო?

— ვისაც უყვარხარ და ახსოვხარ, თუ გულით უნდა, დაგიძახებს. ოღონდ ისე მძლავრად უნდა ქნას ეს, რომ აქ ჩამოაღწიოს ხმამ. მაშინ ზოგჯერ უკან ვაბრუნებ ხოლმე დროზე ადრე გარდაცვლილებს.

— სულეთი სად არის?

— სულეთი მაღლაა, მთვარის მარცხნივ, თუმცა ადრე ცოტა ქვევით იყო. ისე მრავლდებით ადამიანები, ალბათ, მომავალში მარსისკენ მოგიწევთ გადანაცვლება, აქ ვეღარ დაეტევით.

— სული თუ უკვდავია და გარკვეული დროის შემდეგ კვლავ უბრუნდება დედამიწას, მაშინ მისი რაოდენობა დიდად არ უნდა იცვლებოდეს. თუ ასეა, რა გამოდის? აკი ათი საუკუნის უწინ პლანეტაზე ორასი მილიონი ადამიანი იყო და როგორღა გახდა ხუთი მილიარდი დღეს? სულებიც სხეულებივით იბადებიან?

— შენ გგონია, ყველა ადამიანს აქვს სული? იცი, რამდენჯერ უნდა გამოიცვალო სიკვდილ-სიცოცხლე?

— წეღან რომ თქვი, დაძახებას უნდა დაველოდოთო, თუ არ მიხმობენ, მაშინ აქ დამტოვებ?

— თუ ასე მალე აღარავის უნდიხარ მიწაზე, რაღა გინდა იქ?.

— „მართალია". — გაიფიქრა ვენგარამ და თავადვე გაუკვირდა, რომ მაინცადამაინც არ სწყინდა ეს.

— აქ გრძნობები, მიზნები და სურვილები ნელ-ნელა ქრებიან, მით უმეტეს იქ, მაღლა. — კვლავ მიუხვდა შავი მხედარი.

— ფიქრებს კითხულობ?

— აქ ფიქრები აღარ არსებობს, ყველას ყველაფერი ესმის ერთმანეთისა, აზრების დამალვა მხოლოდ მიწაზეა საჭირო.

— რა კარგია! რა ბედნიერებაა!

— ჭეშმარიტად.

— ეს დედამიწაზე უდიადესი სანუკვარია კაცობრიობისა. იქ რომ ასე იყოს, რამდენ უბედურებას აცდებოდნენ.

— ჭეშმარიტად.

— როგორც ჩანს, არც თუ ისე ცუდია აქაურობა, — დაფიქრდა ვენგარა, — თუ, რა თქმა უნდა, ჯოჯოხეთიც არ არსებობს.

შავ მხედარს გაეღიმა:

— ჯოჯოხეთს თქვენში ბოროტებს ჰპირდებიან, ხოლო სამოთხეს — კეთილებს. ასე არ არის?

— დიახ.

— არავითარი სიკეთე და ბოროტება, თქვენეული გაგებით, არ არსებობს.

— აბა რა არსებობს? რისთვის ხდება იმდენი უბედურება იქ დაბლა? — ვენგარას კვლავ გაუკვირდა, თუ როგორ გულგრილად წარმოსთქვა ბოლო ორი სიტყვა.

— მიწიერთა სხეულები თითქმის ცილის ჰოლოგრამაა, გნებავს ცილის თიხა დაარქვი. ყველა თქვენეული ე.წ. ბოროტება ამ სხეულს ვნებს ძირითადად, უფრო სწორად სახეს უცვლის. არაფერი იმაზე სასტიკი არ ხდება, რაც ერთმანეთის შეჭმის ეპიდემიაა, რითაც ყველა სულიერი დასნეულებული ხართ თქვენს პლანეტაზე, სადაც მთავარი ენერგია მზიდან მოდის.

— სხვა რით უნდა ისაზრდოოს არსებამ?

— რით არსებობენ სხვა პლანეტები, ვარსკვლავები, გალაქტიკები, ატომები? — მარადიული, საყოველთაო ენერგიით.

— ნუთუ?

— ასეა. კბილებისა და კუჭის ტანდემი ცილის მკაცრი შეცდომაა. ამასთან შედარებით ყველა თქვენეული ე.წ. სიკეთე-ბოროტება მხოლოდ თამაშია. თქვენ ისიც გგონიათ, რომ ჟანგბადი და ნახშირბადია სიცოცხლის ძირითადი წყარო.

— ასე არ არის?

— უამრავი სიცოცხლეა თქვენთანვე მიწაში, ცეცხლში, ჰაერში, განსაკუთრებით წყალსა და ეთერში (აღარაფერს ვამბობ სხვა გალაქტიკებზე), რომლებსაც საერთოდ არ სჭირდებათ ჟანგბადი, ნახშირბადი, წყალბადი. ზოგი გოგირდით არსებობს, ზოგი — აზოტით, ვინ ჰელიუმით, პლატინოიდებით ან სხვა ელემენტებით. განა რა არის სიცოცხლე? — მოძრაობა. მოძრაობას კი მრავალი რამ ჰქმნის. როგორ გგონია, ატომი უფრო დიდია თუ მზე?

— რა თქმა უნდა, მზე.

— ცდები. ეს იმიტომ გგონია, რომ მიწიერი განზომილებანი ძალზე მწირია. ატომებში ათასობით მზე ეტევა, რაც თქვენ ნაწილობრივ იცით თერმობირთვული აფეთქებების საშუალებით.

— რა არის სული?

— მოძრაობის კოდია, კონკრეტული და ინდივიდუალური.

— რა არის ღმერთი?

— საგანთა და მოვლენათა ცენტრალურ-სპირალური ჰარმონია. თქვენეული წარმოდგენის ღვთაებები და ანგელოზები ამის მთავარი აღმსრულებლები არიან.

— უკვდავება შესაძლებელია?

— ყველაფერი უკვდავია.

— ამას შენ ამბობ, სიკვდილის მეუფევ?

— სიკვდილი რა გგონია? — საყოველთაო წესრიგ-ჰარმონიის დროული აღსრულებაა და მეტი არაფერი.

— რომელია ყველაზე ძლიერი არსება?

— რომელიც ჯერ არ გიხილავთ არა მხოლოდ ადამიანებს, არამედ სხვა გალაქტიკებსაც.

— ე.ი. ღმერთივითაა?

— არა, ღმერთი მხოლოდ ჰქმნის, ისინი კი ზოგჯერ ანგრევენ, რათა ჰარმონიამ კვლავ განაახლოს და ააღორძინოს ყოველივე.

— ძველი დემონების მსგავსნი ყოფილან.

— არა, უფრო იმ გუთნისდედებს ჰგვანან, მიწას რომ აშლიან, აანგრევენ, რათა თესლმა გაიხაროს... ჩუ! გესმის?

— არა. რა მოხდა?

— არც ახლა გესმის?

— არა... თუმცა, მოიცა, მგონი ქალის ხმას ჰგავს.

— ჰო, გეძახიან. აი, ახლა კარგად ისმის. ცნობ?

— მგონი, კი. იქ, დედამიწაზე ჩემს ცოლს ჰქონდა ასეთი ხმა.

— სწორედ ისაა. გინდა უკან დაბრუნება?

— არა. ჯერ კიდევ ბევრი შეკითხვა მაქვს.

— სამყარო მარადიული და ყოველმხრივი შეკითხვებია. ათასეული საუკუნე უნდა ამ კითხვების დასმას, მით უმეტეს, რომ პასუხები დროთა განმავლობაში კვლავ შეკითხვებად გარდაიქმნებიან.

— მათ გასრულებას, ალბათ, უკვდავება უნდა?

— იცი, რა არის უკვდავება?: ყველაფრის ცოდნა-განსაზღვრა და მისი ასრულებისათვის დღენიადაგ საათივით მუშაობა. არაერთმა დედამიწელმა ითხოვა უკვდავება. მივანიჭეთ კიდეც, თავიანთი თვალით გახედეს წარსულს, მომავალს (ესეც თქვენეული გაგებაა, თორემ დრო ერთია, დაუნანევრებელი, ნრიული), თავად იხილეს პაპის-პაპის-პაპები, შვილთაშვილის — შვილთაშვილის—შვილიშვილები და მოწყენისაგან ტირილი დაიწყეს. ვინ მიწაზე დაბრუნება მოითხოვა ჩვილთა სხეულში, ვინ სხვა გალაქტიკის მკვიდრობა, ვინ ატომებად გარდაქმნა და ა.შ. არ დაგიმალავ: დედამიწელები მომავალ საუკუნეებში ზღვებში, ოკეანეებში, მიწის გულში უფრო შეეცდებით ცხოვრებას, ვიდრე სხვა პლანეტებზე; დროის კომპიუტერსაც შექმნით; ისტორიული მოვლენების ჰოლოგრამულ გამოსახულებებსაც აღადგენთ; სიცოცხლის გახანგრძლივება-რეგულირებასაც შესძლებთ; მაგრამ ეს თამაშია იმასთან შედარებით, რაც წინაა.

— რატომ ივიწყებენ და თავიდან რატომ აღმოაჩენენ ძველ ცოდნას ადამიანები?

— უმჯობესია, ქვეყნად მოსულს რომ წინა ცხოვრების ვნებანი არ ახსოვს, თორემ დაკარგავდა სიცოცხლის ხალისს.

— ვენგარაა! — გვირაბის ბოლოდან მოისმა ქალის ხმა.

— გულით გეძახიან. უნდა დაბრუნდე! ჯერ არაა ჟამი. — შავი მხედარი გაქრა და ვენგარას თვალები აუწვა მზის სინათლემ...

— ღმერთო, გამოიხედა! ვენგარა, შენი ჭირ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმე! — მკერდში ჩაეკრა იასამა მეუღლეს.

კაცმა წამოიწია, მიმოიხედა, — რომელიღაც ხაროს პირზე იწვა, იქვე ირაკლი, იასამა და მისი ბიჭუნა იდგნენ, გახარებულები.

— რა მოხდა? სად ვარ?

— ხევისბერს რაღაც წამალი გამოუტანებია ირაკლისთვის, თან დაუვალებია, ორივემ შესვით და თუ განგება ინებებს, საიქიოში მაინც ერთად მოხვდებითო.

— მერე?

— მერე, როცა თქვენი სხეულები აქ ჩაფლეს, მე და ჩვენმა ბიჭმა გეძებეთ, ამოგთხარეთ და სასწაულიც მოხდა, — ჯერ ირაკლი გაცოცხლდა, შემდეგ — შენ. მთელი კვირა ვევედრებოდით ჟანდარმერიის მოხელეებს, ძლივს მოვქრთამეთ, რომ თქვენი საფლავები მოესწავლებინათ. გვეშინოდა, ნადირმა, ჭია-ღუამ არ დააზიანოთ, კუბოები მაინც ვაღირსოთ-თქო. ღმერთო!.. — ქალი ატირდა.

„ვამცნო, რაც იქ მითხრეს? ღირს?!" — გაიფიქრა ვენგარამ და იგრძნო, რომ გული აუჩქროლდა, კვლავ გრძნობებით აევსო.

ირაკლიმ ხელი გაუწოდა, წამოაყენა მეგობარი და ერთმანეთს გადაეხვივნენ.

— რომ დავეტოვებინეთ საიქიოში?

— ერთად ვიქნებოდით... არ უნდა მიგეტოვებინა ჩვენი მხარე, ვენგარა, მართალი იყო ხევისბერი.

— ჰო, მართალი ყოფილა.

— წავედით ნატრულეთში?

— წავედით. სჯობს, იქიდან ვუყუროთ სამყაროს.

ის იყო გზას გაუდგნენ, შორიახლოდან ძახილი მოისმა:

— მოყმევ, მცირე ხნით ჩემთანაც შეყოვნდი! — ბორცვზე ცრემლისფერი მხედარი იდგა.

— აქ დამელოდეთ! — ახლობლებს უთხრა ვენგარამ და სიკეთის მეუფისკენ გაეჩქარა.

— ვენგარა! — ისეთი ხმა აღმოხდა იასამას, ივედრებოდა, შენს გადაკარგვას კვლავ ვეღარ გავუძლებო.

— დავბრუნდები! — მტკიცედ თქვა კაცმა, მიუახლოვდა და მიესალმა მხედარს.

— დაამთავრე ომები?

— სიკეთის მეუფევ, ეს შესაძლებელია?

— შესაძლებელია, თუ კვლავ არ დაივიწყებთ მთავარ მცენებებს, რომელიც ძველმა ხალხებმა თავიანთი სულების საწნახელში გამოწურეს, დააღვინეს და მსოფლიოს გაუზიარეს.

— ათ მცნებას გულისხმობ?

— არა მხოლოდ, არამედ იმ სამსაც, რომელიც ათასწლეულების წინ რატომღაც ამოიღეს რჯულიდან.

— ეგ რომელია?

— დაიმახსოვრე: პირველი — „არ დაანგრიო"; მორე — „არ დაემუქრო"; მესამე — „ნუ იხმაურებ"; თვით წმინდანები და მოციქულები მოისუსტებენ ამაში, თუმცა ერთ, ძველ ეგვიპტელს კი შეეძლო, რომელიც სიკვდილის ორმოცი დემონის წინაშე წარსდგა და ორმოცჯერ გამართლდა.

— ნეტავ, ასეთი ადამიანები კვლავ არსებობენ?

— გააღეთ გონების თვალი, მიაპყარით გულისყური, შეიცნეთ სულით. ყოველი საუკუნე ბადებს თითო-ოროლა დიად სალოსსა და დარვიშს, რომლებიც დღენიადაგ თანამოძმეთათვის იღვწიან, ლოცულობენ, თქვენს თვალწინ ჰაერში ვლიან და სამარიდანაც კურნავენ სნეულთ. ბოლოს და ბოლოს ისწავლეთ ღვარძლის და ხორბლის გარჩევა ცთუნებათა ქვე-ყანაში.

— თუ შევიძლებთ?!

— უნდა შეიძლოთ, თორემ კვლავ ათასწლეულებით გაგეყინებათ სულები, მიუხედავად იმისა, რომ ტექნიკურად საკმაოდ წინ მიიწევთ.

— მაშ, ეს სამი მცნებაც გულს დავიჭდიოთ?

— და კიდევ ერთი, რომელსაც ხშირად წარმოსთქვამთ, მაგრამ იშვიათად ასრულებთ — „ერთობა!" გახსოვდეთ, სამყარო ერთია, დიადი ერთი — ყველა ერთმანეთისთვის პასუხს აგებთ! ახლა კი მშვიდობით. — ცრემლისფერი მხედარი თითქოს ნისლის ბილიკს გაჰყვა მზისკენ და გაუჩინარდა.

ვენგარა ახლობლებთან დაბრუნდა და ყოველივე უამბო.

— ვბრუნდებით ნატრულეთში? — ამჯერად შვილმა ჰკითხა მამას.

— ვბრუნდებით, ოღონდ არა იმისთვის, რომ მხოლოდ ვუმზიროთ იქიდან სამყაროს, შვილო.

1977-2008

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნასყიდ ჩოხელი

***

გოგოვ...
ისეთი გაქვს რხევა,
სამოსის მსურს
შემოხევა,
ტუჩები გაქვს
ისე სავსე,
მწიფე მტევანს
მიგამსგავსე.
ისეთი გაქვს
მზერა ჩვილი,
ალბათ, ჩემგან
გინდა შვილი,
ნეტავ რად არ
შემხვდი დღემდე,
მხოლოდ ერთი
ღამე მენდე,
გოგოოვ...
ისეთი გაქვს რხევა,
სამოსის მსურს
შემოხევა.

***

დილაა, ქუჩას მივაპობ,
ვგრძნობ, სისხლით როგორ ვიცლები,
ღამით ბოჰემას მივენდე,
დილას ბოჰემად ვითვლები.
ღამით ვარდებთან მეძინა,
დილას ვაჩუქე იები,
სურვილიც არ მაქვს და არც ვარ
ამ ღამის მომნანიები.
ჩემი ბედი და იღბალი,
დილის მზის სხივზე ჰკიდია,
ის ღამე ცოდვებს ვუძღვენი,
სული არ გამიყიდია.
დილის ჰაერი ფილტვებში
ქარია, როგორც კრისტალი,
ბარში შევდივარ მოღლილი,
თვალებს იფშვნეტავს მიმტანი.
ვუკვეთავ მძიმე ალკოჰოლს,
არ მენდობიან ღანვები,
წავალ და... როგორც კუბოში,
ბალახზე ისე დავწვები.

მონმარტრი

მონმარტრისაკენ გველიან გზები
და კურტიზანის სამოსიც გაცვდა,
ალვების რიგებს მიჰყვება სევდა
და შორეული დღეების განცდა,
უკვე მოლოდინს გასცდა ლოდინი,
ლოდინისათვის ვარ უკვე თორე,
მაშინდელივით მახსოვს სიტყვები:
მემენტო მორი,
მემენტო მორი.

***

შუაღამის მთვარე, როგორც წანალი,
ზემოთ მიშვებს, ქვემოთ არ ვემეტები,
თვალებსა და ხელებს შუა გამირბის
ნამეტნები ქალნი განა მეტები,
ნამეტანის წატანებამ წარსულში,
წამატანა წარუშლელი სენია,
ამ ძარღვებში შენი სისხლი კი არა,
მელანი და ღვინო გამომერია,
შუაღამის მთვარე, როგორც წანალი
რა ქალური, რა ბოჰემა ტანია,
კურტიზანი განა სხვა არ ყოფილა,
მაგრამ შენი გრძნობა ნამეტანია,
შენი მელნით ლექსი დამიწერია
და ტაეპზე დამქცევია ტაეპი,
შენ ამ ლექსში განა ისეთს რას ხედავ,
როგორც მთვარე სტროფში ისე გაები.

***

გაცვეთილ თვალებს ირგვლივ
მხოლოდ შენ ამჩნევ
და იცი მეტი ჩემს შესახებ,
ვიდრე ფილტვებმა,
ჩემგან დამწვარ სიგარეტის

ეროვნული ბიბლიოთეკა

კვამლის შესახებ.
გიღალატებდი სველ
ჰაერივით, მთის ჰაერივით
მსუყე კოცნასთან...
ნისლში დაკარგულ
ბავშვებს ჰგვანან მეტაფორები.
ბოჰემასთან შენს თანდასწრებით
გიღალატებდი
თუნდაც დღესვე,
თუნდაც ახლავე...
გარდაიცვალნენ ქუჩის
ძველი მემუარები,
ნარის ჭიები მჭამენ ისე,
ვით სიკვდილმისჯილს...
შენი თვალებით
მე მსოფლიოს
დანახვას შევძლებ,
შენ კი ვერასდროს
მიღალატებ
ჩემი
თვალებით.

***

ქალაქის შუა,
ჩემი ოცნების საძირკველზე
დგანან სახლები.
ერთ - ერთ სარკმელში
ბუუტავს რაღაც...
სვეტი სინათლის
სტრიქონებად და ოცნებებად
იღვენთება თეთრ მკლავებიდან.
შენი სურვილით ჟინმორეული
შეექცევა ყავას ოსტატი,
მარგარიტები სვამენ ჩიას,
თანაც უშაქროს,
მეტი სიმძაფრის და
სიახლოვისთვის
ალბათ აზიასთან,
აზიელია მარგარიტა.
სიმბოლიზმი, სიმბოლიზმი
და სიმბოლიზმი...
ისევ ასდის დამწვარ ლექსების
კვამლის სუნი
ჩემს ერთ-ერთ პიჯაკს,
შენ და მთვარე სარკმლიდან
მიმზერთ.
გეუბნებიან სიტყვებს გარითმულს...
ანდერსენი,
მაგრიტი,
დანტე
აღარ გახსოვს და
ღამის ქვაფენილს დაენარცხო,
დაასხა შენი
უჯრედები ნიჭიერ ტვინის,
გაბრუებულხარ ისე მარგარიტა,
არა ბოდლერის,
არა რემბოს,
არა რილკეს,
არამედ შენი და
მსგავსი იმის, რაც შენში
მუდამ ბორგავდა,
სიტყვებს შორის გამხელილი
სიმბოლიზმის მსგავსი თვალებით.
წამიკითხე და გადამწერე.
სიმბოლიზმი, სიმბოლიზმი და
სიმბოლიზმი.
შენ შენს სიკვდილზე
დადე ფსონი —
შენი ლექსები.
სამასი წლის შემდეგ
კურტიზანთან მომისწრებს წვიმა...
ეს დეჟავუა?
თუ მონმარტრი გამახსენდა
შენ დანახვაზე,
ასოცდაშვიდი წლისა მოგწერ:
სიმბოლიზმი, სიმბოლიზმი და
სიმბოლიზმი...
ყავას უსხედან ორნი
და ფინჯნებს შორის
სიმბოლიზმია.

უკვე დროა

ზეცა იყო გაწეწილი,
ისე, კახპა ქალი როა,
დარდმა თავი რომ მოიკლას —
უკვე დროა, უკვე დროა...
კალამს დავახიო კაბა,
სადაც გამხმარ ფოთოლთ ბრბოა,
აპათეა დაიმარხოს —
უკვე დროა, უკვე დროა...
დაიმარხოს ბრმა წარსული
და ის, რაც უიმედოა,
ჩემი ხასა გახდეს მთვარე,
უკვე დროა, უკვე დროა.
გაითელოს სარეცელი
ეს ღამეც რა უბედოა,
ნაქარალი ნაღვინართან —
დაიწუროს უკვე დროა.
ზეცა იყო გაწეწილი
ისე, კახპა ქალი როა,
დარდმა თავი რომ მოიკლას
უკვე დროა, უკვე დროა.

***

შენი ფერი თვალების —
დღეა ფერიცვალების.

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

გუგული ლოგინიძე

ᲙᲝᲚᲮᲘ ᲑᲝᲑᲝᲜᲐ

კოლხეთს ბერძნები შემოესივნენ. მოსახლეობამ ფაზისი დატოვა და მთაზე აღმართულ ციხე-სიმაგრეში შეიხიზნა. მტერი დროდადრო ციხეს მიადგებოდა და მის კედლებს ოთხთვლიანი მანქანებით უზარმაზარ ქვებს უშენდა. ციხის კედლები იბზარებოდა, შეხიზნულები დანგრეულ კედელს ისევ ამაგრებდნენ, ერთმანეთს ამხნევებდნენ, მტერს არ ეპუებოდნენ. მოალყეები იძულებული ხდებოდნენ უკან, ბანაკისაკენ დაეხიათ.

ღამით ქონგურებიანი კოშკიდან სევდით სავსე კოლხური სიმღერები მოისმოდა. ქარი ანაკუწებდა ჰანგებს, ფხრეწდა და აქეთ-იქით ფანტავდა, გამეფებული პირქუში მდუმარება ქედს იხრიდა. ნაომარი და ნარბევი ციხე იდუმალების შარავანდედით იმოსებოდა.

გალავნის შიგნით, ეზოში, ბრძოლით მოქანცული, დაღვრემილი კოლხი მეომრები აჩრდილებივით მიმოდიოდნენ. სქელი სელის პერანგები მუხლებამდე სწვდებოდათ. ტყავის მრავალი ფენით შემოსილი ფარები მკერდზე მიეკრათ, ფოლადისპირიანი შუბები ხელში მაგრად ჩაებღუჯათ, თავზეც ფოლადის მუზარადები ეხურათ.

ციხის პატარა სალოცავში დაჭრილთა კვნესა ისმოდა, ბავშვების წამოტირება და ქალების ჩუმი, მავედრებელი ლოცვა.

ერთი თვე ინურებოდა, რაც მტრის ლაშქრით იყო გარშემორტყმული ციხე-სიმაგრე. შეხიზნულებს სურსათი შემოელიათ, შიმშილით გასავათებულებს ხმის ამოღების თავი აღარ ჰქონდათ. შიდაციხის სურსათის სენაკში პურის ერთი მოზრდილი კიდობანიღა დარჩენილიყო. ბავშვებსა და დაჭრილებს უზოგავდნენ, მაგრამ კიდობანი თვალსა და ხელს შუა ცარიელდებოდა. შეფიქრიანდნენ კაცები, ნაღველი გაუდიდდათ. ქალებს ბალღებზე დარდით გული გახეთქვაზე ჰქონდათ. უჭირდათ, ითმენდნენ. იცოდნენ, თავისუფლების დაკარგვა სიკვდილსა და ტყვეობას რომ ნიშნავდა. ამის გაფიქრება თავზარს სცემდათ. რწმენა ასულდგმულებდათ, გარეთ დარჩენილების, მეზობელ თემში გახიზნული თავისიანების იმედიღა ჰქონდათ. გაუსაძლისი და სულის შემძვრელი იყო ეს ლოდინი. შიშითა და იმედით ელოდნენ იდუმალებით მოცული ყოველი დღის გათენებას. ბავშვები თვინიერი თვალებით შესცქეროდნენ შეშფოთებულ მშობლებს.

ერთგან, კუთხეში, მოხუც კაცს ბრინჯაოს კერპის წინ მუხლი მოეყარა და შეხიზნულების გადარჩენას ევედრებოდა. იქვე, ჩალაბულაში ჩამჯდარ, მუხლგადაყვლეფილ ბიჭს შიმშილით გასავათებული დედაბრის მკერდზე თავი მიედო და ვერ გაიგებდი, ეძინა თუ თვლემდა. ერთხანს ასე იყო, მერე წამოიწია და წაიჩურჩულა:

— ბებო, მშია.

დედაბერს გული შეეკუმშა, ენა ვერ დაძრა, თითქოს გაქვავდა. ბიჭი მიხვდა, რომ ნამცეცსაც ვერ მისცემდნენ და ჩაჩუმდა. იქვე მდგარ დოქს ხელი წაატანა და წყალი მოსვა. ის-ის იყო, ძირს უნდა დაედგა, რომ ხელი გაუშეშდა, მისგან ოდნავ მოშორებით, ასე 14-15 წლის ნარნარათავსაბურავიან გოგონას მოჰკრა თვალი. კაბის გადაკეცილი კალთიდან მალულად, ხელისგულისოდენა ხმიადის ნატეხი ამოიღო და პირთან მიიტანა. ბიჭს თვალები გაუფართოვდა. შიმშილისაგან მოთმინებადაკარგულმა წამოიძახა: — მეტი აღარ გაქვს?..

გოგონა გაწითლდა, ლუკმა ყელში გაეჩხირა. ცარიელი მუჭი ძირს დაუშვა. სახეზე უსაზღვრო მწუხარება დაეტყო. ბიჭის მზერას გაექცა, გვერდზე გაიხედა. ბიჭი ყველაფერს მიხვდა. გულდამძიმებულს ურჟოლვის მომგვრელი სიმღერა შემოსმა და თავი მუხლზე ჩამოდო. ციხის ქონგურებთან მდგარი მეციხოვნენი მღეროდნენ, დაირღვა ჩამოწოლილი, გამთანგველი სიჩუმე.

დიდი მწუხარება სიმღერას ბადებსო, — ბაგიდან-ბაგეზე გადაინაცვლა სევდის და იმედის ჰიმნმა. სიმღერა მონავარდე ფრინველივით ცა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ში აიჭრა, ციხეს გარშემოუარა. მარტო ყურს კი არა, გულებსაც მისწვდა. ეს სიმღერა მარადიული ლოცვაც იყო, სიცოცხლის საგალობელიც. ამღერა შეხიზნულების გმირული სულიც და დაუჯერებლის დაჯერების სურვილი ალივით მოედო ყველას, იმედის ცეცხლი შემოენთოთ ხვალინდელის შიშით გათანგულებს.

ეზოში თივა-ჩალაზე მიწოლილი ქალები წამოიშალნენ, მთვარის შუქზე მორიალე კაცებს შეაჩერდნენ. დაჭრილები მოჰყავდათ. ეზოში ყველანი ერთად დააწვინეს. მერე ხელი-ხელს ჩაჰკიდეს, მათ გარშემო წრე შეკრეს და ფერხული წამოიწყეს. გაიხსენეს მამა-პაპისგან ნასწავლი: ...რომ წრეს მზის ენერგია აქვს, დაჭრილებს თუ ამ წრეში მოათავსებ და მათ გარშემო ფერხულს სიმღერით დაუვლი, მაგიურ წრეში მყოფთ ჭრილობა ადვილად შეუხორცდებათ. წრე, არამც და არამც, არ უნდა დაირღვეს. წრიული ცეკვები ენერგიის მატარებელია, თითოეული მოძრაობა რაღაცის მთქმელია. დაჭრილებს, მზისა და მთვარის ენერგიას, თავიანთ ძალას ცეკვითა და სიმღერით გადასცემდნენ, და ეს ძლიერ სწამდათ დაჭრილებსაც და მოცეკვავეებსაც, ამიტომ ვერ ერეოდათ ვერავითარი მწუხარება და ტკივილი. სიმღერით დასცინოდნენ ბედსაც და უბედობასაც. წინაპრების ცოდნის გახსენებით ცრემლი, აღტაცება, გაკვირვება და უდიდესი სიამაყის გრძნობა ეუფლებოდათ.

სხვა ბევრი რამეც იცოდნენ კოლხებმა...

დაჭრილს თუ ავადმყოფს ჭარმაგი ალვის ხის ძირში დააწვენდნენ, ან დასვამდნენ. გამოცდილებით იცოდნენ, სხეულიდან ჩირქს სწოვსო ალვა, მერე მუხის ხესთან გადაიყვანდნენ, მზის ენერგია აქვსო მუხას, ავადმყოფს ძალას ჰმატებსო.

...დაჭრილების გარშემო, სიმღერით ფერხულს უვლიდნენ მამაკაცები. კაცსა თუ ქალს, დიდსა თუ პატარას ძარღვებში მეამბოხე სისხლმა დაუარათ, წელში გაიმართნენ. სევდაშემოწოლილებს შუბლი გაეხსნათ, სახეზე ათინათმა გადაურბინათ და გულში იმედი აუციმციმდათ.

ნარნარათავსაბურიანი გოგონა ერთხანს ღიღინით აჰყვა სიმღერას, მერე მამისკენ გაუწია გულმა. მთვარის შუქზე ადვილად მონახა — ზემოთ, სათვალთვალო კოშკთან იდგა, ახოვანი, ოქროს მუზარადიანი, ტანთ სელის ქსოვილის ტუნიკა, მოკლე, უსახელო, სამოსი ეცვა, მკერდთან ფერადი ძაფით ამოქარგული ბორჯღალით, ციხისთავს ესაუბრებოდა. გოგონამ ნაბიჯი შეანელა.

— დილით იერიშზე გადმოვლენ, — მოესმა მამის ხმა, — ხომ იცი, ოდითგანვე წესად გვაქვს, ზღვაში ჩაძირულ ხომალდს თავდაღწეულ უცხოელს ვშველით. თუ მოისურვა, ვეხმარებით და სამშობლოში ვაბრუნებთ. მტერს კი... შეღამებისას, დაღლილ-დაქანცული, სასთუმალზე მივწექი, რა დამაძინებდა. დარდმა და ფიქრმა წამიღო, მამაჩემის მონათხრობი გამახსენდა... კოლხებმა შქერის მათრობელა თაფლით ზღვით მოსული მტერი რომ დაამარცხეს. ამ თაფლის უზომოდ ჭამა ადამიანს გონს უკარგავს. მაშინ, მდინარე ფაზისზე ბევრი ხიდი ყოფილა გადებული. ყოველი ხიდის გვერდით, მდინარის პირას მგზავრთა მოსასვენებელი, ავდრისგან თავდასაცავი ჯარგვალები იყო... რომ შეიტყვეს, მტერი მოდისო, ჯარგვალებში დოქებით შქერის თაფლი დატოვეს. მოსულებმა გასინჯეს თაფლი, მოეწონათ... დათვრნენ და უბრძოლველად დამარცხდნენ... ეს თაფლი ჩვენცა გვაქვს, ჩემი მოსასვენებლის გვერდით სენაკშია, დოქებით დგას, მაგრამ რა, რომ ვერ ვიყენებთ?..

გოგონამ მამასთან მისვლა დააპირა, მაგრამ კაბაზე ხელის შეხება იგრძნო და შემოტრიალდა. ჩალაზე რომ იჯდა, ის პატარა ბიჭი იყო. გაუბედავად შემოსცქეროდა.

— ხმიადი აღარ გაქვს? — ამოღერღა. გოგონას თითქოს გულში სატევარი გაუყარესო, გახევდა. მოაგონდა, როგორ მალულად გადაყლაპა ძლივსძლივობით გადანახული პაწაწა ნატეხი. შეებრალა თავიც და პატარა ბიჭიც. სახეზე ცეცხლი მოედო, ენა ვერ დაძრა, ახლა ის ლუკმა თითქოს ყელს მოადგა და ახრჩობდა. უარის ნიშნად ხელები გაასავსავა. ბიჭმა თავი ჩაჰკიდა და უკან გაბრუნდა. გოგონამ მისკენ გაიწია, მაგრამ ფეხი რაღაცას წამოჰკრა, რომ არ წაქცეულიყო, კედელს მიეყრდნო. მერე იქვე ძელსკამზე ჩამოჯდა და მწარედ ჩაფიქრდა. თავში მამის სიტყვები აუწრიალდა: „...დილით იერიშზე გადმოვლენ... გავუძლებთ კი? თუ ვერა, დაგვხოცავენ, ან ტყვედ წაგვასხამენ...“ — ტყვეობა ცეცხლივით საშიში იყო, სიკვდილზე უარესი... — „მათრობელა თოფლიო?.. ახლა ვერ გამოიყენეს. ნეტავ ანი არ შეიძლება?.. არა, რანაირად... რაღა თქმა უნდა...“

„შქერის თაფლი... შქერის თაფლი...“ — ეს სიტყვები თითქოს ენის წვერზე ეკიდა და არ ასვენებდა, ფიქრობდა. მერე ერთბაშად გონებაში ელვასავით გაკვესა რაღაც მოსაზრებამ: — „მე, მე რომ წავიღო?!. როგორ?.. რანაირად?..“ — და ისევ ფიქრი მოეძალა. „რომ დამატყვევონ?.. ტყვეობა!..“ გულში საშინელი სასონარკვეთა და უიმედობა ერთმანეთს ენაცვლებოდა. ათასჯერ დაიპყრო გონებამ გული. ბოლოს გულმა აჯობა. ადგა, მამის მოსასვენებლის გვერდით სენაკისკენ ჩუმადა გაემართა. სენაკის კარი ფეხაკრეფით შეაღო, დოქი მონახა, ხელი დაავლო და უჩუმრადვე გამოვიდა. ეზო ლანდივით გაიარა, დასავლეთისაკენ გაეშურა. გალავანთან ძეძვით დაფარული გვირაბი ეგულებოდა... ეკლიანი ტოტები რის ვაი-ვაგლახით მისწი-მოსწია და გვირაბში შეაბიჯა. დაღმართს ფრთხილად, ხელისცეცებით მიუყვებოდა. არ გამიტყდესო, დოქს უფრთხილდებოდა. როგორც იქნა, გვირაბის ბოლოს მიაღწია და გარეთ, ველზე გავიდა.

აქ კი, შეჩქვიფდა. შიშით მიმოიხედა, გულმა ბა-გა-ბუგი დაუწყო, ირგვლივ ჩამიჩუმი არ ისმოდა. „ღამე დამიფარავს“-ო, — გაიფიქრა და ოდნავ დამშვიდდა. ფიქრის დრო აღარ იყო, წინ უნდა ევლო. ნაბიჯი გადადგა, ფეხი ქვას წამოჰკრა, ფეხსამოსის ხის ძირების ხმაური გაისმა. უჩუმრად რომ ევლო, გაიძრო და გზას ფეხშიშველი გაუყვა. ქვაღორღიან გზაზე ფეხისგულები დაესერა, ნაფეხურებზე ტერფებიდან გამონაჟონი სისხლი წვეთავდა. სისხლის წვეთებზე წითელი ყვავილები ამოდიოდნენ (ამ ყვავილებს ხალხი დღესაც თავსისხლას ეძახის). სიბნელეში ყვავილებს ვერ ხედავდა გოგონა. ტკივილი გულს უსერავდა. დროდადრო ჩერდებოდა, მტკივან ფეხებზე ხელს ისვამდა. დოქიც აღარ ემორჩილებოდა. საოცარი იყო... როგორც კი უიმედობა გულს შემოასკდებოდა და ხელისჩასაქნევად გაემზადებოდა, თვალწინ ციხე-კოშკში შეხიზნულები დაუდგებოდნენ. მათი აჩრდილები მასთან მოდიოდნენ, ხელს ჰკიდებდნენ, გზაზე აყენებდნენ და შველოდნენ.

— „ესეც ბექობი!“ — გაიხარა, — „გზაში შემოწოლილ, მტანჯველ ფიქრებს თავს დავაღწევ, ამ ბექობს ჩავივლი და მტრის ბანაკსაც მივადგები“-ო, — გაიფიქრა თუ არა, ფაჩუნი შემოესმა. დაფრთხა, ბუჩქებში შეიმალა. გაილურსა, შიშისმომგვრელმა მარტოობამ მოიცვა. კარგა ხანს იყო მიმალული, მერე სამალავიდან ნელა გამოძვრა, ის იყო, თავქვე უნდა დაშვებულიყო, მხარზე ხელის შესაბა იგრძნო და შეკრთა. მიიხედა, მის წინ უცხოდ ჩაცმული მამაკაცი იდგა. „ზღვიდან მოსული?!“ — შიშმა გათანგა. უცხოც მიხვდა, ხელთ ტყვე რომ იგდო: გახარებულს ისღა უკვირდა, მარტოდმარტო აქ რამ მოიყვანა, აქ როგორ გაჩნდაო. გონზე მოსვლა არ აცალა, დოქი ჩამოართვა, გულშეღონებული ზეაიტაცა, მხარ-მკერდზე მიისვენა და მძიმე ნაბიჯით ბანაკისაკენ წავიდა.

კარავში ბრწყინვალე სამოსელში გამოწყობილი მხედართმთავრის ფერხთაქვეშ გაშლილ ხალიჩაზე დააწვინა: — გორაკთან ვნახე, მარტო იყო! — მოკლედ თქვა და უკან გადგა.

გონზე მოსული გოგონა ხალიჩიდან ზეწამოიჭრა. დამფრთხალი ნუკრივით შეშფოთებულმა მიმოიხედა. ველის ყვავილივით თრთოდა.

მხედართმთავარი მონუსხულივით მიაშტერდა ახლად აკოკრილ ნორჩ ასულს. მისი სილამაზით ისე მოიხიბლა, ენა ველარ დასძრა. მხოლოდ გაიფიქრა: „ბრძენთაგან გაგონილი მქონდა, კოლხები მზის ღმერთის, ჰელიოსის შთამომავალნი არიან, — მზესავით მწველ სხივებს აფრქვევენო მათი თვალები. მართალი ყოფილა. საიდან მოვიდა, ან საით მიდიოდა, აქ საიდან გაჩნდა?! — აუწრიალდნენ ფიქრები, — სამოსზე ეტყობა, დიდგვაროვანია. თუმცა, აქაური მდაბიონიც ჩინებულად იცვამენო. ჩვენში ამათ სამშობლოს სიმდიდრით განთქმულ, ოქრომრავალ ქვეყნად მოიხსენიებენ, ამისთვის გადმოვლახეთ ზღვა. ქალაქ ფაზისს რომ მოვადექით, გაკვირვებამ შეგვიპყრო. მდინარის შესართავთან, მის მარცხენა მხარეს საოცრება ვიხილეთ: ღმერთქალის, დიდი დედა ნანას ოქროს ქანდაკება, რომელიც ჩვენს ქალღმერთს რეას ჩამოჰგავს... მის გვერდით დავბანაკდით, ჯერ-ჯერობით მისთვის ხელი არ გვიხლია. ოქროს ტახტზე, რიდეჩამოშვებული, ნელგამართული ზის, გალაღებული თავისუფლებით და გარს შემოჯარული ამაყი მთებით. ხელთ სიმებიანი საკრავი, წინწილა უჭირავს. ტახტის წინ, მის ფეხქვეშ ოქროს ლომები წვანან...“ — ფიქრში ჩაძირული სარდალი კვნესამ გამოაფხიზლა, გოგონა იყო. ზეზე მდგარს მტკივანი ფეხებისთვის ველარ გაეძლო და ხალიჩაზე ჩაკეცილიყო. სისხლით დაცვარულ ფეხს ხელმანდილით იწმენდდა. სარდალმა სიბრალული იგრძნო, მაგრამ ეს ტყვეს მიმართ დათმობას სულაც არ ნიშნავდა: „ის შენიანი არ არის, დასაპყრობად მოხვედი!“ — ჩასძახა ვიღაცამ მზაკვრულად. მეორე ხმა კი სხვას ეუბნებოდა: „რანაირად შეიძლება ასეთმა ნორჩმა, ნაზმა და თვალწარმტაცმა ასულმა ვინმეს ზიანი მიაყენოს?!“

სარდალმა ფიქრებს თავი დააღწია და გოგონას ჰკითხა: „ვინა ხარ, საიდან მოდიხარ, ან სად მიდიოდი?!“

ჩვენს ენაზე ლაპარაკობსო, გული გაიმხნევა ტყვემ, გონს მოუხმო და წინასწარ მოფიქრებული ნააზრევი ამოსიტყვა:

— დოქში ტკბილი სასმელია, ყოველთვის, წელიწადის ამ დროს ჩვენს ხალხს შესაწირად მოაქვს ქალღმერთთან, დიდ დედა ნანასთან.

ტკბილი სასმელი ყოფილაო და მხედრები დოქს წაეტანენ. შესვეს, მოეწონათ, მხედართმთავარსაც მიართვეს ფიალით.

სასწაული ხდებოდა, დოქი არა და არ იცლებოდა, სასმელი სწრაფად ეკიდებოდათ, მალე გონმიხდილი და ძალაგამოცლილი ზოგი სად მიწვა და ზოგი სად.

გოგონა კარვიდან გამოიჭრა. ტკივილს ველარ გრძნობდა. დიდ ნანასთან, ქალღმერთთან მიიჭრა, მის წინ მუხლებზე დაემხო, შველას შესთხოვდა, მერე თრთოლვით წამოდგა, მიეახლა, შიშითა და რიდით საკრავის სიმებს ხელი შეახო და ააჟღერა... უცებ, იჭექა, იელვა, თითქოს ზეცაში ცეცხლი დაანთესო. მერე ირგვლივ ყველაფერს თვალისმომჭრელი ნათელი მოეფინა.

ძლიერმა ნათებამ ციხე-სიმაგრეში შეხიზნულების ყურადღება მიიჰყრო. „ზეცა რაღაცას გვანიშნებს“-ო, — გაიფიქრეს და ყველანი წამოიშალნენ, მათ ყურთასმენას მხიარული ჰანგი მისწვდა. ქვემოდან, მდინარის შესართავიდან მოისმოდა. ყველაზე მეტად ოქროსმუზარადიანი აფორიაქდა. სიმღერის ჰანგი მისი შეთხზული იყო. მხოლოდ თავისი გოგონასათვის მოესწრო მისი სწავლება. ბრძანა, ჩემი ასული მომგვარეთო. ვერსად მიაგნეს.

„მოიტაცეს?!. მაგრამ ციხე-სიმაგრიდან ასე

ეროვნული ბიბლიოთეკა

უჩუმრად?“ — გულს შემზარავი ფიქრი შემოასკდა. — „ჩემი გოგონა იქ როგორ გაჩნდა?“

ხელი-ხელს შემოჰკრა, თავისი მხედრებიდან ყველაზე მამაცნი იხმო და ბრძანა: — შეიტყვეთ, რა ხდება ქვემოთ. ფხიზლად იარეთ, როგორც კი რამეს გაიგებთ, მანიშნეთ და თქვენთან გავჩნდები! — წუთი საუკუნედ ეჩვენებოდა. როგორც კი სანიშნო კოცონი შენიშნა, მხედრებით გალავანს გარეთ გავიდა. სამალავში დაბმულ ცხენებს მოახტნენ და ქვემოთ დაეშვნენ. იქ უცნაური სურათი გადაეშალათ: ბერძნების მთელ მხედრობას ღრმა ძილით ეძინა. ოქროს მუზარადიანმა შვილი უვნებელი რომ დაინახა, გაიხარა, ჩამოქვეითდა, გულში ჩაიკრა და თრთოლვით ჰკითხა: — „რა მოხდა, შვილო?!“

გოგონამ მამას გაუბედავად შეხედა და ყველაფერი კრძალვით მოუყვა. მისმა მონათხრობმა კოლხები გააოგნა. ასეთ საფრთხეში თავი როგორ ჩაიგდეო, უსაყვედურა მამამ, თუმცა ეს საყვედური უფრო სიყვარულით იყო გაჯერებული. აოცებდა შვილის საქციელი, უკვირდა და თან მისი სულის სიძლიერის გამო გული სიამაყით ევსებოდა, ენაჩავარდნილი იდგა, ვერ გაეგო, ყველაფერი ეს სიზმარი იყო თუ ცხადი.

— მამი, — შვილის ხმა ჩაესმა გაოგნებულს, — ნუ დახოცავ, რა, ბერძნებს, გთხოვ... აქედან გააძევე და სიცოცხლე აჩუქე. სიკვდილი ცუდია. შენგან არაერთხელ გამიგია, არსებობს ღირსეული დამარცხება და უღირსი გამარჯვებაო. მე ისინი მომენდნენ და ამ ნდობის გამო დამარცხდნენ. და თუ ახლა მათ დავსჯით, ეს უღირსი გამარჯვება იქნება.

მამა ერთხელ კიდევ გააოცა შვილმა. ჩაფიქრდა. მერე შუბლი გახსნა და შვილს უთხრა: „გაუგონარი მამაცობისათვის ჯილდო გეკუთვნის, იყოს ნება შენი“. და ბრძანა:

— თუ ყველაფერი არაჩვეულებრივი ჩვენში, ადამიანებში აღტაცებას იწვევს, მაშ, რატომ უნდა ვიყოთ გულგრილები ქველობის, სიკეთის მიმართ? ვიყოთ შემწყნარებლები!

დაამთავრა თუ არა სათქმელი, მოულოდნელად იჭექა, იელვა და განათდა ცარგვალი. უცნაურმა ნათებამ იქაურობას გადაუარა.

ზეცა გალობდა, სიკვდილზე სიცოცხლის გამარჯვებას ზეიმობდა. ნარნარათავსაბურიანის ნაფეხურებზე ამოსულ თავსისხლა ყვავილებს ცრემლი ჩამოუგორდათ.

თავისიანებმა გოგონას ფეხები განბანეს და ამირანის სისხლის წვეთებზე ამოსული ყვავილის — სისხლაბალახას მალამო დაადეს.

ვერიკო ჩამბისაძე

მამის პროფილი

ეს მთები ახლა ისე დამცქერის,
მკაცრია, როგორც მამის იერი,
ახლა ვიგრძენი, რომ ვარ ქართველი
და ქართველობით ვარ ბედნიერი.
იქნებ აქამდე ბევრს უკვე უთქვამს,
რომ მამის სისხლში მოჰქუხს არაგვი,
მამაჩემია ქარიშხლის სუნთქვა,
ახლა ლექსად რომ მალაპარაკებს.
მამა მაგონებს არწივს დაკოდილს,
რომ ამოგლიჯეს ნაჭრებად მიწა,
უმთელდებოდა უმალ ნაკორტნი,
როცა კრწანისში გულივით იწვა.
მამა მიცქერის მთვარის პროფილით
და საქართველოს მთები აქვს მხრებად.
ასე ძლიერი ჯერ არ ვყოფილვარ,
რადგან მამა-მზე არც მაშინ კვდება,
როცა იუდა მის სუნთქვას გასცემს,
მკერდზე იურჟოლებს ველები ქართლის,
მე კი მოვძებნი მას ნამცეც-ნამცეც,
უკვე ზეციურ ფიქრებად დაშლილს.
ჩამოქანდება ზვავივით მერე,
ამონაოხრი მამა-მთებიდან,
მრავალჟამიერს ამოიმღერებს,
ჟამიერ მრავლად მზე რომ ეზიდა.
დღეს კართან ღამე აღარ მელოდა
და შეშლილივით ავტირდი ლამის,
ეს მამაჩემი — საქართველოა,
საქართველოა ფიქრები მამის!

დაგადება

მე ვიბადები ყოველდღე ისე,
თითქოს მზე იშვა ახლა ჩემიდან
და ძარღვებს წლების სიმაჭრით ვივსებ,
ახლა სიკვდილიც აღარ მშველის და
მივდივარ, მზეში უნდა განვფინო
სხეული ჩემი სავსე ნაყოფით,
ზღვა შვენის უბით ცაზე საფირონს,
მე კი სამყაროს უკვე არ ვყოფნი.
დავმძიმდი, მთაზე ნერვებდამსკდარი
ჰაერი ფილტვებს ისე ასველებს,
ახლა სივრცეა მთელი ზამთარი,
ახლა მზე ჩემში გადმოვასვენე.
და ვიბადები ყოველდღე ისე,
მწიფე სიცოცხლით ფეხნამძიმები,
კვლავ დედამიწით სხეულს ავივსებ,
მერე ჩამოვცლი წლებს სამძიმრებით.
და ახლა უკვე არდაბადებით
მე მიწით სავსე მზემ მიმიბარა,
ვარ მთების სუნთქვა... თან გადამდები,
აბოლებული ნისლში სიგარად.

დედას

ამეკვიატა ფრაზა ერთი და
ვიწყებ ბორიალს ოცნებებს შორის.
მე შენ მეძღვენი, დედი, ღმერთიდან,
რატომ დაგარქვეს ნეტავი ცოლი?!
შენამდე ფიქრად დიდხანს ვიარე —
შეგესისხლხორცე სხეულად ვიდრე,
შენ მერე ლექსად მიმშობიარე,
მე კი ტკივილი ჩამოგირითმე.
ახლა სტრიქონებს შენს სუნთქვად ვამხელ,
რომ ამოოხრავს მერე ტაეპად,
გაჩენისათვის ვეძებდი სამხილს
და კალმახივით ლექსში გავები.
ავეკვიატე ურითმო ფრაზებს,
ახლა მე მინდა დაგბადო სიტყვად.
ამომაყოლებს მძიმე ნაფაზზე
ლექსი და უმალ დუელს დამითქვამს.
ჩამოვიშალო უნდა ახლა მე
და შენს სუნთქვაში ფერებად დავშრე,
ველარ მოვაღწევ მერე სახლამდე,
აღარ ვიქნები რადგანაც ბავშვი.
ამეკვიატა ფრაზა ერთი და
ვიწყებ ბორიალს ოცნებებს შორის.
მე შენ მეძღვენი, დედი, ღმერთიდან,
მამამ კი რატომ დაგარქვა ცოლი?!

* * *

წუხელ სიზმრად ღამეს ბარათს ვწერდი
და ბუხარში შეყუჟული მთვარე
ამიკვამლდა, როგორც მუხის ფერდი
შინ უსიტყვოდ მობარბაცე მთვრალებს

ეროვნული ბიბლიოთეკა

რიჟრაჟივით შემოუცდათ ფეხი,
ბარათი კი ჩაუნაცრდათ თითებს,
არა, თითებს ასდიოდათ ბოლი,
გამთენია თურმე სიზმრებს მითევს,
ვერ დამიტევს ვერც ეს სიტყვა — ცოლი.
ჩავიმარცვლავ ხასას ლუკმა-ლუკმა,
მერე ნისლში აკვამლებულ ღრუბლებს
ვერც ცრემლები ვერ უშველის უკვე,
მე კი მხოლოდ დარდი დამაურვებს
და სიზმრიდან ღამეს გამოვურკვევ,
რომ ვხატავდი ღმერთის ნაფეხურებს.

საწყისი

მამრის სუნად ყარს სხეული მიწის
და ალაგ მკერდის ტორტმანებს ბორცვი.
მე შენ სიცოცხლე აქ შემოგფიცე
და დედამიწაც მოვღალე მოცდით.
ახლა საზღვარი არ არის ჩვენში,
რადგან საწყისი ჩვენა ვართ საზღვრის,
ფიქრი ივსება ცხოვრების ლეშით
და მერე სხეულს სიზმრებად მაწვდის.
ახლა სასრულიც მე ვარ უბრალოდ
და შემიძულოს სიტყვებმაც ლამის,
შენ ხომ სიტყვა ხარ, ჩემო უფალო,
რად გამაჩინე შავ ფარდად დრამის.
ადამის ძეო, ასულო ევის,
სული გაქვს ხორცის თანამეცხედრე
და გიკვირს ახლა ასე რად გშვენის,
სიტყვებს რითმით რომ გამოეცეკვე.
სხეული მიწის სუნად ყარს მამრის,
მე ალაგ დავრჩი ტორტმანით ბორცვის,
დღეს შენში ვიშვი ცხოვრების დრამით
და, სამწუხაროდ, ამაოდ მოვცდი.

ბარათი დას

დაგტანჯე წყეულ ფიქრთა ზმორებით,
აგიყოლიე სიზმრებშიც მგზავრად,
შემოხიზნული ბილწი ჭორებით
სამყარომ გული ვერ გაიქარვა.
ჩემი ცოდვებით დაქანცულ-დაღლილ
ლექსს გიგზავნიდი ცრემლის ბარათად,
ჩამოქცეულა ბავშვობის სახლი,
რადგან, დაიკო, შენ იქ არა ხარ.
მოგწერ და ვიცი, პასუხს არ მაცლის
წლები, ასე რომ შემომესია.
მიყურებ ახლა იერით მკაცრი
დაო, ეგ სახე ჩემი ლექსია.
ახლა ცრემლებმა უნდა მამხილონ
და მონატრებით ვტანჯო სტრიქონი
დაო, ძვირფასო, ჩემით დაღლილო,
თუ მომინატრებ, ლექსში მიპოვნი.
შენს ძარღვებში ხომ ნანინა მღერის,
ძვირფასო ჩემო, დაო მაღალო,
ეს სტრიქონები ცრემლია ჩემი, —
შენი სული რომ ასე დაღალა.

SMS

საათი ნისკარტით მეზიდება
და მაბურთავებს აღმა-დაღმა,
რა ძნელი ყოფილა შეზიზღება,
ზღაპრის სხეულიდან გასვლა გაღმა.
ბარათებს ვგზავნი ესემესად,
შეტყობინება იგვიანებს,
პასუხებს ვღებულობ მხოლოდ ლექსად,
უმართლებთ აქაც იღბლიანებს.
სიტყვები აირ-დაირია,
ხმაში პაუზებს ვეძალები,
ესეც უბრალო შაირია,
სიძულვილისადმი შესავლები.
აღარ მეგზავნება ესემესი,
ჩემო ძვირფასო ადრესატო,
ამიტომ ლექსად გადმოგეცი,
ანი რომ უნდა გიღალატო.

* * *

დიდხანს ვეძებე ჩემი ადამი
და როცა მზესთან ვშლიდი სარეცელს,
გადამაგორეს კუზზე ნადავლი
და წარსულივით თასში ჩამკეცეს.
მეგონა სატრფოს სტროფივით ვწერდი,
წერააშლილი ლექსებს ვეუღლე,
რითმები — ჩემი სუნთქვის ნაწყვეტი
რჩებოდა ზეწრად გაშლილ რვეულებს.
არეულ განცდებს ვაწყობ კარტივით,
ბედს უიღბლობას ვებაასები,
შემომეჩვია ფიქრი მარტივი,
რა ვაშლი იყო ნეტა ასეთი?!

***

აღარ არსებობ, ოო, ძვირფასო ამიერიდან,
სამყაროს ჩემში მიუსუსტდა აკორდი სუნთქვის,
გათენებისა მზესთან ერთად მეც მომერიდა,
ვარ ღამეების მასპინძელი და თანაც მუქთი.
არსებობ აღარ,
არსებობამ დამღვარა წვეთად,
დანაღმულ ველზე რიჟრაჟივით უცებ ვიტოკებ,
ჩემს სხეულს ახლა ჟინი,
როგორც ტყვია გაკვეთს და
მერე კი სურვილს დავაწაფებ ხარბად ნიკოტინს...

***

ჩვენს შორის წლები გაწოლილა გზების სიშორედ,
დიდი ხანია რაც კალამთან ვმეგობრობ აღარ,
ნუგეშად ახლა სიგარეტის ღერი ვიშოვე
და ჩემი სული ამ კვამლივით მიილტვის მაღლა.
განწყობებს ვეძებ შემორჩენილს უშენო ყოფით,
დილიდან მხოლოდ მარტოობის ამყვა გუმანი,
დამბადა ევამ სახედ თვისა სიძვის ნაყოფი,
რომ სამუდამოდ ვყოფილიყავ შენი სტუმარი

***

მივდივარ, სხეულს სწყურია წასვლა,
ეს განშორება წარსულს მაგონებს,
ველარ გაექცა ლოდინი ამ სვლას,
მერე კი სული ნატვრით ნაგროვებ
ეძებდა მარტოსულობის განცდას.
ღამე კი ისევ მოდის ალალად
და თავის სხეულს მე მინაწილებს,
ჩამოუვარდა წვიმას დალალი,
დღეს დარდი ლექსში გამოვამწყვდიე
და დარდთან ერთად სიკვდილს ვმალავდი.
მე წავალ თქვენგან სრულიად მარტო,
დარჩება მარტო ჩემი ლოდინიც.
მინდა, ძვირფასო, დღეს გიღალატო
და ეს განწყობა ჩემთვის მოცლილა...
მძულხარ და მაინც საშინლად გნატრობ,
კვლავ ვეძებ ჩემში ზიზღის საბაბებს,
მინდა რომ მხოლოდ უხმოდ წავიდე.
საცაა ღამე აი, დამბადებს,
მერე ქუჩაში დაყრილ ამინდებს
შემოაცილებს ნაცნობ სახლამდე.
აჰა, და უნდა დავსრულდეთ აქვე,
მერე სიჩუმით აგედევნები.
და აღსარებას წაილაქლაქებს,
ჩემში დაღვრილი წვიმის გენები.

***

დამალევინეთ,
მინდა მთვრალი შევხვდე სიკვდილსაც,
რომ გარიჟრაჟმა
ვარსკვლავების ფრთები გაშალოს,
ნამოიზარდოს აისები შავი მიწიდან,
რაც უნდა მოხდეს,
ვთქვა, რომ მოხდა, ალბათ, შარშანო.
დამალევინეთ,
ლოთის გუმანს ნუ მეცილებით,
ქუჩებთან ერთად დავიარო
ხსოვნის ფარდული,
ჩამისახლდება სულში ცრემლის მოციქულები,
თავშესაფარიც გამოჩნდება ძველი სადგურის.
ბოთლიდან ღვინო ჩაეღვრება
სხეულს ღვენთებად,
მე და სიმთვრალე
სიკვდილსაც კი ვუმასპინძლდებით,
ცრემლებსაც გწირავ, მაგრამ ღვინო არ მემეტება
და საბოლოოდ სიცოცხლესაც უხმოდ გპირდები.
დამალევინეთ, თასებს უნდა ხსოვნად შემოვრჩე,
სადღეგრძელოებს მორიდებით მერე ვნებდები,
თითქოს ღვინისფრად დედამიწა
უცებ შემოსეს,
მეც სიყვარულით დავმაჭრდები და ავფეთქდები.
დამალევინეთ, რომ წარსული მექცეს მომავლად,
რომ თასებივით გამოვცალო
ნატვრის წამებიც,
რომ წუთიერი გატაცება დარჩეს რომანად,
რომ ერთხელ კიდევ დავიჯერო ძალა სამების.
დამალევინეთ, თასი მექცა ლამის სახატედ,
ეს სადღეგრძელოც
მხოლოდ ერთი ჭიქისთვის მითქვამს.
მხოლოდ ღა შენთვის მე ამხელა ლექსი დავხატე
და წვიმის ფრთები გამოვასხი
დალოცვილ სიტყვას.

პასუხი

„ხანდახან ჩუმად გირეკავ კარგო...“
ვაჟა ოთარაშვილი

— „გისმენთ“, არა აქვს განცდა მოსმენას
და აჩრდილები ხმაში დადიან.
მრავალწერტილად მრჩება ოცნება,
თითქოსდა ეს ხმა სიზმრის ლანდია.
—„გისმენთ“... და სმენის ვძაბავ სისრულეს,
თუმც მოსასმენად თავი არ მყოფნის,
დღეს ყველაფერი თქვენთვის ვიცრუე
და მხოლოდ თქვენთვის სხვაზე გავთხოვდი...

პოეტის პორტრეტი

წეროებს უჭირთ ნისლის ტარება,
ველარ ცეკვავენ ხორუმს ხეებიც
და პროცესია — გარდაცვალება
შემოდის წვიმის რიტმულ ხველებით.
აღარ კრთის ბინდში ჟინის სიცელქე,
ღამეც შავ გავას ზანტად მიათრევს,
შენ დილით სიზმრებს გამოიცეკვებ,
დღეები გვანან ამფითეატრებს.
მერე ვნებებსაც ყლაპავ ნერწყვივით,
ძველ დარდებს მძიმედ ამოახველებ.
შენ და სიბერე უკვე შეწყვილდით
და მხოლოდ სიზმრად ელით მნახველებს.

***

არა, განწყობა არ მიზიდავს ვიყო ფხიზელი,
ნაჩვევი გრძნობა ამ ღამითაც წამომეკიდა.
ალბათ სიკვდილის მოლოდინით თუ დავისჯები,
ბედნიერება ვერ შევძელი რადგან მეყიდა.
დიდი ხანია ჩემში დარდმა მოიკალათა,
აღარა ვწუხვარ,
რომ სიცოცხლე სულ არ მახარებს.
და ყოველ დილით მეჩვენება მზე ჩემს ჯალათად,
გამთენიიდან მეტეორად ჩამონაყარი.
რითმებს ვიმსგავსებ,
პორტრეტებად ვაქციო მინდა,
რომ შემეყინოს სტრიქონებში მბობღავი სისხლი.
გადაეკვრება მონატრება ტაეპებს ბინდად
და უკანასკნელ ნამწვავივით ქუჩაში მისვრის.



გივი ლიხოდოლიძე

ჩემი ხოლი

შემოდგომის ბოლო თვე იწურებოდა. ნახევრად გამხმარი ფოთლებით იყო ქუჩები მოფენილი, ქურთი მეეზოვე დიდი ცოცხით მათ ერთ ადგილას აგროვებდა. საცოდავად გამოიყურებოდნენ უკვე გაძარცული რტოები. რაღაც იდუმალ სევდას შეეპყროთ, თითქოს სამუდამოდ ემშვიდობებოდნენ ძირს დაყრილ ფოთლებს. გორა-გორად შეგროვილი ფოთლები, როგორც კი ქარი დაუბერავდა, ერთმანეთში ირეოდნენ, კორდებალეტის ბალერინებივით დაფრინავდნენ ცაში, შემდეგ ერთმანეთს რევერანსს გაუკეთებდნენ და წყება-წყებად ედებოდნენ წვიმის წვეთებით დანამულ ქუჩას.

მიუხედავად იმისა, რომ ქარიანი ამინდი იყო, აღარ ისმოდა ხეების ტოტებისა და ფოთლების შრიალი, ისინი უკვე სხვადასხვა ენაზე ლაპარაკობდნენ. ვაკვირდებოდი ხან ძირს დაფენილ ფოთლებს, ხან უკვე გაძვალტყავებულ ხეებს და ფარული იდუმალებით მოსილ ურთიერთობის ძაფს ვამჩნევდი მათ შორის. ხანდახან ქარისაგან ჰაერში აფრენილი ფოთოლი მეტეორივით აიჭრებოდა ხის კენწეროსაკენ, მაღლა ცაში შეინავარდებდა, მოელვარე მზის სხივს გაეთამაშებოდა. ხეებზე აქა-იქ შემორჩენილ ფოთლებს სევდაგარეული ღიმილით შეხედავდა, ესაოდა, ცოტა ხანში თქვენც ჩემს ხვედრს გაიზიარებთო. მერე მთელი ძალით დედახეს შეენარცხებოდა, თითქოს სურდა მასთან შერჩენა, ხეც ჩაიკრავდა გულში, მაგრად შეისუნთქავდა, თითქოს სურდა, თავის სხეულთან შეედუღაბებინა ახლად დაკარგული მისი სხეულისა და სულის ნაწილი. მაგრამ მერე ისევ ძლიერად ამოისუნთქავდა და ფოთოლი ფარფატით დაეშვებოდა მიწისკენ, თითქოს დუელი იყო გამართული დედახესა და დედამიწას შორის. უკვე ფერშეცვლილი და ნირდაკარგული იმ ლამაზ პატარძალსა ჰგავდა, თავის გულისთქმას აყოლილი ცოლად რომ მიჰყვებოდა ისეთ ვაჟს, რომელსაც გაჭირვების გამო საქორწილო კაბაც კი ვერ ეყიდა თავისი სატრფოსათვის და სხვის, ნაფტალინში ნადებ, უკვე მრავალჯერ გამოყენებულ, სიძველისაგან გახუნებულ კაბაში გამოწყობილიყო. ფოთოლი ის-ისაა, მიწას უნდა გართხმოდა, რომ უცებ ქარმა ისევ ჰაერში აანავარდა.

ჩემგან მარცხნივ, ვერის სასაფლაოს კედელს გადააფრინა. მე უკვე სასაფლაოს ჭიშკართან ვიყავი, ფეხს ავუჩქარე, რათა მენახა, თუ სად იპოვნიდა ჩემთვის ნაცნობი ფოთოლი სამუდამო სასუფეველს. სწორედ იმ დროს შევედი, როცა მან ერთხელ კიდევ შეინავარდა ცაში, ხოლო მერე ნაზად, თითქოს მიწას ეალერსებაო, დაეშვა ერთ-ერთ, მესერგადანგრეულ საფლავზე. მეც გეზი ამ საფლავისკენ ავიღე, მივუახლოვდი და სასოწარკვეთილებამ შემიპყრო, ნახევრად დაშლილ აკლდამაზე შემორჩენილიყო რუსული წარწერა: „Прохожий, не топчи мою могилу! Помни, я у себя дома, а ты _ в гостях.“ *

ფეხი ვეღარ გადავდგი, თითქოს მიწას ვიყავი მიჯაჭვული, უამრავ ფოთოლს დაეფარა ყველასგან მიტოვებული და დავიწყებას მიცემული, ნანგრევებად ქცეული საფლავი. მინდოდა ამ ფოთლებში გამომეცნო ჩემი მეგობარი, ხოლო საფლავისთვის, ახალმოსახლე ფოთოლი. მთელი ძალით ვაკვირდებოდი, მაგრამ ამაოდ. ქვეცნობიერად მივხვდი, რომ ყველაფერმა და ყველამ თავისი ადგილი დაიკავა. ქარმა ხეს მოსტაცა თავისი პირმშო, ხემ გარდაცვლილი ფოთოლი საფლავს მიაბარა, ხოლო დედამიწამ მიიღო და ფოთლების კაპელაში მიუჩინა მას თავისი ადგილი. მე შინაგანად მივხვდი, რომ ბუნების ღმერთისეულ სცენარში ერთ-ერთი მოქმედი პირი, ჩემდა უნებურად, მეც გავმხდარიყავი. ფიქრის მორევში ჩავიძირე, რაღაც დიდის ამოხსნას ვლამობდი. შეჩერდი, — ჩამძახა ყურში უცხო ძალამ, — შენი როლი აქ თავდება.

*** გამვლელო, ნუ გათელავ ჩემს საფლავს! გახსოვდეს, მე ჩემს სახლში ვარ, შენ — სტუმრად.**

„სტეინვეის“ ჩოიალი

უმშვენიერესი „სტეინვეის“ მარკის როიალი დიდი ზარზეიმით შეიძინა თბილისში მცხოვრებმა ერთმა პროვინციელმა „ნოვი გრუზინმა“.

ყველა კმაყოფილი და გახარებული ჩანდა, ცალკე მყიდველი და ცალკე საკომისიოს გაიძვერა გამყიდველი, რომელიც ცუღლუტ თვალებს უცოდველი კრავივით ნაბავდა და მყიდველს ათასნაირი ქათინაურით უმასპინძლდებოდა. როიალი კი იდგა... უხმოდ შერიგებული თავის ბედს...

სულ რაღაც ხუთი წუთის წინ გაყიდული როიალი, ქურთმა მეკურტნეებმა სატვირთო მანქანაზე დაასვენეს და ნახევარ საათში ანტიკვარული ნივთებით გამოტენილ უშველებელი ბინის სასტუმრო ოთახში აღმოჩნდა.

საღამოს როიალის ამწყობი მოვიდა, სწორედ ის, რომელმაც თხუთმეტი წლის წინ ყოფილ მეპატრონესთან ააწყო ინსტრუმენტი და თავისი მოქნილი თითებით პირველად ააჟღერა ბახისა თუ ბეთხოვენის პრელუდიები.

სწორედ წინა მეპატრონესთან გააჩუმეს დიდებული „სტეინვეი“. მდიდარი კაცის უნიჭო ნაშიერმა ერთი-ორჯერ დააბარტყუნა და თხუთმეტი წლით დადუმდა როიალი; შემდეგ ძვირფას გადასაფარებელში ჩაასვენეს და ოთახის სამშვენისად გადააქციეს.

ახალ მეპატრონესთან „სტეინვეის“ დეკა აუჩქროლდა... „ნუთუ ახლაც ეს ბედი მეწევა? — არა, ღმერთი ასე არ გამწირავს! ნუთუ ჩემი მშვენიერების გამო სამუდამოდ მონობაში უნდა ამომხდეს სული?“

ამწყობი მოწიწებით მიესალმა ოჯახის უფროსს, ნაყიდი ნივთი მოუწონა, მერე როიალს სახურავი ახადა და პირველად გულისცემა შეუმოწმა, ის გულისცემა, რომელსაც ადამიანები დეკას ვეძახით.

— მშვენიერი დეკა აქვს, — წარმოთქვა აღფრთოვანებით.

შემდეგ მთლიანად როიალის შემოწმებას შეუდგა, თან გაიძახოდა, ნეტავ ვის სახლშია ნადგომი, ეტყობა საკუთარი თავივით უვლიდნენო.

ამ სიტყვების გაგონებაზე როიალი შეირხა, ხოლო კლავიშებმა ისეთი უცნაური ხმა გამოსცეს, თავად ამწყობს გაუკვირდა, ვერ მიხვდა, რამ გამოიწვია როიალის ოხვრა, ოჯახის წევრებს კი ეგონათ, ამწყობი შეეხო კლავიშს.

სინამდვილეში, როიალმა პროტესტი გამოუცხადა ამწყობს.

— რის მოვლა, რა მოვლა. 15 წელია მკვდარი ვარ. ლამისაა დარდისაგან დეკა გამისკდეს, შენ კი ჩემი ყოფილი პატრონის ქება-დიდებაში ხარ.

აწყობის შემდეგ ამწყობმა კლასიკოსთა ჰანგები მოჰფინა ოთახს. მადლიერმა ინსტრუმენტმა ისეთი ხმები ამოუშვა, რომ მისი ღირსების ერთადერთი შემფასებელი, ამწყობი, როგორც კი დაკვრას მორჩა, მხოლოდ ამასღა იმეორებდა: —სასწაულია, სასწაული...

შემდეგ ფული ჯიბეში ჩაიდო, ოჯახის წევრებს გამოემშვიდობა და გაქრა.

საწყალი როიალი საგონებელმა მოიცვა. ნუთუ აქაც ბედს უნდა შეგუებოდა. ნეტავ, ვინმე მაინც იყოს ამ ოჯახში, ვისაც დაკვრა ეცოდინება, თუნდაც უნიჭო დაკვრა. ამ ფიქრებში დაათენდა თავზე.

შემდეგ კარგად გააპრიალეს, ზედ ორი ძველებური შანდალი დადგეს, შუაში ფრანგული ანტიკვარული საათი წამოჭიმეს და... საბოლოოდ მიივიწყეს.

დროდადრო სტუმრებისთვის თავს ახდიდნენ, შიგ ჩამწკრივებულ, სხვადასხვა გამოფენაზე მიღებულ მედლებს დაათვალიერებინებდნენ და არაჩვეულებრივი დეკათი ამაყობდნენ.

შემდეგი სტუმრის მოსვლამდე მდუმარედ იდგა ყველასგან მივიწყებული როიალი. მთელი მისი არსება იმ ფიქრში იყო, რომ ოდესმე მაინც ეღირსებოდა მის კლავიშებს აჟღერება.

დრო გადიოდა... ერთ ღამეს, როდესაც ოჯახის წევრებს მშვიდად ეძინათ, საშინელი ტკაცანის ხმა გაისმა. შეშინებულები წამოცვივდნენ და როცა ხელშესახები ვერაფერი ნახეს, გაკვირვებულები ეკითხებოდნენ ერთმანეთს, — ნეტავ რა მოხდაო... შემდეგ კი, შემდეგ... ისევ ღრმა ძილს მისცეს თავი.

არ ეძინა მხოლოდ როიალს, რომელსაც პირველი გადატანილი ინფარქტის შემდეგ ასე ძალიან სტკიოდა დეკა, ხოლო მშველელი არსაიდან ჩანდა. დეკას უკანა კედელი ჰქონდა გაბზარული.

ასე იტანჯებოდა მთელი თვე... მაგრამ ღვთის წყალობით არ გარდაიცვალა...

საწყალს კიდევ შერჩენოდა იმედი, რომ ვიღაც დაარღვევდა სამარისებურ სიჩუმეს და კვლავ ააჟღერებდა. ამ მოლოდინში გავიდა რამდენიმე წელი.

ხელმეორედ გაისმა როიალიდან ტკაცანის ხმა. საწყალმა მეორედ მიიღო ინფარქტი. საბედისწერო აღმოჩნდა დეკას წინა და უკანა კედლის გასკდომა. როიალმა ერთი შეიფრთხიალა, შემდეგ კლავიშებსა და სიმებს დაემშვიდობა და მშვიდად დახუჭა თვალი.

დილით, როცა განებივრებული ოჯახის წევრები წამოიშალნენ, ნახეს, რომ როიალზე დადგმული ყვავილებიანი ლარნაკიდან წყალი გადმოღვრილიყო.

— ნეტა, ამ უპატრონოს რაღა მოუვიდაო, — ჩაილაპარაკა დიასახლისმა და როიალიდან წყლის წვეთები გადაწმინდა.

ლარნაკის გარდა არავინ იცოდა, რომ ეს წვეთები მისგან გადმოდენილი სამძიმრის ცრემლი იყო, რომელიც უკანასკნელ გზაზე მიაცილებდა გარდაცვლილ როიალს.

გმადლობთ, მზეო, თანადგომისათვის!

სხვისაგან განსხვავებით მე მზიანი ამინდი ხშირად შორეულ მოგონებებში გადამისვრის. რამდენჯერ ყოფილა, ვიჯექი ზღვის პირას გარინდული, ვუსმენდი ტალღების შრიალს და მთელი სხეულით ვგრძნობდი, რომ ზღვის ტალღები კენჭებთან საუბრობდნენ. ალბათ, ზღვის ფსკერიდან დაბარებულ შორეულ ამბებს გადმოსცემდნენ მათ, ხოლო კენჭები მოკითხვას აბარებდნენ თავიანთ ნათესავებსა და მეგობრებთან. ხშირად შემიმჩნევია, როგორ შემორჩება ნაპირს ტალღის ნანილი, ალბათ იმიტომ, რომ მან ამბის მოყოლა ვერ მოასწრო. რამდენიმე პატარა ტალღის შემდეგ ისევ დიდი ტალღა შემოუტევს ნაპირს და ზღვის ფსკერისაკენ დაიწევს, ხოლო ზღვის რამდენიმე კენჭი ცელქად თან გაჰყვება მშფოთვარე ტალღას. ნაპირზე დარჩენილი მისი თანამოძმენი კი კეთილად დაბრუნებას უსურვებენ მათ. უკვე ხანშიშესული, ათასგვარ ჭირ-ვარამში გამოვლილი ბრძენი ქვები, რომლებიც ზღვის ნაპირიდან მოშორებით დაბინავებულან, პირჯვარს გადაიწერენ და ღმერთს შეავედრებენ მათ ახალგაზრდა მეგობრებს, რამეთუ უფალმა იცის, შეძლებენ თუ არა ისინი უკანა გზაზე დაბრუნებას. როგორი მსგავსებაა ბუნებასა და ადამიანებს შორის, ბრძენი ქვები უკვე ხანშიშესულ ადამიანთა მოდგმას მაგონებენ, ხოლო ანცი კენჭები იმ პატარა ბიჭს, რომელმაც ჯერ სანაპიროზე დაგდებული „კონსერვის" ქილა პელეს ილეთით თავზე გადმოიგდო, ხოლო მერე ფეხის ძლიერი დარტყმით ბეტონის კედელს მიანარცხა. შემდეგ დასწვდა სილაზე ჯარისკაცებივით ჩამწკრივებულ სიპ ქვებს და ერთმანეთის მიყოლებით ზღვის ზედაპირზე აასრიალა. ყოველი მისი გატყორცნილი ქვა, რომელიც ტალღაზე ასხლეტას შეძლებდა, მას დიდ სიხარულს ანიჭებდა. უცბად მისი მზერა ერთმა პატარა ქვამ მიიპყრო, უმალ დასწვდა მას და ხელის მაღლა აწევით გასატყორცნად მოემზადა. ის იყო, უნდა ესროლა, რომ მზის სხივმა მოსჭრა თვალი. მან ხელი დაუშვა. უცებ საიდანღაც ყრუ კვნესა შემოესმა, გაიხედ-გამოიხედა, არავინ ჩანდა, ქვა ხელში შეათამაშა და ახლიდან სასროლად მოემზადა.

— რას მერჩი? — მოესმა ისევ — რა დაგიშავე, პატარა ბიჭუნავ? რატომ გინდა დამაბრუნო იქ, საიდანაც ერთი საუკუნე მოვანდომე თავის დაღწევას, დამხედე კარგად და შეამჩნევ, ჩემს ზედაპირზე უამრავ ღარს, ეს ჩემი მძიმედ განვლილი გზის ხაზებია. დამინდე, გემუდარები!

ბიჭმა უცებ ხელზე, რომელშიც ქვა ეჭირა, სისველე იგრძნო.

ქვიდან წყლის წვეთები მოჟონავდა — საბრალო ქვა თავის გაჩენას ტიროდა.

ბიჭუნა შეკრთა, მიხვდა, რომ ყველაფერი ცხადში ხდებოდა, ქვა უმალ ხელიდან გააგდო და მთელი ძალით ბულვარისაკენ გაკურცხლა. დაღუპვას გადარჩენილი ქვა კი თანამოძმეებმა გულში ჩაიკრეს, გვერდით მიდგნენ და ადგილი დაუთმეს.

— გმადლობთ, მზეო, თანადგომისათვის — ღაღადებდა ქვა.

იმედის ხაზები

რის ვაივაგლახითა და წვალებით მიღებული ამერიკის ვიზით, ერთი ინტელიგენტი ქართველი ქალბატონი, ლუკმა-პურისა და ბედის საძებნელად ოკეანის გაღმა მიემგზავრებოდა... მიემგზავრებოდა და ცრემლის ნიაღვარში ტოვებდა თავის ერთადერთ პირმშოს. დედამისს კი ასჯერ გაუმეორა: შენ იცი, ჩემს სიცოცხლეს როგორც მოუვლიო. წასვლის წინ შვილი კედელს მიაზომა, თავთან ხაზი გაუსვა და თვალცრემლიანმა უთხრა — „ჩემო ვაჟკაცო, იცოდე, სანამ კედელზე მეორე ხაზი გაჩნდება, ან თან წაგიყვან, ან უკან დავბრუნდებიო." მერე ელდანაკრავივით შეტრიალდა და ისე, რომ უკან აღარ მოუხედავს, ჩაესვენა მანქანაში, რომელსაც აეროპორტში მიჰყავდა. ბიჭი გარინდული იდგა და კედელზე გასმულ ხაზს შესცქეროდა. მერე თითის წვერებზე აიწია და ცდილობდა ხაზს ასცილებოდა. თვე თვეს მისდევდა, წელი — წელს. ბიჭი იზრდებოდა და, კედელზე ხაზებიც ისევე მატულობდა, როგორც მის ოთახში გამოგზავნილი ამანათების გროვა. დედა კი არა და არ ჩანდა. ბიჭი ტელეფონის ყურმილში დედის ხმას კი არა, უკვე სუნთქვასაც გრძნობდა.

— დედიკო, როდის ჩამოხვალ და თან წამიყვან, — ამით იწყებოდა მათი საუბარი.

— მალე, ჩემო ერთადერთო, — გაისმოდა დედის შორეული ხმა ყურმილში. მაგრამ ეს „მალე" უსასრულობაში იკარგებოდა.

ერთ დღეს, მეზობელს, ონკანი ღია დარჩა და წყალმა ქვედა სართულის კედლები ჩამორეცხა. უცნაური ის გახლდათ: იმ კედელს, რომელზეც ბიჭის ზომები იყო აღნიშნული, წყალმა ვერაფერი დააკლო. ბიჭმა ხაზებიან კედელს ააყოლა თვალი, რომელიც ცისკენ მიმავალ უსასრულო კიბეს დამსგავსებოდა:

— „თქვე მატყუარა ხაზებო, თქვე მოღალატეებო!" — სიმწრისგან მუშტი გაჰკრა კედელს და გულში ამდენი ხნის დაგუბებული ბავშვური ბოღმა და ნაღველი ცრემლს გაატანა. ოთახში ზარის ხმა გაისმა. ბიჭი ყურმილს დასწვდა: „ალო!.. გისმენთ, რომელი ხართ, " — ისმოდა მისი ათრთოლებული ხმა. — მე ვარ, შვილო, როგორა ხარ, დედა გენაცვალოს... — კარგად" — უპასუხა ბიჭმა და საკუთარ ცრემლს მოე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რია. მერე კი დიდი ვაჟკაცივით, დინჯად მიუგო — გამაგებინე, დედა, სანამდე უნდა ვავლო ხაზები კედელზე. — ცოტაც მოითმინე, ჩემო პატარავ, ხომ იცი, იმისათვის ვარ აქ, რომ არაფერი მოგაკლო. ხომ ყველაფერი გაქვს, რასაც ინატრებ, ჩემო სიცოცხლევ და სიხარულო! — კი, დედა, ყველა ოცნება შემისრულდა, შენი ნახვის გარდა, — სევდით წარმოთქვა ბიჭმა და ყურმილი იქვე მდგომ ბებიას გაუწოდა. მათი მცირე დიალოგის შემდეგ, სატელეფონო ხაზი გაწყდა და ყურმილში გაისმა გამაღიზიანებელი წყვეტილი ხმა. თითქოს ტელეფონისა და კედლის ხაზებს ერთმანეთში პირი შეეკრათ და არც ერთი აღარ აპირებდა ბიჭის ცხოვრებიდან გაქრობას.

პატარა კი იზრდებოდა უდედოდ, ტელეფონის ხაზის წკრიალსა და კედლის ხაზებს შორის... ერთ დღეს, ამერიკიდან დარეკეს და ბებიას მწუხარე ხმით ამცნეს, რომ მისი ერთადერთი ქალიშვილი, რომელიც თურმე უკურნებელი სენით იყო დაავადებული, გარდაცვლილიყო. — ვაი, შვილო! — შეჰკივლა მოხუცმა და გულწასული დაეცა. — ბებო, ბებო! — გაიძახოდა ბიჭი და რაც ძალი და ღონე ჰქონდა, აჯანჯღარებდა ახლა უკვე თავის ერთადერთ იმედს. როგორც იქნა, ქალმა თვალი გაახილა. როცა გონებაში ყველაფერი აღიდგინა, გრძნობები დათრგუნა, შვილიშვილი გულში ჩაიკრა — არ შეშინდე, ბებო, არაფერია, ცოტა ცუდად გავხდი...

ერთი კვირის შემდეგ, ამერიკიდან ცხედარი სახლში ჩამოასვენეს. ხოლო ბიჭს დედის სანაცვლოდ მის სახელზე გახსნილი საბანკო ანგარიში შეაჩეჩეს ხელში.

გახსნილი ანგარიში და დახურული ცხოვრება... აი, იმ მრავალი ემიგრანტის ბედი, რომლებიც, ბედის უკუღმართობით, მთელ მსოფლიოს იყვნენ მოდებულნი. იყო ერთი ვაივიში და თალხით შემოსილ ქალთა გოდება. მეზობლებმა სარდაფში ჩაგდებული მტვრიანი ტახტი ამოიტანეს, საგულდაგულოდ გაწმინდეს, ხალიჩა გადააფარეს და ცხედარი ზედ დაასვენეს. იდგა ბიჭი და დასცქეროდა გარდაცვლილ, ნანატრ დედას. თვალი რამდენიმე ხაზისაგან დაღარული კედლისაკენ გაექცა. მერე, კედელთან მშვიდად მივიდა, იმედის გამაცრუებელ ხაზებს წაშლა დაუწყო... როგორც კი დედის აღნიშნულ ხაზამდე მივიდა, ცხედარს გახედა... მიცვალებულის უკვე დასვენებული სახე ზუსტად მის მიერ ათი წლის წინ აღნიშნულ ხაზს საყვედურობდა...

ბიჭს ბავშვისათვის შეუფერებელი გმინვა აღმოხდა: — მადლობა, დედა, სიტყვის შესრულებისათვის. აკი შემპირდი, სანამ მეორე ხაზის გასმა დაგჭირდება, დავბრუნდებიო...



ორასული სამსონაძე

მეხუთე პერსონაჟი

კომედია ორ მოქმედებად

მოქმედი პირები:

ასმათი — ტელესტუდიის გენერალური პროდუსერი, ამ თანამდებობისთვის თვალშისაცემად ახალგაზრდა ქალი.

ვახო — მწერალი, სცენარისტი.

გიგი — რეჟისორი, სტუდიის თანამშრომელი.

ნონა — 30-იოდე წლის წინ კომკავშირის ცენტრალურ კომიტეტში ნამუშევარი ქალბატონი.

მეორე მოქმედება

გიგი — შინაგან საქმეთა სამინისტროს იზოლატორშია მტანჯველად ნამუშევარი...

ვახო — */ალტაცებული/*, — ნონა! ნონა! პერსონაჟი მოვიფიქრე, ნონა! ახალგაზრდა, სათვალეებიანი ქალი, რომელიც შინაგან საქმეთა სამინისტროს იზოლატორში მუშაობს მტანჯველად!

ნონა კაბის სწორებით შემოდის.

ნონა — ეს გენიალურია, ვახტანგ! მედეა ამ ქალის ხელში ჩავარდება...

ვახო — არა, ოღონდ მედეა არა! მედეა ცოდოა...

ნონა — რას იზამ, ვახო, რას გახდები, ხელოვნება მსხვერპლს მოითხოვს...

ვახო — ჰო, მაგრამ... */ცრემლით თვალში/*, მე მებრალება, ნონა!.. მე... მე ვტირი... მე მრცხვენია, მაგრამ... მედეა... */ტირის/*, მე ის მებრალება, ნონა...

ნონა — */ხელჩანთიდან შოკოლადს ამოიღებს/*, — გააღე პირი, ჩემი ბიჭი! შოკოლადია, ძალას მოგცემს... შენ ძალა გჭირდება!

ვახო — */შოკოლადს გაღეჭავს/*, — ცრემლთან ერთად შოკოლადიც გამწარდა... */დაფიქრდება/*, მწარე შოკოლადი... მგონი კარგია!... არ მოგწონს?

ნონა — */გაიღიმებს/*, — მწარე შოკოლადი... */ვახოს გახედავს/*, მაჩუქე, რა!

ვახო — ვერა...

ნონა — გემუდარები!

ვახო — ნონა, ნუ მთხოვ... კომპრომისსაც აქვს საზღვარი... მე ამით პურს ვჭამ, ნონა!

ნონა — */აცრემლებული გარბის/*, — ოჰ, ღმერთო, სულ არ ვუყვარვარ, სულ!..

ვახო — ნო-ნა! ნონა! არ მიმატოვო, მაქსიმე!

გაეკიდება. თვალს მოეფარებიან.

გიგი — */ვახოს გამოხედავს/*, — ეს ხო სულ... */ალარ დაასრულებს ფრაზას, მოწყენილ მზერას ერთ წერტილზე მიაჭყენს. პაუზის შემდეგ/*, მომერია, ტო! ქალი მომერია... დავბრიდო, რა ვქნა, ე... სირცხვილია ბოლო-ბოლო... */პაუზა/*, წავალ, რა... ბოზებთან წავალ... აბა, სად წავიდე! ბოზებთან კარგია... ბოზებმა იციან მეგობრობა... ცოტა ხანი შემინახავენ... მერე?! */პაუზა/* ბომჟი გავხდები... */პაუზა/*, კი... რა მოხდა... არც არაფერი... მშვენივრად ცხოვრობენ... ჭამენ კიდეც, სვამენ კიდეც... არიან, რა... */პაუზა/*, ამასთან მტერმა იმუშავა, ტო!.. */პაუზა/*, წავალ, რა... */პაუზა/*, წავედი... */წამოდგება. გაივლის. მუთაქასთან შეყოვნდება/*, ოჰ, შენი დედის დედა!.

გამოჩნდება ასმათი.

ასმათი — */გიგის მიცქერილი/*, — რატომ აქამდე არ შეიგინე, სულელო!..

გიგი — */დამფრთხალი/*, — მე არ ვიგინები!.. საერთოდ არ ვიგინები მე!.. ვინ, მე?.. როდის?!

ასმათი — ერთხელაც შეიგინე!

გიგი — არა!

ასმათი — მოვედი ახლა, იცოდე!

გიგი — */პროტესტით/*, — არა! არ ვიგინები! არა!

ასმათი — */გიგისკენ გაემართება/*, — არ მინდა შენი ცემა... შეიგინე უბრალოდ...

გიგი — */უკან-უკან იხევს/*, — რას ქვია უბრალოდ! რატომ — უბრალოდ?!

ასმათი — შეიგინე, გთხოვ!

დასასრული. დასაწყისი №10,11

გიგი — გიჟი ხარ, ვინა ხარ! დამანებე თავი!!! მივდივარ აქედან! საერთოდ მივდივარ!

ასმათი — გეუბნები, შეიგინე! ბაბუაჩემმა რომ იცოდა...

გიგი — */გაურბის/*, — ვინ ბაბუაშენმა?

ასმათი — დედაჩემის დედის ქმარმა... შეიგინე-მეთქი!

გიგი — არ მომეკარო! დაგბრიდავ! დაგჭრი! */ჯიბისკენ წაიღებს ხელს, ვითომ დანა უდევს/*.

ასმათი — ხომ შეიგინე წეღან, შეიგინე ერთხელაც ბაბუაჩემივით...

გიგი — ვინ არის ბაბუაშენი, ვინ! რატომ უნდა შევიგინო ბაბუაშენივით!

ასმათი — ბაბუაჩემს აეროპორტი ქუდი ეხურა... ბაბუაჩემი ჰიტლერივით ულვაშს ატარებდა... ბუღალტრულ ულვაშსაც ეძახიან...

გიგი — რა ბუღალტერი, რის აეროპორტი, რომელი ბაბუა, თავფეხიანად ყველანი გიჟები ხართ, მართლა თქვენი დედის დედა!.. */სახეზე აიფარებს ხელებს/*.

ასმათი — */ერთ ადგილას შედგება/*, — შენთან მინდა. შენთან მინდა... გიგი, მაკოცე ჩქარა!

გიგი — */ნელა ჩამოიღებს სახეზე აფარებულ ხელს, გაოგნებული/*, — გიყვარვარ?!

ასმათი — */გაღიმებული, გაცისკროვნებული/*, — მძულხარ, ჩემო არარაობავ, მაგრამ სწორედ ამიტომ მინდიხარ ასე... ძუკნაც მითხარი რა, ძუკნაც... ჩემი ხათრით...

გიგი — არა... ვერა...

ასმათი — */მიუახლოვდება გიგის, გიგი გაუჩერდება, ასმათი სილას გააწნის/*, — მითხარი, თორემ ჩავქრები!

გიგი — შენი, ძუკნა...

ასმათი — ოო... */გიგის დააკვდება ტუჩებზე/*.

შემდგომი ტექსტი გიჟურ რიტმში მიდის, ისინი თან ეხვევიან, თანაც კონვულსიურად ამოთქვამენ სიტყვებს:

ასმათი — ჩემი დაუმორჩილებელი... ჩემი დაუმორჩილებელი... */კოცნის/*.

გიგი — სკაუტი ჩემი... კიჭუნებით... ჩემი...

ასმათი — იქ წავიდეთ! აქ არა, იქ, იქ!..

გიგი — სად, იქ... რატომ... აქვე...

ასმათი — იქ, მანქანაში... იქ ქუდია... აეროპორტი... იქ ულვაშია...

გიგი — რომელი ულვაში... რა დროს ულვაში...

ასმათი — ულვაში... ულვაში... ბუღალტრული ულვაში...

გიგი — რა ულვაში, იქ ჯეკოა, მძღოლი... აქვე...

ასმათი — გავუშვი ჯეკო, გავაგდე ჯეკო... იქ, მანქანაში! პირველად მანქანაში... გავქროლდეთ... იქ...

გიგი — გავქროლდეთ... სადაც გინდა, გავქროლდეთ... ჩემი, სკაუტი ჩემი, წითელი ყელსახვევით...

გზა და გზა სამოსს იხდიან, ერთმანეთს ეალერსებიან, აჩქარებით ტოვებენ სცენას. გამოჩდებიან ნონა და ვახო. ვახოს ელეგანტურად აცვია, ხელმკლავით მოჰყავს ნონა. მოსიყვარულე, ბაღში მოსეირნე წყვილსგვანან ახლა.

ნონა — და როდესაც ოკეანეში აღმოჩნდებიან... */პაუზა/*, რომელ ოკეანეში სჯობს,ვახო, ატლანტის თუ წყნარი?

ვახო — მგონი, ინდოეთის...

ნონა — რატომ, ვახო, ინდოეთის?

ვახო — ისე, ინტუიტიურად...

ნონა — აჰ, ინტუიტიურად?! კეთილი, ჩემო კარგო, გავყვეთ ინტუიციას... ინდოეთის ოკეანე. შრი-ლანკის სანაპირო... ყოფილხარ შრი-ლანკაში?

ვახო— არა, არ მომიწია როგორღაც...

ნონა — ყვავილები, ყვავილები, გირლანდები, ლოტოსი...

ვახო — */თავის ქანდურით/*, — აჰა, შთამბეჭდავია...

ნონა — ნახევრად შიშველი გოგონები თეძოებს არხევენ... */ამოხედავს ვახოს/*, არა, მე შენ იქ არ წაგიყვანდი, წუწკო...

ვახო — */გაულიმებს/*, — ... ნონა!

ნონა — */თავს მიადებს მხარზე/*, — ჩემო კეთილო!.. ნიჭიერო...

ვახო — */კმაყოფილი/*, — ჰმ... თან საქმე...

ნონა — ბეჯითო ჩემო... მაშ, გამოჩნდა სანაპირო... გამოჩნდნენ გოგონები და ლოტოსები... გაჩნდა იმედი!..

ვახო — აჰა...

ნონა — მაგრამ ამ დროს მეკობრეები, ვახო, თანამედროვე მეკობრეები მოდერნიზებული იახტით! გაიტაცეს! მედეა გაიტაცეს!!! ამით შეფარულად იმასაც ვამბობთ, რომ კოლხ-მედეას დღემდე იტაცებენ! ეს იგივე საქართველოა, ვახო!..

ვახო — გემიც წააყოლეს ხელს?

ნონა — მეკობრეები, აბა, რას იზამდნენ, არ შემშალო ახლა!

ვახო — ჰო, ბუნებრივია... უკაცრავად!

ნონა — აქ გაწყდება 72-ე სერია, მაგრამ ერთი აუცილებელი დეტალი არ უნდა დაგვავიწყდეს. აბა, თუ გამოიცნობ?

ვახო — მეკობრეების კაპიტანი ალბათ...

ნონა — როგორ მიყვარხარ... როგორ მიყვარხარ!*/კოცნის ვახოს, შემდეგ დაფიქრდება /*, იცი, რა! კაპიტანი კი არა, კაპიტნის თანაშემწე იყოს...

ვახო — პერსპექტივისთვის, არა?! რათა მედეას გამო ბოროტ კაპიტანს რაინდი თანაშემწე დაეჯახოს... მართლაც არა უშავს...

ნონა — არა უშავს?

ვახო — არა, კარგია, ძალიან კარგია... */დაფიქრდება/*, ნონა, ახლა ისეთ რამეს გეტყვი, დაეცემი... გამომძიებელმა, როგორც მახსოვს, მეთოთხმეტე სერიაში მიიღო კანტუზია და უკვალოდ გაქრა...

ნონა — */თვალები წამოენთება/*, — გამომძიებელია კაპიტნის თანაშემწე!

ვახო — */გამარჯვებული კაცის იერით/*, — სწორედაც, ნონა!

ნონა — */უეცრად მოუწყლიანდება თვალები/*, — მაგრამ მე უფრო შორს წავალ, ვახტანგ და გეტყვი, რომ მათ ადრეც უყვარდათ ერთმანეთი.

ვახო — */ცოტა დაბნეული/*, — ადრე, როდის? კანტუზიამდე?

ნონა — */უფრო აღტკინებული/*, — და უფრო მეტიც! მათ შვილი ჰყავდათ!

ვახო — შვილი?!

ნონა — დიახ, შვილი! გოგონა! მედეას გოგონა, რომელსაც ზრდიდა მოხუცი გადია თეთრი წინსაფრით! ვხედავ, ვხედავ, თეთრწინსაფრიან გადიას ვხედავ! მე ისე ნათლად ვხედავ, რომ... */პაუზა/*, აი, დავეცი!..

ნონა ჩაიკეცება.

ვახო — */ნონას დააცქერდება/*, — ნონა! ნონა!!! */შემკრთალი/*, ძვირფასო!/*დაიხრება, ლოყაზე შემოსცხებს/*, ნონა! მაქსიმე!/*შეშინებული მიმოიხედავს/*, მიშველეთ! ნონა!

შემორბის ასმათი.

ასმათი — დედა! დედა! რა დაგემართა, დედი-კო!

ვახო — */გაოგნებული/*, — დედიკო? ვინ დედიკო? რომელი დედიკო?!

ასმათი — */აგრესიულად/*, — რა ჩაიდინე! რა უქენი! მოწამლე! ცემე! მითხარი, ცემე!

ვახო — ვინ ვცემე, ასმათ! რას ამბობთ, ეს... ეს თქვენი დედიკოა!

ასმათი — */ნონას მიუბრუნდება/*, — ჩემი მაქსიმე... გაახილე თვალი, გეხვეწები! მე ხომ დღეს სიურპრიზი მოგიმზადე, დედა!

ნონა — */წამოჯდება/*, — სიურპრიზი! ვგიჟდები სიურპრიზებზე! */წამოდგება/*, აბა, ასმათ სიურპრიზი?!

ვახო — მეტი რაღა სიურპრიზი გინდათ!.. ნონა, შენ ასმათის... დედა... უფრო სწორედ ეს შენი... თუმცა, რა მნიშვნელობა აქვს... რატომ დამიმალე, ნონა!

ნონა — ყველაფერს თავისი დრო აქვს, ვახტანგ! */ასმათს მიუბრუნდება, მიეალერსება/*, ჩემო ლამაზო! შეგაშინა დედიკომ...

ასმათი — */მიეკრობა ნონას/*, — მაქსიმე...

ნონა — */ვახოს გამოხედავს/*, — და თანაც, ქალი რის ქალია საიდუმლოს თუ არატარებს... ეს ჩვენი თამაშიც იყო, არა, ასმათ, დედიკო! ვხალისობდით, როცა მასზე ჩემთან ლაპარაკობდნენ, ჩემზე კი მასთან და არავინ იცოდა, რა გვაკავშირებდა ერთმანეთთან... მერე ვჭორაობდით ჩვენთვის, იმან ის თქვა შენზე, ამან ეს თქვა შენზე... ჯაშუშობანასავით... ახლა კი რა სამწუხაროც არ უნდა იყოს, გავიშიფრეთ, გავცხადდით, ასე ვთქვათ...

ვახო — ჰო, ახლა მართლაც გაცხადდით, ნონა, და სიმართლე რომ ვთქვა, მე ეს არ მომწონს! მე ეს ძალიან არ მომწონს!!! შეურაცხყოფილი ვარ, პირდაპირ რომ ვთქვა!.. მე ხომ ნდობა გამოგიცხადე, მე ხომ... როგორღა გენდო ამის შემდეგ, მითხარი!

ნონა — ვახო, ვახო, მოდი სერიალს რეალურ ცხოვრებასთან ნუ ავრევთ... ეს ტექსტი არის 38-ე სერიიდან... გახსოვს! აი, მტანჯველი ქალი რომ გამოსწორდება და შეყვარებულს რომ ეუბნება...

ვახო — ყოველ შემთხვევაში, მგონი, მქონდა უფლება ასეთი მნიშვნელოვანი...

ასმათი — */აგრესიულად აწყვეტინებს/*, — რა უფლებაზე მელაპარაკები!..

ნონა — მოეშვი, შვილო!

ასმათი — მაცალე, დედა! შენ!..

ვახო — მეე, მეე! ძალიან გთხოვთ! ვერ ავიტანთ ამგვარ მომართვას... მე შენი - მე არა ვარ! თქვენი... მე დედათქვენი მიყვარს, და ამიტომ შემიძლია გადავყლაპო ეს შეურაცხყოფა, მაგრამ...

ასმათი — დედაჩემი გიყვარს?! */გადაიხარხარებს/*, დედაჩემი უყვარს! ვის ემართებოდა გულყრები მაქსიმეს ხსენებაზე, ვის!!!

ვახო — ის მაშინ იყო... ის...

ასმათი — უყვარს! კი არ გიყვარს, ძარცვავ! უმოწყალოდ, შეუბრალებლად ექცევი დედიკოს! დედა ატარებს და ატარებს, შენ კი გადამწერი ხარ უბრალოდ, მეტი არაფერი, საცოდავი გადამწერი! ასეთები ყრია ქუჩაში! კაპიკებად, თეთრებად... მე კი, მე ყოველი ათი სერიის შემდეგ კონვერტით გაძლევდი ამხელა ფულს! ისე არ მიკადრებია, მხოლოდ კონვერტით! დღესაც მოგეცი კონვერტი! გამოწკეპილა აქ!.. დედიკო მილიონერი ჰგონია! შენ, შენ უმადური ხარ, ვიღაცა ხარ! შენ...

ვახო — მეე უმადური?! აჰა, შე თავხედო! აჰა, შენი კონვერტი! შე!.. სკაუტო!.. */კონვერტს მიუგდებს ასმათს, გულზე შემოიჭერს ხელს, სკამზე დაემხობა/*.

ასმათი — მაქსიმე ახლა მე ამას...

ნონა — წადი, შვილო!.. კაცი ცუდადაა!..

ასმათი — დედა...

ნონა — ხმა — კრინტი! გასწი-მეთქი, გამეცალე!..

ასმათი რაღაცის თქმას დააპირებს, ნონა ხელით გააჩუმებს, შემდეგ გასასვლელისკენ უთითებს. ასმათი გადის.

ვახო — */სკამზე ზის, მძიმედ სუნთქავს/*, — ღირსი ხარ, ღირსი ხარ, იდიოტო!.. ღირსი ხარ, ღირსი!..

ნონა — რა იყო, ვახო, რით ხარ უკმაყოფილო,

რა გულის პრანჭვები გამიმართე აქ!

ვახო — ის... ის...

ნონა — ჩემს ბავშვზე ცუდი არაფერი თქვა! ძალიან გთხოვ...

ვახო — ბავშვზე? ბავშვზე?! შენ... შენ აქ იყავი, როცა მან... შენ თვლი, რომ მე გძარცვავ?! მართლა ასე თვლი! შენ თვლი, რომ...

ნონა — მე ეს არ მითქვამს...

ვახო — არ გითქვამს, მაგრამ გაუჩუმდი! შენს ბავშვს გაუჩუმდი, როცა ის... ღირსი ხარ, იდიოტო, ღირსი... ღირსი ხარ... */ნონას ამოხედავს/*, ეს მე ვარ გაძარცვული, მე! მე დამაყაჩაღეს! */წამოდგება/*, მასკულტურის უბედური მსხვერპლი, რომელიც მასკულტურისტთა მწყობრ რიგებში ჩაეწერა!.. უძლური იდიოტი!.. სულგაყიდული არარაობა!.. */მუთაქას მიუახლოვდება, გამეტებით დაარტყამს/*.

ნონა — */ვახოს გამოხედავს/*, — ვახო, რას შვრები, ვახო!.. */თვალებს აფახულებს/*.

ვახო მუთაქას ურტყამს.

ნონა — */თვალების ფახულით/*, — ვახო, რა დაგემართა! რას ერჩი მუთაქას, ვახო!

ვახო — */მუთაქას ურტყამს/*, — მეხუთე პერსონაჟს ვაღვიძებ! */ურტყამს და ურტყამს/*.

ნონა — */დრო და დრო გამოხედავს ხოლმე/*, — მტვერს აყენებ, ვერ გრძნობ?

ვახო — */ურტყამს/*, — ვერა!.. გაიღვიძე! */ურტყამს/*. გაიღვიძე, შენი!.. */ურტყამს/*.

ნონა — */უკამყოფილოდ გამოხედავს/*, — ვერ გააღვიძებ, ვერა! უსულოა ეგ, მუთაქაა, მუთაქა!

ვახო — */მხოლოდ მუთაქაზე აქვს კონცენტრირებული ყურადღება, ურტყამს/*, — შენს ხელში ყველაფერი უსულოა! */ურტყამს/*, გაიღვიძე შენი! */ურტყამს/*.

ნონა — */ვახოს გახედავს/*, — გეთქვა, მოკრივის ხელთათმანს შეგიძენდი, ცოდო ხარ ასე!

ვახო — */მუთაქას უტრიალებს, ურტყამს/*, — ჰო, ცოდო ვარ! გაიღვიძე, ხომ იყავი სუნთქვადი, პროტესტი გერქვა მგონი. გაიღვიძე, შენი! თორემ დამთავრდა... */ურტყამს, ურტყამს/*.

ნონა — */შეშფოთებული მზერით გამოხედავს/*, — და რა ახლა, მე გამოვდივარ ისა?..

ვახო — */მუთაქას მიცქერილი, ძალას იკრეფს/*, — შენ საერთოდ არ არსებობ... მე გამოვდივარ ისა... */ურტყამს/*.

ნონა — */მხრებს აიჩეჩავს, თვალების ფახულით/*, — რა საინტერესო აზრია... მე არვარსებობ თურმე...

ვახო დაიღლება. ნონას გამოხედავს. ერთმანეთს შეაცქერდებიან.

ნონა — */ნიშნისმოგებით/*, — არ ვარსებობ?

ვახო — */დაღლილი მზერით, მუთაქას მოჭიდებული/*, — არსებობ, სამწუხაროდ არსებობ, შენ ჩემი კომპრომისი ხარ... შენით დაიწყო ცხოვრება, შენით მთავრდება... რა კოშმარია, ღმერთო ჩემო! ჩემი პირველი და უკანასკნელი ქალი, მას უწყინარი სახელი ჰქვია – ნონა.

ნონა — */გაცისკროვნებული სახით/*, — ვახო, სამუდამო ერთგულებას მეფიცები, ასე გიყვარვარ, ვახო!

ვახო — */მუთაქას მოჭიდებული, დაღლილი მზერით/*, — არასოდეს მიწერია ასე იოლად. მოდის – ვატარებ. მოდის — ვატარებ. რა ამაზრზენი სიმყუდროვეა.. */მუთაქას გახედავს, დაღლილი გაცლება და ისევ მიუტრიალდება მუშტებმოღერებული, ძალადაცლილი ურტყამს/*, გაიღვიძე, გაიღვიძე, გეხვეწები! */ურტყამს/*, გაიღვიძე, შენი! */ურტყამს/*, გაიღვიძე, თორე... */არაქათგამოცლილი სკამზე დაემხობა და ულონოდ შემოიწყობს ხელებს მუხლებზე, ნონას გამოხედავს/*, შეიძლება ითქვას, რომ მე დღეს დავმთავრდი. კონვერტი მომაწოდე, თუ არ შეწუხდები...

ნონა — */წამოდგება, კონვერტს დასწვდება, ვახოსკენ გაემართება, გზად ამბობს/*, — და რას აფრიალებ მერე ამ კონვერტებს, არ მესმის! ყრია ქუჩაში?! ბევრი გაქვს?! */უბეში ჩაუდებს კონვერტს და მიუალერსებს/*, ვახო!..

ვახო — */თვალგაციებული/*, — რა გინდა?

ნონა — ერთი სათხოვარი მაქვს, რა, ვახო... ვახუნა...

ვახო — თუკი რამე შემიძლია. უარს აღარაფერზე გეტყვი...

ნონა — აი, ის იდეა! პირველი და უკანსკნელი ქალიო, რომ თქვი... მაჩუქე რა!

ვახო — */თვალგაციებული, უინტერესოდ/*, — შენი იყოს...

ნონა — */ზურგიდან მიადგება ვახოს, ხელებს მოხვევს/*, — რატომ ხარ ასე მოწყენილი, ვახო... ყველა თავისებურადაა უბედურიც და ბედნიერიც, ჩემო ბიჭო... შენ გგონია, იმ ქალს იოლი ბედი დაჰყვა... რა ოჯახში დაიბადა, იცი, ვახო, ის ქალი? დედა პარტიული მუშაკი ჰყავდა, მამა კი ბაზრის დირექტორი... საბრალო გოგონა, მას ისეთი ფაქიზი ბუნება ჰქონდა... მშობლები გამუდმებით ჩხუბობდნენ... შენ იქ უნდა დაბადებულიყავი, იქ, კაპიტალისტურ სამყაროში, შე ბაზრის ვირთხავ! — გაჰკიოდა გოგონას დედა. - წადი, შენი!.. პასუხობდა გოგონას მამა, — კლარა ცეტკინს რომ ცოლად მოიყვან...

ვახო — */უმეტყველო სახით/*, — მერე, ალბათ, გოგონას დედამ გოგონას მამა დააჭერინა, არა!

ნონა — ჰო, იეჭვიანა და დააჭერინა... ჩაუშვა... რაც გინდა, დაარქვი.

ვახო — გოგონას მამა ციხეში მოკვდა?..

ნონა — */ცრემლჩამდგარი/*, — მოკვდა... კი... დარჩა გოგონა დედასთან... ზრდიდა ის შეშლილი ტირანი გოგონას, ჰოდა, იყო გოგონა თავის თაობაში პირველი პიონერი პიონერთა

ეროვნული ბიბლიოთეკა

შორის; იყო გოგონა თავის თაობაში პირველი კომკავშირელი კომკავშირელთა შორის... ამას ხომ უნდა ატანა, ვახო!.. არავის უყვარდა ის გოგონა... კომკავშირელი გრიმიო... ზურგსუკან ამბობდნენ მასზე, მაგრამ მაინც რომ მას ესმოდა, ისე მკაფიოდ ესმოდა, და ერთი სული ჰქონდა როგორმე თავი დაეღწია დედამისის ტირანიისაგან. მიენდო ერთ კაცს, უღალატა იმან, მეორეს მიენდო — იმანაც უღალატა... მერე კი, მერე გაბოროტდა გოგონა, ძალიან გაბოროტდა, მერე ცდილობდა თავად დაეცინა სხვებისთვის... ვახო, არ გეტირება?

ვახო — არა.

ნონა — რატომ, ვახო, არასდროს ვყოფილვარ ასე გულწრფელი, შენ კი აღარ გეტირება...

ვახო — ერთი რამე დაგავიწყდა, ნონა, მე ცხედარი ვარ უკვე, მე არაფერი შემძრავს...

ნონა — შენ ასე ფიქრობ?

ვახო — დარწმუნებული ვარ... მეტსაც გეტყვი, მე ახლა ისე ვხედავ, როგორც გარდაცვლილის სული შეიძლება ხედავდეს. ზუსტად ვიცი, რაც მოხდა შემდეგ. გოგონა ავხორცი ქალად იქცა. ერთხელაც დაფეხმძიმდა და თავადაც არ იცოდა რატომ, მაგრამ ამჯერად არ მოიშორა ნაყოფი... ტირანი დედამისი წიოდა – ვისია, ეს ნაბიჭვარი, შე ბოზო, ვისი! – ვისია და ჩემია, შე ქმარის ჩამშვებო!.. — პასუხობდა დედას. მამაშენის შვილი ხარ, ჩემი არ ხარ, შენი ადგილიც იქაა, იქ, გარყვნილ კაპიტალისტებთან... და აი, ისე მოხდა, რომ სისტემა ჩამოიშალა... /*ამოხედავს*/, მერე წახვედი, შენი ქალიშვილიც თან წაიყვანე, ხოლო დედაშენზე იმით იძიე შური, რომ სწორედ იქ, დასავლეთში, შენი ნაბიჭვრის თეთრწინსაფრიან გადიად აქციე... მერე დაბრუნდი... იქნებ იმიტომაც, რომ ჩემი უკანასკნელი ქალი გამხდარიყავი და... შენი მისია აღსრულებულია, ნონა, მე დავმთავრდი, აკი გითხარი, აღარაფერი შემძრავს-მეთქი... ახლა გჯერა ჩემი?

ნონა — არა!

ვახო — არა? თუმცა, რა მნიშვნელობა აქვს უკვე ან ჰოს, ან არას...

ნონა — არა, შენ ასე არ დამთავრდები, მე ეს არ მინდა, არა!.. არც შენ გინდა...

ვახო — ღმერთო ჩემო, როდის ყოფილა ეს ცხედრის ნებაზე დამოკიდებული...

ნონა — არა-მეთქი! არანაირი ცხოვრებისეული სინამდვილე არ მინდა! მე მსუბუქად მინდა, ლაღად, მაქსიმესავით...

ვახო — იდიოტურად, გინდოდა გეთქვა.

ნონა — თუნდაც იდიოტურად, მაგრამ ასე – არა! მე... მე რაღაც მინდა... სიურპრიზი მინდა!..

საქორწილო მარშის ხმაზე ასმათი შემოვა უცნობთან ერთად, რომელსაც გრძელი ფატა ჩამოუფარებია.

ასმათი — /*სახეგაბრწყინებული*/, — აი, დედა, ჩემი სიურპრიზი!

ნონა — /*წამისმიერად შეცვლილი*/, — ასმათ, თხოვდები?! აღსრულდა! აღსრულდა! ვახო, ხედავ, ვახო!

ვახო — /*უინტერესოდ გახედავს მათ*/, — გილოცავთ, ძალიან თანამედროვე ქორწინებაა!..

ასმათი — დედა, რა მოშხამული კაცია ეს კაცი, ამასთან როგორ მუშაობდი, დედა?!

ნონა — /*ძალიან ხმამაღლა*/, — აღსრულდა-მეთქი! ასმათ, დედიკო, გახსოვს, შვილო,სულ რომ მეკითხებოდი და მეკითხებოდი, მე კი გირიდებდი, მერე-მეთქი, მერე, რომ გათხოვდებიმეთქი და აი, აღსრულდა და ასმათ, ძვირფასო, ჰა, მამაშენი! /*თითს გაიშვერს ვახოსკენ*/.

ასმათი — /*გაწელილად*/, — ეეს?! დედა, ეს კაცი არ მინდა!..

ნონა — /*ტრაგიზმით ხმაში*/, — გინდა თუ არა, ისაა, ის!..

ვახო — /*წამოიმართება*/, — მოიცა, მოიცა, ახლა მოიცა!.. ყველაფერს თავისი საზღვარი აქვს!..

უცნობი ფატას ჩამოიხსნის. რა თქმა უნდა, გიგი აღმოჩნდება, მხოლოდ აეროპორტი ქუდით და ჩამოჭრილი, ბუღალტრული ულვაშით.

გიგი — ვახო, ძმობას გეფიცები, არაფერი ვიცოდი... ასმათმა წავიმაიმუნოთო და...ესე იგი, შენ უნდა მითხრა — სიძე შე ძველო! ესეიგი /*პაუზა*/, შეიკრა ოჯახი?! ჰმ...

ვახო — /*ნონასკენ თითმიშვერილი, უკიდურესად გაღიზიანებული*/, — რა ოჯახი, ბიჭო, რის ოჯახი! ამას უგდებ ყურს! სერიალებს დგამს ეს აქ! შენ კიდე რას გავხარ, რას!..

გიგი — მე, ისე... ასმათმა წავიმაიმუნოთო და...

ნონა — /*თავის ქანდურით, წელზე ხელშემოდებული*/, — აჰ, აჰ, აჰ, აღარაფერი შემძრავსო, მკვდარი ვარო, ვიღაც იძახდა! აი, თურმე როგორი ცოცხლები ყოფილან მკვდრები! აი, ასმათ, დედიკო, რა აღშფოთება სცოდნიათ ცხედრებს! და აი, შვილო, კაცი, რომელსაც იმდენი ტვინი არ ჰყოფნის, თავის სისხლსა და ხორცს, ასეთი ღირსახსოვარი დღე არ ჩაუშხამოს!.. /*ვახოს მიცქერილი*/, აიღე, შე მართლა იდიოტო, დეენკა! ჩახედე ბავშვის პასპორტს, გამოიანგარიშე თუნდაც...

ვახო — საიდან, საიდან უნდა გამოვიანგარიშო, როგორ უნდა გამოვიანგარიშო, ის გაასულელე, ის, ვინმე... მე...

ნონა — /*ხელჩანთიდან შეყვითლებულ ფურცლებს ამოიღებს*/, — საიდან გამოიანგარიშო?! აი, შენი მოთხრობა... გახსოვს! კომკავშირელ ბიჭზე რომ დაწერე და საკუთარი ხელით დაათარიღე! ხომ კარგად გახსოვს ის დღე... მაშინ ჩვენ ჩავიკეტეთ ჩემს კაბინეტში და...

ვახო — /*ასმათს*/, — გესმის, გოგო, გესმის, რას ლაპარაკობს ურცხვი დედაშენი?! კომკავ-

შირის ცეკას კომიტეტში, მაგიდაზე ყოფილხარ ჩასახული! გინდა, გაწყობს! ასე გინდა!

ასმათი — */მხრების აჩეჩვით/*, — სადღაც და როგორღაც ხომ უნდა ჩავსახულიყავი, ღმერთო ჩემო! დედიკო, მამა სულელია?

ვახო — არ ვარ მე მამა! არ ვარ და თანაც, მე არაფერი დამიბეჭდავს კომკავშირზე! არც პარტიაზე! არც ხელისუფლებაზე! არასოდეს, არაფერი...

ნონა — არ დაგიბეჭდავს, მაგრამ ხომ დაწერე! რა, ასე არ იყო?! ნეტაი შენ, ვახტანგ, რომ ასე განიცდი... დაფიქრდი ერთი, ვის რაში ჭირდები?! შენ, შენ გჭირდებით ჩვენ, თორემ მე რა, გავაჩინე, გავზარდე, ერთხელაც არ შემიწუხებიხარ, მე ვიყავი მისთვის დედაც და მამაც...

ასმათი — დედა, დედა, შენ მთავარი სიურპრიზი ვერ შეამჩნიე!

ვახო — */შეშინებული/*, — რაო?! კიდე სიურპრიზი! არ მინდა სიურპრიზი! მეყონ სიურპრიზი! კმარა სიურპრიზი! კმარა!

ასმათი — დედიკო, მამიკო ახალი კმარელიცაა?! */სახეგაბადრული/*, რა სასაცილოა, თანდათან ვეჩვევი, იცი! გინდა გაკოცებ!

ვახო — */შეშინებული/*, — არა! არ მინდა კოცნა! წასვლა მინდა აქედან, მაგრამ რატომ ვერ მივდივარ, რატომ ვერ მივდივარ, ნონა, რატომ...

ასმათი — ნუ წახვალ რა, მამა, გაიზიარე ჩვენი საერთო სიხარული!

ვახო — არ ვარ-მეთქი მე შენი მამა, არა!

ასმათი — შენ მარტო ჩემი კი არა, გიგის მამაც ხარ უკვე, არა, გიგი!.. თხოვე რა, დარჩეს...

გიგი — */ასმათს გადახედავს/*, — დარჩი მართლა, რა... მამა! */ისევ გადახედავს ასმათს/*.

ვახო — */გიგისკენ თითმიშვერილი/*, — დაგამუშავეს? დაგამუშავეს, არა! პაიაცი ხარ ამათი, ჯამბაზი ხარ, მასხარა!!! გაჭენავებს ცოტა ხანი და მოგისვრის მერე, ვერ ხვდები!!!

გიგი — */გალიმებული/*, — კი...

ვახო — მერე, მერე!!!

გიგი — */ასმათს გადახედავს, გაილიმებს მეტად/*, — მაჭენაოს... კი, მაჭენაოს... ცხოვრებაც ეგ ყოფილა, ჭენება...

ვახო — ნონა, გამიშვი, ნონა! შენგან მაქვს ჯადო, შენ მიბორკავ ფეხებს, შენგან ვარ ასე, გამიშვი, ნონა!!!

ნონა — */მხრებს აიჩეჩავს/*, — წადი, ბატონო, წაბრძანდი, ვინ გაკავებს!.. გიჟი თავისუფალია, წადი...

ვახო — წავედი! წავედი აქედან! მე აქედან წავედი!!! გარბის.

ნონა — */სინანულით/*, — ნუ, არანაირი აღმაფრენა, ღმერთო ჩემო, რა უსუსური ბაქტერიაა... */გიგის გახედავს/*, თქვენ კი, გიგი, მე თავიდანვე მომეწონეთ! თქვენ, ჩემო კარგო... */პირზე მიიფარებს ხელს/*, ასმათ, დედიკო, ესაა ხომ შენი მთავარი სიურპრიზი! გიგი იღიმება.

ასმათი — */სახეგაბადრული/*, — ხომ ძალიან ჰგავს, დედა! ფოტოზე რაც მინახავს, იმის ასლია!

ნონა — */თვალმოცრემლილი/*, — მამა, მამიკო, მამა!.. */გადაეხვევა გიგის/*, ჩემი საბრალო, მაქსიმე, ჩემო მამა!..

გიგი — */დაბნეული/*, — მაქსიმე ეს... */ასმათს გადმოხედავს/*, რატომ მაქსიმე?..

ასმათი — ბაბუას ხომ მაქსიმე ერქვა...

გიგი — ბაბუას?

ნონა — დიახ, იმ ცხონებულს მაქსიმე ერქვა, მეც ამიტომ ავირჩიე ეს ფსევდონიმი... ამით მე დედაჩემის ტირანიას ვებრძოდი, ჩემო მაქსიმე...

გიგი — მე, გიგი ვარ... ისა... ნონა...

ნონა — ვიცი, ვიცი, მაგრამ იყავი მაქსიმე, ჩვენ უფრო გვეყვარები ასე... ჭეშმარიტად, ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ. კომპლექსები გვმართავენ... */ასმათს გადმოხედავს/*, რა გვიქნა, შვილო, გიჟმა ბებიაშენმა, რანაირად აგვრია ასე */გიგის მიაცქერდება/*, მაქსიმე, მამა, მამა,მაქსიმე!.. */გადაეხვევა/*, ჩემო საბრალო, როგორ გიყვარდა ცხოვრება... ქალები გიყვარდა, დროსტარება, ფულიც გიყვარდა, რამ მოგაყვანინა ის ქალი, კლარა ცეტკინს რომ ეძახდი, რამ?!

ასმათი — დედის დედით იგინებოდაო ბებომ ბაბუზე...

ნონა — */თავს უქნევს ასმათს, თვალცრემლიანი ეფერება გიგის/*, — ჩემო მაქსიმე, ჩემო...

გიგი — კი, ნონა, გასაგებია... მაგრამ მე გიგი ვარ-მეთქი...

ნონა — */ასმათს გადმოხედავს/*, — რა, არ უნდა?!

ასმათი — */გიგის/*, — არ გინდა ჩვენი თამაში?

გიგი — არა, თამაში როგორ არ მინდა, მაგრამ მე გიგი...

ნონა — */ცივად/*, — იცი, რა, ასმათ, მგონი არ გავს... ის უფრო ახალგაზრდა არის ფოტოზე... ამას ჭაღარა აქვს, აგერ, აი! ცხვირიც ცოტათი... არა, არ გავს...

ასმათი — არ ჰგავს?

ნონა — რამ მომაჩვენა თავიდან, მეც არ ვიცი... ჯეკო უფრო გავდა მაქსიმეს... გეფიცები...

გიგი — ჯეკო?!

ასმათი — არა, არც ის გავდა... თუმცა, მეც არა ვარ დარწმუნებული...

ნონა — ეჰ, წავედი, შვილო!..

ასმათი — წავედით, დედიკო... გიგი, შენ თავისუფალი ხარ, პროექტი დაიხურა.

ხელმკლავგამოდებული ასმათი და ნონა სცენას დასტოვებენ. გიგი მარტო რჩება, ერთხანს გაოგნებული დგას. ქუდს მოიხდის

გიგი — ამას ჰქვია ტოტალური... */პაუზა/*,

ეროვნული ბიბლიოთეკა

არა, ამას ქვია ზეტოტალური... */სარკეს მიუახლოვდება. ერთხანს უცქერს თავის გამოსახულებას, ქუდს დაიხურავს, მოიხდის, ისევ დაიხურავს/*, პაიაცი, ჯამბაზი, მასხარა!.. */ქუდს მოისვრის, ულვაშს მოიშორებს/*.

შემოდის ვახო.

გიგი — დასრულდა ჩვენი ჭენება, ვახო, ქუჩაში ვართ...

ვახო — */გაღიმებული/*, — ეს, რომ იცოდე... */ბოთლიდან მოსვამს არაყს. ჩამოჯდება/*, ეს არის ყველაზე ბედნიერი დასასრული!.. დალევ?

გიგი ვახოს გვერდით ჩამოჯდება, არყის ბოთლს ჩამოართმევს და პირდაპირ ბოთლიდან სვამს.

გიგი — */ვახოს გამოხედავს/*, — ბომჟები ვართ, ტო...

ვახო — ჩაკარი.

გიგი — სარკეში თმას ვივარცხნიდი, გიჟური ისტორია გათამაშდა ჩემს თვალწინ, ჰალუცინაციასავით იყო რაღაც... */მოსვამს, ვახოს გაუწვდის ბოთლს/*.

ვახო — მე კოშმარი დამესიზმრა. */ბოთლიდან მოსვამს, გაიღიმებს/*, ახლა არამიშავს, კარგად ვარ... კი... კარგია აქ...

გიგი — სად, აქ?

ვახო — */გაღიმებული/*, — რა მნიშვნელობა აქვს სად?! რაც, მთავარია, კარგია. */მოსვამს, პაუზის შემდეგ/*, იქნებ იმის სიზმარშიც...

გიგი — ვის სიზმარში?

ვახო — */გიგის გადმოხედავს, თვალს ჩაუკრავს, თითქმის ჩურჩულით/*, — ...იმის!

გიგი — */ბოთლს ჩამოართმევს, მოსვამს/*, — რატომ არის კარგი, ბომჟები ვართ...

ვახო — */ოღიმება/*, — ბომჟები კი არა, ლტოლვილები ვართ, მაგრამ მაინც კარგია... სიჩუმეა... ვართ ჩვენთვის...

გიგი — აი, ნისლი დაიძრა...

ვახო — */ოღიმება/*,) — შენ ხომ ტვინი წაიღე ამ სტანდარტული ნისლით...

გიგი — მე არ გამიშვია, თავისით დაიძრა... წავიდეთ ჩვენც...

ვახო — სად?

გიგი — რა ვიცი, ბოზებთან წავიდეთ... ძველ, ნაცად ბოზებთან... ისეთები არიან... იციან მეგობრობა... შეგვიფარებენ...

ვახო — არა... მე დაველოდები...

გიგი — ვის?

ვახო — */გაღიმებული/*, — იქნებ გაიღვიძოს. */ისევ გაღიმებული/* თუ არადა გული გამისკდება...

გიგი — მაშინ... */პაუზა/*, მე წავალ ბოზებთან.

ვახო — */გაღიმებული/*, — წადი, მე დაველოდები...

გიგი — */ადგილიდან არ იძვრის, უცნაურად თვალგაციებული/*, — წავალ რა, აბა, სად წავიდე/! */პაუზა/*, ჰოდა, წავალ...

უძრავად სხედან ნისლში. მათ ზურგსუკან მოკრივის მუთაქა, იბერება, თითქოსდა სახიფათოდ აძგერებული გული უნდა გასკდეს სადაცაა.

ფ ა რ დ ა

ნუკრი ჩიტაია

ეჩავითეჩი შემამსუბუქებელი გეჩემოებანი, გეთაყვა.

რატომ მაწამებთ? ერთხელ უკვე ვაღიარე. განა არ არის საკმარისი? მე იდა რაითი მოვკალი. სამზარეულოს დანა შევურჭე. სიამოვნებას განიჭებთ ამის კიდევ ერთხელ მოსმენა? დეტალებით ტკბებით, ასეა განა? ძალიან საინტერესოა: ვიღაცა ქალი თავის საუკეთესო მეგობარს კლავს, დღისით-მზისით, სამზარეულოში კარტოფილის ფცქვნის დროს. არ გჯერათ ჩემი? რა? განა ისე გამოვიყურები, თითქოს თავის გაწირვა მსურდეს და ამით ნამდვილი მკვლელის ვინაობის დაფარვა? ამას არავის გამო არ ვიზამდი. მაშ, სხვას ვის უნდა მოეკლა იგი? მას ხომ მტერი არ ჰყავდა. ყველას უყვარდა ეს ქალი. ყველასათვის სათაყვანო, მომხიბვლელი ქალბატონი რაითი. იგი ერთნაირად უყვარდა როგორც ყასაბს, ისე ქუჩის ინსპექტორსა და საგადასახადო კონსულტანტს. ჩემს ქმარს? მხოლოდ ზომიერად. ქალი მას აღიზიანებდა, ისევე როგორც მე – ბატონ რაითს. ათი წელი ვმეგობრობდით, დიახ. ბატონი რაითი ჩემი ქმრის კოლეგაა. – ორი ჩინოვნიკი იუსტიციის სამინისტროში. დაბალი რანგის ხელმძღვანელები... ორივე დაწინაურებას ელოდება. ამის შემდეგ, დაწინაურებული პირი მეორის უფროსი გახდება. შანსები თანაბარი აქვთ. არც ერთს არ უნდოდა, მეორისგან დაჩაგრული ყოფილიყო, გესმით? მეტი არაფერი? როგორ არა: რაითი ჩემი უფროსი შვილის ნათლიაა, ჩემი ქმარი კი – რაითების უფროსი ბავშვისა. ისე, როგორც წესით მიღებულია. სასაცილოა, სახარხაროა პირდაპირ, რა ზედმეტად ნორმალურია ყოველივე ეს; რა გონივრული; რა ზედმიწევნით მშვენიერი. მოკლედ, რაითები და ციმერმანები ერთმანეთს ეკვრიან ისე, როგორც ფისი და გოგირდი. ნუთუ გგონიათ, რომ ლოცვის გარეშე იძინებდნენ? არავითარ შემთხვევაში. ეს ყოველივე ზედმეტად მოწესრიგებულ, ზედმეტად სუფთა, კარგ რეპუტაციაზე მიანიშნებდა. მე ხომ არ?..რა? ხომ არ ვეჭვიანობდი, რომელიმე მხარეს? სასაცილოა. თუ მიყვარდა ფრაუ რაითი? როგორ გითხრათ, ჩვევის ამბავია. მის გუშინდელ კითხვაზე დავფიქრდი. ანუ: ეს ამბავი დაგეგმილი არ ყოფილა, ცხადია, არა, მაგრამ ალბათ კიბოსავით იყო, შენში რომ ატარებდ და ვერ ამჩნევ, ხოლო ერთ მშვენიერ დღეს, ვუთხარი: ახლა მე წავალ, თორემ... თორემ რა? არ ვიცი. მაგრამ იყო მომენტები, როცა ის (შიე – ქალი) აუტანელი იყო. ისე, უბრალოდ. არა, კამათი არა, არასოდეს. ყოველთვის მეგობრული და თავაზიანი იყო, თვინიერ კატასავით. უფრო მოთვინიერებული, მე ვფიქრობ. არა, სიგარეტი არა, მაგრამ ფანჯარას თუ გამოაღებთ... ნუ გეშინიათ, არ გადავხტები. თქვენ ისაც კი შეგიძლიათ, საკნის კარი და რკინის ჭიშკარი ღია დატოვოთ, გარეთ არ გამოვალ, სადაც ყველაფერი მაინც უკვე ჩავლილია, და ეს გარეთ ჩემთვის (უკვე) აღარ არსებობს. მათ უჩემოდაც შეუძლიათ ცხოვრება. ესეც უკვე ჩავლილია, ჩემი ცხოვრება ამონურულია, არ გესმით? ავად ხომ არა ვარ? არა. მე მგონი არა. დეპრესიული? ეს კი ვინღა არ არის? არა. არავითარი თვითმკვლელობის მცდელობა. არასოდეს. ნარკოტიკები? არასოდეს. არა, არავითარი ფსიქიატრი. ოღონდ ეს არა. შემამსუბუქებელი გარემოებანი? არ მსურს. გესმით: არ მინდა. არავითარი მოწყალება; არავის მხრიდან. მოვკალი და ნათელ გონებაზე გახლდით. არ გჯერათ? საღ გონებაზე საკუთარ მეგობარ ქალს დანას არ უყრიან? ასე გგონიათ? ამგვარი მეგობრობისას ყველაფერი ერთმანეთშია არეული, რასაც დიდხანს ვერ ამჩნევენ, თავს იტყუებენ, მთელი დროის განმავლობასი ქვევით შავი ხვრელისკენ არ იყურებიან. ერთხელ ექსკურსიაზე ვიყავით, დეკორატიულ შადრევანთან მივედით, მან აუზში გომბეშოს ხელი სტაცა, ვინ? ფრაუ რაითმა, რა თქმა უნდა, დაიჭირა და იქვე გალავანზე მიასრისა, რატომ? იმიტომ რომ გომბეშო პრინცად სურდა ეხილა, ისე როგორც ზღაპარშია „მეფე-გომბეშო". ვიკივლე და მინდოდა გომბეშო წამერთმია, მაგრამ მან მკვდარი ცხოველი

ისევ აუზში ჩააგდო და ქმარს უთხრა: შენთანაც ხომ არ ვცადო იგივე, ან ციმერმანთანო? მისი შეგვეშინდა. ეს გუშინ არ მითქვამს, არა აღარ ვიცი. მე ძაღლივით მიღრენდა, დიახ, ასეა, რა ვთქვი გუშინ, მან ჩემ ქმარს უკბინა. ჰო, ის ჩვენს შორის იკბინებოდა, მას ყოველთვის ყველაფრის შთანთქმა სურდა. სიამოვნებით შეგსანსალავდი – ეს მისი გამოთქმა იყო და ვერ მიხვდებოდი, ეს ხუმრობა იყო, თუ სხვა რამ. თუ ეს საბაბი იყო ჩემი ქმედებისათვის? არა, მიზეზი ალბათ, უკვე კარგა ხანია არსებობს, მაგრამ ფარული, ვინ იფიქრებდა, რომ ჯადოქარიც იქნებოდა. ისე, რომ შეხედო, ლამაზია, ვარდისფერი, ქერა, მხიარული და ბანალური. როგორ თუ ჯადოქარი, მეკითხებით, სწორედაც რომ ამისთანა გახლდათ და ჩვენ არ ვიცოდით. არც მე ვიცოდი, სანამ ჩემს ახალშობილს არ უკბინა; დიახ, დიახ, ეს სიმართლეა, უნდა დამიჯეროთ, რადგან ეს ყველაზე მთავარია იმ ამბავში, რაც შემდეგ მოხდა: ერთ დღეს მოვიდა, რა თქმა უნდა, მსურს გიამბოთ, თუმცა ეს ხომ უკვე გითხარით, გასაგებია. გგონიათ, საკუთარ თავთან წინააღმდეგობაში მოვალ და შეძლებთ ნიღაბი ჩამომხსნათ და შეცდომებზე მიმითითოთ? რაც ალბათ, შვებას მომგვრის, მაგრამ შეცდომებს არ ვუშვებ, რადგან განტვირთვა არ მსურს, გასაგებია? დიახ, ახლავე გიამბობთ, ოღონდ თქვენ კაცი ხართ და ამიტომაც ყველაფერს სრულად ვერ აღიქვამთ, რადგან გგონიათ, რომ ყველაფრის ახსნა ერთ სიბრტყეზეა შესაძლებელი, მაგრამ არსებობს სხვადასხვა დონეები, ორი ან სამი, და ყოველ მათგანზე... მისმენთ? ვხედავ, არც ერთი სიტყვის არ გჯერათ, რასაც მე ვამბობ, ან მხოლოდ ნახევარი, მხოლოდ რაღაც უმნიშვნელო ნაწილი; მინდა გაგიადვილოთ, ვცდილობ ის სცენა დაგიხატოთ, როცა ეს ყველაფერი მოხდა, მაშასადამე: აქ არის ნაქირავები სახლის სამზარეულო, დილის თერთმეტი საათია, სამზარეულო ჯერ დაულაგებელია, საუზმის ჭურჭელი გაურეცხავი და აქ ასევე დგას ქალი, ჩემნაირი, დაუბანელი თავითა და ჭუჭყიანი წინსაფრით, ფეხები ქოშებში წაუყვია, დაღლილია, რადგან ექვს საათზე ადგა, თავის ორ უფროს შვილსა და ქმარს საუზმე მოუმზადა. შემდეგ უფროსები სკოლაში მანქანით წაიყვანა და პატარა გზად საბავშვო ბაღში დატოვა; მერე შინ მოვარდა, რადგანაც შიშობდა, ახალშობილს არ გაღვიძებოდა, ან ავად ხომ არ იყო, ან ბალიშის ქვეშ ხომ არ იხრჩობოდა, ან ლოგინში ცუდად ხომ არ მომწყვდეულიყო. ქალმა კინაღამ ძაღლი გაიტანა, ის ქუჩის განაპირას მოძრაობს, გუბეებში არტყამს, კიბეებზე გიჟივით არბის, პატარას ტირილი ესმის, მადლობა ღმერთს, ცოცხალია... აბანავებს და აჭმევს. შემდეგ ქალი ბავშვიანად, ეტლით, სუპერმარკეტში მიდის; პარასკევია, ამ დღეს ყველანი საყიდლებზე მიდიან, თითქოს შემდეგ აღარაფერი იქნება, რომ მერე იყიდო; შემდეგ შინ ბრუნდება. ეს ყველაფერი ფეხით სვლის ტემპში ხდება. აბაზანას ასუფთავებს, ლოგინებს ახალ თეთრეულს აკრავს და კარტოფილის ფცქვნას იწყებს, რა? კარტოფილი არ ყოფილა? რა ვთქვი მე გუშინ? კარტოფილი სწორედაც რომ იყო; თერთმეტის ნახევარია, სამზარეულოში უწესრიგობაა, მეც მოუწესრიგებელი ვარ, ყველგან არეულობაა, ამდენი ქაოსისგან თავი მტკივა და ამ დროს კარზე ზარია, ვინ შეიძლება იყოს; ის არის, ეს-ესაა საპარიკმახეროდან მობრძანდება, მშვენივრად მოწესრიგებული, ლამაზად აცვია, ვარდისფერია და მხნე, ერთი შეხედეთ, როგორ დგას? ახალი ცისფერი კაბა აცვია. ღია, ღია ცისფერი, ცასავით – როგორც პატარა გოგოს. ძვირფასო, ფოსტაში მივდიოდი, არ შემეძლო, გვერდით ისე ჩამევლო, არ მოგსალმებოდი. შესაძლოა, მაგრამ ჩემთან... არა უშავს, მაგრამ შენი პატარა ტირის, ავადაა? არა, ჩაისვარა და გამოსაცვლელია, სულ ეს არის. თავი დაანებე, იყოს საწოლში, ახლავე დავბან და გამოვუცვლი. ნახე რა საყვარელია! შეიძლება საყვარელია, მაგრამ ახლა სუნი უდის. მას პატარა უკვე ხელში ჰყავს და ცეკვავს სამზარეულოში, თან რაღაც სულელურ ამერიკულ სიმღერას მღერის, მყ სწეეტ ბაბყ, მყ ანგელ და ასე შემდეგ; გეუბნები, დასვი ბავშვი საწოლზე! ძვირფასო, მყავდეს, რა მოხდა, გთხოვ, შენ ხომ მოგწონს ჩემთან პატარავ, არა? დედაშენს ხომ შენთვის არ სცალია, რატომ გააჩინეთ ოთხი შვილი, ეს ძალიან ბევრია. ახლა კი ვეუბნები: შენც სიამოვნებით გეყოლებოდა, ალბათ უფრო მეტიც... ვიცი, რას იზამ, ვწუხვარ, არავინაა რთული ოპერაციისგან დაზღვეული, მაგრამ ბოლოს და ბოლოს, დღეს ხომ სხვა მეთოდებიც არსებობს იმისათვის, რომ ბავშვი გყავდეს, ახლა კი დასვი ჩემი შვილი საწოლზე, მორჩი. ასეც იქცევა და წყვეტს სიმღერას; ახლა ყავა უნდა, გამიკეთებ? თავად მოიმზადე, ჭურჭელი იქ არის, შაქარი იქ, რძე მაცივარშია, წყალი – დოქში, მოკლედ, შენ იცი. დღეს მაინცდამაინც სტუმართმოყვარე არა ხარ. არა, არავარ, ვერ ხედავ, ამდენი საქმისგან ჭკუა მაქვს არეული. ვხედავ – თქვა მან. სტრესი გჭირს, უნდა ქალაქიდან გახვიდე, შვებულება მოიწყო. კი მაგრამ, როგორ, ოთხი ბავშვით, სად. დედა ხომ გყავს, შეუძლია შეგცვალოს. დედაჩემი, ჰა, მას ხომ პატარა ბავშვები არ უყვარს. ან შენი დედამთილი. მას მე არ ვუყვარვარ. ან სხვა ნათესავები. არა მყავს და არც მჭირდება. თავს იღუპავ, რას მეუბნები. ჰო, შენი ქმარი ვერაფერს იღებს შენგან, საპარიკმახეროში უნდა წახვიდე, ხომ წახვალ, ხვალ შეფთან წვეუებაა, აუცილებლად უნდა წახვიდე. ვალდებული არა ვარ და ვერც შევძლებ, ძიძა არა მყავს, მე გამოგიგზავნი ერთ სტუდენტ გოგონას. მოეშვი. კი მაგრამ, რას იტყვიან, შენი ქმარი თუ მარტო მივა, ხომ შეიძლება იფიქრონ, რომ... იფიქრონ, რაც უნდათ, წადი, სარეცხი

უნდა შევკრა, სამრეცხაოში თორმეტამდე უნდა მივიტანო. რა, თეთრეულს არეცხინებ? მე არასოდეს, ყოველთვის თვითონ ვრეცხავ სარეცხის საპნით, ეს ყველაფერს ჯობია; სამრეცხაოში სარეცხის საშუალებებს იყენებენ, ისინი ხომ საზიანოა, ამის გამო ბავშვები კანის დაავადებებით ავადდებიან. მათ ეს აზრადაც არ მოსდით. არ გიყვარს რეცხვა? მიყვარს, როცა სარეცხი მანქანა მუშაობს, მე ვმღერი, ის კი მყვება. მაშ, მღერი ჰა? მითხარი გეთაყვა, ფარდების ჩამოხსნაში ხომ არ მოგეხმარო, ჭუჭყიანია, მაგრამ რატომ ასე ყავისფერი? ჩემი ქმარი და ამიტომ შენ რა, არ უკრძალავ მოწევას იქ, სადაც ჩვილი ბავშია? ჩემი არ ეწევა, მხოლოდ დაუკმაყოფილებელი კაცები ეწევიან. მაშასადამე, შენი დაკმაყოფილებულია, არა? ჰო, აბა რა, მისი პატარა კეთილი მდივანი გეხმარებათ ამაში. იცინის, არ ბრაზობს, მას თვითკმაყოფილების ჯავშანი აქვს აფარებული, რომელიც ასე შეუვალია. აბა, ვეუბნები, მირჩევნია გაბოლილი ფარდები, ვიდრე ჩემს ქმარს ხასა ჰყავდეს სამსახურში; ჩვენ მაინც ოთხი შვილი გვაყვს, ყველა მისგანაა, სასურველი და დაცული, ჩემი ქმარი უკმარისობას არ უჩივის. მე კი ჩემსას ყოველგვარი ცელქობის უფლებას ვაძლევ, თქვა მან, ყოველთვის უკან ბრუნდება, მონანიებით, მაგრამ კმაყოფილი, ჩვენ ქალებსაც კი გვმართებს. რა? ზოგჯერ გვერდზე გავხტეთ, ეს ახალგაზრდობას გვინარჩუნებს; მაგალითად, შენც შეგეძლო. რა? აი, დოქტორ პეტერსენი ხომ შეყვარებულია შენში. ვინ? ბავშვების ექიმი. შენ აფრენ. მშვენიერი ფლირტი იქნებოდა, რატომაც არა, მეცა მაქვს ერთი. რა, შენ სხვაგანაც დადიხარ? დავდივარ ზოგჯერ, ეს მამხიარულებს. ჩვილი ისევ ტირილს იწყებს, მისი აყვანა მინდა, მაგრამ პატარა უკვე მის მკლავებშია, მაშინვე ხელი სტაცა, აქეთ-იქით დაატარებს, გულში იკრავს, ძვლებს მოსტეხს, ისევ მღერის, მღერის არასწორად; მომეცი ბავშვი, ვეუბნები, არა, მე დრო მაქვს აქეთ-იქით რომ ვატარო, შენ კი –არა. მომეცი, უნდა გამოვუცვალო. რაო, ეგ მოიცდის, ხედავ, იცინის, უხარია, ვუყვარვარ, არა, ჩემოტკბილო, ხომ გიყვარვარ? ბავშვი მომეცი. ქალი ბავშვით დახტის, ცეკვავს, მღერის, სარეცხის კალათას ახტება. მომეცი ბავშვი; ცეკვას აგრძელებს მაგიდის გარშემო, ყავადანი უსტვენს, ბავშვი ჩხავის, ის კი მაგიდაზე ხტება და იცინის. ნამდვილი გრძნეულია, ახლა ვხვდები, ბავშვს მოიტაცებდა და გაიქცეოდა, არა, ან კიდევ პირს დააღებდა და გადასანსლავდა. მეც მაგიდაზე ვხტები და ბავშვს ხელიდან ვტაცებ. ის ყვირის, დამიტოვე ბავშვი, მე კი მისგან შორს მიმყავს და საწოლში ვაწვენ. უნდა უკან გამომყვეს, მე კი ხელს ვტაცებ სამზარეულოს დანას და ვურჭობ; ყელიდან სისხლი მოსდის, გაოცებული მიყურებს, შემდეგ ეცემა, ასე დაგდებულს ვტოვებ და პოლიციაში გავრბივარ: ადამიანი მოვკალი. აი, ასე იყო ეს ყოველივე. ახლა კი გთხოვთ, თავი დამანებოთ. ახლა ყველაფერი რიგზეა. ერთხელ და სამუდამოდ. როგორ? ეს თქვენ გუშინაც გითხარით: ყველაფერი გამოგონილია, ასე გგონიათ? რა სისულელეა. თითქოს ეს რაიმეს ცვლიდეს. მოვკალი. მორჩა. საქმე მოთავებულია. ცოცხალი გადარჩა და კართან მივიდა? ეს მტკიცებულება იქნებოდა? რომ არ ვიცინი? თქვენ ტყუით. სულელურად იტყუებით. სულ არაფერი გესმით. ის უკვე ნამდვილად მკვდარია, ერთხელ და სამუდამოდ. ახლა კი წადით, ბოლოს და ბოლოს.

გერმანულიდან თარგმნა

რუსუდან ბეჟაშვილმა

ირაკლი
გამზარდია

მეგობელ-სვანური ესეიზები ანუ სოტა ჩამ ოჩი დედაენის თეორიის შესახებ

სახელი — არჩილი
გვარი — გამზარდია
ეროვნება — ქართველი
დედაენა — ქართული

ასე იყო დღემდე...

ყოველ შემთხვევაში, ჩვენ ყველას ასე გვეგონა...

ბოლო პერიოდში, მეცნიერების გარკვეულმა ნაწილმა კვლავ დაიწყო მსჯელობა და კამათი მეგრული და სვანური ენაკავების, მეტყველებების, კილოების სტატუსის შესახებ. ცხადია, მეც დავინტერესდი ამ ამბით, რადგან სახუმარო საქმედ არ მეჩვენება არც ერთი საკითხი, რაც ჩემს ეროვნულ თუ კუთხურ წარმოშობას შეეხება. მეცნიერულ კვლევა-ძიებაში ჩართვა, მართალია, სოციოლინგვისტთა პრეროგატივაა, თუმცა, ნებისმიერ ჩვენგანს პროცესებში პროფესიული და მოქალაქეობრივი დაინტერესებისა და ჩართვის უფლებასაც (რაც, ვალდებულებაც კი არის) ვერავინ წაგვართმევს.

ჩემი ინტერესი, უპირველეს ყოვლისა, საკუთარი იდენტიფიკაცია გახდა და მეც ამ საკითხს, როგორც საზოგადოებრივი ურთიერთობების სპეციალისტი — პროფესიულად და როგორც ამ ქვეყნის შვილი — მოქალაქეობრივად მივუდექი. მოვიძიე „ამბის" ატეხვის ისტორია, შესაბამის მხარეთა პოზიციები, სხვა დოკუმენტური მასალები და თავი, უნებლიედ, „ჟურნალისტ-გამომძიებლის" რანგში ამოვყავი.

1. „იყო და არა იყო რა..."

იყო და არა იყო რა... იყო ჩვენი საქართველო, თავის კუთხეებით, კულტურით, ისტორიით, თავისი რწმენითა და თავისი ენით... ისტორიის მანძილზე ჩვენი ქვეყანა არაერთხელ რომ გამხდარა შინაური თუ გარეული მტრის თავდასხმის ობიექტად, ეს ისედაც ყველამ ვიცით; ციხე რომ ძირითადად შიგნიდან ტყდებოდა, ესეც ცნობილი და არაერთხელ გაგონილი ამბავია; მტრობა რომ მრავალნაირად არის შესაძლებელი, არც ამის დასკვნა იქნება ჩემი მხრიდან აღმოჩენა; აი, ჩვენი, ქართველობის საკითხი კი, გულწრფელად ვთქვა, არ მეგონა, საერთოდ თუ გახდებოდა როდესმე მსჯელობის საგანი, თუმცა... როგორც ჩანს, ასეთი რამეც ხდება ხოლმე.

საზოგადოდ, უნდა ითქვას ისიც, რომ ზოგიერთი თანამედროვე მოღვაწე არა მხოლოდ ეროვნულ საკითხებს განიხილავს „ორიგინალურად" და, შეიძლება ითქვას, მეტისმეტად უცნაურადაც, უფრო მეტიც, ასეთი ტიპის მკვლევარები კიდევ უფრო შორს მიდიან და საკითხებს მეტად „გლობალურადაც" სვამენ. მაგალითისათვის, ზოგიერთი მეცნიერი იმის გარკვევასაც კი ცდილობს, თავად დედამიწელები რომელი პლანეტის (გალაქტიკის) წარმომადგენელთა შთამომავლები შეიძლება იყვნენ.

ბოლო პერიოდში არაერთი პუბლიკაცია და დოკუმენტური ფილმია მომზადებული იმის შესახებ, თუ რამდენად რეალური შეიძლება იყოს „თეორიები" ჩვენი უცხოპლანეტური წარმოშობის შესახებ. ერთ-ერთ ასეთ მცდელობაში ისიც იყო განცხადებული, არ გაგიკვირდეთ, თუ თქვენს გვერდით ადამიანები კი არა უცხოპლანეტელები ცხოვრობენო. უფრო მეტიც, ამავე ვარაუდში მკვლევარ-მეცნიერები იმასაც აცხადებენ, არც იმაზე გაოცდეთ, თუ თქვენვე აღმოჩნდით უცხოპლანეტელიო.

მონაყოლი ანეკდოტი არ გეგონოთ და არც გაიკვირვოთ. დღესდღეობით, მსოფლიოში არაერთი მილიონი იხარჯება საიმისოდ, რომ

ადამიანებში გაუცხოება ფართო პროფილით გამოიწვიონ. იმავე პროფილის მესვეურები, ხშირად, მცირე ქვეყნებსაც მიადგებიან ხოლმე, აფინანსებენ-რა მათში წამყვან სპეციალისტებსა და წარმომადგენლებს ისეთი თეორიებისა და მეცნიერული დასკვნების წარმოსადგენად, რაც ამა თუ იმ ერს, ხალხს საკუთარ თავთან, საკუთარ ხალხთან, საკუთარ ერთან გააუცხოებენ. შესაბამისი კვლევა-ძიების მიზნები რთული წარმოსადგენი არ იქნება.

აღნიშნული თეორიები ზოგჯერ ფრიად პოპულარული და აღიარებულიც ხდება, თუმცა, საბედნიეროდ, გავრცელებისა და მხარდაჭერის სათანადო არეალს ისინი ჯერჯერობით ვერ აღწევს. ამდენად, მეც სანამ თავადაც საკუთარ თავზე ანტენების მოძიებას დავიწყებდე და საკუთარი წარმოშობის ინტერგალაქტიკური ვერსიები დამაფიქრებდეს, ამ ეტაპზე მის მსგავსად შექმნილ საკითხს, ეროვნულ-კუთხური წარმოშობისა და დედაენის გარკვევას შევეცდები.

ბოლო ხანს უკვე აქტიურად დაიწყეს მსჯელობა იმის შესახებ, რომ საბჭოური რეჟიმის შემდგომაც კი ხდება მცდელობა ქართული ეროვნული შეგნება განცალკევებულ თემობრივ-ტომობრივ შეგნებამდე დაიყვანონ. ისტორიამ, ცხადია, შემოგვინახა ის ფურცლები, როდესაც რუსული ბატონობის პერიოდში არაერთხელ შეეცადნენ ქართველი ერის დიფერენცირებას. მაგალითად, ცნობილია შემთხვევა, როდესაც რუსულმა მმართველობამ ლამის იყო და დამწერლობა „შეუქმნა" სვანებსა და მეგრელებს, შემდეგ იყო და მღვდელმსახურება კინაღამ აღავლენინეს „სვანურ და მეგრულ ენებზე" ა.შ. და ა.შ. ასეთ პოლიტიკას ჩვენში თავისი წარმომადგენლებიც ჰყავდა, თუმცა მათი ძალისხმევის მიუხედავად, საბედნიეროდ, ლოგიკური წარუმატებელი შედეგები მოჰყვა და მცდელობები დღემდე მხოლოდ მცდელობებად დარჩა.

როგორც წესი, სტრატეგიული გეგმის თვისობრივობა ითვალისწინებს, რომ პირველადი ან ეტაპობრივი წარუმატებლობის შემთხვევაში, ყოველ გარკვეულ პერიოდში განახლებული თვისობრივი მიდგომებით ხელახალი, გეგმის ასე ვთქვათ „B" სტრატეგიის შემუშავება მოხდეს. ამის შემდეგ, კვლავ გრძელდება განახლებული მცდელობები და მუშაობა შესაბამის შედეგამდე. ამგვარი გეგმების მიმართულება, ჩვეულებრივ, საზოგადოების შესაბამის ფენებსა და შესაბამისი მიმართულებით ვრცელდება. ამ მიზნით წარმოდგენილი დარგობრივი სპეციალისტები, უპირველეს ყოვლისა, თავადვე იწყებენ ხმაურს, რომ მათი ინტერესები მხოლოდ პროფესიულია და არაფერი საერთო არ აქვთ პოლიტიკასთან. ამის დასტურის საიმიჯო მახასიათებლის მოპოვების შემდეგ კი ისინი სწორედ რომ ახორციელებენ დაკვეთილ პოლიტიკას.

ასეთი სპეციალისტები, ხშირად საზოგადოების ყველაზე დამსახურებული და საპატიო წრეებიდან გამოდიან, ქმნიან რა საფუძვლებს თავიანთი პროფესიული მიმართულებებით. ამ ეტაპის შემდგომ უკვე ვრცელდება შესაბამისი პოლიტიკის სტრატეგიული გეგმის განხორციელება, ისე რომ უპირველეს ყოვლისა, სწორედ აღნიშნული წარმომადგენლები (საზოგადოებისათვის ცნობილი პირები, მეცნიერები, მკვლევარები, დარგობრივი სპეციალისტები) გაიძახიან, ჩვენს საქმიანობას არაფერი საერთო პოლიტიკასთან არ აქვსო.

ხშირად ისეც ხდება, რომ თავის მოწინააღმდეგეებს სწორედ ისინი უწოდებენ პოლიტიკიდან მეცნიერებაში აღრეულებს და ა.შ. ეს მეთოდი ფრიად გავრცელებულია პროპაგანდისტულ ტექნოლოგიებში, მეთოდის მიზანია მიმბაძველებთან არევა და ის გამოიყენება დისკრედიტაციისათვის, როდესაც დამნაშავეები, გრძნობენ რა ჩავარდნას, პირველები იწყებენ ყვირილს და ხალხის რისხვას სხვა მხარეს მიმართავენ. ამ მეთოდს წარმატებით იყენებენ როგორც სახელმწიფო ადმინისტრაციული უწყებები, ასევე გარკვეული პოლიტიკის გამტარებელი არასახელისუფლებო ინსტიტუტები (სამეცნიერო საზოგადოების შერჩეული წარმომადგენლები, სპორტის, კულტურისა და შემოქმედებითი სფეროს გარკვეული წარმომადგენლები და ა.შ.); როგორც წესი, საზოგადოების დეზორიენტაცია მათი მეშვეობით ხდება.

ცხადია, ის მიდგომა, რომ არასახელისუფლებო საზოგადოებრივ ინსტიტუტებს პოლიტიკასთან საერთო არაფერი შეიძლება ჰქონდეთ, უკვე დიდი ხანია მოძველდა. დღევანდელ ეპოქაში უკვე ყველა შეთანხმდა იმაზე, რომ პოლიტიკის საგანი სწორედაც ყველაფერია, მათ შორის რელიგიაც კი, კულტურასა და მეცნიერებაზე რომ აღარაფერი ვთქვათ. ასე, რომ... შესაბამისი სფეროს წარმომადგენელი, თუ კი იტყვის რომელიმე დარგზე, რას ამბობთ, ბატონო ჩემო, რა პოლიტიკა, რის პოლიტიკა, ჩვენ მხოლოდ წმინდად კულტურაზე თუ მეცნიერებაზე ვმსჯელობთო, არცერთი წამით არ დაიჯეროთ: თანამედროვე საზოგადოებრივი ურთიერთობების ტექნოლოგებსა და პოლიტიკური მარკეტინგის სპეციალისტებს იმისთვის არ უშრომიათ ამდენი, რომ ეს შესანიშნავი საშუალებები (კულტურა, რელიგია, მეცნიერება, ხელოვნება და ა.შ.) ხელიდან გაუშვან და სხვადასხვა პოლიტიკური გავლენის რეზერვად არ გამოიყენონ.

რეალურად პოლიტიკური მიზნების საზოგადოებისათვის წმინდა სამეცნიერო მსჯელობებად გასაღებაც (ანუ გამოთქმა, მეცნიერება პოლიტიკის გარეშე, კულტურა პოლიტიკის გარეშე, სპორტი პოლიტიკის გარეშე და ა.შ.) ასევე პროპაგანდისტული ტექნოლოგიების ნაწილია. პროპაგანდისათვის, ისევე, როგორც

სხვა ნებისმიერი სახის მანიპულაციისათვის, მთავარ ამოცანას წარმოადგენს ადამიანის ცნობიერების ფსიქოლოგიური წინააღმდეგობის ლიკვიდირება. იგულისხმება ნებისმიერი საშუალება, რომელიც შეტყობინების მიმართ ინტერესს აღვივებს და ამავდროულად თავისი ინტერესების შესაბამისად ტრანსფორმირებას უწევს მთავარ აზრს, ბლოკავს რა მის კრიტიკულ აღქმას.

მსგავსი სტანდარტული მოდელებითა და ტექნოლოგიებით მიმდინარეობს ამჟამად ჩვენში მიზანმიმართული პოლიტიკა ე.წ. „ენათა და ეთნიკურ ჯგუფთა" სტატუსებთან დაკავშირებით. ხსენებული პოლიტიკა, როგორც მომგებიანი სტრატეგია, არა პირდაპირ პოლიტიკურ, არამედ სხვა საზოგადოებრივ ასპარეზზე ხდება, კერძოდ, პოლიტიკის მიზანი სამეცნიერო შეფუთვით ხორციელდება.

2. „მშობლიური და მეორეხარისხოვანი ენების ამომცნობი კითხვარი"

„საინტერესო" შემთხვევა მოხდა რამდენიმე ხნის წინ საქართველოს ერთ-ერთ რეგიონში. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, გარკვეულ მეცნიერთა ჯგუფის ინიციატივითა და უცხოური დაფინანსებით (მათ ვინაობას ქვემოთ შეიტყობთ), დასავლეთ საქართველოს სამეგრელოს რეგიონში კვლევითი სამუშაოები ჩატარდა, ე.წ. „კითხვარი ქართველურ ენებზე მოლაპარაკეთათვის".

მეცნიერთა ერთი ჯგუფის განცხადებით, მოცემულ კითხვარში ერთმანეთთან დაპირისპირებულია საერთო ქართული და ადგილობრივი კუთხური ცნობიერება და ერთ სიბრტყეზეა მოცემული სახელმწიფო, სალიტერატურო, საეკლესიო ენა — ქართული და ქართველური კილო-კავები. მეცნიერთა ამ ნაწილის პოზიციაა, რომ ქართველთა სამწიგნობრო ენა დაეფუძნა საერთო ქართველურ ენას და არა რომელიმე ერთ კონკრეტულ ქართულ კილოს. შესაბამისად, ქართველთა საერთო ენასთან (დედაენასთან) მიმართებაში, ქართველთა ყველა სხვა ზეპირი სამეტყველო ერთეული კუთხურ კილოდ განიხილება.

ხსენებული შეხედულების საწინააღმდეგოდ, მეცნიერთა სხვა ჯგუფი ქართველურ კილოებს ენებად განიხილავს, მათ მფლობელებს კი — შესაბამისად ენობრივ თუ ეთნიკურ უმცირესობად.

სხვა მასალებს შორის, მე მოვიძიე ხსენებული „კითხვარი", რომელიც, როგორც თავდაპირველად ვივარაუდე, ჩემთვისაც უნდა ყოფილიყო განკუთვნილი. ანკეტის სახელწოდებაა: „კითხვარი ქართველურ ენებზე მოლაპარაკეთათვის". როგორც შევიტყვე, ეს „კითხვარი" თურმე ნებისმიერი მეგრელისა თუ სვანისათვის კი არ არის განკუთვნილი, არამედ მხოლოდ "ჭეშმარიტი" მეგრელებისა და „ჭეშმარიტი" სვანებისათვის.

„ჭეშმარიტ მეგრელობასა" თუ „ჭეშმარიტ სვანობასთან დაკავშირებით", იგულისხმება, რომ მაგალითად, თბილისში, ქუთაისში, თელავში ან სადმე სხვაგან მცხოვრები მეგრელი არ არის საინტერესო გამოკითხვის ჩამტარებლებისათვის, დგება საკითხი, საერთო მეგრული კუთხურობიდან გამოიყოს კითხვარისათვის „საჭირო" („ჭეშმარიტი") მეგრელები. კერძოდ, კითხვარის შინაარსის მიხედვით, ჩანს, მათთვის მნიშვნელოვანი მხოლოდ შუაგულ სამეგრელოში მცხოვრები მეგრელები თუ იქნებიან (ოდნავ ქვემოთ იხილავთ, თუ რატომ...);

კითხვარის პირველივე ნაწილი აგებულია ამგვარად: ანკეტის შემვსების ეროვნება, მისი დედის, მამის, მეუღლის, ბებიებისა და ბაბუების ეროვნება და ა.შ. უცბად, ამ შეკითხვების ქვემოთ ასეთი შეკითხვებია: „*რომელ ენაზე /ენებზე/ მეტყველებთ? როგორ მეტყველებთ ამ ენებზე?*" და ა.შ. მეტი თვალსაჩინოებისათვის მე ავიღებ რომელიმე ჩემი ბიძაშვილის მონაცემებს და შევეცდები დავხატო სურათი, თუ რა არის ამ და მსგავსი კითხვარების ნამდვილი მიზანი.

ცნობისათვის, საანკეტო კითხვარი ისეა შედგენილი, რომ ნაღმი ნებისმიერი პასუხის შემთხვევისათვის წინასწარვეა დამონტაჟებული, რასაც ოდნავ ქვემოთ თავადვე იხილავთ.

ენობრივ საკითხებზე, რომლებიც ასევე დეტალურად არის გამოხატული, წესით პასუხად მხოლოდ ორი ვარიანტი უნდა ჰქონდეს: მშობლიური და უცხოური, თუმცა, აქ, ბოდიში, ვარიანტებია: ქართული, მეგრული, სვანური და ა.შ.

აი, ჩემმა ბიძაშვილმა კი, რომელიც შუაგულ სამეგრელოში ცხოვრობს (სადაც განსაკუთრებით არის კონცენტრირებული კუთხური ნიშან-თვისებები), ანკეტაში შესაძლოა აღნიშნოს, რომ თავად მეტყველებს მეგრულ „ენაზე"(!), ისევე, როგორც მის გარშემო მყოფი ადამიანები, რომ ამ „ენაზე" დაიწყო ლაპარაკი და ა.შ.

შესაბამისად, ჩემი ბიძაშვილის პირად „დოსიეში" უკვე ჩნდება, რომ ეს ადამიანი, რომელიც სამეგრელოში დაიბადა, ენა მეგრულად „აიდგა", რომელსაც მშობლები, ბებიები და ბაბუები ასევე მეგრელები ჰყავს, რომლის გარშემოც მეგრულად ლაპარაკობენ და ა.შ. მითითებული აქვს ეროვნებაში, რომ ქართველია. ანუ შეკითხვათა შესაბამის სვეტში, ქართველობის დადასტურება მხოლოდ ერთგან ხდება(!!!), აქ კი შეკითხვა-პასუხთა ასეთმა პოლარიზაციამ შესაძლოა ეს ორი პარამეტრი ერთმანეთისადმი არცთუ სრულ შესაბამისობაში გამოაჩინოს.

ამ „კითხვარის" სტრატეგიაც ეს არის!!!

მით უმეტეს, რომ თანამედროვე მსოფლიოშიც და ადრეც, ენა მიიჩნეოდა და მიიჩნევა ეროვნულობის მთავარ მარკერად!

გავაგრძელოთ... შემდეგ მოდის უკვე შეკითხვების ისეთი სისტემა, როგორიცაა, მაგალითად, რომელია თქვენთვის მეორე, მესამე, მეოთხე და ა.შ. ენა? ძნელი მისახვედრი არაა, რომ პირი, რომელიც აღნიშნავს, რომ „მეგრულ ენაზე" დაიწყო ლაპარაკი, ქართულს კითხვარის პირობების იძულებით, მხოლოდ მეორე ენად (!) წარადგენს, ესეც უკვე ხაზგასმა ქართულობის მეორეხარისხოვნობის შესახებ (აღარაფერს ვამბობ იმ მუხანათურ სტრატეგიაზე, რაც მეგრულსა და ქართულს ერთ რანგობრივ სიბრტყეში აქცევს და ამასთან, შემვსებს იძულებულს ხდის მათ შორის არჩევანი გააკეთოს, პირველი, ანუ ჩემი და მეორე, ანუ სხვისი).

მეტიც, აქვეა შეკითხვა, რომელსაც დიფერენცირება უფრო შორს მიჰყავს: *„რა სიხშირით ხმარობთ ქართულ ენას? მეგრულ ენას?"*, — ძნელი გამოსაცნობი არ იქნება, რაც შეიძლება მიუთითოს ჩვენმა პერსონაჟმა. ამ სხვაობის კიდევ უფრო წარმოსაჩენად იქვეა შეკითხვა: *„რომელ ენაზე ელაპარაკებით მეზობლებს?"*, ამას უკვე მოჰყვება სტრატეგიულ დეტალურ შეკითხვათა მთელი სისტემა, თუ რა ენაზე მეტყველებთ ყველაზე კარგად, რა ენაზე ესაუბრებით მამას, დედას, მეუღლეს, შვილებს, ბებია-ბაბუებს, ან თქვენი მეუღლე, ან შვილები სკოლაში შესვლამდე რა „ენაზე" მეტყველებდნენ და ა.შ. და ა.შ.

მსგავსი ნაღმები ყოველთვის ფეთქდება და ასეთი ნაღმებით არის „დატენილი" მთელი ანკეტა. ერთი სიტყვით, ჩვენი პერსონაჟის მონაცემები აჩვენებს, რომ... ჩემი ბიძაშვილი, რომელიც დაიბადა და ცხოვრობს სამეგრელოში, რომელმაც „ენა" მეგრულად აიდგა და გარშემოც ძირითადად მეგრულად მეტყველებს, ეკლესიაში ქართულად ლოცულობს და ეროვნებით ქართველია, თან არკვევს, სურს თუ არა პრესა და ტელევიზია მეგრულადაც იხილოს და ა.შ. და ა.შ. მართალი ვთქვა, ვშიშობ კიდეც, სრული სახით რომ ვაჩვენო ამ პერსონაჟის მონაცემთა ბაზა, რა დასკვნებიც გამომივა.

თანამედროვე P.R. ტექნოლოგიებში არაერთი ტექნოლოგიაა ცნობილი ე.წ. სოციოლოგიურ და ინტერაქტიულ გამოკითხვებთან დაკავშირებით. ამგვარ გამოკითხვათა ძირითადი არსი არა იმდენად ინფორმაციის შეგროვება ანუ საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვაა, არამედ, საზოგადოებრივი აზრის შექმნას ემსახურება.

მოცემული შემთხვევაც, თავისი პროპაგანდისტული სტრატეგიით, სწორედ საზოგადოებრივი აზრის შექმნას ემსახურება, კერძოდ, ამ კვლევის მიზანია მაქსიმალური განსხვავება გამოჩნდეს საერთო ქართულ და კუთხურ ქართულ ნაწილებს შორის, წარმოჩნდეს თანაბარ სტატუსურ სიბრტყეში „ქართული" და „მეგრული". ხელოვნურად შექმნან აზრი, რომ ქართულობა მათთვის ხელოვნური, მეორეხარისხოვანია და ა.შ. და ა.შ. ალბათ არ გადავაჭარბებ, თუ ვიტყვი, რომ ეს ანკეტა ტიპური ნაღმია ქართველობისა და ქართულობის წინააღმდეგ.

3. რომელია ჩემი მშობლიური — დედაენა?

„ბედის ირონიით", მე ხელში ჩამივარდა არნ. ჩიქობავას ენათმეცნიერების ინსტიტუტის მიერ 2007 წელს გამოცემული წიგნი „ქართველური ენები და დიალექტები", რომელიც შეეხება „Volkswagen-stiftung"-ის პროექტის „ენობრივი სიტუაცია თანამედროვე საქართველოში" მასალებსა და მასზე შექმნილ პოლემიკას.

ჩემს მიერ ზემოთ დასმულ შეკითხვაზე *„რომელია ჩემი მშობლიური დედაენა?"*, წიგნში მოცემულია სრულიად „ნათელი" პასუხები მეცნიერთა ამ ნაწილის შეხედულებებზე დაყრდნობით. მეცნიერთა გაკვეულმა ჯგუფმა პრობლემასთან დაკავშირებით სწორედ მოცემულ კრებულში წარმოადგინა თავიანთი დამოკიდებულებები:

პროფესორი მერაბ ჩუხუა: „... უფრო უარესი ის არის, რომ ჩვენ ძმებს, მეგრელებსა და სვანებს ვუთხრათ: ის, რაზეც შენ მეტყველებ, არ არის შენთვის მშობლიური..." („ქართველური ენები და დიალექტები", თბილისი 2007. გვ. 23)

ამ მიმართებამ საკუთარ იდენტიფიკაციასთან მიმართებაში ფრიად დამაფიქრა. ცხადია, რადგანაც თავად ჩემი კუთხური წარმოშობით სამეგრელოდან ვარ, ცხადია, „მეტყველება" ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით მშობლიურია ყველასთვის, კახელისთვის — კახური მეტყველება, იმერლისათვის — იმერული, მეგრელისათვის — მეგრული, გურულისათვის — გურული, სვანისათვის — სვანური, მოხევისათვის — მოხეური და ა.შ.

მეტყველება თავისთავად არ არის „ენობისა" თუ ეთნიკურობის დამამტკიცებელი არგუმენტი, ამას თავად მეცნიერები ადასტურებენ, თუმცა, მათივე წყალობით, ვიპოვე მათებური პასუხი თუ, რას გულისხმობენ „მშობლიური მეტყველების" არსში.

ჭაბუკი ქირია: „ზანური (მეგრულ-ლაზური) და სვანური არის ქართველთა ენები: მეგრელიც, ლაზიც არის ქართველი და ამ ქართ-

ველის ენაა ზანური ენა ქართულთან ერთად, სვანი არის ქართველი და ამ ქართველის ენაა სვანური — ქართულთან ერთად." (აღნიშნული წიგნი, გვ.45)

მინდოდა, თუ არ მინდოდა, ამ დასკვნამ ერთი უცნაური შეკითხვა გააჩინა: —— **რამდენი დედაენა შეიძლება ჰქონდეს ადამიანს?** ხოლო ამ შეკითხვის შედეგად, ცხადია, დაგროვდა შეკითხვათა მთელი ჯგუფი:

—— **არსებობს თუ არა ორი დედაენა?**
—— **არსებობს თუ არა ორი სამშობლო?**
—— **არსებობს თუ არა ორი უფალი?**

ბუნებრივია, შეკითხვები ფიგურალურია და მათზე პასუხები ყველამ ვიცით, მაგრამ... შემინდეთ, ბატონებო, და როდესაც მეცნიერები (რომელთა აზრიც, როგორც მეცნიერების, ყოველთვის სერიოზულად აღსაქმელია ჩემთვის და დასაფიქრებელი) გვეუბნება, რომ ჩვენ **თურმე შეიძლება ორი დედაენა გვქონდეს,** მაპატიეთ, მაგრამ რბილად რომ ვთქვათ, სულ ცოტა, საშიში ხდება, არადა... ხსენებული მეცნიერები სწორედ რომ ამ თვალსაზრისის ჩანერგვას ცდილობენ ჩვენში.

კეთილი, ვთქვათ და არასწორად მივხვდი (არა და ცილისწამება სერიოზული ცოდვაა და არ მაქვს სურვილი, დავიდო), მაშინ ისევ შეკითხვებს მივმართოთ, თუ პატივცემული მეცნიერები არ ცდილობენ ჩამოაყალიბონ თეორია ქართველთა **ორი დედაენის, ორი სამშობლოს და ორი უფალის** შესახებ, მაშინ... როგორღა გამოდის, რომ, ამ მეცნიერების მტკიცებით, მეგრული მეტყველება ენაა? ამ შემთხვევაში ხომ დედაენა არა ქართული, არამედ — მეგრული აღმოჩნდება, ხოლო, თუ მშობლიური „ენა" — მეგრულია, ქართულს რაღა სტატუსი ენიჭება?

ამ ორმაგი სტანდარტების შეხედულებებმა (რაც, როგორც წესი, საქართველოს არაკეთილმოსურნეებს ახასიათებთ ჩვენს ქვეყანასთან მიმართებაში) ცოტა არ იყოს დამაბნია, ანდა როგორ არ დამაბნევდა, როდესაც ვიღაც ცდილობს შთამინერგოს, რომ თურმე ჩემი მშობლიური ენა ქართული არ არის. შესაბამისად, თუ ქართული მშობლიური არაა, მაშინ მე უმცირესობაში მოვხვედრილვარ, როგორც მშობლიური ენის, ასევე ეროვნული მიკუთვნებულობის მიხედვით.

ასეთ ადამიანებზე, რაც გინდა საპატიო ტიტულებითა და იმიჯით სარგებლობდნენ საზოგადოებაში, ძნელია მსგავს შემთხვევაში მათ მიმართ ნეგატიური ემოციები შეიკავოს ადამიანმა. საპატიო პირთა მეცნიერული ნააზრევების არ ვიცი, მაგრამ მე, მართალი გითხრათ, მათგან განსხვავებით, ჩემი მოკრძალებული გონებრივი რესურსების პირობებში, შეუვალ ჭეშმარიტებად ვცნობ ერთ რამეს, რომ უფალიც ერთია, სამშობლოც და დედაენაც. ჩემი მშობლიური ენა ქართულია და მხოლოდ და მხოლოდ ქართული, ხოლო მეგრული ჩემი კუთხური მეტყველებაა, ისევე, როგორც, შესაბამისად, საქართველოს ყველა სხვა შვილისათვის თავის კუთხის მეტყველება, კილო თუ კუთხური ენაკავი.

4. როგორ ჩნდებიან სეპარატისტები?

„მეცნიერთა მცირე ჯგუფი ვარაუდობს, რომ თუ მაგალითად, მეგრულს, სვანურს დიალექტებად გამოვაცხადებთ, კონსოლიდაცია უფრო მეტად იქნება ურყევი. ვფიქრობ, ეს არასწორი, უფრო მეტიც, საზიანო ნაბიჯია: ერთი, რომ მახინჯდება მეცნიერული ფაქტი და მეორეც, რადგან ენის სტატუსი დიალექტამდე „დაქვეითდება", შესაბამის კუთხეთა წარმომადგენლები ამ ფაქტს შეურაცხმყოფელად და დისკრიმინაციულად აღიქვამენ. გაჩნდება უნდობლობა" (პროფესორი გუჩა კვარაცხელია, აღნიშნული წიგნი, გვ. 13);

აი, თურმე რაში ყოფილა საქმე, პატივცემულ გუჩას აზრით, თურმე მეგრელს ესირცხვილება დედაენად ქართული აღიაროს და კუთხური მეტყველება კილოდ!

ნათესავი მყავს ერთი, ბიძად მერგება, გვარად ზაქარაიაა. 13-14 წლის რომ ვიყავი, მახსოვს, ბიძა სხვადასხვა თემებზე მესაუბრებოდა ხოლმე (დევნილობის შემდგომ ჩვენს ოჯახში ცხოვრობდა გარკვეული პერიოდის განმავლობაში). ერთ დღესაც, მორიგი საუბარი დამიწყო. მისი მონაყოლის მიხედვით, მთელი მხოფლიო ხომ მეგრელები იყვნენ, ესეც არ იკმარა და იმ თეორიებზე დამიწყო თხრობა, რომლის მიხედვითაც, ადამი და ევაც მეგრელები იყვნენ და სამოთხეში მეგრულად საუბრობდნენ (შემინდოს უფალმა და ამ თეორიის მიხედვით, უფალიც მეგრელი გამოდის)... ამის გახსენების შემდეგ, ცხადია, აღარც მიკვირს ამგვარი მეცნიერული დასკვნების მნიშვნელოვნობისა. იდეა მაქვს, იქნებ დავხვეწოთ ამ მეცნიერებისა და „ბიძაჩემისეული" თეორიები და მთელი მსოფლიოსათვის ერთ მეგრულ სახელმწიფოში გაერთიანებაზე გვეფიქრა!!! ერთი კაცი იყო, დაახლოებით ასეთი მანიებით შეპყრობილი, მეორე მსოფლიო ომი რომ წამოიწყო, ჰოდა... ხსენებული მეცნიერებისა და ხსენებული კაცის შეხედულებები რაღაც საეჭვოდ კი ემთხვევა ერთმანეთს...

მიუხედავად პატივცემული გუჩას აბსურდული განცხადებისა, მე მაინც შევეცადე ამ საკითხზე პირადად გავსაუბრებოდი ადგილობრივ მოსახლეობას. 2008 წლის მარტის ბოლოს ხობსა და სენაკში ვიმყოფებოდი, რა დროსაც ადგილობრივ ახალგაზრდებს ქალბატონ გუჩას

და სხვა წარმომადგენელთა განცხადებებისა და თვალსაზრისების შესახებ გავესაუბრე.

საბედნიეროდ, ისევე, როგორც ნებისმიერი სხვა ქართველი მოიქცეოდა, სამეგრელოს ახალგაზრდებმაც შეურაცხმყოფელად მხოლოდ ქალბატონ გუჩასა და მის კოლეგა წარმომადგენლების განცხადებები და შეხედულებები აღიქვეს; ნებისმიერი მათგანი კატეგორიულად (ხაზგასმა) აცხადებს, რომ დედაენა მათთვის არის ქართული, ხოლო ადგილობრივი მეტყველება დიალექტი, რომლითაც ისინიც, როგორც სხვა დანარჩენი კუთხეები მეტყველებენ. უფრო მეტიც, ზოგიერთმა ადგილობრივმა მოსახლემ ლამის დანაშაულადაც ჩათვალა ამ საკითხებში ეჭვის შეტანა და ზოგადად, საკითხის დასმაც კი მეგრელების თუნდაც რაიმე სახით არასრულფასოვან ქართველებად წარმოდგენის შესახებ.

პროფესორი მერაბ ჩუხუა თავის წერილში წერს: *„როგორც კი დავაფიქსირებთ, რომ სვანური არის ქართული ენის დიალექტი, ამას აუჯანყდება მთელი სამეცნიერო საზოგადოება. თავის დროზე აფხაზური ენა გამოცხადდა ქართული ენის დიალექტად“* (დასახ. წიგნი, გვ. 22);

ჯერ ერთი, რამდენადაც ცნობილია, აფხაზური არავის გამოუცხადებია დიალექტად, მეორეც, ეს ფრაზა და მიდგომა ალბათ იმის მაგალითს უფრო ჰგავს, თუ როგორ ხდება უნებლიე თვითლუსტრაცია და როგორ ჩნდებიან სეპარატისტები (ცხადია, ამით სულაც არ მსურს ვინმე სეპარატისტულ მიდრეკილებებში დავადანაშაულო, მე მხოლოდ მსგავსებას ვუსვამ ხაზს); ბატონი ენათმეცნიერი, აქვე, თავადვე აყალიბებს სეპარატიზმთან დაკავშირებით საკუთარ შეხედულებასაც: *„... როდესაც იბომბებოდა დასავლეთ საქართველოს ქალაქები და სოფლები, თვით ბალტინის ჯარების სისხლიანმა ქმედებამ ვერ გამოიწვია მეგრელებში ვერანაირი სეპარატიზმი“*“(იქვე, გვ.23).

მართლაც, საბედნიეროდ, მეგრელებში ამგვარი სეპარატისტული სწრაფვა მხოლოდ ერთეულებში თუ შეიმჩნევა ხოლმე, რაც გამოხატულია ხან „ვეფხისტყაოსნის“ ვითომდა თარგმანებში, ხან ე.წ. მეგრულ-ქართული ვითომდა ლექსიკონის წარმოდგენაში, ხანაც უცნაურ (რბილად რომ ვთქვათ) მეცნიერულ დასკვნებში, რაც, საერთო ჯამში, ორი უფალის, ორი სამშობლოსა და ორი დედაენის შთანერგვის მცდელობებშია გამოხატული.

5. რამდენიმე ეპიზოდი თანამედროვე სეპარატისტული გამოვლინებებიდან:

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, აფხაზეთის ტერიტორიაზე გამოდის ე.წ. მეგრული გაზეთი რუსული გრაფიკით. გაზეთის მთავარი იდეოლოგია პროფესორი ჯორჯ ჰიუიტი. ჩვენი ქვეყნისა და ხალხის საუბედუროდ, დღესაც მოიძიება ისეთ ადამიანთა (მათ შორის, თითქოსდა უმწიკვლო რეპუტაციის) ჯგუფი, რომლებიც ამ ფაქტს ამართლებენ და მისაღებად თვლიან ე.წ. „მეგრულ ენაზე“ გაზეთის გამოცემას.

„ვეფხისტყაოსნის“ „თარგმნა“ „მეგრულ ენაზე“ ცნობილი ამბავია, სამწუხარო ის არის, რომ დღესაც მოიძიება პირები, რომლებიც ამ წიგნს ჯერ კიდევ ამართლებენ და კიდევ უფრო სამწუხაროა, რომ ამის გამართლებას ზოგიერთი მეცნიერი კიდეც ცდილობს. *„... არც ისე დიდი ხნის წინ ან განსვენებულმა შესანიშნავმა პოეტმა უდიერად მოიხსენია „ვეფხისტყაოსნის“ მეგრულად მთარგმნელი, ეს რა მიჩხლართ-მოჩხლართთაო?“*(ჭაბუკი ქირია, დასახელებული წიგნი, გვ.46), თუმცა, იქვე დასძენს მეგრული სიამაყით *„იქნებ ეცადა ვინმეს და იმერულად ეთარგმნა („მიეჩხლართ-მოეჩხლართა“) „ვეფხისტყაოსანი“? იქნებ აჭარულად მაინც გამოვიდეს ან რაჭულად?“*(იქვე)

აქ უკვე კომენტარი, ვფიქრობ, სრულიად ზედმეტია, კაცი რომ მშობლიური ნაწარმოების დიალექტზე თარგმნას მიესალმება, მე, პირადად, არც კი ვიცი, რა შეიძლება ეწოდოს; თუ ბ-ნ ჭაბუკი ქირიას „ვეფხისტყაოსანი“ მშობლიურ ნაწარმოებად არ მიაჩნია და მის თარგმნას მიესალმება, ყველანაირი ირონიის გარეშე ვკითხულობ, რა შეიძლება ეწოდოს ასეთ ქართველს? მეცნიერს?

ბოლო ხანებში ასევე სამწუხარო (რბილად რომ ვთქვათ) მიდგომები გაჩნდა სახელმწიფო ინსტიტუტებში. საუბარია სოზარ სუბარის მცდარ და არასახარბიელო პოზიციაზე, რომელსაც ჰგონია, რომ ბიბლიის „თარგმნა“ სვანურად, სვანურის გადარჩენის გზაა. ეს პოზიცია, სულ ცოტა და რბილად რომ ვთქვათ, მეტად სამწუხაროა.

6. როგორ ვითარდება თანამედროვე სეპარატიზმი?!

საინტერესოა გავეცნოთ სეპარატიზმის მახასიათებელ ისეთ მნიშვნელოვან პარამეტრებს, როგორიცაა ეთნიკურობის სტატუსის ხელოვნურად შემოტანა. ჰოკაიდოს უნივერსიტეტის სლავური კვლევების ცენტრის მიერ გამოცემულია კრებული „არაღიარებული სახელმწიფოების: დნესტრისპირეთი, მთიანი ყარაბახი, სომხეთი, სამხრეთ ოსეთი

ეროვნული ბიბლიოთეკა

და საქართველო ისტორიული დიალოგი" (საპპორო, იაპონია, 2007);

მოცემული კრებული წარმოადგენს კვლევითი პროექტის „არაღიარებული სახელმწიფოები ყოფილ სოციალისტურ ქვეყნებში: შედარებითი და მრავალშრიანი მიდგომა" (2005-2008 წ/წ), ნაშრომებს ფინანსურად უზრუნველყოფს COE (CENTER OF EXCELLENCE) XXI საუკუნე და განიხილება, როგორც სამუშაოთა გენერალური სპონსორის პროგრამა (ორივე პროექტს აფინანსებს იაპონიის განათლების, კულტურის, სპორტის, მეცნიერებისა და ტექნოლოგიების სამინისტრო).

კრებულის ავტორთა განცხადებით, მათი მიზანი კონფლიქტურ მხარეთა მშვიდობიანი თანაარსებობისათვის წინგადადგმული ნაბიჯის მიღწევაა, რაც, მათივე აზრით, ამ კრებულების გამოცემით გამოიხატება (მნიშვნელოვანი ფაქტორია, რომ აფხაზურმა მხარემ არ ისურვა პროექტში მონაწილეობა. ეს განაპირობა სტანისლავ ლაკობას ცნობილმა შეხედულებებმა და ნაშრომებმა, რომლებიც გამოქვეყნებულია სლავური კვლევების ცენტრის ეგიდით).

საინტერესოა თუ როგორ ჩნდებოდა ეთნონიმისა და „ტიტულარული ნაციების" თავისებური წარმოდგენა, რაც მიმართული იყო შიდა ეროვნული გათიშულობის გამოსაწვევად. ამის განსაკუთრებულ რეალიზაციის პერიოდს სპეციალისტები სსრკ-ს პერიოდს უკავშირებენ. „საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი, ეს იყო იმპერია, რომელშიც ნაციონალურ უმცირესობებს განსაკუთრებულ უფლებებს ანიჭებდნენ ("affirmative action empire")", ეს არის სსრკ-ს ცნობილი განსაზღვრება, რომელიც ჰარვარდის უნივერსიტეტის ისტორიკოსის, ტერი მარტინის მიერ არის შემუშავებული (იხ. Affirmative Action Empire: Natons and nationalism in the Soviet Union, 1923-1939. London, 2001).

ბოლშევიკებმა, შეშინდნენ რა ყოფილ რუსეთის იმპერიის ტერიტორიაზე ნაციონალური მოძრაობების გაჩენით (1917-1921), ასევე ჰაბსბურგის იმპერიის მოულოდნელი დაშლით, გადახედეს თავიანთ შეხედულებებს ნაციონალურ საკითხებთან დაკავშირებით. საკმაოდ მცირე ხნის პერიოდში ბოლშევიკებმა გამოიგონეს ეთნონიმების „სამეცნიერო" და ეთნიკური კატეგორიების განსაზღვრებები. მათ შექმნეს ნაციონალური ტერიტორიული წარმონაქმნების იერარქია, რაც დაფუძნებული იყო „ტიტულარული ნაციის" თავისებურ და უცნაურ გააზრებაში.

თუკი დასავლეთის ქვეყნები ცდილობდნენ ნაციონალური განსხვავებები სოციალურ შესაძლებლობათა ისეთი ტიპის შექმნით გადაელახათ, რომელიც ინდივიდებზე იქნებოდა მიმართული არატერიტორიული ღონისძიებების გზით, სსრკ-ში ამის საწინააღმდეგოდ, ეთნოტერიტორიული წარმონაქმნების სტატუსებს ქმნიდნენ და ანიჭებდნენ.

ასეთი საბჭოური ქვეყნის მოდელი დგებოდა ამგვარად: მაგალითად, საქართველოს შემთხვევაში საბჭოელებმა შექმნეს ტერიტორიული წარმონაქმნი ავტონომიური სტატუსით (მაგ. აფხაზები), ხოლო ეთნიკურ ჯგუფური სტატუსი მიანიჭეს მეგრელებს, რომლებსაც ე.წ. ტერიტორიული წარმონაქმნი არ გააჩნდათ. ასე იქმნებოდა ე.წ. ნაციათა იერარქია. ამგვარი მიდგომები, სამეცნიერო მნიშვნელობის მიუხედავად, გახდა ნაციონალური პოლიტიკის ინსტრუმენტები, რომელსაც აფუძნებდნენ ეთნოტერიტორიულ ფედერალიზმს და ტიტულარული ნაციების კონცეფციას.

ამ მიდგომის ძირითადი შინაარსი დგება ამგვარად:

(1) ავტოქტორული ეთნიკური ჯგუფი უნდა შედგეს მოცემულ ტერიტორიაზე ტიტულარული ნაციის სახით.

(2) სასურველია, რომ მოსახლეობის ეთნიკური შედგენილობა და ადმინისტრაციული დაყოფა ერთმანეთს დაემთხვას. ავტოქტორულობა დემოგრაფიულ წონაზე მნიშვნელოვანი ხდება.

(3) ტიტულარული ნაციის წარმომადგენლები განათლებისა და კარიერის სფეროში უპირატესობით უნდა სარგებლობდნენ, ძირითადად, ეს უნდა წარმოდგინდეს მოცემულ ტერიტორიაზე პოლიტიკური ხელმძღვანელობისა და სამეცნიერო-კულტურულ სფეროებში.

და ა.შ.

ჩვენი ქვეყნის მოსახლეობისათვის კი უკვე კარგად ნაცნობია თუ რამდენად წარმატებულად მოქმედებდა საბჭოური მიდგომები (ფედერალური დაყოფა, ეთნიკური დაყოფა და ა.შ.) ყოფილი საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ქვეყნებში, მათ შორის კავკასიასა და განსაკუთრებით საქართველოში.

დასკვნების გაკეთება სათანადო არგუმენტების გარეშე შეუძლებელია. იმის ცალსახად მტკიცება, რომ, სხვებთან ერთად, ხსენებულ მეცნიერთა ჯგუფი ნეობოლშევიზმის, პროსაბჭოურობის, ჰიუიტების და სხვათა და სხვათა დაკვეთილ პოლიტიკას ახორციელებენ საქართველოში, რაც მიმართულია ჩვენი ეროვნული გათიშულობის მისაღწევად ან ახალი სეპარატისტული ტალღების ასაგორებლად, ცხადია, არ შეიძლება. საამისოდ ან ზუსტი დამამტკიცებელი საბუთი ან ქმედებათა შედეგობრივი მაჩვენებელი უნდა ჰქონდეს ადამიანს.

მეც, ბუნებრივია, ამ მასალით არ ვაპირებ არაფრის მტკიცებას, მიუხედავად იმისა, რა

ლოგიკური დასკვნების გაკეთების საშუალებას მაძლევს არსებული მონაცემები.

თუმცა, ჩემი სურვილის საწინააღმდეგოდ, ცხადია, ლოგიკური ხდება ის ვერსიაც, რომ შესაძლებელია მართალიც იყოს "დაკვეთილი პოლიტიკის" ის მოდელი, რაზეც უკვე დიდი ხანია ფართოდ საუბრობენ ჩვენში. სარწმუნო წყაროების ცნობით: ენობრივ პოლიტიკაში ამ მოდელის რეალიზატორად ენათმეცნიერების ინსტიტუტი სახელდება; პოლიტიკურ წრეებში ამ პოლიტიკის საყრდენად რესპუბლიკური პარტია, ხოლო მათზე დაკისრებულ სამუშაოდ, ქვეყნის ფედერაციულ ერთეულად დაშლისკენ სწრაფვას; სახელმწიფო ინსტიტუტებში ამავე მიზეზით სახელდება სახალხო დამცველის ინსტიტუტიც, ხოლო მათზე დაკისრებულ სამუშაოდ საერთო ქართული კუთხეებისათვის ეთნიკურ უმცირესობათა სტატუსის მინიჭების, ენობრივი დიალექტების უმცირესობათა ენებად გამოცხადების მიღწევას, რაც უნდა განხორციელდეს ერთიანი საეკლესიო ენის დაშლის მიღწევის გზით (მაგ, სახარებისა და ბიბლიის ქართულიდან სვანურად "თარგმნა") და ა.შ.

პირადად მე, ამ აზრს, ცხადია, არ ვიზიარებ, უფრო ის მგონია, რომ გარკვეულ დამთხვევებთან უნდა გვქონდეს საქმე, თუნდაც სამივე მათგანის შემთხვევაში. ობიექტური დასკვნისათვის საჭირო უტყუარი ავტორიტეტი არც გავრცელებული ხმებია, არც თუნდაც დაბეჭდილი კრებულები და მეცნიერთა ხედვები, არც უკვე რეალურად განხორციელებული ქმედებები, რაც, შესაძლოა გავრცელებულ ხმებს ამტკიცებდეს კიდეც.

არც ვინმეს კუთხეში მიყენება წარმოადგენს ჩემს მიზანს, არც მტყუან-მართალის ძიება, არც იარლიყების მიწებება, შექება ან დისკრიმინაცია. ზემოთ ვახსენე, ჩემი მიზანი, ატეხილი ხმაურის გამო გაჩენილ შეკითხვებზე პასუხის გაცემა გახდა-თქო. ცხადია, დასმული კითხვა და კითხვები რიტორიკულიც იყო ჩემთვის, რადგან პასუხები მასალის პირველივე ფრაზებში მაქვს გაცემული. სამწუხარო ის არის, რომ ეს შეკითხვები ზოგიერთისათვის მაინც ჩნდება, თუნდაც პროფესიულ-სამეცნიერო მოტივაციით.

სამწუხაროა, მაგრამ... ამ შემთხვევაშიც, თუ ვინმესთვის რაიმე კითხვები მაინც დარჩა მოცემულ თემებზე, კიდევ ერთხელ წარმოგიდგენთ პასუხებს, რაც სხვა პასუხებისაგან განსხვავებით, მართლაც უტყუარი და ობიექტური ავტორიტეტის პასუხებია.

7. პასუხი ყველა შეკითხვაზე

პასუხი ყველა შეკითხვაზე მოცემულია სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის, ილია მეორის ერთ-ერთ ქადაგებაში:

„ენა არის უდიდესი ძალა და ჩვენ მუდამ ვიცავდით და კვლავაც დავიცავთ მას. მრავალი უძველესი ხელნაწერი შექმნილა ქართულ ენაზე, მათმა ნაწილმა ჩვენამდეც მოაღწია. დღეს კი ჩვენს შორის არიან ადამიანები, რომლებიც ცდილობენ, ქართულ ენას მეგრული და სვანური დიალექტები ჩამოაშორონ და ისინი დამოუკიდებელ ენებად გამოაცხადაონ. უფრო მეტიც, მათ განზრახული აქვთ, ბიბლია და ლოცვები მეგრულად და სვანურად თარგმნონ. ეს არის უდიდესი დანაშაული ერის წინაშე!

ამ საკითხთან დაკავშირებით განხეთქილებაა თვითონ სამეცნიერო წრეებშიც. მეცნიერთა ერთი ჯგუფი ამბობს, რომ ქართული, მეგრული და სვანური — ქართველური ენებია. ერთხელ ჩემთან მოსულები იყვნენ ორივე ჯგუფის წარმომადგენლები. მეცნიერთა მეორე ჯგუფი ამტკიცებს, რომ თავიდანვე განსხვავებული იყო ქართული ენისაგან მეგრულ-სვანური და ასე პარალელურად ვითარდებოდა. მე ვკითხე მათ: ერთი ხელნაწერი მაინც თუ არსებობს მეგრულაად ან სვანურდ დაწერილი? ცხადია, არ არსებობს. მათ სხვა მეცნიერები უმტკიცებენ, რომ არსებობს ერთი ქართული ენა და შემდგომში მისგან წარმოიშვა განსხვავებული დიალექტები. მე მეცნიერებს შევთავაზე, იქნებ ვთქვათ ასე — ქართული ენა თავისი განშტოებებით. მსგავსად იმისა, როგორც შტო ამოუვა ხეს, — ასე ეს დიალექტებიც, მაგრამ მათი საერთო ძირი და ფუძე არის ქართული ენა. უძველესი დროიდან არც ერთ მეგრელს ან სვანს თავში აზრად არ მოსვლია, რომ თავისი დიალექტისათვის ცალკე დამწერლობა შეექმნა, რადგან თავს მუდამ ქართველად მოიაზრებდა და მისი მშობლიური ენა ქართული იყო. განა დღეს რაიმე შეიცვალა?

ეს კიდევ ერთხელ მოწმობს იმას, რომ ჩვენ ძალიან ფხიზლად უნდა ვიყოთ. ამას აკეთებს მტერი: ღმერთი აერთიანებს, ხოლო ეშმაკი ჰყოფს. ამიტომ ჩვენ ყველამ კარგად უნდა გავიაზროთ და სხვებსაც დავუმტკიცოთ, რომ ქართული ენა არის ერთი, მეგრული და სვანური დიალექტები კი მისი განშტოებებია. განსაკუთრებით უნდა მოვუფრთხილდეთ ჩვენ სიამაყეს — უძველეს და მშვენიერ ქართულ ენას".

(ამონარიდი უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის საკვირაო ქადაგებიდან. სამების საპატრიარქო ტაძარი. 13 მაისი 2007 წელი)

ვალერიან გაფრინდაშვილი

„ვიყავი მხოლოდ ლექსით მდიდარი“

მკითხველს ვთავაზობთ მოგონებას გამოჩენილი პოეტის ვალერიან გაფრინდაშვილის (1989—1941) შესახებ, რომლის დაბადების 120 წლისთავი აღინიშნა. მოგონების ავტორია ვ. გაფრინდაშვილის ცოლისდა, საქართველოს დამსახურებული ექიმი მარიამ (მერი) ჭავჭავაძე (1894-1980)

ვალერიან გაფრინდაშვილი ჩვენი ოჯახის სიძე გახდა 1925 წ., როდესაც ცოლად შეირთო ჩემი უფროსი და ირა ირაკლის ასული ჭავჭავაძე. მაგრამ მე მას ადრეც ვიცნობდი. 1922 თუ 1923 წელს იგი გამაცნო ჩემმა მეუღლემ გრიგოლ ტორაძემ. ისინი ბავშვობის მეგობრები და თანაკლასელები იყვნენ ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიაში.[1] ცხოვრობდნენ მეზობლად ყოფილი ბალახვანის (ამჟამად წერეთლის) ქუჩაზე. მოგვიანებით ვალერიანმა უძღვნა თავის მეგობარს შესანიშნავი ლირიკული ლექსი „რიონი“ („ხარ ფალავანი და ბედაური...”).

1. ამავე კლასში სწავლობდნენ მომავალი აკადემიკოსები: აკაკი შანიძე, შალვა ნუცუბიძე, გრიგოლ წულუკიძე, გიორგი კაშჩენკო, პროფესორები ნიკოლოზ ანდრიაძე, ეფრემ ზაქარაია(!!).

სკოლაში ვალერიანი აშკარად გამოხატული ჰუმანიტარული ინტერესებით გამოირჩეოდა, პირველი მოწაფე იყო რუსულ ენასა და ლიტერატურაში, ძალზე ბევრს კითხულობდა. ერთხელ თურმე გააოცა თავისი თხზულებით რუსული ენის ახალი მასწავლებელი, რომელიც არ იჯერებდა, რომ ამის დამწერი რუსი არ იყო. თავისი პირველი ლექსებიც, რომლებიც გიმნაზიაში სწავლების პერიოდს ეკუთვნის, ვალერიანს რუსულ ენაზე ჰქონდა დაწერილი. შემდგომ მეგობრების გზები დაშორდა. 1909 წ. ვალერიანი სწავლის გასაგრძელებლად მოსკოვს გაემგზავრა, სადაც იურიდიულ ფაკულტეტზე შევიდა. ერთმანეთს ხვდებოდნენ ხოლმე საზაფხულო შვებულებების დროს ქუთაისში. ერთ-ერთი ასეთი შეხვედრის შესახებ იგონებდა ჩემი მეუღლე: „1915 წლის შემოდგომაზე თურქეთის ფრონტიდან დაბრუნებული, ქუჩაში შევხვდი ვალერიანს, აღელვებული და აფორიაქებული ჩანდა. მითხრა: ბალმონტია ქუთაისში ჩამოსული, დღეს მას შეხვედრას ვუმართავთ და იქ მივიჩქარიო...”

როგორც ცნობილია, ვალერიანმა გამოჩენილ რუს პოეტს კონსტანტინ ბალმონტს რუსულ ენაზე უძღვნა სონეტი, რომელსაც, თანამედროვეთა მოგონებით, აღტაცებაში მოუყვანია იგი. ბალმონტს განუცხადებია, თურმე: „ბრიუსოვისა და ივანოვის ჩემდამი მიძღვნილ ლექსებში იგრძნობა ფარული შური და გულგრილობა. გაფრინდაშვილის სონეტის თოთხმეტ სტრიქონში კი მე მთელი ჩემი მეობითა ვარ მოცემულიო”. ჩვენს ოჯახურ არქივში დაცულია ცნობილი ფოტო, რომელზედაც გამოსახულნი არიან ქუთაისში ბაგრატის ტაძრის გალავანში შეკრებილნი: ბალმონტი მეუღლითურთ, გ.ტაბიძე, პ.იაშვილი, ი.ეკალაძე, ვ.გაფრინდაშვილი, „სულიკოს” ავტორი ბ.წერეთელი, ი.ზარდალიშვილი, ვ.ამაშუკელი და სხვები.

დამშვიდობებისას ბალმონტმა წარმოთქვა სამადლობელო ექსპრომტი, რომლის დედანიც, საბედნიეროდ, შემორჩენილია:

Как нежный лепет колыбели,
Как странный шорох птичьих крылий,
Люблю содружных Руставели
Гаприндашвили и Яшвили.
Я с ними в Грузии грузином
Цвету опять всем сердцем к маю
И нежной розой по долинам,
Приемля ветер, расцветаю.
(1915, Риони)

ვალერიანის გაცნობის შემდეგ კიდევ რამდენჯერმე შევხვდი მას: საზოგადოებაში, ქუჩაში — უპირატესად, თავის განუყრელ მე-

მარიამ ჭავჭავაძე - ტორაძე

გობრებთან ტიციან ტაბიძესთან და პაოლო იაშვილთან ერთად, — თეატრში, კერძოდ, „ცხვრის წყაროს" წარმოდგენებზე. ვალერიანი აღფრთოვანებული იყო თამარ ჭავჭავაძის (ჩემი უმცროსი დის) ლაურენსიათი და ჩვეული ექსპანსიურობით მთხოვდა გადამეცა თამარისათვის მისი აღტაცება. თამარის არტისტული ნიჭის ღრმა პატივისმცემელი იგი ბოლომდე დარჩა, რისი მაჩვენებელიცაა ლექსი „ბალადა შლეიფისა და მარაოს შესახებ" — (თამარ ჭავჭავაძეს — „ლედი მილფორდს"), აქვე მინდა აღვნიშნო, საზოგადოდ, ვალერიანის დიდი სიყვარული თეატრისადმი, რაც მან დაამტკიცა სხვათა შორის, „ყაჩაღების", „ურიელ აკოსტას", „ბეატრიჩე ჩენჩისა" და „რუი ბლაზის" ბრწყინვალე თარგმნებით. „ურიელ აკოსტას" პრემიერის საღამოს მის ერთ-ერთ ძალზე მოკრძალებულ გმირად ვალერიან გაფრინდაშვილიც მოგვევლინა. თუმცა კოტე მარჯანიშვილმა სპექტაკლის შემდეგ ვერაფრით ვერ გამოიყვანა იგი სცენაზე. აქვე აღვნიშავ, რომ მან შესანიშნავი სონეტები უძღვნა კ.მარჯანიშვილსა (რუსულ ენაზე) და უ.ჩხეიძეს. თეატრალური სახეებითაა სავსე ცნობილი კრებული „დაისები".

ვალერიანთან ჩვენი ოჯახის დანათესავების უშუალო მოთავე გახდა ტიციან ტაბიძის მეუღლე ნინო მაყაშვილი, რომელიც ჩემი დის — ირას მეგობარი და ჩვენი ნათესავი იყო. მან გააცნო იგი პოეტს.

მომავალმა ცოლ-ქმარმა ძალიან მალე გაუგეს ერთმანეთს. ჩემი და ირა მეტად ფაქიზი, პოეტური ბუნების ადამიანი იყო და, ცხადია, მას არ შეეძლო ღირსეულად არ დაეფასებინა მაღალნიჭიერი, ბრწყინვალედ განათლებული და, ამასთან ერთად, საოცრად სპეტაკი, თითქმის, მიამიტი ადამიანი, როგორიც უდავოდ იყო ვალერიან გაფრინდაშვილი. რაც შეეხება პოეტს, იგი თავდავიწყებამდე იყო შეყვარებული და თავის გულის სატრფოს — «Моя мадонна»-ს უწოდებდა, მალე მოხდა მათი დაქორწინებაც (1925წ. 21.IV), რომელზედაც ხელისმომკიდე ნინო ტაბიძე იყო.

ვალერიანი, თავის მხრივ, ტაბიძეების ქალიშვილის ნიტას ნათლია გახლდათ. უაღრესად თბილი და მეგობრული ურთიერთობა ნინო ტაბიძესთან გაგრძელდა ტიციანის დაღუპვისა და ვალერიანის გარდაცვალების შემდეგაც. ომის მძიმე წლებში უდროოდ დაქვრივებული მეგობარი ქალები, ხშირად ხვდებოდნენ ერთმანეთს და საათობით საუბრით იკლავდნენ გულის ვარამს. ირა ნინოზე რამდენიმე წლით ადრე გარდაიცვალა. მახსოვს, მისი პანაშვიდის დღეს 1959 წლის 10 მარტს ნინო მოვიდა ჩემთან და მითხრა ყურში: ქვემოთ ქუჩაში მიცდის ბორის პასტერნაკი, ხალხში გამოჩენა არ უნდა (გასაგები მიზეზის გამო) და გულითად თანაგრძნობას უთვლის ვალერიანის ოჯახსო.

ვალერიანი ძალიან დაუახლოვდა პასტერნაკს 30-იან წლებში, როდესაც პასტერნაკი თბილისში ჩამოდიოდა და მუშაობდა ქართველი პოეტების თარგმანებზე. პასტერნაკის კალამს ვალერიანის სხვა ლექსების თარგმანთან ერთად ეკუთვნის მისი ორი პოეტური შედევრის — „ქუთაისი ქარში" და „ზღვა" უბრწყინვალესი, ვირტუოზული თარგმანები.

ვფიქრობ, სამართლიანია ე.ეტკინდის სიტყვები, რომ „ვ.გაფრინდაშვილმა უფრო მიიზიდა პასტერნაკი, ვიდრე მისთვის დიდად საყვარელმა ტიციან ტაბიძემ და პაოლო იაშვილმა, მას ახასიათებდა თვისებები, რომლებიც ახლო ენათესავებოდა რუს პოეტს",

ვალერიანის არქივში დაცულია პასტერნაკის მიერ ნაჩუქარი წიგნები — ერთ-ერთ მათგანს აქვს წარწერა: «Валериану Ивановичу Гаприндашвили с нежностью и большим желанием узнать его поближе». Б.Пастернак, Коджори. 16/VIII.1931. თავის მხრივ, ვალერიანმა პასტერნაკს უძღვნა სონეტი რუსულ ენაზე «Ты мастер и поэт» (Москва, 2 января, 1936).

ვალერიანი უაღრესად სპეტაკი ბუნების, გულითადი, ზოგ შემთხვევებში კი ბავშვურად გულუბრყვილო ადამიანი, იყო. ძალზე, მე ვიტყოდი, ხაზგასმულად ზრდილობიანი და თავაზიანი, თვით შინამოსამსახურე სოფლელ გოგონასაც კი „თქვენობით ელაპარაკებოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თუმცა თავისიანების წრეში მის საუბარს ზოგჯერ დაჰკრავდა ხოლმე მსუბუქი ირონიული ტონი. ემოციურად არამყარი და არათანაბარი იყო. სიფიცხით გამოირჩეოდა. ეს საოცრად არაპრაქტიკული და მიამიტი ადამიანი თავისებურად ამაყი და ძალზე თავმოყვარე იყო. სწრაფად აენთებოდა, მაგრამ მალე ცხრებოდა და რცხვენოდა თავისი წუთიერი აფეთქებისა. მღელვარების მომენტში ცოტა „ენას უკიდებდა". პიერ კობახიძეს ერთი იუმორისტული ზეპირი ნოველაც კი ჰქონდა დამუშავებული იმის შესახებ, თუ როგორ შეხვდნენ შექეიფიანებული მწერლები: ვალერიან გაფრინდაშვილი, სერგო კლდიაშვილი და ირაკლი აბაშიძე (სამივენი, ასე რომ ვთქვათ, არ იყვნენ ორატორები), ქუჩაში ერთ ენაბლუ მილიციონერს და რა მოჰყვა ამას.

ძალიან გულუხვი და ხელგაშლილი კაცი იყო. უყვარდა წიგნების ჩუქება, მაგრამ არასოდეს არ აკეთებდა ზედ წარწერებს, ამბობდა: „როგორ შეიძლება წიგნის დასვრა ჩვენი ნაჯღაბნითო".

შეყვარებული იყო წიგნებში, განუწყვეტლივ ყიდულობდა მათ. საათობით ჩერდებოდა ბუკინისტურ მაღაზიებში, განსაკუთრებით აფასებდა რუსულ და ფრანგულ კლასიკურ ლიტერატურას, და რაღა თქმა უნდა, მე-19-20 საუკუნეების მიჯნის პოეზიას. პუშკინი, ლერმონტოვი, ბლოკი, ბრიუსოვი, ბალმონტი, ბოდლერი, მალარმე, ვერლენი, რემბო, ვერჰარნი, - აგრეთვე ედგარ პო — აი, პოეტები, რომელთა შესახებ ხშირად ლაპარაკობდა და ალბათ ყველაზე მეტად აფასებდა. ცხადია, რომ შესანიშნავად იცნობდა ქართულ პოეზიასაც, თუმცა მას, მგონი, შედარებით მოგვიანებით ეზიარა, მის შემოქმედებაში განსაკუთრებით ხშირად ვხვდებით რუსთაველისა და ბარათაშვილის სახელებს. შოთას მან რამდენიმე ლექსი უძღვნა, თავისი წვლილი შეიტანა რუსთველოლოგიაშიც პუბლიცისტური ხასიათის წერილებით. 1937 წელს საიუბილეო სესიაზე წაიკითხა მოხსენება „რუსთაველი და თანამედროვეობა", რომელმაც დიდი შთაბეჭდილება მოახდინა დამსწრეებზე.

რაც შეეხება ბარათაშვილის პოეზიას, აქ მისი ღვაწლის გადაფასება შეუძლებელია.

ვალერიან გაფრინდაშვილი იყო ბარათაშვილის ერთ-ერთი პირველი მთარგმნელი რუსულ ენაზე. ჯერ კიდევ 1923 წ. გამოვიდა წიგნი მისი თარგმანებისა, რომელთა შორის ლექსების — „შემოღამება მთაწმინდაზე" და „საყურე" — თარგმანი დღესაც სანიმუშოდ შეიძლება ჩაითვალოს. თავისი ორიგინალის ღირსია აგრეთვე გალაკტიონის „მე და ღამის" ბრწყინვალე თარგმანი. საზოგადოდ, ვალერიანის ყველა თარგმანს (მათ შორის, საკუთარ ლექსებისა – ტრისტან მაჩაბლის ფსევდონიმით) აზის მისთვის დამახასიათებელი მაღალი ესთეტიკური კულტურისა და გემოვნების დაღი.

თარგმანების გარდა მას ეკუთვნის ოცზე მეტი რუსული ლექსი.

მშვენივრად იცნობდა ისტორიას. გატაცებული იყო, კერძოდ, საფრანგეთის რევოლუციისა და ნაპოლეონის ეპოქით. რობესპიერისა და დანტონისადმი (აგრეთვე სტენდალისადმი) მიძღვნილი მისი ბრწყინვალე სონეტები „პორტრეტული სიზუსტით", სკულპტურულიმკაფიობითადალაკონიზმით გამოირჩევა. საკუთარ შემოქმედების შესახებ ძალიან სიტყვაძუნწი იყო, მაგრამ გამიგონია მისგან ნათქვამი „დაისების" შესახებ: „მე თუ ოდესმე დამაფასებენ – ამ წიგნითო".

ზოგჯერ, იშვიათად, უფრო ჩვენი ნაცნობობის ადრინდელ წლებში კითხულობდა საკუთარ ლექსებს ქართულ და რუსულ ენებზე, ოდნავ ზეაწეული პათეტიკური ტონით. მახსოვს, მაგალითად, ლექსები „ინტერიეურ პირველი", „ღამის ფოთლები", „ემილ ვერჰარნს" (რუსულ ენაზე), რომელიც განსაკუთრებით უყვარდა.

მუსიკალური სმენით არ იყო დაჯილდოებული, მაგრამ დიდად აფასებდა მუსიკის მაგიურ ძალას. მის ლექსებში ხშირად ვხვდებით ბეთჰოვენის სახელს, რომელსაც, ჩანს, ყველაზე მაღლა აყენებდა კომპოზიტორებს შორის. მაგონდება მისი ლექსი „ბეთჰოვენის ქანდაკება კონსერვატორიის მარცხენა კედელზე", რომელიც კურიოზული, თუმცაღა სავსებით გასაგები და საპატიო „ოპტიკური ცთომილების" შედეგს წარმოადგენს (ნამდვილად ხომ ეს არის ქანდაკება ანტონ რუბინ-

ვალერიანი თავის ქალიშვილ ნანასთან ერთად (1940)

შტეინისა, რომელიც მართლაცდა საოცრად ჰგავს ბეთჰოვენს!).

მაგონდება ერთი შემთხვევა. 1924 წლის შემოდგომაზე რუსთაველის პროსპექტზე მე და ჩემ ქმარს შეგვხვდა ვალერიანი, ხელში ეჭირა პატარა შეკვრა ახლად დასტამბული „მეოცნებე ნიამორების" მე-11 ნომრისა (როგორც ცნობილია, იგი იყო ამ საოცრად ორიგინალური ჟურნალის დამაარსებელი და უცვლელი რედაქტორი), ნაღვლიანად გვითხრა: ეს „ნიამორების" ბოლო ნომერია და ამით ჟურნალი თავის არსებობას წყვეტს. ერთი ეგზემპლიარი გვისაჩუქრა.

შემიძლია ვთქვა, რომ „მოწმე" ვიყავი ვალერიანის ერთი ლექსის დაბადებისა. ზაფხულში, საღამო ჟამს, მანქანა, ვერც ეტლი რომ ვერ ვიშოვეთ, ფეხით შევუდექით წყნეთის გზას – ბავშვებთან მიგვეჩქარებოდა. გზა აგვებნა, შემოგვაღამდა, ცოტა არ იყოს შევშინდით. ამ შემთხვევამ შთააგონა პოეტს შესანიშნავი ლექსი „წყნეთის გზაზე". ხუმრობით ვეუბნებოდი, ეს ლექსი ჩემთვის უნდა გეძღვნა-მეთქი.

ვალერიანის უახლოესი მეგობრები უდავოდ იყვნენ პაოლო იაშვილი და ტიციან ტაბიძე, რომლებიც ძმური სიყვარულით უყვარდა. ჭეშმარიტად, ეს იყო „განუყრელი სამეული". ტიციანის ოჯახთან ურთიერთობის შესახებ ზემოთ მქონდა საუბარი (მიმოწერაშიც ასე მიმართავდნენ: „ძმაო, ტიციან", „ძმაო, ვალერიან"). ძალიან მძიმედ განიცადა ვალერიანმა პაოლოს ტრაგიკული დაღუპვა.

მახსოვს ასეთი შემთხვევა, დაკავშირებული იმ საბედისწერო დღეებთან. საღამოს ჩვენებთან მივედი. ვალერიანი მისთვის სრულიად უჩვეულო საქმით იყო დაკავებული. რაღაცას, მგონი, ჰალსტუხს აუთოვებდა. ვერც შეამჩნია ჩემი შემოსვლა. მე და ჩემი და ჩუმად ვსაუბრობდით, უცებ, ვალერიანმა უთო ხელიდან გააგდო, ჩაიკეცა და აქვითინდა. ცხადია, რომ უახლოესი მეგობრების ტრაგიკულმა სიკვდილმა დააჩქარა გულის მრისხანე ავადმყოფობის განვითარება, რამაც მალე მოუსწრაფა მას სიცოცხლე.

ვალერიანის ახლო მეგობრები იყვნენ აგრეთვე ალი არსენიშვილი, ნიკოლო მიწიშვილი, ხარიტონ ვარდოშვილი, შალვა აფხაიძე, რაჟდენ გვეტაძე, სერგო კლდიაშვილი და განსაკუთრებით კი — კოლაუ ნადირაძე, რომელიც ძალიან უყვარდა და რომელმაც უდროოდ გარდაცვლილი მეგობარი წრფელი ლირიკული ლექსით დაიტირა.

ვერაფერს ვიტყვი გრიგოლ რობაქიძესთან მისი ურთიერთობის შესახებ, რადგანაც ამას არ შევსწრებივარ. აღვნიშნავ მხოლოდ, რომ ვალერიანის არქივში ინახება რობაქიძის ორი ძალზე საინტერესო წერილი ვალერიანისადმი, რომლებიც დათარიღებულია 1919 და 1921 წლებით. მათი შინაარსი



პირველ რიგში: **ლიკა ჭავჭავაძე, ნანა გაფრინდაშვილი, გულბათ ტორაძე.** მეორე რიგში: **პიერ კობახიძე, ირა ჭავჭავაძე- გაფრინდაშვილი, ვალერიან გაფრინდაშვილი.** მესამე რიგში: **ტიტე კობახიძე, ბადრიკ ობახიძე, თამარ ჭავჭავაძე** (წყნეთი, 19889 წ.)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნათლად მეტყველებს კოლეგისადმი ავტორის პატივისცემის შესახებ.

როგორც ცნობილია, სწორედ გ.რობაქიძე და ვ.გაფრინდაშვილი იდგნენ ქართული ლიტერატურული სიმბოლიზმის სათავეებთან და წარმომიდგენია, რომ მათ აერთიანებდა არა მარტო ბრწყინვალე ერუდიცია და დახვეწილი გემოვნება, არამედ მაღალი სულიერება, ჭეშმარიტი ევროპეიზმი.

გ. რობაქიძისადმი პატივისცემა ვალერიანმა დაადასტურა მისი ლექსების „ფრანგ პოეტს" და „ეშაფოტი" რუსულ ენაზე თარგმნით (იხ. კრებული «Поэты Грузии», сост. Н.Мицишвили. Тбилиси. 1921).

მინდა მოვიგონო ვალერიანის კიდევ ერთი, უმცროსი მეგობარი — ნიჭიერი რუსი პოეტი, „ვეფხისტყაოსნის" მშვენიერი თარგმანის ავტორი პანტელეიმონ, ანუ, როგორც მას მახლობლები ეძახდნენ, ტოსია (Тося) პეტრენკო, რომელსაც იგი განსაკუთრებით დაუახლოვდა 30-იანი წლების დასაწყისში. თითქმის ყოველ საღამოს ვალერიანის ოჯახის სტუმარი იყო. პეტრენკო ფერმწერის ხალასი ნიჭითაც იყო დაჯილდოებული. ამის დამადასტურებელია მისი ორიოდე შემორჩენილი შემთხვევითი ნამუშევარი და მეგობრული შარჟები. არასოდეს არ დამავიწყდება მის მიერ ვალერიანის ბინაში — თეატრალურ შესახვევში (ამჟამად ვ. აბაშიძის ქუჩა) 7 (ამ ბინაში, სხვათა შორის, მანამდე ცხოვრობდნენ ლადო მესხიშვილი და შემდეგ ვასო აბაშიძე) მოხატული კედელი. ეს იყო ნამდვილი პანო, რომლისთვისაც შეიძლებოდა გვეწოდებინა „თანამედროვე პარნასი". აქ იყვნენ გამოსახულნი გამოჩენილი ფრანგი, რუსი და ქართველი პოეტები (მახსოვს, მაგალითად, რემბო, ვერჰარნი, ბრიუსოვი, პაოლო, ტიციანი, ვალერიანი, თვითონ პეტრენკო და კიდევ სხვები). ეს პანო გადაწყვეტილი იყო ლურჯ, ცისფერ, შავ, ნაცრისფერ, თეთრ და ნარინჯისფერ ტონებში. ხოლო თავისი სტილით, როგორც მახსოვს, ნახევრად სიურრეალისტური ხასიათისა იყო. მოკლედ, ამ უნიკალურ „ფრესკას" მისი ავტორის საკვირველი პოეტური ფანტაზიისა და ნიჭის დაღი ესვა. მაგრამ, როგორც ჩანს, სხვანაირად ფიქრობდა ამ ბინის შემდგომი მფლობელი, რომელმაც უმალვე გადაჭღება კედელი. 27 წლის პეტრენკოს ტრაგიკული აღსასრულის დღეს კი 1936 წლის მაისში მე პირველად ვნახე ცრემლები ვალერიანის თვალებზე.

რუს მწერალთაგან ყველაზე ახლო ურთიერთობა, როგორც ზემოთ ვთქვი, მას ბ. პასტერნაკთან ჰქონდა. ცნობილია, რომ ხანმოკლე, მაგრამ მეგობრული დამოკიდებულება დამყარდა სერგეი ესენინსა და „ცისფერყანწელებს" შორის რუსი პოეტის თბილისში ყოფნის დროს 1924 წელს. ტიციან ტაბიძისადმი მოწერილ წერილში ესენინი მოკითხვას უთვლიდა „თავის კეთილ მეგობრებს – პაოლოს, ლეონიძესა და გაფრინდაშვილს" (იხ. ამის შესახებ გ.ცურიკოვას წიგნი „ტიციან ტაბიძე". რუსულ ენაზე). ურთიერთობა ჰქონდა აგრეთვე მწერალ კ.ფედინთან, რომელიც თბილისში ყოფნის დროს რამდენჯერმე სტუმრად იყო მეუღლესთან ერთად ვალერიანის ოჯახში (1936 თუ 1937 წელს), აგრეთვე ცნობილ მთარგმნელებთან ბ. ბრიკთან და ბ. ლიფშიცთან.

ვალერიანის რამდენიმე ლექსი თარგმნა ცნობილმა პოეტმა ო.მანდელშტამმა, რომელიც გაიცნო 1920 წელს, ხოლო დაუახლოვდა 1921 წელს, როდესაც ოსიპ ემილის ძე საკმაო ხნით იმყოფებოდა თბილისში, სწორედ 1921 წელს დაიბეჭდა თბილისში ზემოთაღნიშნული წიგნი «Поэты Грузии», სადაც მოთავსებულია გაფრინდაშვილის ლექსები „კუაფერი" და „დაისი მეხუთე" მანდელშტამის თარგმანით.

როგორც მე მითხრა ჩემმა დამ – ირამ, რომელმაც მანდელშტამი 30-იანი წლების დასაწყისში გაიცნო, ორივე პოეტი დიდი სიმპათიით იყვნენ განწყობილნი ერთმანეთისადმი. ერთხელ, გაფრინდაშვილებთან სტუმრად ყოფნისას, მანდელშტამმა გააკვირვა იქ მყოფნი, როდესაც ზეპირად წაიკითხა ვალერიანის ორი ლექსი.

კოლაუ ნადირაძის სიტყვებით კი, მანდელშტამს ზეპირად სცოდნია აგრეთვე ბარათაშვილის „საყურე" ვალერიანის რუსული თარგმანით (იხ. ჟურნალი «Дружба народов», 1987, 8. აქვეა დაბეჭდილი ლექსი „კუაფერი"-ს მანდელშტამისეული თარგმანი).

ჩვენი ოჯახის ახლობელ ადამიანთა შორის — განსაკუთრებით, ვალერიანის ცხოვრების უკანასკნელ წლებში — არ შეიძლება არ ვახსენო ცნობილი ქართველი პედაგოგი, საბავშვო სათამაშოების მუზეუმის დამაარსებელი თინათინ (თიკო) თუმანიშვილი. ეს იყო საოცრად მდიდარი და ფაქიზი სულიერი სამყაროს მქონე ქალი. ყოველდღე ნახულობდა ვალერიანს მისი ავადმყოფობის პერიოდში, მოჰქონდა მისთვის ყვავილები. თიკო თუმანიშვილს ვალერიანმა ორი ლექსი უძღვნა (რუსულ და ქართულ ენებზე). კეთილი სიტყვით მინდა მოვიგონო ვალერიანის უახლოესი და საყვარელი ნათესავები, აწ განსვენებული დები ვარვარა და ნინო გაფრინდაშვილები, ძმა დავითი და სიძე ალექსანდრე

(საშა) კანდელაკი — ცნობილი ექიმი. ისინი თავზე ადგნენ ვალერიანს ავადმყოფობის პერიოდში, უმსუბუქებდნენ მას ტანჯვას.

ნაზი სიყვარულით უყვარდა ბავშვები. დაუსრულებლად ასაჩუქრებდა მათ ტკბილეულით, წიგნებით თუ სათამაშოებით. დამახასიათებელია, რომ ჩვენი ოჯახის ყველა ბავშვს უძღვნა ლექსები: თავის ქალიშვილს — „წერილი ნანას", დისწულს ქ. კანდელაკს — „ჩემს ქეთოს" (ორივე ეს ლექსი გამოქვეყნებულია), თამარ ჭავჭავაძის ქალიშვილს ლიკას — „ლიკა და ზღვა", და ჩემს ვაჟს გულბათს სახუმარო ლექსი „გამოჩენილ მონადირე გულიკო ტორაძეს" (არაა დაბეჭდილი). აი ეს ლექსიც:

„ჩვენი პატარა გულიკო
ჭალაში გადასულიყო,
მან მთები გადინადირა,
ლომნი და მგელნი ატირა.
მოკლა თხუთმეტი მელია,
სახლში ზეიმით ელიან
გულიკოს უცემს გულია,
მელებით დატვირთულია.
იგი სიმღერით ბრუნდება,
მაგრამ გზას დიდ ხანს უნდება,
ორი დღე-ღამე იარა
და წყნეთი გადმოიარა.
უკვე ჩანს დედაქალაქი
მრავალ დუქნების ალაგი
გრიშა და მერი ტორაძე
ხვდებიან ფიქრის გორაზე.
ირგვლივ ტაში და ძახილი
ხალხმა სთქვა მისი სახელი,
ეს რა გულადი ბიჭია,
მთლად ცარიელი ნიჭია.
სწერს მის შესახებ გაზეთი:
ვაჟკაცი უნდა ასეთი,
მაშ, გაუმარჯოს გულიკოს,
შემდეგშიც ვარგებულიყოს."

(1932 წ.)

30-იანი წლები ვ. გაფრინდაშვილის შემოქმედებითი და საზოგადოებრივი საქმიანობის გაფურჩქვნის ხანაა. ინტენსიურად მოღვაწეობს იგი, კერძოდ, მწერალთა კავშირში, როგორც სამდივნოს წევრი (პასუხისმგებელი მდივანი იყო 1934 წ. 21/X-დან 1939 1/X-მდე), მთარგმნელთა სექციის თავმჯდომარე და სხვ. ვალერიანი იმ დროს ერთ-ერთ ყველაზე ავტორიტეტულ ფიგურად გვევლინება ქართულ მწერლობაში. მას ხშირად ავალებენ საპასუხისმგებლო გამოსვლებს საკავშირო და რესპუბლიკურ ტრიბუნებზე. 1934-1937 წლებში რამდენჯერმე იყო მოსკოვში. მთარგმნელთა საკავშირო კონფერენციაზე (1936 წ. იანვარი) მის გამოსვლას დიდი შთაბეჭდილება მოუხდენია. კონფერენციის დამთავრების შემდეგ მეუღლესთან ერთად ერთი კვირით ლენინგრადს გაემგზავრა. ძალიან განიცადა თავისი დედის — ქეთევან მიქაძის გარდაცვალება ქუთაისში 1935 წ. მარტში (ამ დროს მოსკოვში იყო და სასწრაფოდ უკან დაბრუნდა). ამ წლებში თავის ოჯახთან ერთად რამდენჯერმე იყო კახეთში (თელავი, ახმეტა), რომელსაც წინად ცუდად იცნობდა, ახლა კი მოხიბლული ჩანდა. ეს აშკარად იგრძნობა ლირიკულ ლექსებში „ნადიკვარი" და „ერთი დღე ახმეტაში", რომელსაც ამთავრებდა სიტყვებით: „და თუ სიკვდილი დამედევნება, თავს შევაფარებ ისევ ახმეტას". ძალიან დაუახლოვდა ჩვენს თელაველ ნათესავებს ვახვახიშვილ-ჭავჭავაძეებს, რის შესახებაც მეტყველებს მისი ორიოდე შემორჩენილი გულთბილი წერილი. უყვარდა აგრეთვე ქვიშხეთი, სადაც არაერთგზის დაუსვენია მწერალთა სახლში.

მრისხანე დაავადების — გულის ასთმის შემოტევა განიცადა ავბედითი 1937 წლის 11 ივნისს. შემდეგ ერთი თვე ისვენებდა ბორჯომში საშა აბაშელთან ერთად, რომელიც ძალიან უყვარდა. თბილისში დაბრუნებისას კი კვლავ დაემართა გულის შეტევა. ვალერიანის ოჯახი ამ დროს წყნეთში ისვენებდა. მახსოვს, შუადღისას მე-13 პოლიკლინიკაში ა. ჭავჭავაძის ქუჩაზე, სადაც იმხანად ვმუშაობდი, მომნახა ჩვენების მეზობელმა ქალმა: — ვალერიანი ცუდად არის და გთხოვს მოხვიდეო — სასწრაფოდ მივედი. მართლაც, ძალიან ცუდ მდგომარეობაში იყო, სული ეხუთებოდა, პანტაპონი გავუკეთე, რამაც ცოტა უშველა, დაეძინა. იმ ზაფხულს შეტევები აღარ განმეორებია, მაგრამ საერთოდ ძალიან მოტყდა. გადატანილმა სულიერმა ტკივილებმა და ავადმყოფობამ შეცვალეს ადამიანი. ნერვიული და გულჩათხრობილი გახდა.

მომყავს ჩემი დის ირას ჩანაწერი დღიურში: „1938 წ. შემოდგომაზე დაიწყო სიარული მწერალთა კავშირში, მაგრამ ჩქარა დაანება თავი, ისევ გულის შეტევები დაეწყო. ძალიან იტანჯებოდა. დაუნიშნეს მკაცრი რეჟიმი: ლოგინში წოლა, წამლები. აუკრძალეს მარილიანი საჭმელი. მე გამოვთქვი აზრი: იქნებ ზღვამ არგოს-მეთქი. ექიმებმა ნება დართეს და იანვარში მე და ვალერიანი ბათუმში გავემგზავრეთ. იქ, აჭარის მწერალთა კავშირის თავმჯდომარე პარმენ ლორია ძალიან ყურადღებით იყო ვალერიანის მიმართ. მოგვათავსეს საუკეთესო სასტუმროში, ყოველდღე მოდიოდნენ მწერლები. როცა უკეთ გახდა, ექიმმა გარეთ გასვლის ნება დართო. ზღვის პი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რას გავისეირნეთ. წიგნის მაღაზიაში შევიდა, წიგნები დაათვალიერა. ამ პატარა გასეირნებას ცუდი შედეგი მოჰყვა: ისევ უძილობა და გულის ხუთვა, ისევ ლოგინში წოლა, წამლები. თბილისში დაბრუნების შემდეგ მკაცრ რეჟიმზე იყო. ლოგინში თითქმის 2 თვე იწვა, რამაც კარგი შედეგი გამოიღო. ნელ-ნელა დაიწყო ქუჩაში გასვლა, ახლო-მახლო, რასაკვირველია. 1939 წლის ზაფხულს სურამში წავედით. ჩასვლისას, გავჩერდით მწერალ დათიკო სულიაშვილთან. მეორე დღეს კი ოთახი ვიქირავეთ. სოფლის დაწყნარებულმა ცხოვრებამ, ლამაზმა ბუნებამ კარგად იმოქმედა ვალერიანზე. ორი თვის განმავლობაში აღარ ჰქონია არც ხუთვა და არც უძილობა. თბილისში დაბრუნებისთანავე დაიწყო ისევ მწერალთა კავშირში სიარული, თუმცა მე ძალიან წინააღმდეგი ვიყავი. იმ დროს რაღაც არჩევნები იყო კავშირში. ვალერიანიც აირჩიეს. ერთხელ დაბრუნდა ძალიან აღელვებული კრებიდან... ეს მისთვის ნამდვილი საწამლავი იყო და ამის შემდეგ აღარც წასულა თავის საყვარელ მწერალთა კავშირში. 1940 წ. ზაფხულს ისევ სურამში წავედით. ჩვენთან ერთად წამოვიდა ვალერიანის და – ნინა, რომელიც მისი ავადმყოფობის დროს არ მოშორებია ძმას. სურამში პირველ ხანებში უკეთესობა დაეტყო. ბევრს წერდა. მაშინ დაწერა თავისი გვიანდელი საუკეთესო ლექსები: „ფიქრი ლექსებზე", „ბავშვობა და ნისლები" და სხვა. სურამიდან სექტემბრის ბოლოს ჩამოვედით. სადგურიდან შეიარა თავის უფროს დასთან — ვარიჩკასთან. ორ დღეს აპირებდა იქ დარჩენას, მაგრამ გულის სისუსტის გამო თითქმის ორ კვირას დარჩა. ამის შემდეგ ცოტა უკეთ იგრძნო თავი. მეც იმედი მომეცა. მარჯანიშვილის თეატრის შეკვეთით დაიწყო მუშაობა ჰიუგოს „რუი ბლაზის" თარგმანზე, რაც დეკემბერში დაამთავრა. ერთ საღამოს ამ სპექტაკლის დამდგმელი რეჟისორი ვასო ყუშიტაშვილი იყო ჩვენთან და ამ დროს მოუვიდა გულის ძლიერი შეტევა. ახალ წელს კარგად დახვდა. ლექსიც კი დაწერა („1941 წლის 1 იანვარი"), რომელსაც ამთავრებდა სიტყვებით: „სრული იმედით მე ვუცქერი ცასა და მყობადს". ეს მისი უკანასკნელი ლექსი იყო. ახალ წელს მოვიდნენ ჩვენები, თიკო თუმანიშვილი. ვალერიანი ძალიან კარგ გუნებაზე იყო. 10 იანვარს ისევ ცუდად გახდა, საშინლად განიცდიდა. არ მესმის, რა დამემართა, როგორ კარგად ვიყავიო... ეტყობა, გრძნობდა სიკვდილის მოახლოვებას. უკანასკნელ თვეებში შეუყვარდა პოეტების ბიოგრაფიების კითხვა. იტყოდა ხოლმე: ეხ, თითქმის ყველა პოეტი ახალგაზრდა ან ჩემი ხნისა მომკვდარაო. გადაიკითხავდა თავის ძველ ლექსებს. ხანდახან ეჭვი შემეპარება ჩემში, როგორც პოეტშიო. გადაკითხვის შემდეგ დაწყნარდებოდა. იმეორებდა ცნობილ ნათქვამს: „მე ვსვამ პატარა, მაგრამ საკუთარი ჭიქითო".

იანვრის თვის ბოლოსთვის სულ უფრო და უფრო ცუდად გრძნობდა თავს. დროდადრო კარგავდა გონებას, ბოდავდა. უკანასკნელი დღეები ძალიან მძიმე იყო. 31 იანვარს ღამის პირველ საათზე დალია სული. თავზე ედგნენ მისი და ნინა და სიძე — საშა კანდელაკი".

პანაშვიდები ვალერიანის ბინაზე — რუსთაველის პროსპექტზე — გაიმართა. მახსოვს ცხარე ცრემლებით მტირალი კოლაუ ნადირაძე, სიმონ ჩიქოვანი, გერონტი ქიქოძე, ლევან ასათიანი, რაჟდენ გვეტაძე, ხარიტონ ვარდოშვილი...

გაზეთებმა ზედიზედ 1 და 2 თებერვალს ორი ვრცელი ნეკროლოგი უძღვნეს(!). დამკრძალავ კომისიაში, რომელსაც ლ.ქიაჩელი თავმჯდომარეობდა, შედიოდნენ გ.ლეონიძე, შ. აფხაიძე, ს. ჩიქოვანი, გ. ქიქოძე, შ.რადიანი, რ. გვეტაძე.

გამოსვენებამწერალთაკავშირისშენობიდან მოხდა 2 თებერვალს, ვ.გაფრინდაშვილი დაკრძალეს ვაკის სასაფლაოზე. 1 წლის შემდეგ კი გადაასვენეს დიდუბის პანთეონში. 1959 წელს მას გვერდში ამოუწვა მისი ერთგული მეგობარი და მეუღლე.

მოგონება ვალერიან გაფრინდაშვილზე მინდა დავამთავრო იმ საღამოს გახსენებით, რომელიც პოეტის გარდაცვალების ერთი თვის თავზე გაიმართა მწერალთა კავშირის დარბაზში. მისმა ცოლისდამ თამარ ჭავჭავაძემ ისეთი გზნებითა და მხურვალე განცდით წაიკითხა ვალერიანის ცნობილი „ისეთი ლექსი", რომ უკანასკნელი სტროფის: —„ისეთი ლექსი დავწერო მინდა,
რომ არ დამჭირდეს კიდევ ცხოვრება,
და მჯერა, ჩემი სიმღერა წმინდა
სამშობლო მხარეს ემახსოვრება" —

დამთავრებისთანავე მთელი დარბაზი, რომელიც სუნთქვაშეკრული და აღელვებული უსმენდა, თითქოს რომელიღაც ჯადოსნის ბრძანებით, ერთსულოვნად ფეხზე წამოდგა და ოვაცია გაუმართა მსახიობს. ბევრის თვალები ცრემლმა დანისლა. ნაადრევად გარდაცვლილი პოეტის სულიც ალბათ, იმ წუთას იქ სუფევდა.

მარიამ ჭავჭავაძე-ტორაძე

(1976).



ალბერტ მაკარაძე-ბარუზინსკი

***

წმინდაო, წმინდაო,
წმინდაო მარიამ!
მე ლოცვად მოვედი,
მე ლოცვა მწადია;
ვიცი, უჩემოდაც აქ ბევრნი დადიან,
მაგრამ შენ ვერ ნახავ ჩემსავით დარდიანს.
წმინდაო, წმინდაო,
წმინდაო მარიამ!
რა გაოცებული თვალებით მიცქერი?!
ვიცი, არ მელოდი...
მე მხოლოდ ღვინოს და ვნებას ვუმღეროდი.
ვიცი, არ მელოდი...
და მაინც მოვედი,
ნაძარცვი, შიშველი,
ჩემთვის არაფერს გთხოვ,
მე რაღას მიშველი,
როსკიპი ქალივით ათასჯერ გაყიდულს
სულიდან ხორცამდე...
ბევრჯერ მიტირია,
ბევრჯერ მინანია,
მაგრამ ჩემ ცოდვათა მონანიებაზე
ფიქრიც გვიანია...
მეტად გვიანია...
და მაინც რატომღაც დღეს ლოცვა მწადია —
წმინდაო, წმინდაო,
წმინდაო მარიამ...
მე განწირული ვარ,
ლოცვა ვერ მიშველის,
მე დაღუპული ვარ — შენდობა არ მინდა..
ვიცი, ჩემს შეცდომებს კვლავ გავიმეორებ,
ისევ რომ დავიწყო ცხოვრება თავიდან...
და მაინც, რატომღაც დღეს ლოცვა მწადია–

წმინდაო, წმინდაო,
წმინდაო მარიამ!
მე შენთან მოვედი
ნაძარცვი, შიშველი...
ჩემთვის არაფერს გთხოვ, ვეღარას მიშველი.
მე იმას გავედრებ — ჩემს სახელს კი არა,
ვინც ჩემთა ტკივილთა სევდას ეზიარა,
ჰფარავდე მას, ჩემზე ნაღველით დარდიანს
წმინდაო, წმინდაო,
წმინდაო მარიამ!..

***

დაღამება სევდას მიქსოვს,
გული რითი გავართო,
დავჯდები და დავწერ ბარათს,
ისევ უმისამართოდ.
ჩემი ლექსი თვით მოგძებნის,
ვერსად დაემალები,
მისამართად ეგულება
შენი გიშრის თვალები.
მას რად უნდა ქუჩის სწავლა,
შენი სახლის ჩვენება,
ვით მერცხალი თავის ბუდეს,
მოვა, მოგეფერება.
გახსნი ბარათს, წაიკითხავ,
წარსულს დაუბრუნდები,
მაგრამ ისევ გონს მოგიყვანს
სინამდვილის ხუნდები.
რა მწარეა მოგონება
დღეთა გარდასულისა,
რა ძნელია დაოკება
ვნებააშლილ სულისა...
და როცა ქალს ვნება ახრჩობს,
გული რითი გაართოს,
ჟინიანად დახევს ბარათს,
მაგრამ... უმისამართოს.
დაეძებ და ვერ იპოვე,
გაგიცრუვდა მიზანი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მე კი გულის გასართობად
კიდევ გამოგიგზავნი.

***

მე ვამჯობინებ ცოდვას გამხელილს
და თუ მაკლია დასჯა,
დაე, დამსაჯოს ღმერთმა;
ამ ეკლესიას მე შევარქვი შენი სახელი,
მე ერთადერთმა.

თუ ეს ცოდვაა, მე ჩავიდენ
კიდევ ერთ ცოდვას
და რჩევას მივცემ მაღალ ღმერთს ცაში:
ღვთისმშობლის ხატებს
მიახატონ შენი თვალები
და თვით სატანაც ღვთისმოსავი
გახდება მაშინ.

***

თოვს...
თოვლია,
თუ თოლიამ
ჩამიქროლა გამალებით?!
ცა ირხევა, ცა მოლია
ღილისტოლა ზამბახებით.
თოვს... თოვლია
ბარში, მთაზე
ფიფქი ფიფქთან მოდის ერთად.
თოვდა მუდამ, მაგრამ ასე,
დღეს რომ ათოვს, ასე თეთრად
არასოდეს უთოვია,
ვგლოვობ მუდამ, მუდამ, მაგრამ
ასე მაგრა
ჯერ არავინ მიგლოვია...
ვისა ვგლოვობ მე ამაოდ?!
დავიღალე ამ ძიებით,
მსურს ჩავიკრა სათითაოდ
მკერდში თოვლის თოლიები.
ჰე, მეძავო სულო ჩემო,
გინდა თოვლის სიწმინდე და
სიქალწულეც დაიჩემო?!
ზნე მაქვს ავი,
ეს ველური სიჯიუტე,
სადაც წავალ სულ თან მახლავს,
მაგრამ გწამდეთ, ჩემი თავი
მე პოეტად სტამბაში არ მომინათლავს...
ასეთი ვარ, ასე გავჩნდი,
მზეს არ ვევსრი ბედის ბადეს,
ჩანს, ბრწყინვალე ბაგრატოვანთ
ერთი ლოთი დავებადე,
მაგრამ ჩემს გულს ასე დიდხანს არავინ არ
უგლოვია,
ასე თეთრად ქართულ ზეცას არასოდეს
უთოვია...
...თოვს... თოვლია,
თუ თოლიამ ქარიშხალი მომახარა?!
მართლა თოვს თუ ვინმემ შენი
სურნელება მომაყარა?!
უკვდავების ვეძებ წყაროს,
რომ განვაგრძო ჩემი ბრძოლა,
ვეჭიდები მთელ სამყაროს,
გული კი მაქვს ფიფქის ტოლა.
...თოვს,
თოვლია?!
თუ თოლიამ ჩამიქროლა გამალებით?!
ცა ირხევა, ცა მოლია
შენი ფერის ზამბახებით.
ნეტავ ასე თუ დაათოვს
მივიწყებულ იმ ჩემს საფლავს,
მეც სხვებივით ჩემი თავი სტამბაში არ მომი-
ნათლავს...
ამ თოვლივით წმინდა იყო, ვიცი, ერთ დროს
ჩემი გული,
დღეს ზიზღით და სიძულვილით
შავად რომ მაქვს შერუჯული.
და მაშინაც ასე თეთრად,
ასე თეთრად არა თოვდა,
ასე ძლიერ რომ გაფითრდა,
ალბათ სატრფო გაუთხოვდა.
თოვს...
თოვლია?!
თუ თოლიამ ჩამიქროლა გამალებით?!.
ცა ირხევა, ცა მოლია
ღილისტოლა ზამბახებით...
თოვს...
თოვლია,
თუ თოლიას
შენი ფერი უთხოვია,
ასე თეთრად, ასე თეთრად
არასოდეს უთოვია.



ხვრის ყარამეკაშვილი

სუბიექტური ანალიზი, ანუ მეოხე მოქმედება

(მაყურებლის პოზიციიდან)

როგორც წესი, კარგი წერილი ამა თუ იმ სპექტაკლზე ობიექტური ანალიზისა და ღრმა განსწავლულობის ნაყოფია, რომელსაც გამოცდილი ავტორი რამდენიმე დღე, ან რამდენიმე კვირა ამწიფებს წლობით ნაწრთობ გონებაში.

ეს წერილი არც ობიექტური იქნება და არც იმდენად კარგი, რომ გამორჩეულ კრიტიკად ჩაითვალოს. თუ რატომ, ამას კითხვისას მიხვდებით.

ვისაც ჯერ კიდევ არ შეგიწყვეტიათ კითხვა, ალბათ ფიქრობთ, რომ ამ წერილს უსაქმურობა მაწერინებს, რადგან ჩემს განუსწავლელობაზე და ობიექტური ანალიზის უუნარობაზე თავადვე მოგახსენეთ დასაწყისში. სწორედ რომ უსაქმური გახლავართ. მწერლობა ხომ უსაქმურობაა, რომელზე დიდი საქმეც არ არსებობს. სხვათა შორის, კითხვაც უსაქმურობაა და, ამავდროულად, ძალიან დიდი საქმე. ჩემი და თქვენი უსაქმურობა უმიზნო დროის ხარჯვად რომ არ იქცეს, შევეცდები თანმიმდევრულად გავიხსენო თეატრალური ფესტივალის ერთ-ერთი საღამო, უფრო ზუსტად კი სპექტაკლი „ქალი ძაღლით“, რომელიც ლევან წულაძემ დადგა ანტონ ჩეხოვის ნაწარმოების მიხედვით.

ჩემი უსაქმურობისა და მოვლენათა ბრმა ტირანიის წყალობით, თხუთმეტიოდე წუთი დამაგვიანდა წარმოდგენაზე, რომელიც პირველად უნდა მენახა. სპექტაკლი მარჯანიშვილში, მცირე სცენაზე, ანუ სხვენში იდგმებოდა.

ავიარე საფეხურები, მივადექი შუახნის მამაკაცს და ვკითხე, სად შევსულიყავი. რა თქმა უნდა, თეატრის პერსონალი ჩემს საუბარზე მაშინვე მიხვდა, რომ უცხოელი სტუმარი არ ვიყავი და დაწყებულ სპექტაკლზე არ შემიშვა.

ჩამოვჯექი კიბეზე, რადგან შესასვლელთან სხვებიც იცდიდნენ და თავისუფალი სკამი აღარ იყო. რას აკეთებს მომლოდინე ადამიანი? რას და — ფიქრობს. დავიწყე სპექტაკლის სახელზე ფიქრი — „ქალი ძაღლით“.

ქალი — ქალი იმდენად პრიმიტიული არსებაა, რომ ვერ გამოიკვლევ. ქალი კი არ უნდა დააფასო, უნდა შეაფასო და იქამდე მოუფრთხილდე, სადამდეც შეინარჩუნებს თავის პირვანდელ ღირებულებას. ზუსტად ვიცოდი, რომ იქვე ახლოს, კარის მიღმა, სცენაზე თამაშობდა ქალი, რომელსაც უმაღლეს შეფასებას ვაძლევ ქალთა შორის. არ მინახავს ნატო ვაჩნაძე, არც გასული საუკუნის სხვა ბანოვანთა შესახებ შემიძლია ვისაუბრო აღტყინებულმა. არ გახლავართ ქალთა მკვლევარი. მე შემფასებელი ვარ. ჩემი აზრით, ნანკა კალატოზიშვილი სრულქმნილი მშვენიერებაა. ალბათ, ეს შეფასება იმდენად სუბიექტურია, რომ შეიძლება სხვა ქალების წყრომა გამოიწვიოს, სამაგიეროდ ამ აღიარებით ვაკმაყოფილებ ჩეხოვის მოთხოვნებს: „კარგად აღზრდილი ადამიანები, ჩემი აზრით, უნდა აკმაყოფილებდნენ შემდეგ მოთხოვნებს: ... ისინი გულწრფელნი არიან და ეშინიათ სიცრუისა, როგორც ცეცხლისა.“ ქალებზე ფიქრი აქ შევწყვიტე ორი მიზეზის გამო: პირველი — ცეცხლზე გეენა გამახსენდა და რატომღაც გეენას ყოველთვის ქალებს ვუკავშირებ; მეორე — ნანკას შემდეგ ძალიან გამიჭირდებოდა ვინმეზე მეფიქრა, თუნდაც

ანტიკურ პერსონაჟებზე. თითქმის დარწმუნებული ვარ, ადონისეს ნანკა რომ ენახა, აფროდიტე აღარ შეუყვარდებოდა და მეზღვაურებიც არ დაიღუპებოდნენ სირინოზების მოსმენისას, ერთხელ მაინც რომ ჰქონოდათ ნანკას ხმა მოსმენილი.

ძაღლი — „რაც უფრო კარგად ვეცნობი ადამიანებს, მით უფრო მეტად მიყვარდება ძაღლები“. იმ წუთში ამ ფრაზის მეტი არაფერი მომაფიქრდა, ალბათ იმიტომ, რომ სწორედ ადამიანის წყალობით მიწევდა მოცდა დახურული კარის სიახლოვეს, მტვრიან კიბეზე. ეს სიტყვები, მე რომ მაშინ გამახსენდა და თქვენ ახლა ძალიან მოგეწონათ, ადოლფ ჰიტლერს ეკუთვნის. მართალია, ადოლფ ჰიტლერი არავის არ მოგვწონს, მაგრამ ჩვენი დროის ადამიანებს თუ გადავხედავთ, ძალიან გაგვიჭირდება მიზანთროპი ფიურერის გაკიცხვა ამ არაჰუმანური ფრაზისთვის. ჰიტლერს არ ვკიცხავ, მაგრამ მის სიტყვებში რამდენიმე კორექტივა შემაქვს: პირველი — რაც დრო გადის, მით უფრო მეტად მიყვარდება ქალები და რადგან ქალებიც ადამიანები არიან, გამოდის რომ... მეორე — ძაღლებზე მეტად ხელოვნება, ანუ კაცები მიყვარს, (ახალი „გაევროპელებულები“ ვართ და ვინმემ რამე რომ არ დამწამოს, აქვე დავსძენ —კაცების სიყვარულში პროფესიულ სიყვარულს ვგულისხმობ.) რადგან ხელოვნებას ძირითადად კაცები ემსახურებიან, მაგალითად: ანტონ ჩეხოვი და ლევან წულაძე. რა თქმა უნდა, წულაძეს ჩეხოვს არ ვადარებ. არა იმიტომ, რომ ჩეხოვი სამხატვრო თეატრის ფუძემდებლად ითვლება და წულაძე მხოლოდ კონკრეტული თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელია; არც იმიტომ, რომ ჩეხოვს ნახევარი მსოფლიო იცნობს, წულაძეს კი ნახევარი საქართველოც ვერა, რადგან წულაძის სპექტაკლზე წასასვლელი ბილეთის ფასად, ორი ქართველი სადმე თხუთმეტ ხინკალს შეუკვეთავს და თუ იაფი „ზავიძენიაა“ ლუდიც მოუვა, არაყზე დასაყოლებლად. აი, ასე ვიცავთ ქართველები ეროვნული კერძებით ჩვენს ეროვნულობას. რატომ უნდა იაროს ქართველმა კაცმა რუსი ჩეხოვის ნააზრევის გასაგებად, თუნდაც მას ქართველი წულაძე გვინმარტავდეს თავისებურად. წულაძეს ჩეხოვის მოხვეული ხინკალი რომ მოჰქონდეს, დიდი სიამოვნებით, — ხინკალზე უარის თქმა არაეროვნული საქციელია... ყველასთვის გასაგები რომ გახდეს რატომ არ შევადარე წულაძე ჩეხოვს, ხელადისა და ღვინის მაგალითს მოვიყვან: წარმოიდგინეთ თავანკარა და ტანინიანი რქაწითელით სავსე დაჭირხლული ხელადა — ეს ლევან წულაძეა; აი ჩეხოვი კი დაჭირხლულ ხელადაში რომ თავანკარა და ტანინიანი რქაწითელი ასხია, ეგ არის... და მაინც, კვირაში ერთხელ, ხინკალზე უარს რომ ვამბობდეთ და დაჭირხლული ხელადიდან თავანკარა და ტანინიან რქაწითელს შევექცეოდეთ მარჯანიშვილის ბნელ დარბაზში, მგონი არაფერი მოაკლდებოდა ჩვენს ეროვნულობას. (ჩემი ფიქრებისთვის ლევან წულაძეს რომ ესმინა, ალბათ, შედარებებს სწორად გამიგებდა, რადგან როგორც ჩეხოვი ამბობს: „კარგად აღზრდილი ადამიანები, ჩემი აზრით, უნდა აკმაყოფილებდნენ შემდეგ მოთხოვნებს: ... ისინი გულწრფელნი არიან და ეშინიათ სიცრუისა, როგორც ცეცხლისა.“)

„ქალი ძაღლით“ — ქალებზე ვიფიქრე. ძაღლებზე მინდოდა მეფიქრა, მაგრამ ფიქრი ფიქრებს იქეთ რომ ფიქრებია, იქ გამექცა და... ასე თუ ისე, სათაურზე ფიქრი ამოვწურე, უფრო სწორად, მომწყინდა.

პირველი მოქმედების დასრულებამდე ოცი წუთი რჩებოდა, გაუსაძლისი ოცი წუთი. რატომ გაუსაძლისი? ის, რომ მტვრიან კიბეზე ვიჯექი და უსაქმოდ ვხარჯავდი ჩემ კუთვნილ დროს, არაფერ შუაშია, რადგან როგორც უკვე მოგახსენეთ, თანაც მრავალჯერ, უსაქმური გახლავართ და ყოველთვის უფრო მეტი დრო მაქვს, ვიდრე მკვდარს; მკვდარი უნდა გაპარსონ, გამოაწყონ, ჩაასვენონ კუბოში, დაიტირონ, მიწა მიაყარონ, შესანდობარი დალიონ და იქაც არ მოასვენონ. ჰოდა, სანამ მოვკვდები, ვტკბები ასე უსაქმურობით, მაგრამ ეს გაუსაძლისი ოცი წუთი... ის, რომ მარტოობისთვის და უმოქმედობისთვის ოცი წუთი დიდი დროა, ეს ჩემთვის პრობლემას არ წარმოადგენს, რადგან ფიქრი და ოცნება ჩემი ჰობია, რაც მხოლოდ მარტოობისას და უმოქმედობისას არის შესაძლებელი. აბა, რა ხდებოდა, რატომ მაწუხებდა ეს ოცი წუთი, რომელიც დარბაზის გარეთ უნდა გამეტარებინა? „კარგად აღზრდილი ადამიანები, ჩემი აზრით, უნდა აკმაყოფილებდნენ შემდეგ მოთხოვნებს: ... ისინი პატივით ეპყრობიან სხვის საკუთრებას, ამიტომაც არ ავიწყდებათ აღებული ვალის დაბრუნება.“ მე კი, ვალად მედო წერილი სპექტაკლზე, რომლის პირველი მოქმედება ოც წუთში დამთავრდებოდა, რა თქმა უნდა, ჩემს დაუსწრებლად.

ეს გაუსაძლისი ოცი წუთი, რამენაირად, რომ შემემსუბუქებინა, ხელოვნებაზე დავიწყე ფიქრი. ხელოვნებაში მხოლოდ სამ დარგს ვაღიარებ: მუსიკა — ჩვეულებრივი ბგერების ჰარმონიული შესხეულება, რომელსაც ადამიანის აღფრთოვანება შეუძლია; მხატვრობა — სიბრტყეზე გაცოცხლებული სივრცეები

ანუ არარსებულის ფერშესხმა, რომელსაც ადამიანი აღტაცებაში მოჰყავს; მწერლობა — უხილავი სივრცეების ჰარმონია, — ამაზე დიდი ხელოვნება არ არსებობს. და რადგან თეატრში გახლდით, დამებადა კითხვა: რა არის თეატრი? თეატრი ეს არის ხელოვნების მეჯლისი, სადაც ზემოთ ჩამოთვლილი სახელოვნებო დარგები თავისებურად იწონებენ თავს. ვინ არიან თეატრალები? — მეჯლისის ნიღბები. ვინ არის რეჟისორი? — აქ საქმე ცოტა გართულდა. როგორ მეფიქრა, რომ რეჟისორი ხელოვანი არ არის, არადა, არც მუსიკას წერს, არც რაიმე ნაწარმოებს და არც ხატავს. რეჟისორი ეს არის ხელოვნების უდიდესი ინტერპრეტატორი. წარმოიდგინეთ სამი პლასტელინის ფიგურა (მწერლობა, მუსიკა, მხატვრობა) რეჟისორი დიდი ხნის განმავლობაში აკვირდება ამ ფიგურებს, მანამ, სანამ არ შეუყვარდება ისინი; შემდეგ სამივეს ერთმანეთში ზელს, მანამ, სანამ ისინი სრულად არ შეისხეულებენ ერთმანეთს; დაბოლოს, კარგად აღრეული სხეულისგან იწყებს ერთი ახალი ფიგურის ძერწვას, რომელშიც გამოკვეთილი უნდა იყოს პირველქმნილი ფიგურების სახასიათო კონტურები. მაშ ასე, რეჟისორი ხელოვანი არ არის (რა თქმა უნდა, ჩემი აზრით), ის სახელოვნებო დარგების შემდუღაბებელი, დამაკავშირებელია, რომლის წყალობითაც ადამიანებს შეუძლიათ ერთდროულად აღფრთოვანდნენ, აღტაცებაში მოვიდნენ, იხილონ მანამდე უხილავი სივრცეების ჰარმონია. ლევან წულაძე ძალიან კარგი დამკვირვებელია, ფიგურების შეზელაც შესანიშნავად ეხერხება და მის გამოძერწილ ნამუშევარში პირველქმნილი კონტურებიც დიდებულად იკვეთება. თუმცა, მგონია, რომ სპექტაკლს, რომლის პირველ მოქმედებასაც მე ვერ დავესწარი, მთლიანობაში რაღაც ხარვეზი ჰქონდა და ეს ხარვეზი ფიგურებს, ანუ თოჯინებს უკავშირდება; ამაზე მოგვიანებით.

შევედი დარბაზში. დავდექი კიბეებზე და გავაგრძელე ლოდინით დაღლა. დარბაზში მხოლოდ მე, ცარიელი სკამები და სცენა გახლდით. სანამ მოვიფიქრებდი რაზე მეფიქრა, მოლაპარაკე, უფრო სწორად, მოხმაურე მაყურებლებმაც დაიწყეს შემოსვლა. ვიდექი და ველოდებოდი, როდის შეივსებოდა ცარიელი სკამები. სკამები მალევე შეივსო, თავისუფალი ადგილი აღარ დარჩა და ისევ მტვრიან საფეხურზე მომიწია ჩამოჯდომა, ოღონდ უკვე დარბაზში; ამ შემთხვევაში მოვლენათა ბრმა ტირანია არაფერ შუაში არ გახლდათ. („კარგად აღზრდილი ადამიანები, ჩემი აზრით, უნდა აკმაყოფილებდნენ შემდეგ მოთხოვნებს: ... ისინი პატივს სცემენ ადამიანის პიროვნულ თვისებებს და ამიტომაც არიან ყოველთვის შემწყნარებელნი, ლმობიერნი, ზრდილობიანნი, დამთმობნი... “)

წარმოდგენა დაიწყო. აღმოვაჩინე, რომ არც უბის წიგნაკი მქონდა და არც კალამი. სწრაფად გავაცნობიერე პრობლემა, რომელშიც უყურადღებობის გამო ჩავიგდე თავი და ხასიათი კიდევ უფრო გამიფუჭდა. ჩემნაირი მეხსიერებაგაფანტული და უსაქმურობით მოუცლელი მწერლისათვის ჩანაწერების გარეშე სპექტაკლზე წერილის დაწერა, ურმით მთვარეზე გაფრენის ტოლფასი საქმე გახლავთ. რადგან დეტალები აღარ მახსოვს, გაფრენა მიზანია და წერის უნარი საშუალება, ამიტომ შევეცდები ჩემებურად გავფრინდე — ღრმა კონკრეტიკისა და ობიექტური ანალიზის გარეშე. (დღეს არაობიექტურობა უზნეობად ითვლება, როგორც მწერლობაში, ასევე საჯარო დიალოგებში. ობიექტური იშვიათად გახლავართ, ამიტომ ჩემი ზნეობის დასაცავად უდიდესი მოაზროვნის სიტყვებს დავიხმარებ: „ota ben“ — როგორ შევიდა ეს ყოვლად უაზრო ტერმინი კაცობრიობის შეგნებაში? ლათინური სიტყვა „biectum“ ქართულად იქნება: „წინგდებული“. მაშასადამე, „ობიექტური მსჯელობა“ გამოვა ასე: „წინგდებული მსჯელობა“. სასაცილო რამ. ნამდვილი ტერმინი აქ ესაა: „ტრანსსუბიექტური“. — ეს სიტყვები გრიგოლ რობაქიძეს ეკუთვნის და მგონი უკეთეს დამცველს ვერც მოვნახავდი სუბიექტურობისთვის თავის გასამართლებლად.)

...გუროვი ბრუნდება სახლში, შეყვარებული, აფორიაქებული და მამაკაცურად თავდაჭერილი. ნაძალადევი წონასწორობის მიღმაც ასობით ურთიერთ საწინააღმდეგო აზრი ისტერიული ქაოსით ანგრევს გუროვის სტაბილურ ბუნებას. ჭეშმარიტი სიყვარული ღვთის წყალობაა და ეს წყალობა განსაცდელია, თუკი ის მაშინ გეწვევა, როცა მზრუნველი ცოლი გულის ფრიალით გელოდება სახლში. ნიკა თავაძე იმდენად კარგად გამოხატავს გუროვის ცნობიერში ერთმანეთზე გადანასკვულ წყალობას, განსაცდელსა და ისტერიულ ქაოსს, რომ მე ამ ურთიერთსაწინააღმდეგო გრძნობების თანამონაწილე, გამზიარებელი ვხდები, რა თქმა უნდა, ჩემდა უნებურად.

შთამბეჭდავია გუროვის ცოლიც. არაფერია იმაზე უარესი, როცა ხვდები, რომ ხელიდან გეცლება სიყვარული, როგორც წყარო ბედნიერებისა და შენ მის შესანარჩუნებლად ვერაფერს აკეთებ, რადგან არის შემთხვევები, როდესაც ინდივიდის ბედნიერება თავად მასზე კი არა, კონკრეტულ პიროვნებაზე ან

ეროვნული ბიბლიოთეკა

გარემო ფაქტორებზეა დამოკიდებული. ნატა კახიძე შესანიშნავად განასახიერებს ლამაზ, მზრუნველ, მოსიყვარულე და სევდიან ცოლს, მის სახეზე მოთამაშე გულწრფელი, შიშნარევი ღიმილი სცენაზე სენტიმენტალურ აურას ბადებს, რომელიც ჩემს უხეშ, ნარცისულ ბუნებაშიც კი აღვივებს რუდუნებით მიჩქმალულ თანაგრძნობის მარცვალს. („კარგად აღზრდილი ადამიანები, ჩემი აზრით, უნდა აკმაყოფილებდნენ შემდეგ მოთხოვნებს: ... ისინი არა მხოლოდ მათხოვრებსა და კატებს უთანაგრძნობენ...").

სცენის სიღრმეში შემოდის ანა, გრძელი თეთრი კაბითა და ქალური თვისებებით შემოსილი. თეთრი კაბის უჩვეულოდ გრძელ ბოლოზე გუროვის პატარა თოჯინა წამოსკუპებულა, რომელიც ზემშვენიერების ღვთაებრივ რხევას, თავისდა უნებურად, მარიონეტული მორჩილებით მიჰყვება. ეს მიგნება აღტაცებას იწვევს ჩემში და ბადებს სურვილს — ვიყვირო „ბრავო", რითაც მადლობას გადავუხდი რეჟისორს ჩემში აგიზგიზებული აღტაცებისთვის. ყველა მამაკაცს ჰყავს თავისი იდეალი-პერსონაჟი ამა თუ იმ ლიტერატურული, ისტორიული ან მითოლოგიური ნაწარმოებიდან; ჩემი იდეალი-პერსონაჟი პროვინციელი გოგოა, გრიგოლ რობაქიძის „გველის პერანგიდან", რომელიც ვაზის ჯვარით შემოდის სცენაზე. პროვინციელი გოგო წმინდა ნინოს როლში, იმდენად იდეალური იყო წლების მანძილზე, რომ არც ერთი ქალი, არც ერთ სიტუაციაში არ შემიდარებია მისთვის. ვუყურებ თეთრკაბიან ნანკა კალატოზიშვილს და მავიწყდება ვინ ვარ, სად ვარ, რას ვგრძნობ; ვფიქრობ მხოლოდ იმას, რომ ჩემს თვალწინ სუნთქავს, ირხევა, ანთია ჩემი იდეალი, რომელიც აქამდე ცხადში არასოდეს მინახავს. მთელი არსებით განვიცდი უხილავი სივრცეების ჰარმონიას — ეს ირეალური, ემპირიული ექსტაზია, რომელიც აღფრთოვანებას აჭარბებს ნეტარების ხარისხით. ვაღიარებ, მე პირველად ვიხილე ცოცხალი არსება, რომელიც შევადარე ჩემს იდეალ-პერსონაჟს და ეს მოხდა ლევან წულაძის სპექტაკლზე „ქალი ძაღლით". მიმაჩნია, რომ წულაძის ჩანაფიქრი (ანა თეთრ კაბაში, რომლის ბოლოზეც გუროვის მარიონეტი წამოსკუპებულა) ამ სპექტაკლის ყველაზე იდეალური მიგნებაა, რადგანაც ეს პასაჟი მაყურებელში აღვიძებს სუბიექტურ იდეალს, რომლის მარიონეტად ყოფნა წყალობაც არის და განსაცდელიც.

არსებობენ დიდი ადამიანები, რომლებთან საუბარიც შვებისმომგვრელია, რადგან მათ შესწევთ უნარი ჩასწვდნენ ჩვენს სულიერ და გონიერ ტკივილებს. ასეთი ადამიანების რეცეპტები ტკივილებს აყუჩებს; სრულად განკურნება კი ყოველთვის თავისთავადია. პროფესორი თავისებურ რეცეპტს აძლევს გაორებულ და, შეიძლება ითქვას, ცხოვრებამოძულებულ გუროვს, რომლის მდგომარეობაც საკუთარი ცხოვრების შეცვლის უუნარობით არის გამოწვეული. სულიერი და ფიზიკური ტკივილების დასაძლევად პროფესორი „შედარებების" რეცეპტს იძლევა; ნაღვლის ბუშტი რომ გაწუხებს, უნდა გიხაროდეს, რადგან არ გაქვს კიბო... თუ ცოლი გღალატობს, უნდა გიხაროდეს, რომ ის შენ გღალატობს და არა სამშობლოს. აქ ქართველებს მოღალატე ანას ქმარზე უარესად გვაქვს საქმე; ჩვენი პირველი ისტორიული პერსონაჟი ქალი, რომლითაც მსოფლიომ კოლხეთი გაიცნო, სამშობლოს მოღალატეა. პროფესორის შეგონებები მართლაც მალამო იყო, მანამ, სანამ სამშობლოს მოღალატე ცოლზე მივიდოდა და მედეა გამახსენდებოდა. ბესო ბარათაშვილი ისე კარგად თამაშობდა ჭკვიან, ოდნავ ცინიკურ და სანდომიან კაცს, რომ იასონი გააღვიძა ჩემს ცნობიერში. არ ვიცი, ეს დეტალი მხოლოდ მე ამეკვიატა, თუ რეჟისორსაც, როცა სპექტაკლზე მუშაობდა, მაგრამ ცხადია, რომ პროფესორის შეგონებამ უკუ შედეგი გამოიღო; ალბათ, მხოლოდ ჩემს შემთხვევაში, რადგან ფიქრის იქით რომ ფიქრებია, იმაზე ფიქრი ერთეულთა უნარია. აი, მაყურებელს კი გულზე მალამოსავით მოეცხო პროფესორის „შედარებების თეორია". თამამად შეიძლება ითქვას, რომ ბესო ბარათაშვილმა საზოგადოებას უწამლა.

კარგმა სპექტაკლმა უნდა მოგწყვიტოს არსებულს, შეგიტყუოს ესთეტიკურ-ეფემერულ მორევში და შენს ირგვლივ აღმართოს მისტიკური ჯებირები, რათა ვერ შეძლო მორევიდან გამოსვლა მანამ, სანამ როლიდან გამოსულ მსახიობებს აღფრთოვანებული არ ჩამოურიგებს ტაშსა და ოვაციას. თუ სპექტაკლის მსვლელობისას მაყურებელი საკუთარ თავს პოულობს, ანუ ახსენდება, რომ თეატრშია, ესე იგი, წარმოდგენას ხარვეზები აქვს; ხოლო თუ მაყურებელს მთელი სპექტაკლი ახსოვს, რომ ის მაყურებელია, — წარმოდგენა არ ვარგა.

წულაძის „ქალი ძაღლით" იმდენად კარგი სპექტაკლი გახლდათ, რომ მე ჩემდა უნებურად აღმოვჩნდი ესთეტიკურ—ეფემერულ მორევში, მაგრამ იყო დეტალები, რომლებიც ჩემს ირგვლივ აღმართულ მისტიკურ ჯებირებს ანგრევდნენ და უმალ ვპოულობდი ჩემ თავს, ანუ მახსენდებოდა, რომ სპექტაკლზე ვარ. მეორე ხარისხის პერსონაჟებს,

ფიქრებს, ოცნებებს, მოგონებებს, ეროტიკულ სცენებს მარიონეტები ასრულებდნენ. წარმოდგენაში მარიონეტების ჩართვა ანუ მათი გამოყენება სასცენო მოქმედებების გასამარტივებლად, ცუდი არ არის; არც ის არის ცუდი, რომ მარიონეტებს ჰქონდათ როგორც ბუტაფორიული, ასევე შინაარსობრივი დატვირთვა. „მეთოჯინეებიც" მშვენივრად ართმევდნენ თავს დაკისრებულ მოვალეობას, შეიძლება ითქვას, მაღალპროფესიონალურად, მაგრამ ყოველივე ამას ჰქონდა ერთი დიდი ნაკლი, რაც შუაზე ხლეჩდა წარმოდგენას, ანგრევდა მისტიკურ ჯეებირებს. „მეთოჯინეები" ღია სცენაზე გამოდიოდნენ თოჯინებთან ერთად, ანუ მაყურებელი ნათლად ხედავდა ადამიანებს, რომლებიც მარიონეტებს ათამაშებდნენ. თეატრის ღირსება მაყურებელში ილუზიური განცდების წარმოქმნაა. ესა თუ ის მოქმედება, ან ტრიუკი კარგავს ილუზიურ ხარისხს, თუკი მაყურებლი ნათლად ხედავს, როგორ ქმნიან თეატრალები ამ ილუზიას. მაყურებელს არ უყვარს როცა ატყუებ, მას უყვარს, როცა მოტყუებული რჩება. ნამდვილი და კარგად გასარჩევი ადამიანები ხელში პატარა მარიონეტებით ფუნქციას უკარგავდნენ თოჯინების ყოფნას სცენაზე. ჩემი აზრით, ბევრად უკეთესი იქნებოდა, მაყურებელს არ შესძლებოდა „მეთოჯინეების" დანახვა, რაც უფრო ილუზიურს გახდიდა თავად თოჯინებს. რეჟისორი, ალბათ, არ მიწყენს. („კარგად აღზრდილი ადამიანები, ჩემი აზრით, უნდა აკმაყოფილებდნენ შემდეგ მოთხოვნებს: ... ისინი გულწრფელნი არიან და ეშინიათ სიცრუისა, როგორც ცეცხლისა.")

სპექტაკლის მეორე, იდეალურ მიგნებად ფინალური სცენა მიმაჩნია, სადაც არაბუნებრივად გრძელი სარეცლის სხვადასხვა კიდეზე სხედან ანა, გუროვის საყვარელი და ცოლი გუროვისა. გაორებული გუროვი წრეზე ატრიალებს სარეცელს, აღგზნებული და დემონური ძალით აღსავსე. წრეგადასული სიყვარული თავად გეენური წრეა, რომელშიც შესული ვეღარასოდეს დაიხსნის თავს, ის მასში უნდა დაიწვას, ჩაინავლოს.

სპექტაკლში აღარ ჩანს დააღწია თუ არა გუროვმა წრეს თავი, რომელშიც ის იწვოდა. მთხრობელი გვაუწყებს, რომ იმ წლებში კაცობრიობა გაეხვია კიდევ უფრო საშიშ ცეცხლში, ვიდრე გუროვი იყო გახვეული და ამიტომ ამ სასიყვარულო ისტორიის მისაყურადებლად აღარავის ეცალა, არც თავად მთხრობელს, რომელსაც კარგად აჩნდა მოვლენათა ბრმა ტირანიის ნაშოლტარი.

მე დანარჩენი მაყურებლის მსგავსად, ფეხზე ამდგარმა ჩამოვურიგე მსახიობებს ტაში და ეს ჩემი მხრიდან ეტიკეტი არ გახლდათ; გულწრფელი მადლობა მიღებული სიამოვნებისთვის.

სპექტაკლიდან გამოსული მაყურებელი ფოიეში უმიზნოდ საუბრობდა, უფრო ზუსტად ხმაურობდა. მე უმოკლეს დროში დავტოვე ფოიე. („კარგად აღზრდილი ადამიანები, ჩემი აზრით, უნდა აკმაყოფილებდნენ შემდეგ მოთხოვნებს: ... ისინი არ არიან მოუსვენარნი. მათ ყურდღებას ვერ იპყრობს იმგვარი „ყალბი ბრილიანტი", როგორიცაა პოპულარულ პიროვნებებთან ნაცნობობა.")

დაახლოებით სამი კვირის თავზე უსაქმურობა გვერდზე გადავდე და შევუდექი ამ წერილის წერას. („კარგად აღზრდილი ადამიანები, ჩემი აზრით, უნდა აკმაყოფილებდნენ შემდეგ მოთხოვნებს: ... ისინი აღვივებენ საკუთარ თავში მშვენიერების აღქმას... მათ ესაჭიროებათ სიხალასე, დახვეწილობა, ადამიანურობა... ყოველივე ეს კი მიიღწევა გამუდმებული შრომით, წიგნის კითხვით, ანალიზით, ნებისყოფის გამომუშავებით... ამიტომ თითოეული წუთი ძალიან ძვირფასია.")

„კარგად აღზრდილი ადამიანები, ჩემი აზრით, უნდა აკმაყოფილებდნენ შემდეგ მოთხოვნებს: ... თუ მათ გააჩნიათ ტალანტი, ისინი პატივს სცემენ მას." — ვაკმაყოფილებ თუ არა ჩეხოვის ამ მოთხოვნას, ეს თქვენთვის მომინდია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნანა დოლიძე

ბანახლებული „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ აღოჩენებული ტრადიციები

„საზოგადოება ყიდულობს საკუთარ აზრებს, ისევე, როგორც რძეს, ვინაიდან ის იაფია, ძროხის რძესთან შედარებით. თუმცა რძე აქ უმეტესად წყლისგან შედგება.“

გ. შილერი

ტელევიზია საზოგადოებაზე მრავალფეროვან მოსაზრებებს ყიდის, ამიტომაც მყიდველისათვის, ანუ ნებისმიერი საღადმოაზროვნე ადამიანისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ჰქონდეს ის საინფორმაციო არხები, რომლებსაც ენდობა. მას შეუძლია ამ წყაროებზე დაყრდნობით თავადვე შეადგინოს საინფორმაციო სურათი და არ მოხვდეს თავსმოხვეულ მოსაზრებათა ტყვეობაში. XX საუკუნიდან დაწყებული დღემდე მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა განვითარებამ ცხადჰყო, რომ ყველაზე დიდი ნდობით საზოგადოებრივი მაუწყებელი გამოირჩევა. ვინაიდან, ის არამხოლოდ გართობის ფუნქციას ასრულებს, არამედ ინფორმაციის გავრცელების მნიშვნელოვან საშუალებას წარმოადგენს. განსაკუთრებით იზრდება მისი როლი კრიზისების დროს, ვინაიდან წინააღმდეგობებით გახლეჩილი საზოგადოებისათვის წებოს ფუნქციის შემსრულებელია. თუმცა ჩვენს სინამდვილეში საზოგადოებრივი მაუწყებლის ფუნქციები, მიზნები, პროგრამული სტრატეგიები განსხვავებულ ელფერს იძენს.

სატელევიზიო კომპანიები დღეს საზოგადოებრივ, კერძო და სახელმწიფოებრივ კომპანიებად იყოფა. მე-20 საუკუნის 90-იანი წლებიდან აღმოსავლეთ ევროპაში, ყოფილ საბჭოეთში მაუწყებლობის დეცენტრალიზაციის პროცესს, სახელმწიფო ტელევიზიების საზოგადოებრივ მაუწყებლებად გარდაქმნის პროცესი მოჰყვა, რაც თავისთავად გულისხმობს სამ უმთავრეს პრინციპს: საზოგადოებრივი ინტერესის დაკმაყოფილებას, საზოგადოების მხრიდან ფინანსირებას, საზოგადოებრივ კონტროლს, რომელიც ჩვენს შემთხვევაში სამეურვეო საბჭოს საშუალებით უნდა განხორციელდეს და უნდა გააჩნდეს ორიენტირებული პროგრამული პოლიტიკა, რომელსაც გლობალიზაციის პირობებში შესაძლოა განსაკუთრებული ფუნქციაც დაეკისროს — ეროვნული და კულტურული იდენტობის დაცვა და ეროვნული თვითმყოფადობის განმტკიცება. საზოგადოებრივი მაუწყებელი ცდილობს ევროპულ საზოგადოებრივ მაუწყებელთა განვითარების გამოცდილება გაითვალისწინოს, რომელსაც თავის მხრივ 22 ძირეული პრინციპი ჩამოუყალიბდა დამოუკიდებელი ფუნქციონირების ხელშესაწყობად. თუმცა ფუნდამენტური პრინციპები — ცენზურის დაუშვებლობა, მართვის გამჭვირვალეობა, სახელმწიფო ორგანოების ჩაურევლობა სამეურვეო საბჭოს ფორმირებაში, მათი თავისუფლებისა და დამოუკიდებელი მოქმედების უზრუნველყოფა, პერსონალის დაცვა პოლიტიკური თუ სხვა სახის ზეწოლისაგან, ხელისუფლებისა და ოპოზიციის თანაბრობის პრინციპი ტრანსლაციის დროის გამოყოფის თვალსაზრისით და სხვა — ჩვენს სინამდვილეში ეს პრინციპები არ მუშაობს. დასავლეთევროპული ქვეყნებისაგან განსხვავებით, ჩვენ ის ტრადიცია გვაქვს, რომლისგანაც განთავისუფლება არც ისე იოლი აღმოჩნდა. შემუშავდა ახალი საკადრო პოლიტიკა, განისაზღვრა პროგრამული პრიორიტეტები, შეიქმნა სამეურვეო საბჭო, შეიცვალა მმართველობის ორგანო და მაუწყებელიც ჩაება „კონკურენტულ“ გარემოში, სადაც ყოველთვის არსებობს ხიბლში ჩავარდნის საშიშროება, — დაიპყროს მრავალმილიონიანი აუდიტორია და კომერციულ არხებზე აპრობირებული სატელევიზიო ჟანრები ჩართოს სამაუწყებლო ორბიტაში. ტელესერიალების და გასართობი პრო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გრამების სიჭარბეც სწორედ ამ პრობლემის ერთგვარი გაგრძელებაა.

საბჭოური ტელევიზია, რომელიც დატვირთული იყო საზოგადოებრივ-დოკუმენტური, შემეცნებით-საგანმანათლებლო გადაცემებით, უმეტესწილად პოლიტიკური შეფერილობით და გამეფებული იდეოლოგიის პროპაგანდით იყო გაჯერებული, განსაკუთრებით საინფორმაციო „ახალი ამბების" გამოშვებები, რომელიც ერთი და იგივე მკაცრად განსაზღვრულ დროს გადიოდა ეთერში. 9 საათზე ცენტრალური საინფორმაციო გადაცემა მთელ საბჭოთა სივრცეზე ვრცელდებოდა. მაყურებელი შეჩვეული იყო საინფორმაციო ერთფეროვნებას, სადაც ფაქტი არ წარმოადგენდა შეტყობინების ღერძს, რაც თანდათანობით უნდობლობის გაჩენას და პროპაგანდისადმი გულგრილ დამოკიდებულებას იწვევდა. თუმცა იდეოლოგიები არც ცდილობდნენ შეეფუთათ საკუთარი მიზნები და საკომუნიკაციო საშუალებებს ინფორმაციისა და პროპაგანდის საშუალებად ღიად აცხადებდნენ. თუ არაკონკურენტულ გარემოში მაყურებელი გარანტირებული ფაქტორი იყო, დღეს აუცილებელი გახდა მაყურებლის მოსაზიდად, სწორება მომხდარიყო კერძო მაუწყებლის პროგრამირების სტილზე, ახალი ამბების სტრუქტურაზე, პერსონიფიცირებულ მაუწყებლობაზე, მასკულტურის ჟანრებზე. დიქტორის ფუნქციაც კორექტირებას დაექვემდებარა. ინტელექტუალური, საგანმანათლებლო, მასობრივი აუდიტორიისათვის რთულად აღსაქმელი გადაცემები სათავგადასავლო, მძაფრსიუჟეტიანი ფილმებით, ტელესერიალებით, გასართობი პროგრამებით, თოქ-შოუებით ჩანაცვლდა. საინფორმაციო გამოშვებათა სიხშირე და ხანგრძლივობაც კორექტივებს დაექვემდებარა. მაუწყებლობამ ევროპული ტრადიციაც გაიზიარა და გადაცემების ცალკეულ სტუდიებში მომზადების გამოცდილება დაამკვიდრა. დღეს მოქმედ მაუწყებელთა შორის საზოგადოებრივი მაუწყებელი გამოირჩევა საკუთარი გადაცემების წარმოების მრავალფეროვნებით. დაახლოებით ოცამდე ახალი პროექტი, საინფორმაციო, გასართობი, შემეცნებითი შეიცვალა და განახლდა სტუდიები, დაიხვეწა პრომოუშენი, რომელიც თვითრეკლამისა და ანონსირების მაქსიმალურად გამოყენების საშუალებას იძლევა. ძირითადი აქცენტები ცნობად ჟურნალისტურ სახეებზე და მათ საავტორო გადაცემებზე გაკეთდა. თუმცა, უმნიშვნელოვანესი სტრატეგია, რაც მაუწყებლობამ საზოგადოებას წარუდგინა, განწყობის არხად ტრანსფორმაციის სურვილი იყო. ბედნიერი ახალგაზრდობა, ბედნიერი მევენახე, მთამსვლელი, მეთევზე, გაღიმებული ოჯახი სარკისებურად ლოგოში არეკლილი საზოგადოების ყველა სოციალური ფენა, თუ ასაკობრივი კატეგორია. მაუწყებლის მესიჯად იქცა, რომ ის საზოგადოების ყველა ფენისა, თუ განსხვავებული კატეგორიის სამსახურში ჩადგებოდა. თუმცა, მესიჯის საწინააღმდეგო პრომოუშენის შინაარსში ჩაიდო. მაყურებელი ვერ ხედავს შერჩეულ პრიორიტეტებში ქვეყნის რეალური მდგომარეობის ამსახველ სახე-სიმბოლოებს, ისევე, როგორც ვერ ხედავს გაღიმებულ და გახარებულ მევენახეებს რეალურ ყოფაში, რომლებიც „სიცილ-კისკისით" ჩეხავენ საკუთარ ნაფოფინებნალოლიავებ ვაზს. თუმცა, გახარებული სახეები ამაღლებული განწყობის შესაქმნელად არის და ამ მიზანს ემსახურება პროგრამულ ბადეში შესული ექვსი ტელესერიალი, „კაბარე ხუთი ვარსკვლავი", „ერისთავის სათვალე", „ცხოვრება მშვენიერია" — გადაცემის სახელწოდება, რომელიც არხის პროპაგანდისტულ ლაიტმოტივად ტრანსფორმირდა. მაუწყებლის პროგრამულ სტრატეგიაში, როგორც 2008 წლის, ასევე 2009-10 წლების სამომავლო გეგმებშიც ხაზგასმულია საეთერო დროში ახალი ამბებისათვის გამოყოფილი დროის ხვედრითი წილის შემცირება პროგრამული მაუწყებლობის სასარგებლოდ, ანუ ნაკლები ინფორმაცია ტელესერიალების განმეორებითი ეთერისათვის. თუ გავითვალისწინებთ საზოგადოებრივი მაუწყებლის უმთავრეს ფუნქციას საზოგადოების ინფორმირების თვალსაზრისით, რასაც მსოფლიო საზოგადოებრივი მაუწყებლები პრიორიტეტად განიხილავენ, მისთვის ნაკლებ პრიოპიტეტულია. მაშინ, როდესაც იგივე BBC-ის თემატური საინფორმაციო მაუწყებელი, იაპონიის საზოგადოებრივი მაუწყებელი, რომლის 45% საინფორმაციო პროგრამებს ეთმობა მოსახლეობის 80% — ნდობით სარგებლობს. საზოგადოებრივი მაუწყებლის საინფორმაციო პოლიტიკა გახდა სწორედ საზოგადოების პროტესტის საგანი, ვინაიდან მოწოდებული ინფორმაციისადმი უნდობლობის ხარისხი საკმაოდ მაღალია. ძირითადი „მუშაობა" მიდის სწორედ იმაზე, თუ რა შეიძლება მოხვდეს სატელევიზიო ეთერში, ან მოვლენების რა ნაწილის ჩვენებაა შესაძლებელი, რათა, ერთი მხრივ, მიიღოს სწორედ ის, რაც წამყვან იდეოლოგიურ მიმართულებას არ დაუპირისპირდება და მეორე მხრივ, მაყურებელს ინფორმირებულობის განცდა დაეუფლოს. მოვლენათა ტენდენციურმა ინტერპრეტაციამ, არაობიექტურობის ელემენტების გაჩენას შეუწყო ხელი. მკვეთრად პოლარიზებული საზოგადოება, ასევე მკვეთრად განსხვავებული სატელევიზიო სივრცეში მომუშავე ტელეარხებზე გადანაწილდა. პროპაგანდისტული პრიმიტივიზმი, შესაბამის ტექნოლოგიებში გათვითცნობიერებული მაყურებელი, საზოგადოებრივი მაუწყებლობისადმი, როგორც ფსიქოლოგიურ ომში ჩაბმული მხარის მიმართ საბჭოური ტელევიზიისადმი დამოკიდებულების განცდის რეანიმირებას ახდენს.

დღევანდელი საინფორმაციო „ახალი ამბების" სამსახურში ყველა ნაციონალურ არხზე, ამ შემთხვევაში საზოგადოებრივი მაუწყე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბელი გამონაკლისს არ წარმოადგენს, ერთგვარ სახელისუფლებო პროდუქტად აღიქმება. ის იგივე ფუნქციებს ასრულებს, რასაც თავის დროზე „ვრემია“ და გერმანიაში „აქტუალური კამერა“ ასრულებდა. თავისუფლების გამოცხადება საკმარისი არ აღმოჩნდა ჭეშმარიტი თავისუფლების მოსაპოვებლად, ამიტომაც დღის წესრიგში არა სატელევიზიო გადაცემების ხარისხობრივი ანალიზი, არამედ თავისუფლების ხარისხი დგება — როდესაც, იმ პოლიტიკური, მორალურ-ზნეობრივი ფასეულობების კრიტიკაა შეუძლებელი, რომელიც გამეფებულ პოლიტიკურ ხაზთან და მის მიერ დამკვიდრებულ მორალურ კატეგორიებთან წინააღმდეგობაში მოდის.

9 აპრილიდან მოყოლებული დედაქალაქის ქუჩებში ათი-ათასობით ადამიანი ხელისუფლების მიმართ საკუთარი პროტესტის გამოსახატად გამოდის. ხელისუფლებისა და მისდამი კრიტიკულად განწყობილი საზოგადოების დაპირისპირება სატელევიზიო, ვირტუალურ სივრცეში ინაცვლებს. ტელევიზია ქმნის საზოგადოებრივ აზრს, პოლიტიკურ სიმპათიებსა თუ ანტიპათიებს, მანიპულირებს მაღალეფექტური საშუალებებით, მეთოდებითა თუ ტექნოლოგიებით და ამ თვალსაზრისით სწორედ საზოგადოებრივი მაუწყებელი, გარკვეულწილად ანგარიშვალდებულია, რომ საზოგადოების წინაშე ობიექტური რეალობა ასახოს. თუმცა, პროცესები საპირისპიროდ განვითარდა და ამუშავდა ძველი საბჭოური პროპაგანდისტული მანქანა, უკვე კარგად ნაცნობი და გაცვეთილი ტექნოლოგიებით, დაწყებული მნიშვნელოვანი ინფორმაციიდან ყურადღების გადატანის ტექნოლოგიით, კომპრომატების ომით, „რუსული ფულისა“ და „აგენტების“ იარლიყებით, არასასურველი რაკურსების გამოყენებით, ინფორმაციის მოწოდების ფრაგმენტულობის, პერსონალიზაციის საშუალებით, ანუ ყურადღების მობილიზებით არა მოვლენათა არსზე, არამედ მათ მატარებლებზე— პრეზიდენტზე, პოლიტოლოგებზე და ოპოზიციის წარმომადგენლებზე.

პროტესტის მასობრიობა, სანახაობრიობა, რომელიც უმნიშვნელოვანეს წილად სწორედ ტელევიზიისთვის არის განკუთვნილი, ემოციური მუხტის შემცველია და ტელეეკრანზე ხილვისას გადამდები ეფექტი გააჩნია. ტელემაყურებლის გარეშე, სანახაობა კარგავს ზემოქმედების უნარს, ამიტომაც მანიპულირების საგნად იქცა ათიათასობით შეკრებილი ადამიანის რაოდენობა. უმთავრესად რეპორტაჟები მიტინგიდან ამ პრინციპით იგებოდა. ორ ნაწილად გაყოფილ ეკრანზე პირველი კადრი დაცარიელებულ რუსთაველის პროსპექტს უჩვენებდა, თუმცა არა იმ „დროს“, როდესაც მოქმედება ვითარდებოდა, არამედ მანამდე, სანამ ხალხი შეიკრიბებოდა. მეორე კადრი მიმდინარეს ასახავდა, თუმცა წინა პლანზე ჟურნალისტი გამოდიოდა და ფონად მიმდინარე მოვლენა ქმედითი აღქმის საგნად ვერ იქცეოდა. ერთის მხრივ მოვლენის ჩვენება, სადაც ფაქტის ხელშეუხებლობის პრინციპი უნდა იყოს დაცული და შემდეგი ეტაპი საზოგადოებისათვის მნიშვნელოვანი მოვლენის ირგვლივ არსებული პოზიციების შეპირისპირების საფუძველზე რეალური სურათის შექმნა და თუ იდეოლოგიური მოსაზრებების გამო ფაქტი ჩარევისა და მანიპულირების საგანი ხდება, ხოლო დებატების ფორმატი, პოლიტიკური თოქშოუ, თუ საგამოძიებო ჟურნალისტიკის ჟანრები ქრება ტელეეკრანიდან — ობიექტური სურათის შექმნის ალბათობა მცირდება.

გერმანელი პოლიტოლოგი ნ. ბოლცკი აღნიშნავდა, რომ „ის, თუ რას წარმოადგენს ესა თუ ის მოვლენა, თუ პოლიტიკოსი—ამის გაგება მხოლოდ მედია ინსცენირების გარემოშია შესაძლებელი. ის, რაც რეალურად ხდება საზოგადოებრივ მოვლენად მხოლოდ ასახვის შემდეგ იქცევა.“ ის, თუ როგორ ასახავს ესა თუ ის მაუწყებელი, ამა თუ იმ მოვლენასა, თუ პოლიტიკოსის პორტრეტს, ჩვენს შემთხვევაში გამეფებულ იდეოლოგიას დაექვემდებარა. (2003 წლის მოვლენების განვითარება მნიშვნელოვანწილად „რუსთავი-2“ ის დამსახურებაა, როდესაც საზოგადოების მობილიზება სამართლიანობისათვის ბრძოლის ლოზუნგით ხდებოდა). საკნებით მოფენილი ქალაქი, რომელიც საზოგადოებრივი მაუწყებლისათვის მასში განთავსებულ თანამოქალაქეთა, თუ სწორედ პრომოში „გახარებულ მევენახეთა შესახებ პრობლემური რეპორტაჟის თემად უნდა ქცეულიყო. თუმცა ნიუანსების მთავარ თემად მაუწყებლისათვის ბნელ კუთხეში გასულ მოქალაქეთა შარვლის უბეებზე ჩასაფრება აღმოჩნდა, ესეც ალბათ განწყობის შესაქმნელად. ომში დამარცხებული ქვეყნის, სოციალურ-ეკონომიკური სიდუხჭირით შეპყრობილი საზოგადოებისათვის განწყობის შექმნა, მაუწყებლის მხრიდან ვირტუალურ გარემოში დარჩენის საფრთხეს ქმნის, მაშინ, როდესაც იგივე პროპაგანდისტული მანქანის ამუშავება საზოგადოებისათვის უფრო სასარგებლო კუთხით შეიძლებოდა. საინფორმაციო საზოგადოების პირობებში, სწორედ საინფორმაციო მაუწყებლობის ხარისხი განსაზღვრავს სატელევიზიო არხის აქტუალობას, შესაბამისად მის ყურებადობასაც. ინფორმაციის მოგროვებისა და გავრცელების თავისუფლება ადამიანის კონსტიტუციური უფლებაა, რომელიც საბჭოთა საქართველოს პირობებში შელახული და იგნორირებული იყო. ამ ტრადიციამ ახლებური შტრიხები შეიძინა, მოაქცია რა საბჭოური სულისკვეთება ევროპულ-ამერიკული მოდელის მხოლოდ ფორმისეულ ელემენტებში. არადა პასუხისმგებლობის გაცნობიერება, იმ საშიშროებას ხილულს გახდიდა, რაც საზოგადოების მიზანმიმართულმა გახლეჩამ შეიძლება გამოი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

წვიოს.

ჩვენი სატელევიზიო სივრცე სავსეა პარადოქსებით. გაჩნდა სატელევიზიო მმართველობისა და ფუნქციონირების ერთ მოდელში გაერთიანებული ურთიერთგამომრიცხავი მოდელი. ერთის მხრივ, ტელეარხის გარეგნული ფორმა, რომელიც ევროპულ-ამერიკულ მოდელზეა ორიენტირებული და გარკვეულწილად მათგან იღებს სატელევიზიო მომსახურების ამა თუ იმ ფორმებს, უფრო მეტიც, ხშირად სატელევიზიო გადაცემის ფორმატი პირდაპირი კოპირების გზით ჩნდება ტელეეთერში, ყოველგვარი ეროვნული თავისებურების გათვალისწინების გარეშე. ჩვენს სატელევიზიო სივრცეში იშვიათად ჩნდება ორიგინალურობის კოდის მატარებელი ქართული პროექტი (თუმცა აღნიშნული ცალკე კვლევის საგანია) მეორეს მხრივ, მმართველობის ფორმა, სადაც საბჭოური ტრადიცია ერთგვარად გაცოცხლდა და ახალი შტრიხებით გამდიდრდა. როდესაც ესა თუ ის ტელეკომპანია კერძო საკუთრების ფორმაა, თუმცა მასზე კონტროლი არა მესაკუთრის, არამედ რეალურად სახელმწიფოში არსებული მმართველობითი სტრუქტურის ხელშია, როდესაც მესაკუთრესთვის ძირითადი ორიენტირი არა საზოგადოებისთვის სამსახურია, რაც პირდაპირპროპორციულია ტელეარხის ყურებადობასთან და შესაბამისად მაღალი მოგების მიღებასთან, არამედ დამოუკიდებლობის „ნებაყოფლობით“ შეზღუდვაზეა ორიენტირებული. ჩვენი სატელევიზიო ჟურნალისტიკა შორს არის დამოუკიდებლობისგან და უფრო მეტად, იმ პასუხისმგებლური პოზიციისგან, რომელიც ამ პროფესიის ადამიანების შემოქმედებითი მოღვაწეობის ამოსავალი უნდა იყოს. გამონაკლისი ტელეკომპანიების „კავკასიისა“ და „მაესტროს “ მოღვაწეობაა, რომელმაც ჟურნალისტური, მოქალაქეობრივი და ზნეობრივი პოზიციის დაცვა მოახერხა და შეძლო თავისუფალი მედიის სტატუსის, არა მხოლოდ მოპოვება, არამედ მისი შენარჩუნება და საზოგადოების მოთხოვნათა ნაწილობრივი დაკმაყოფილება. კიდევ ერთი პარადოქსი იკვეთება, როდესაც მაყურებელი ირჩევს ტექნიკური და ესთეტიკური პარამეტრებით ნაკლები შესაძლებლობების მქონე ტელეარხებს, სწორედ იმ მიზეზით, რომ მათ გათვითცნობიერებული აქვთ, ის ფუნქცია, რომელიც ტელევიზიამ უნდა შეასრულოს.

საზოგადოებრივი მაუწყებლის პროგრამულ სტრატეგიებში, როგორც ადრე, ისევე დღესაც აღნიშნული რიგითი ადამიანის პრობლემების ამსახველი პროგრამების აუცილებლობა, ხელისუფლებაზე საზოგადოებრივი მონიტორინგის შინაარსის მატარებელი პუბლიცისტური საგამოძიებო პროგრამები და სიუჟეტები, სარედაქციო დამოუკიდებლობის, სამართლიანობისა და მიუკერძოებლობის, საზოგადოებაში არსებული პლურალისტური მოსაზრებების, დებატების აუცილებლობა—ეს ყველაფერი 2008 წელს ქაღალდზე დეკლარირებული და ასეთივე სულისკვეთება გრძელდება დღემდე.

ქართულ სინამდვილეში საზოგადოებრივი მაუწყებელი მხოლოდ სახელწოდებაა, როგორც ჩანს ავტორიტარულ რეჟიმში გაჩენილი, გაზრდილი და გამოკვებილი მაუწყებელი საკუთარ ტრადიციას იოლად ვერ უღალატებს, ვინაიდან მისი თავისუფლება ხელისუფლების ნების პირდაპირპროპორციულია, ამიტომაც ჩვენს წინაშე ორი საქართველოა, ერთ სატელევიზიო სივრცეში მოქცეული, ერთში 6 მაისს დატრიალებული მოვლენების შედეგად თავგატეხილი ადამიანების კადრების ფონზე წამყვანის ტექსტი უარყოფს დაშავებულთა შესახებ რაიმე ინფორმაციის არსებობას, სადაც მხოლოდ ხელისუფლების წინააღმდეგ განხორციელებულ ძალადობას გმობენ და მეორე საქართველო, სადაც დღეს მამისონის უღელტეხილის ირგვლივ ბურუსით მოცული მოვლენების შესახებ კითხვები ჩნდება და სადაც 15 ივნისს ჟურნალისტებზე განხორციელებული ძალადობის გამო, პროტესტის ნიშნად ტელეკომპანიები წყვეტენ მაუწყებლობას.

თანამედროვე ეტაპზე ჩვენ ვუყურებთ ჩანაცვლებას იმისა, რასაც პოლიტიკა ჰქვია, სიმბოლური პოლიტიკით, როდესაც პოლიტიკური პოცესები არა რაციონალური კრიტერიუმებით, არამედ მათი სანახაობრივი მიმზიდველობით ფასდება. შეტყობინებაზე ფსიქოლოგიური ოპერაციის განხორციელებით, ინფორმაციაზე კონტროლის დაწესებით, დეზინფორმაციის, ფაქტების გადაფარვის, შერჩევის, საინფორმაციო რაციონის განსაზღვრით, ხელისუფლებისათვის არასაჭირო ინფორმაციის მიჩუმათებით და სინამდვილის ობიექტური სურათის სანაცვლოდ ვირტუალური რეალობის შექმნით, ჩვენი სატელევიზიო სივრცე დემოკრატიული ხმაურის პრინციპებს იყენებს, ხოლო იმ შეტყობინებას, რომლის გაჟონვასაც თავს ვერ დააღწევს მრავალრიცხოვანი ინფორმაციების შეუმჩნეველ პოზიციაზე გადაისვრის. პოლიტიკის ტრანკვილიზატორად გადაქცევა მხოლოდ გარკვეული დროით ახდენს საზოგადოების ლოიალობას ხელისუფლების მიმართ, თუ პრობლემა რეალურად არ წყდება, სიტუაცია ადრე, თუ გვიან მაინც შემოტრიალდება სოციო-ეკონომიკურ კრიზისად და მაშინ, მიუხედავად კომუნიკაციის საშუალებათა ძლევამოსილებისა, ობიექტურ რეალობასა და ვირტუალურ რეალობას შორის არსებული ნაპრალის შევსება შეუძლებელია, რაც მეტად არის სიმბოლური პოლიტიკის მექანიზმები ამოქმედებული, მით უფრო მძაფრია ადამიანებისათვის მწარე სინამდვილესთან შეჯახება.



დიდქართველი ხელოვანი, ეროვნული ქორეოგრაფიის მოჭიანახელი

სახელი დარჩეს ჩემისა
ერთგულად ნამსახურისა...
შ. რუსთაველი

დიდქართველი!.. ეს სახელი საამაყო, ღირსებაშემკულ ადამიანებს ამშვენებთ. ამ ახლო წლებში აწგანსვენებულ ილიკო სუხიშვილზე ითქვა ამგვარად. პოეტმა დავით თედორაძემ მიაგნო საგულო სათქმელს: „გშვენოდათ მამა-პაპური სიამაყე და ქველობა, თეთრ ჩოხასავით მოირგე ნაკურთხი დიდქართველობა."

უდავოდ, დიდქართველია ომარ მხეიძე, რომლის ცხოვრება და შემოქმედება ქართველი ხალხის საერთო აღიარებას იმსახურებს. იგი ეპოქალური ქორეოგრაფიის დიდოსტატთა შორის გვეგულება. ასეთებს თვით ქართული ცეკვა აჩენს. მათი სცენური ფერადოვნება არასდროს სხვაფერდება, ისევე, როგორც არ შეიძლება უკვალოდ დაიკარგოს ფრთაშესხმული ნიჭიერება. ამგვარ ხელოვანთა დიდი სიცოცხლე ხალხის გულშია დავანებული და ვიდრე ასე იქნება არ განელდება სახელის პატივგების სულისკვეთება.

კარგადაა ცნობილი, რომ ეპოქალური ქორეოგრაფია ნინო რამიშვილის და ილიკო სუხიშვილის ხალხური ცეკვის დიდ ანსამბლთან ასოცირდება. ამ ანსამბლში გასხივოსნდა ომარ მხეიძის მხატვრულ ქორეოგრაფიულ სახეთა მრავალფეროვნება. ყოველივე იგი „ზეგარდმო ნიჭით ნაჩუქარმა" შემოქმედებამ გამოაბრწყინა.

ომარ მხეიძის საშემსრულებლო ტექნიკა ტევადობითა და ლაპიდარულობით ხასიათდება, მკაფიოდ გამოხატავს ხალხურობის თავისებურებებს, ნათელ წარმოდგენას გვიქმნის შემსრულებლის რჩეულ ინდივიდუალიზმზე. სიტყვა რჩეული შემთხვევითად არ ვახსენეთ, ბუნებამ დაანათლა ვაჟკაცური, სისხლსავსე თვალტანადობა, საცეკვაო აზრის გამოსახვის უპირატესი მგრძნობელობა, ნიშნეულად ვირტუოზულსაც რომ დავარქმევდით. ტყუილად არ წერდა მწერალი თამაზ ჭილაძე: „ცეკვა სხეულის ვირტუოზული ფლობა კი არა, სხეულით ადამიანის სულისკვეთების გამოსახვა-გამონათებაა".

ქართული ცეკვის ეს იშვიათობა ომარ მხეიძის ყველასგან განსხვავებული სცენური სტილის, შემოქმედებითი ხელწერის მაგალითზე უფრო ითქმის. მან მოძებნა პლასტიკის გასცენიურების ერთგვარი კონფიგურაცია, რომელშიც ფილიგრანულმა გამოსახვამ თავი დაიმშვენა. უფრო უკეთ რომ ვთქვათ, მიაგნო ფორმისა და შინაარსის სრულფასოვნებას, შთამბეჭდავად წარმოაჩინა მხატვრულ-ქორეოგრაფიული სახეები, რომელთაგან საამო სანახავია მისი რაინდულ-ჰეროიკული, სატრფიალო-რომანტიკული ხასიათის პლასტიკური სურათოვნება.

ნინო რამიშვილი და ომარ მხეიძე

ეს სცენური ხასიათები მეტყველად გადმოიცემა სხვადასხვა ქმნილებებში. ზოგი მათგანი მხედრულ-მთიულურისებური მოქცევისაა, დღემდე რომ შემოუნახავთ თავიანთი ელვარება.

ერთ-ერთი მაინც ქარიშხლისებურია. გვხიბლავს მამაპაპურთან ახალი კომპონენტების შერწყმით, რაც სახიერდება ტანსხეულის ცერზე განიერი შემოქრიალებით. სოლო-ცეკვის ეს მიგნებული ეპიზოდი ბობოქარი მხედრის ქროლვას გვაგონებს... გადის წლები, თაობებიც იცვლებიან, ქართული ცეკვის „საბრძანებლიდან" კი ისევაც მზიანობს თაკარა სულიდან ამოჩენილი ეს საცეკვაო სამკაული. იგი უხვად დამკვიდრდა საქართველოს ქორეოგრაფიულ ანსამბლებში, განივრცო და განზოგადდა, სახელად „მხეიძისეული" დაირქვა.

სხვათა შორის, ადრეც ვამბობდით, რომ შემოქმედებითი სიახლენი ცეკვის განვითარების გზა-სავალზე გვაცნობენ თავს, ზოგი მონაპოვარი ღირსეულად მკვიდრდება ხელოვნების ცისქვეშეთში, ზოგი მალე ქრება ბაბუაწვერას ძირსუსტი ბუმბულის მსგავსად. ასეა სწორედ, ქართული ცეკვის ცისქვეშეთში კარგა ხანია სახეშეუცვლელად მოეფინა „ხევსურული სუიტას" მხეიძისეული ექსპოზიციური სატრფიალო ნაწილი. იგი ქორეოგრაფიული ნაწარმოების თვალწარმტაცი, მეტად შთამაგონებელი მონაკვეთია, რომლის გარეშე ცეკვის მთლიანობის სიუჟეტური გაშლა უფერულ სახეს მიიღებდა.

დიდოსტატმა ხელოვანმა დამაჯერებლად დაგვიხატა მთიელი ვაჟის ზვიადი

ნინო რამიშვილი და ომარ მხეიძე

ბუნება, მისი ქალთან ცეკვა-თამაშის კოლ-ორიტული თავისებურებით. მეტად შთამბეჭდავია მოულოდნელად შემოჭრილ მეტ-ოქესთან ფარ-ხმლით შერკინების ეპიზოდები.

ყოვლად გაუმართლებელი იქნებოდა, რომ საქართველოს ქორეოგრაფიულმა სამყარომ არ იცოდეს ერთი მეტად საჭირო ინფორმაცია: ნინო რამიშვილმა და ილიკო სუხიშვილმა „ხევსურულ სუიტაში" შესავალი ნაწილი, რომელიც ამ ქორეოგრაფიული სურათის გვირგვინია, სპეციალურად ომარ მხეიძისათვის მოიფიქრეს და შექმნეს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ომარ მხეიძე მუდამ მუხლს იდრეკდა ნინო რამიშვილის წინაშე და დღესაც უღრმესი პატივისცემით იგონებს დიდი ქალბატონის ღვაწლსა და მსახურებას ქართული საცეკვაო კულტურის საადიდებლად.

ომარ მხეიძემ ეფექტური, თეატრალიზებული ფორმა გამოუნახა, მეტი სიცხადე შემატა თავის საცეკვაო ნაწილებს, უხილავი დაანახა ქართული ქორეოგარფიის მესვეურებს. ყველაფერი ეს მიზანმიმართული შრომა-გარჯის, უზადო ნიჭიერების, პატრიოტული გულნათელობის მონატანია.

ჩვეული მოწადინებით ასრულებდა სხვა ცეკვებსაც, რასაც გვაცნობს ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის VII ტომი — „... აღსანიშნავია, ომარ მხეიძის მაღალი ქორეოგრაფიული ტექნიკით, დიდი ტემპერამენტით მოფიქრებული, გააზრებული და შესრულებული სოლო-პარტიები ცეკვებში: „ხევსურული სუიტა", „მხედრული", „შეჯიბრი", და „მთიელთა ცეკვა" განსაკუთრებულად გასახსნებელია." ვეფხისებრ სწრაფი და ცეცხლოვანი ომარ მხეიძე ისეთ შთაბეჭდილებას გვიქმნის, პოეტის ერთ-ერთ კრიალოსანს რომ მოგვახმობინებს: „როცა ვაჟკაცებს ცერიდან ცეცხლი წაეკიდებათ სხეულზე მწველად, მგონია ბრწყინავს კავკასის ვერცხლი და ხანჯლის პირზე უშიშრად ვწევარ" (ვაჟა ოთარაშვილი).

ძნელია ვიცოდეთ განსხვავებული მოსაზრებანი, ჩვენ კი მივიჩნევთ, რომ ცერიდან სხეულზე ცეცხლწაკიდებული მოცეკვავის შემსრულებლობა აკადემიურია. ერთი სიტყვით, მისი შემოქმედებითი შესაძლებლობანი ამოუწურავად გვესახება. ამის საფუძველია უშრეტი პროფესიონალიზმი, განათლება და წრფელი გრძნობები, ქართული ზნე-ჩვეულების მიმართ დიდი

ერთგულება. შინაგანი არისტოკრატიზმიც სიამაყით ათქმევინებს: „ქართველი კაცი მუხლს იდრეკს სამშობლოს, დროშის, სარწმუნოებისა და ქალის წინაშე“. დიახ, ასე ამბობს ქართული ქორეოგრაფიის პარნასზე ამაღლებული კაცი, რომელიც დღენიადაგ ხმიანობს ჩვენი ხალხის უძვირფასესი საუნჯისათვის მიუღებელი შემოქმედებითი ორიენტაციის თაობაზე.

ომარ მხეიძის შეხედულებანი ეფუძნება ქართული საცეკვაო ფოლკლორის ღრმად ცოდნას, იგი ვერ ეგუება ყოველივე იმას, რასაც უნდა მოჰყვეს ქართული სულიერების ნიჰილიზმი და უარმყოფელობა. მიგვანიშნებს, რომ აუცილებლივ ჩამოყალიბდეს საერთო მიზანდასახულობანი, გაირკვეს ქართული ცეკვის შემოქმედებითი არჩევანი. არადა, დრო გადის და უფრო მეტად მძაფრდება გაუცხოება.

ახლა ქართულ ცეკვას არა მარტო დასავლური, არამედ აღმოსავლური სტილიზაცია სუროსავით ეხვევა სხეულზე და თუ ასე გაგრძელდა, მისი გადაგვარების მოსალოდნელობაც არ დააყოვნებს... გაუგებარია, რას

ნიშნავს ახალი ექსპერიმენტი? ეს სრულიად შეუსაბამო გააზრებაა: „როკვით განფენილი ქართული გენია“ საექსპერიმენტოდ არ გაიწირება. ჩვენი უქრობი ტრადიცია, ეთნოგრაფიული სიცხადენი, სულიერი თანაცხოვრების წეს-ჩვეულებანი ვერ გაუწევს ღიმილიან მასპინძლობას ეროვნულობის ბუნებრიობისაგან დაწრეტილ, უცხო, მეორად საწყისებს. „ერები, ხალხები, — განმარტავს ომარ მხეიძე, ერთმანეთისაგან იმით განსხვავდებიან, რომ მათი კულტურა, ტრადიცია, ადათ-წესები, მეორე ერისთვის მიუღებელია... ყოველი ერი თავის წესებს აყალიბებს, რომელიც ხალხს საუკუნეთა განმავლობაში სისხლსა და ხორცში აქვს გამჯდარი“.

ეს მრავლისმთქმელი ნააზრევი ერთგვარ პარალელს ავლებს წარსულსა და დღევანდელობას შორის. ქართველი კაცი მიუვალ გეოგრაფიულ სიმაღლეებს აფარებდა თავს, რომ იმედიანად შემოენახა ქართული ცეკვა-სიმღერა მომხდურთა ასიმილაციისაგან. აკაკი წერეთლის „ბაში-აჩუკიდან“ გვახსოვს, რომ ქართულ ტკბილ ღიღინს, ვაჟკაცურ შეხმატკბილებასა და სასოების მომგვრელ გალობას ბოლო მოუღო თათრულმა შექაქანებამ!.. მხოლოდ „ოროველა“ და „მუმლი მუხასა“ კიდევ შერჩენია მუშა ხალხს... და, მადლობა ღმერთს, სანამ ესენი არ მივიწყებულან, ჯერ კიდევ იმედია...“

დღეს კი ეროვნული საცეკვაო ხელოვნების „მედასავლეთელნი“ ჩვენეულ ქალურ სინაზეს, მომხიბვლელად რონინს, ქართული სულის ჰაეროვნებას ბევრად ამჯობინებენ თვითმიზნურ, პიკანტურობის მომცველ, სხვათაგან წინდახედულობით შემოტანილ საცეკვაო მოჩვენებითობას.

ქალისა და ვაჟის სცენური ნოველირება, იგივე ქალის მამაკაცურად ცეკვა ქართული

ქორეოგრაფიისათვის ერთგვარი დამოკლეს მახვილია. სამწუხაროდ, ამ არასაიმედო ტენდენციას არცთუ ისე ცოტა ქართული ცეკვა აედევნა. უდავოდ, უფერულია და შეუგუებელი გაუგებრად ტრანსფორმირებული ქალური ხორუმი, რომელსაც ფარფატა შარვლებითა და გულმკერდზე მიყრილი ლითონის აქსესუარებით ასრულებენ. უსამანოა მისი არაესთეტიკური, შინაარსგამოფიტული საცეკვაო მონოტონურობა.

ყოვლად მიუტევებელია ქალების მიერ „განდაგანის" ვაჟური ილეთებით შემკობა, ნაცრისფერი ედება მის სატრფიალო სიკოხტავეს.

დასანანია, რომ ივიწყება სიმღერა-ცეკვის ეშხიანი „შინავორგილი", მით უფრო ძნელად ასატანია მასთან შერწყმული „ცერულის" უხეირო ფერიცვალება, გოგონებისთვის თავს რომ მოუხვევიათ. ცერებით რბენა-ჩაკვრების შესრულება ყველაზე მეტად აღმოსავლეთ საქართველოს კავკასიონის კალთებზე შეფენილ მთიელ ქართველთა საცეკვაოებში გამოიკვეთა წამხედურობით.

ყველაფერს ამას ხედავს ქართული ცეკვის მოჭირნახულე ხელოვანი, დაჩუმება და დადუმება ეროვნულობის დამცირებად ესახება. ხმამაღლა ამბობს, რომ ქართული ცეკვებისთვის მიუღებელია უხეში მიუსადაგი საღებავები, საგანგებოდ გვაცნობს მთიულურ-მოხეურისათვის დამახასიათებელ სატრფიალო სახეობას: „მთიულურ ცეკვაშიც წარმმართველია მამაკაცი, ქალი ეხვევა მის ალერსში... მაგრამ ფრთხილობს, რომ ეს არ გამოხატოს, არ დაეტყოს... ვაჟსაც ძალიან კრძალვით, მუდმივად ყურადღების ცენტრში ჰყავს, მერე წინ უშვებს, მაგრამ თან მიჰყვება ვაჟი, რომ თვალს არ მიეფაროს ზედმეტად, ან წინ წავიდეს და ბოლოს, ეს ურთიერთობა კულმინაციას მაშინ აღწევს, როდესაც მუხლს იდრეკს ქალის წინაშე.

გამოცდილებით დაყურსულ ხელოვანს კარგად გაეგება, რომ შემოქმედებითი მოდუნება, ერთ ადგილზე ტკეპნა „ფასს ვერ დასდებს სინათლესა". ცხოვრება-სინამდვილის სოციალ-კულტურული ვითარებანი გადაუდებელ მოთხოვნებს უყენებს ქართულ ქორეოგრაფიას, ამიტომაც თვლის, რომ ცეკვა, როგორც წესი, უნდა ვითარდებოდეს, სიახლე უნდა შემოიჭრას, მაგრამ „რაც ძირძველია და რითაც ვამაყობთ" არ უნდა შეიცვალოს. საამისოდ ქორეოგრაფიის მესვეურებს მოუწოდებს, რომ მთელი სისრულით შემოვაბრუნოთ შემოქმედებითი სახნისი ეროვნულობის სასიკეთოდ, ისევ მშობლიურ პლასტიკაში მოვიძიოთ ქართული ცეკვის განახლება-გაფურჩქვნის წყაროსწყალი. ამით ის გვინდა ვთქვათ, რომ

ომარ მხეიძე და რუსიკო ჭრიკიშვილი

ქართული ცეკვა არასოდეს ყოფილა სხვათა შემყურე, მოიმედე. ყოველთვის გვყავდა ქართული ცეკვისათვის თავდადებული მხურვალე გულის პატრიოტები.

ომარ მხეიძემ, მართლაცდა, საუკუნის ხელოვანმა ჩინებულად იცის ღირსებაშემკულ წინაპართა ფასი. ჭეშმარიტი მემატიანის მსგავსად გვიყვება ქართული ცეკვის რეფორმატორების ჯანო ბაგრატიონისა და ბუხუტი დარახველიძის სათაყვანებელ ხელოვნებაზე.

ერთხანს ამ ქორეოგრაფთა შემოქმედებით სამჭედლოში იწრთობოდა, ცხოველი ინტერესით ეუფლებოდა ნოვატორულად დამუშავებულ ხალხურ სასცენო ცეკვებს. აქ აღნიშნულის შესახებ კარგად აქვს მოთხრობილი ვრცელ წერილში „გზადაგზა“, რომელიც ამ ახლო წლებში ქვეყნდებოდა „ლიტერატურულ საქართველოში.“

მასში სხვა მოვლენებსაც ვეცნობით, ბევრი ბიოგრაფიულიცაა. მთავარი მაინც ისაა, რომ ომარ მხეიძე ახალგაზრდობიდანვე დაინტერესებულა ქართული ცეკვის ბედით. ზოგიერთი ნააზრევი ზნეობრიობის, აღმზრდელობითი მნიშვნელობის ცალკეულ ნიუანსებს ავითარებს: „ქართული ცეკვის სამყარო გამორჩეულია და იგი, შეიძლება ითქვას, აღმზრდელია ქართველი კაცის, რაც სცენაზე ხარ, ის თუ არ გაგყვა ცხოვრებაში, შენს პიროვნებას ბევრი რამ აკლდება“.

სავსებით უტყუარი გამონათქვამია — ქართული ცეკვა ყოველგვარი სიკეთის მოწოდებაა. მას არ ეღალატება, მარტოდ მოხდენილად ცეკვა არაა ადამიანური ცხოვრების, ქართველკაცობის არსებითი ნიშან-თვისება.

სხვათა შორის, „გზადაგზა“ ქართული ქორეოგრაფიის მოღვაწეთა კავშირის ყრილობამდე ნაწილ-ნაწილ ქვეყნდებოდა „ლიტერატურულ საქართველოში“. წერილმა სპეციალისტების, ხელოვნების მოყვარულთა შორის დიდი გამოხმაურება ჰპოვა. ქორეოგრაფთა ფორუმზეც იმსჯელეს მის მნიშვნელობაზე. ავტორმა სიღრმისეულად მიმოიხილა ქართულ ქორეოგრაფიაში მიმდინარე პროცესები, კრიტიკულად გააანალიზა მოსალოდნელ პრობლემათა რაობა. საერთოდ კი, მისი პოლემიკური გამოსვლები ფართო აუდიტორიას იზიდავს. სატელევიზიო გადაცემებსა თუ პრესის ფურცლებზე

თენგიზ ჩანტლაძე და ომარ მხეიძე

დაუფარავად ამხელს ცალკეული ცეკვის გაუფერულების ფაქტებს. ესენია: განსხვავებული ფორმის ცეკვებში განუსხვავებელი, ერთსახოვანი მოძრაობების შეტანა, აბსოლუტურად შეუსაბამო მუსიკის გამოყენება, ცეკვათა დიალექტური ნიშნების უგულებელყოფა. არადანიშნულების სპორტული ხაზებით, აკრობატული წარმონაქმნებით გატაცება... უფრო გასაგებად რომ ავხსნათ, ქართული ცეკვის რეჟისორები გვარიანად აწვალებენ რჩეულ საუნჯეს, თვითონაც წვალობენ და მაყურებელსაც ადარდიანებენ, ამკვიდრებენ ყოველივე იმას, რაც ქართული ცეკვის ძირფესვებს კარგს არ უქადის.

დიახაც, კარგს არაფერს მოგვიტანს ჩრდილოეთ კავკასიური ცეკვის ხელოვნურად გადმოქართულება. ეს სულაც არაა მონატრებული სიკეთე, პირიქით, ქართული ცეკვის სიამაყის შელახვაა, ეროვნული მეობის სინანულია. კიდევ უფრო საზიანოა, რომ ქართული ცეკვა გაძარცვეს, მიითვისეს ზოგი მარგალიტი იმიერკავკასიაში, აქეთ ამიერკავკასიაშიც დაიმსგავსეს. საქმე იქამდეც მივიდა, რომ ქართველთა უმშვენიერესი მონაპოვრის „ხორუმის“ აკვანი თურმე ელადის ქვეყანაში დარწეულა პირველად. სულ ახლო მეზობელი ქვეყნის ქორეოგრაფიის მესვეურთა ცნობიერებაშიც აღძრულა დასაკუთრების მშფოთვარე წყურვილი. მსგავსი პრეტენზიები სხვებიდანაც მოდის. ცხადია, თვალი არ მოეხუჭება გარედან მოძალეობას, ვერც ჩვენეული დამახინჯებანი დარჩება სამართლიანი ლოგიკის მიღმა. ამ მხრივ ბევრად საინტერესოა ქართული ცეკვისთვის დაუმშვიდებელი ომარ მხეიძის მეტად საყურადღებო წინადადება. კერძოდ, ის, რომ ჰაერივით გვინდა ქართული ქორეოგრაფიის ენციკლოპედია. ისევე, როგორც მნიშვნელოვანია ცნობილი მეცნიერის, პროფესორ ოლეგ ალავიძის მოსაზრება ქართული ცეკვის თვითდადგინების თაობაზე.

რა თქმა უნდა, კეთილგონიერი შემოქმედის შეხედულებანი საფუძვლიანია, მას არ სჩვევია მოვლენებთან ზედაპირული მიდგომა. სამსჯელოდ გამოაქვს კარგად აწონილი, მეტად სასარგებლო შენიშვნები, მითითებანი თუ რჩევა-დარიგებანი. ამბობს იმას, რასაც გული კარნახობს. გული კი სუფთა, მგრძნობიარე სინათლით აუვსია. ასეთი გულის დანახვა არავის არ უჭირს. ცოტანი არ არიან ისინი, თვისობრივადაც მეტია ჩვენში, ჩვენს სამშობლოში, ლიხს იქით და ლიხს აქეთ ქვეყანაში.

გული სიამით ევსება, როცა სცენაზე მზეობენ ნორჩი მოცეკვავეები. ზოგი მხეიძისეულს ცეკვავს, ზოგიც ფრიდონისეულს, „ქართულად, მამაპაპური სტილითაც ცეკვავენო“ — გულღიად იტყვის, თუმცა გულსატკენს რა გამოულევს. მეტადრე

თენგიზ სუხიშვილი და ომარ მხეიძე

ისინი ფესტივალების, კონკურსების დროს ჩნდება. კარგად ესმის ჟიურის მუშაობის სიძნელე. არ ეადვილება გადაწყვეტილებათა მიღება, ცდილობს ყველა ნიშნით შეაფასოს მოასპარეზე კოლექტივების მხატვრული თავისებურება. ჩვეულებრივი მაყურებლის თვალითაც განსაზღვრავს ლაზათიან შემსრულებლობას, ერთგვარ სითბოსაც გადმოაფრქვევს, ტაშსაც დააქუხებს, როცა ნორჩების სცენური უშუალობით იხიბლება.

გარკვეულ ვითარებაში დაუთმობელიცაა, ემიჯნება ზერელე მოჩვენებითსა და უსულგულო შემოქმედებას.

ასეთების დანახვა არ ჭირს, მათ საცეკვაო ხელოვნებაზე საიმედოს ვერაფერს ვიტყვით, გარდა იმისა, რომ ადვილად ახერხებენ ჩვენი ქვეყნის მიღმა გასვლას. „რასაკვირველია, ქართული ცეკვის ანსამბლთა ერთი ნაწილი სუსტად გამოდის უცხოეთის ქვეყნებში, თავშიც არ მოუდით ქვეყნის ღირსების საქმე. ძველთაგან კი ქართველი კაცის სულის ამოძახილი იყო: „თუ სახელს არ მაპოვნინებ, როგორ დავბრუნდე შინ."

პატრიოტი ხელოვანის ეს ფრაზა მიგვახვედრებს, რომ ქართული ცეკვის პრესტიჟის უპატივცემულობაცაა. ამას უფრორე განიცდიან ჩვენი ქვეყნის მიღმა მცხოვრები თანამემამულენი. ისინი სამართლიანად ჩივიან ზოგიერთი ქართული საცეკვაო კოლექტივის საძრახისი კონცერტების შესახებ.

ნათელია, რომ საფიქრალ-სათქმელი ცოტა არაა. ერთბაშად დაგროვდა სხვადასხვა ქორეოგრაფიული ნაკლოვანებანი, თავი იჩინეს შემოქმედებითი ფალსიფიკაციის გადმონაშთებმა. ომარ მხეიძისა არ იყოს „უარყოფით მოვლენათა წარმოშობის" ერთ-ერთი წყარო ისიცაა, რომ ჩვენში



ინდოეთის ყოფილი პრემიერ მინისტრი, ნინო რამიშვილი,ილიკო სუხიშვილი, ცენტრში ომარ მხეიძე

იამზე დოლაბერიძე და ომარ მხეიძე

ქორეოგრაფიული კრიტიკა მოისუსტებს. ჭეშმარიტად უმისამართოდ ხმიანობს, ვერ ვქმნით კონტროლის და „მართლის თქმის“ განწყობილებას.

ამ მოვლენათა გამო წარსულის მაგალითების მოხმობა არ უნდა იყოს ურიგო. ერთი მათგანი ისაა, რომ თბილისში შეიკრიბა ქართული სცენის მოღვაწეთა პირველი ყრილობა. ყრილობის დადგენილების ერთი ნაწილი ასე მთავრდება: „... დრამატულ საზოგადოებებს ეთხოვოს, არ დართონ ნება წარმოადგინონ (ნაგულისხმევია დრამატურგები) ისეთი პირები, რომელთა ენა შესწორებულ და მოწონებულ არ იქნება საგანგებოდ ამისთვის მოწვეული სპეციალისტების მიერ“ (დ.ჯანელიძე, სახიობა, წიგნი II, თბ. 1972 წ.)

ზემოაღნიშნული წინდახედული მოსაზრებაა, რასაც საფუძვლად უდევს ხელოვანის შემოქმედებითი, მოქალაქეობრივი თუ პატრიოტული მრწამსი ანუ პიროვნული მრავალმხრივობა.

ომარ მხეიძემ ყველასთვის მისაბაძი, შუქმფენი არტისტიზმით მოიხვეჭა დიდოსტატი ქართველი მოცეკვავის სახელი, მისი გამორჩეული სოლისტობა, ინდივიდუალური გარდასახვით აღსავსე საცეკვაო სურათოვნება ორიგინალურია, რის შესახებაც გამოითქმებოდა ჩვენში და სხვაგანაც. მანვე ქართულ ქორეოგრაფიაში შემოიტანა, დაამკვიდრა კიდეც ფუძისეულთან შერწყმული ილეთიანი (ფშაურად შნოიანი) მოძრაობები.

ბევრი რამ ითქმება მისი ქორეოგრაფიული კრიტიკის თაობაზე. შეუპოვრად, პირუთ-

რუსიკო ჭრიკიშვილი, ჯემალ ნავროზაშვილი,ოთარ ცინცაძე, ომარ მხეიძე,გველესიანი, კაკი მხეიძე

ვნელად აცნობს საზოგადოებას რეალობიდან შემთხვევითობისაკენ გადაწონილ საცეკვაო ხელოვნურობას. იმავდროულად, გვერდაუვლელი არ რჩება სხვათა ნიჭიერება, საქებ სიტყვებს არ იშურებს ღირსეულ წამოწყებებზე. კრიტიკა მისთვის შემოქმედებითი ცხოვრების ბარომეტრია და არა სიტყვათა თამაშ-კეკლუცობა.

ცეკვის გულმართალმა კრიტიკოსმა, სხვა თანამოაზრე ხელოვანებთან ერთად არაერთხელ აღიმაღლა ხმა, ისევ გამოაცოცხლა ერთგვარად მიჩუმათებულ, სახელოვან შემოქმედთა სახელის პატივგების სულისკვეთება. ამაშიცაა მისი მოქალაქეობრივი მრწამსი, დიდქართველობის ხიბლი და სულიერება. ექვსი ათეული წელია ომარ მხეიძის სახელი სხივოსნობს ეროვნული ქორეოგრაფიის სამყაროში. ამ წარუშლელ სახელს აცისკროვნებს საქართველოს სახალხო არტისტის წოდება, თბილისის საპატიო მოქალაქეობა, ეროვნული პრემიის ლაურეატობა და სხვა განმსაზღვრელი გამონათქვამები გარკვეულ წერილებსა და ინტერვიუებში შემდეგნაირად რომ ჩამოითვლება: „დიდოსტატი ქართველი მოცეკვავე“, „საუკუნის ხელოვანი“, „დიდქართველი შემოქმედი და მოღვაწე“, „ქართული ცეკვის გულმართალი კრიტიკოსი“ და სხვა.

რა თქმა უნდა, ომარ მხეიძის შესახებ სხვა წერილი, წიგნიც დაიწერება, მაგრამ ყველაზე მრავლისმთქმელი წიგნი მაინც ქართველი ხელოვნების მოყვარულების, თვით ხალხის მგრძნობიარე გულია, რომელიც თაობებს, შთამომავლობას გაახარებს დიდქართველი ხელოვანის ლეგენდასთან მიდარებული მუდმივი აწმყოთი.

ზაურ ღაზიშვილი
ალეზო ჭანიშვილი


ჯემალ ჭკუასელი

გურამ ლორთკიპანიძე

ჯიდევ ეროვნული: „ჰა ბანძი გვქონია, ჰა მხნე, ჰა მდიდარი!“

(ვ. გოგოლაშვილის წიგნი „დიდი ანსამბლი „ერისიონი“)

ჩემთვის დიდი პატივი იყო საჩუქრად მიმელო ვახტანგ გოგოლაშვილის მშვენიერი — შინაარსითა და პოლიგრაფიული გაფორმებით — წიგნი „დიდი ანსამბლი — „ერისიონი“ (რედაქტორი ო. ბლუაშვილი). იგი 2008 წელს დაისტამბა „თიბისი ბანკისა“ და კომპანია „ბორჯომის“ ფინანსური მხარდაჭერით.

მოგეხსენებათ, „ერისიონი“ — ასე 1999 წლიდან ეწოდება საქართველოს ხალხური სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო აკადემიურ ანსამბლს. ფაქტობრივად კი, წიგნში განხილულია ამ სახელოვანი ანსამბლის და არა მარტო მისი (!) განვითარების დიდებით მოსილი, ზოგჯერ კი, ფრიად დრამატული ისტორიული გზა, დაწყებული დაარსების დღით (1885) — ვიდრე ჩვენ დრომდე.

მაგრამ სანამ უშუალოდ წიგნის შინაარსს შევეხებოდე, აუცილებლად მიმაჩნია პატარა წინასიტყვაობის გაკეთება, რათა უკეთ წარმოჩნდეს იმ ამოცანის სირთულე და პასუხისმგებლობა, რომელიც ავტორს დაუსახავს მიზნად.

ქართული ხალხური სიმღერა, „ვეფხისტყაოსანთან“ ერთად, რომ ის უპირველესი და უძვირფასესი განძია, რომლითაც ჩვენი ეროვნული კულტურა მსოფლიოს ხალხთა უდიდეს სულიერ მონაპოვართა გვერდით იმკვიდრებს ადგილს, ვფიქრობ, არავინ შეგვედავება. მოგეხსენებათ, უკვე ანტიკურ ხანაში ძველმა ბერძნებმა შენიშნეს და დააფასეს ქართული ხალხური სიმღერის ესთეტიკური მადლი და თვითმყოფობა.

შორს წაგვიყვანდა ყველა უცხოელი (!) სპეციალისტისა თუ მუსიკის მოყვარულის მიერ გამოთქმული აზრი ჩვენი ხალხური სიმღერის მშვენიერებისა და თვითმყოფობის შესახებ.

პირადად მე ყველაზე უფრო მომწონს აკადემიკოს ბორის ასაფიევის მკაფიოდ და ავტორიტეტულად ჩამოყალიბებული აზრი (1944 წ.) ჩვენ მრავალხმიან სიმღერაზე, რომელიც „გვანცვიფრებს და ქედს გვახრევინებს ქართველი ხალხის მუსიკალური გენიის წინაშე და რომელიც უკვე დიდი ხანია აღიარებულია უშესანიშნავეს ისტორიულ წვლილად მუსიკის მსოფლიო საგანძურში“.

დიდებული სიტყვებია!

განსაკუთრებით ამაღლდა ქართული სიმღერის საერთაშორისო პრესტიჟი იმის შემდეგ, რაც რამდენიმე წლის წინ „იუნესკოს“ გადაწყვეტილებით ქართული ხალხური სიმღერა გამოცხადებულ იქნა „მსოფლიო კულტურის ძეგლად“. დღეს მთელი (მთელი!) ცივილიზებული სამყარო აღიარებს ქართული სიმღერის უდიდეს მხატვრულ სიმდიდრესა და თვითმყოფობას.

თბილისში ფუნქციონირებს ქართული მუსიკალური ფოლკლორის ცენტრი (ხელმძღვანელი ა. ერქომაიშვილი) და „ტრადიციული ხალხური მრავალხმიანობის კვლევის საერთაშორისო ცენტრი“ (დირექტორი — რ. წურწუმია), რომელიც ყოველ ორ წელიწადში ატარებს ფართომასშტაბიან სიმპოზიუმებს (უკვე ჩატარდა სამი), რომლებშიც ქართველ მკვლევარებთან ერთად მონაწილეობდნენ უცხოელებიც. მათ შრომებში სულ უფრო დიდ ადგილს იკავებს ქართული მუსიკალურ-მეცნიერული პრობლემატიკა.

მოკლედ — მივიწევთ სულ წინ და წინ (ამავე დროს, აუცილებლად უნდა გავაცნობიეროთ ის ფაქტიც, რომ ხალხური მრავალხმიანობა დადასტურებულია ზოგიერთ ევრო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

პულ ქვეყანაშიც, პირველ რიგში კი, კორსიკასა და სარდინიაზე, ძალიან რომ გვაგონებს ჩვენ მშობლიურ ჰანგებს!).

ბუნებრივია, რომ ქართული ხალხური მუსიკის ესოდენი დაფასება კანონზომიერად სვამს საკითხს მისი შემსრულებლობის ისტორიის შესახებ. ერის კოლექტიური გენიით უძველეს, თვალმიუწვდომელ ხანაში შექმნილი მემკვიდრეობა მხოლოდ მე-19 საუკუნის ბოლოსთვის მკვიდრდება სპეციალური მუდმივმოქმედი ანსამბლის რეპერტუარში.

მოგეხსენებათ, ეს იყო ლადო აღნიაშვილის მიერ დაარსებული ქართული ხალხური სიმღერის ლეგენდარული ანსამბლი (ლოტბარი იოსებ რატილი), რომლის პირველ კონცერტს მისთვის ჩვეული სიღრმითა და შორსმჭვრეტელობით გამოეხმაურა დიდი ილია ჭავჭავაძე „ივერიაში" (1886).

სწორედ ამ სანიშანსვეტო მომენტით იღებს სათავეს დღევანდელი „ერისიონის" ნამდვილი წინაპრის და, საზოგადოდ, საქართველოში, ფოლკლორული შემსრულებლობის ისტორია, რომლისადმიც არის მიძღვნილი ვ. გოგოლაშვილის წიგნი.

დავესესხები წიგნის რედაქტორის ფრიად შინაარსიანი ბოლოსიტყვის ავტორის, ანსამბლ „ერისიონის" დირექტორის, ბატონ ოთარ ბლუაშვილის აზრს ვ. გოგოლაშვილის შესახებ: „ვახტანგ გოგოლაშვილი თითქმის ოთხი ათეული წელია საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის სალიტერატურო სამმართველოს უფროსია. მის თვალწინ გაიარა ანსამბლის ორგანიზაციული და შემოქმედებითი საქმიანობის ვრცელმა პერიოდმა. სწორედ ამიტომ ბევრი ფაქტი და მასალა, რომელიც ამ წიგნშია მოტანილი, თვითმხილველის თვალითაა დანახული. ავტორმა მოიძია ბევრი საარქივო მასალა, ქართულ თუ უცხოურ პერიოდულ პრესაში გამოქვეყნებული წერილები, რამაც ნაშრომს მეტი ფასი შესძინა".

ძალზე სამართლიანი და სწორი შეფასებაა.

სარეცენზიო წიგნი ათი თავისაგან შედგება, რომელთაც აქვთ ხატოვანი, მშვენივრად შერჩეული, შინაარსის შესაბამისი სათაურები. დაწვრილებით არის გადმოცემული ყველა (!) ცნობილი ფოლკლორული ანსამბლის ისტორია, სამხატვრო ხელმძღვანელებისა და შემსრულებლების ბიოგრაფიები. მათი აქ ჩამოთვლა შეუძლებელიც კი არის, ვიტყვი მხოლოდ, რომ ეს არ არის სახელწოდებებისა და გვარების მშრალი ჩამონათვალი, არამედ ხალასი მწერლური ნიჭით გაცოცხლებული პორტრეტები ჩვენი გამოჩენილი ლოტბარებისა და ქორეოგრაფების, სახალხო მომღერლებისა და მოცეკვავეების. ვკითხულობდი წიგნს და დიდი კმაყოფილებით ვადევნებდი თვალს ნაცნობი, ზოგჯერ, მივიწყებული ფაქტებისა და მოვლენების ამ ნოსტალგიურ კალეიდოსკოპს.

წიგნის უკანასკნელ თავებში განხილულია დღევანდელი „ერისიონის" არც თუ იავარდით ფენილი ფორმირების გზა, რომელიც უშუალოდაა დაკავშირებული მისი ხე-

ლმძღვანელის შესანიშნავი მუსიკოსის, საქართველოს სახალხო არტისტის, ეროვნული და საერთაშორისო პრემიების ლაურეატის ბატონ ჯემალ ჭკუასელის სახელთან.

არც კი წარმომედგინა, თუ რა სიძნელეებთან იყო დაკავშირებული ამ შესანიშნავი, საერთაშორისო მასშტაბით დაფასებული ანსამბლის ჩამოყალიბების პროცესი, რა რთული საორგანიზაციო თუ შემოქმედებითი ხასიათის ჯებირების გადალახვა მოუხდა ანსამბლსა და მის დაუღალავ ხელმძღვანელს!

ჯ. ჭკუასელის სამხატვრო ხელმძღვანელობით (1986 წლიდან) საქართველოს ხალხური სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლმა (1999-იდან „ერისიონად" წოდებულმა) მსოფლიოს მრავალი ქვეყანა შემოიარა სენსაციური წარმატებით, რასაც დიდად შეუწყო ხელი ფრანგი რეჟისორის ტიერი ერგნერის შესანიშნავმა ტელეკლიპმაც.

აქვე ვახსენოთ ჯ. ჭკუასელის უახლოესი ჩინებული თანამშრომლები: ბატონები რევაზ ჭოხონელიძე (ქორეოგრაფი), იური გოგოლაური (ხალხურ საკრავთა ორკესტრის ხელმძღვანელი), შერმანდი ჭკუასელი (ლოტბარი).

ყოველივე ამის შესახებ დაწრილებით და დიდი სითბოთი წერია ვ. გოგოლაშვილის წიგნში.

დასასრულ, რამდენიმე შენიშვნა, რომელთაგან პირველი — არა წიგნის ავტორს, არამედ „ერისიონის" საკონცერტო პრაქტიკას შეეხება მშობლიური ქვეყნის ფარგლებში. ჯერ ერთი, სასურველია, რომ კონცერტები უფრო ხშირად იმართებოდეს და, რაც მთავარია, ისინი მისაწვდომნი იყვნენ მასობრივი მსმენელისათვის (ხომ გასაგებია, რასაც ვგულისხმობ?).

რაც შეეხება შენიშვნებს წიგნის მისამართით, აქ პრინციპული ხასიათისაა მხოლოდ ერთი: გვ. 23-ზე მოტანილია ადრეც ცნობილი მცდარი აზრი, რომ „ანტონ რუბინშტეინის ოპერა „დემონი" თითქმის მთლიანად ქართულ მასალებზეა აგებული და შემუშავებული" (სინამდვილეში იქ უშუალოდ გამოყენებულია მხოლოდ ერთი ქართული ხალხური მელოდია).

ბევრია წიგნში კორექტორული უზუსტობა (მარტო სიტყვა „გალაქტიკა" 4-ჯერ, თუ 5-ჯერ წარმოდგენილია — თვით სარჩევშიც კი, როგორც „გალქტიკა"), რაც მით უფრო უხერხულია, როდესაც საქმე ეხება ადამიანების გვარებსა და სახელებს. მაგალითად: სწორია — სოლომონ ლეკიშვილი და არა ი. ლეკიშვილი (გვ. 12), იან დუმინი (გამოჩენილი ლოტბარი, საქართველოს მეგობარი) და არა „დუმანი" და სხვ.

ვფიქრობ, აუცილებელი იყო ასეთ შინაარსიან, ფაქტებითა და სახელებით მდიდარ წიგნს დართული ჰქონოდა არსებული ლიტერატურის ბიბლიოგრაფია, რაც კიდევ უფრო გაზრდიდა მის შემეცნებით ღირებულებას.

გამოთქმული შენიშვნები, ცხადია, არ ცვლის ვ. გოგოლაშვილის წიგნის მაღალ შეფასებას, იგი ჩვენი მუსიკალური კულტურისა და მუსიკისმცოდნეობის ნამდვილი შენაძენია.

ბივი თოიძის შემოქმედება

გივი თოიძე — საქართველოს სახალხო მხატვარი, შოთა რუსთაველის სახელობის პრემიის ლაურეატი, თბილისის საპატიო მოქალაქე, თბილისის სახ. სამხატვრო აკადემიის პროფესორი, საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, ღირსების ორდენის კავალერი, დ.კაკაბაძის პრემიის ლაურეატი.

გივი თოიძეზე საუბარი ძალიან ადვილია და, ამავე დროს, ძალიან ძნელია. მის სახელთან არის დაკავშირებული ხმაურიანი ვერნისაჟი და ლამაზი სიმღერა, ქეიფი და მახვილი სიტყვა, დაუღალავი შრომა და მოყვასისადმი ყურადღება. მის სიტყვას შეიძლება ენდოთ, მის გვერდით თავს თავისუფლად გრძნობთ. გამუდმებით მოძრაობაშია, მხიარულია და არასოდეს მოიწყენს, გამოუსწორებელი ოპტიმისტია და ცხოვრების მოყვარული.

გივი თოიძის შემოქმედებაზე საუბრისას პირველყოვლის გამოსაკვეთია ის უმნიშვნელოვანესი, გადამწყვეტი წყარო, რომელიც მისი მხატვრობის შთამაგონებელი და მამოძრავებელია – ესაა საქართველო, განუყოფელ მთლიანობაში; თუმცა პატარა, მაგრამ უმდიდრესი კულტურის მქონე ქვეყანა, რომელსაც მხატვარი მთელი არსებით გრძნობს, დიდი ინტენსივობით და წრფელი საყვარულით გამოხატავს. გივი თოიძის მრავალ სურათში დაუფარავი პათოსით ჩანს ეს სიყვარული.

როგორც ყველა დიდი მხატვრის, გივი თოიძის შემოქმედებითი გზაც თავისებური და განუმეორებელია. ხელოვნებაში ბატონი გივი ისე შემოვიდა, როგორც საკუთარ სახლში – მოწიწებით, გულის ფანცქალით, სიყვარულით, რადგან ეჭვი არ ებადებოდა, რომ სიყვარულით შეხვდებოდნენ. მან შემოქმედებითი ესტაფეტა – პაპისაგან, მოსე თოიძისაგან მიიღო. იგი საქართველოსა და სსრკ-ს პირველი სახალხო მხატვარი და სსრკ სამხატვრო აკადემიის წევრი იყო. ბიძები – ირაკლი და გოგი თოიძეები – ფუნჯისა და საჭრეთელის ცნობილი ოსტატები იყვნენ. მის გვარში ნიჭიერი მსახიობები და მუსიკოსებიც არიან. ოჯახი შემოქმედთა იმ ბირთვს წარმოადგენს, რომლითაც XX საუკუნეში ახალი ქართული ხელოვნების განვითარება დაიწყო.

გივი თოიძე მრავალპლანიანი მხატვარია. მას ხელეწიფება პეიზაჟი, ნატურმორტი და კამერული ტილოები, ეტიუდები და ოსტატურად შესრულებული ჩანახატები, თემატური სურათები და კედლის მხატვრობა. ყველაფერი, რაც მან შექმნა ნახევარ საუკუნეში და ახლაც განაგრძობს მუშაობას, გამოირჩევა მაღალი პროფესიონალიზმით, გულწრფელობითა და დიდი სიყვარულით.

ნამდვილი თბილისელებისთვის ძვირფასია ვიწრო ქუჩები, ხის მოჩუქურთმებული აივნები, კრამიტის სახურავიანი სახლები. მას ახლაც ახსოვს თავისი ბავშვობის წარმავალი ქალაქის კოლორიტი. ტივზე მოქეიფე ყარაჩოხელები, მემწვანილეთა ქუჩის ნატურმორტები. „მაწვნისა" და „პანტა-პანტას" ყვირილი. არღნის მელოდია და, რაღა თქმა უნდა, ფაეტონი.

...და ქალაქმაც სიყვარულით უპასუხა: გივი თოიძე – მშობლიური ქალაქის, თბილისის საპატიო მოქალაქეა.

გივი თოიძეს ძველი ქალაქის ხატვა არ ბეზრდება. იგი მიზნად არ ისახავს პეიზაჟის ნატურიდან ხატვას, არამედ ქმნის, აღადგენს გონებაში ღრმად ჩარჩენილი საყვარელი მოტივებისაგან. სურათებში მეორდება ერთი და იგივე აივანი, ღობე, ან სულაც სახლი. ეს კი მისი ერთგულების, სიყვარულის დასტურია. „დილა", „საყვარელი ქუჩა", „ავლაბრის კუთხე", „ჩუღურეთი" და ა.შ. ეს მშობლიური ქალაქისადმი მიძღვნილი ტილოების არასრული ჩამონათვალია. მეიდანი, ხარფუხისა და ჩუღურეთის ვიწრო ქუჩები, სადაც გვერდიგვერდ შესანიშნავად მეზობლობენ მართლმადიდებლური, კათოლიკური და სომხური ეკლესიები, კირხა, სინაგოგა და მეჩეთი – ეს ძველი თბილისის ცენტრია, მისი

გული. ინგრევა სახლები, რესტავრირდება, ახლდება ქალაქი, გივი თოიძე კი გამუდმებით, გაზაფხულსა და შემოდგომაზე, ზაფხულსა თუ ზამთარში, დახეტიალობს გოგირდის აბანოების უბანში, ადის ნარიყალას ნანგრევებზე და ეძებს ახალ ხედებს, ან სულაც იქნებ იმეორებს ერთხელ უქვე დახატულს, მაგრამ დღეს ახლებულად დანახულს. ერთხელ მან სინანულით აღნიშნა: „დავხატავ თუ არა მოწონებულ კუთხეს, შემდეგ მოვდივარ ისევ, სად არის? სად არის ლამაზი სახლი, მოჩუქურთმებული აივანი? აღარ არის, დაინგრა, კიდევ კარგი მოვესწარი! აქ, ამ ტილოზე დარჩა"... რა არის ეს, თუ არა მისი გაცნობიერებული ლოგიკის ნაწილი, ნაწილი მისი სულიერი ხედვისა?!

მუდმივად ცოცხალი აზრი ფეთქავს, იხვეწება ეტიუდებსა თუ ჩანახატებში, ფანქრით, კალმით, შექმნილი ჩანახატები, რომლებსაც მხატვარი ყველგან და ყოველთვის, საკუთარ ქალაქში თუ მოგზაურობისას უნებლიედ ქმნის. შეიქმნა მთელი ციკლები: ტემპერით, პასტელით, კალმით, ტუშით ან სულაც ფლომასტერით, რომლებიც სრულყოფილებით გაოცებენ.

მისი ეტიუდები უფრო დასრულებული სურათებია. ესეც მისი ნიჭის თავისებურებაა. უშუალოდ და პროფესიულად, დროის უმცირეს მონაკვეთში შეძლო მხატვარმა პატარა ტილოზე დაენახა, გაეაზრებინა, შეექმნა და მნახველამდე მიეტანა მთავარი აზრი.

მას აქვს მეხსიერებით მუშაობის ნიჭი. ეს კი საშუალებას აძლევს უკუაგდოს ყველაფერი შემთხვევითი, შექმნას განზოგადებული სახე იმ შთაბეჭდილებებიდან, რომლებიც დარჩენია მეხსიერებაში.

გივი თოიძე სრულყოფილად ფლობს ფერწერის პროფესიულ საიდუმლოებას. აღწევს ტონის დახვეწილობისა და სილამაზის ისეთ ულერადობას, რასაც მხოლოდ ჭეშმარიტი ოსტატის ხელი პოულობს. აქვე უნდა აღვნიშნოთ გივი თოიძის შემოქმედების ერთ-ერთი თავისებურება – მუშაობა შეუძლია ნებისმიერი ტექნიკით. ნებისმიერი მასალა ემორჩილება მის ნებას. ზეთის მძიმე საღებავები, გამჭვირვალე აკვარელი, გამოუცნობი პასტელი, მშვიდი ტემპერა, გუაში თუ ტუში – მის ხელში ყველაფერი ცოცხლდება და საინტერესო სათქმელის საშუალება ხდება. უფრო ზუსტად, იგი მათთან კონტაქტში შედის და ისინიც მის წინაშე იხსნებიან, რადგან გივი თოიძე ძალიან ფრთხილად, მოწიწებით, თითქოს ნაზ, ცოცხალ არსებასთან ჰქონდეს საქმე, ისე ექცევა მასალას და დღის სინათლეზე გამოაქვს მისი დაფარული თავისებურება. აქ სუფევს ერთობა, სიყვარული, მხატვრისა და მასალის ერთი მთლიანობა. იქმნება ჯადოქრობა, შემოქმედება. ნამუშევარი არასოდეს დატოვებს მაყურებელს გულგრილს, რადგან აქ უმთავრესი სიყვარულია.

გივი თოიძის შემოქმედება შთაგონებული სწრაფვისა და უზარმაზარი შრომისმოყვარეობის ნაზავია. მხატვარს საოცრად მახვილი თვალი, გრძნობიერად ათვისების უნარი გააჩნია. იგი ცხოვრებიდან გამოარჩევს ყოველივე მდგრადსა და ღრმა მნიშვნელობის მქონეს, რაც სინთეტურ სახედ მუდმივდება მეხსიერე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბაში. თავის თავში ჩაღრმავებამ, სულიერმა სისავსემ წარმოქმნა გივი თოიძის შემოქმედების თავისებურება. უშუალო, წამიერი იმპულსები არ არღვევენ დეტალურად გააზრებული არსის რკინისებურ ლოგიკას და ნაწარმოებს თავისუფლებას, მთრთოლვარებას ანიჭებენ. სურათის ხარისხი საშუალებას გვაძლევს ჩავწვდეთ მხატვრული ხერხების მრავალფეროვნებას. მხატვარი კი გამუდმებით ეძიებს განსაკუთრებულ ჟღერადობას. განუწყვეტლივ იმპროვიზირებს. მისი შემოქმედების არსი მნიშვნელოვნად იზრდება, ახალი სახეები და თემები ავსებენ მხატვრის მიერ შექმნილი პორტრეტების სერიას, მონუმენტური და დაზგური ფერწერის ნიმუშებს.

თემატური სურათი

„იდგნენ და ელოდნენ" — თითქოს ერთი ამოსუნთქვითაა შესრულებული. გამსჭვალულია თავად ავტორის გრძნობითა და ემოციით. ტკივილამდე გულის განმგმირავად მოგვითხრობს იგი ომის დღეებზე, როცა ქალები მღელვარებით ელოდნენ ფოსტალიონს. ყოველივე ეს ბავშვობაშია განცდილი და გადატანილი, „აი აქ იდგნენ ქალები და ელოდნენ ფოსტალიონს, იდგნენ და ელოდნენ და მეც მათთან ერთად ვიდექი, ვიდექი და ველოდი, მაგრამ წერილი არ მიმიღია. მაშინ მხოლოდ ცხრა წლისა ვიყავი. ესე ხშირად ვიხსენებ მოლოდინის იმ განსაკუთრებულ სიჩუმეს, წვიმას. ჩუმად ცრის, უხმოდ ასუფთავებს და აპრიალებს ქვაფენილს, ავტომობილის საბურავების ფრთხილი შრიალი და ეული სიმის ხმა ისმის მხოლოდ. ლამაზად, უხმოდ და მაინც გასაგონად. წუხს იმას, რაც არ განმეორდება, რაც ლამაზია და ძალიან შორეული, უკვე გარდასულია და არასოდეს დაბრუნდება, აწმყო არასოდეს რომ არ გვტოვებს" — ამას ხშირად ფიქრობს გივი თოიძე. დიახ, არაფერი არ მოაშუშებს იმ იარებს, რომელიც ომმა დაუტოვა ცხრა წლის ყმაწვილს. ეს იარები ისევ ტკივა უკვე ასაკოვან მამაკაცს.

რაც უფრო შორდები, მით უფრო ძვირფასი, მახლობელი ხდება ბავშვობა. სულს ერთი საოცარი თვისება აქვს, იგი არ ტოვებს ბავშვობას ან იქნებ სულაც ბავშვობა არ უშვებს და სიცოცხლის ბოლომდე ახსენებს თავს?! ბავშვობა კი, პირველ ყოვლისა, უშუალობაა, ზღვარდაუდებელი ენერგია და ცნობის წადილი. აი, ეს თვისებები შეინარჩუნა დღემდე გივი თოიძემ. მას გამოცდილებაც ემატება ცხოვრებისეული, პროფესიონალური.

„წაბლის ხეები" — უზარმაზარი, უშველებელი ხეები, ხის მძიმე მორები, რომლებსაც ძლივს მიათრევენ ხარები, მიწაზე ნაკვალევი რჩებათ. მდგრადი, სტატიკური კომპოზიციაა, მაგრამ რამხელა შინაგანი დინამიკაა, რა დამაჯერებელი განზოგადებაა ხის მორისა და მთების მუდმივ განმეორებაში. საუკუნოვანი ხეები, მთები და ადამიანები, საერთო ტკივილი, საერთო იარები, საერთო ნაოჭები. ვერტიკალურად მდგომი წაბლის ხეები და წრეზე მოსიარულე ადამიანები — ბუნების უსასრულო, განუწყვეტელი წრებრუნვაა.

„ფოთოლცვენა — ალექსანდრეს ბაღი", (ჩემს მეხსიერებაში). სურათის მომხიბლელო-



ბა, პოეტური პეიზაჟი. ერთ დროს ნორჩი, ლორთქო, ბაცი ზურმუხტისფერი ფოთლები ახლა იწვის მომწარო, მწვავე ბოლით. არავის აღარ სჭირდებიან და გაურკვეველ გულისტკივილს იწვევს.

სწორედ ეს დაინახა გივი თოიძემ. წასული ზაფხულისა და შემოდგომის სილამაზეს ერთად მოუყარა თავი. მხატვარმა იფიქრა, იგრძნო და, ამიტომაც ფერთა ერთი გამა გამოიყენა: ოქროსფერ — წითელ — ყავისფერი, ფერთა ნიუანსები, „სტოკატო" ტაქტისა და რიტმის გრძნობით ოდნავ მტრედისფერ — მოცისფრო — ლურჯი რეგისტრი. ზამთრისთვის გამზადებულ ალექსანდრეს ბაღს, როგორც მარადი მცველი და ფხიზელი თვალი დარაჯობს გარინდებული ძველი ქალაქი — ეკლესიის გუმბათები, ციხის კედელი, კრამიტის სახურავები. სურათის ცენტრში დამშრალი შადრევანია, რომელშიც ბავშვობაში არაერთხელ ჩამხტარა მხატვარი. სურათზე ყველაფერი ცოცხლობს, მოძრაობს, არ არის არც ერთი მშვიდი წამი. მხოლოდ მხატვრის ემოციაა გაჩერებული, განსხვავებული, არაყოველდღიური. —„ალექსანდრეს ბაღი, შადრევნის კასკადი, ჩემი სამოთხე და ჯოჯოხეთი".

გივი თოიძეს თემატურ ტილოებზე დაუსრულებლად შეიძლება საუბარი. ესენია: „შატილი", „თუშეთი", „შიომღვიმე", „თბილისობა", „ფოთელი მეთევზეები", „იღბლიანი ნადირობა" და ა. შ.

ეს სურათები კომპოზიციითა თუ კოლორიტით თემატურად განსხვავებულია, მაგრამ ყველას ერთი საერთო ნიშანი აერთიანებს — დაუოკებელი სწრაფვა მონუმენტურობისაკენ, თითქოს სულ სივრცე ესაჭირობა. მხატვრის

ტემპერამენტი ვერ თავსდება დაზგური ფერწერის ჩარჩოებში.

ფრესკა – დღესასწაული ხევსურეთში

გივი თოიძე დიდხანს ფიქრობდა და ოცნებობდა ფრესკულ მხატვრობაზე: „ის ხან მოდიოდა ჩემთან, ვეხებოდი, შევიგრძნობდი, მიყვარდა, ზოგჯერ კი მშორდებოდა. იმ მეზღვაურივით ვიყავი, რომელმაც დაინახა მიწის ზოლი, უცბად რომ გაქრა. თუმცა მეზღვაურს იმედი აქვს, რომ იგი ისევ გამოჩნდება, სულ ახლოსაა – ხელის განვდენაზე" — ასე ლაპარაკობს თავის ოცნებაზე თავად მხატვარი. ეს დღეც დადგა. მას შესთავაზეს ბიჭვინთის დიმიტრი გულიას სახელობის სსრკ მწერალთა კავშირის შემოქმედებითი სახლის საკონფერენციო დარბაზის მოხატვა. იგი მზად იყო ამისთვის. დაზგური ფერწერის ოსტატის გამოცდილება შეერწყა უდიდეს სურვილს, მოთხოვნილებას, თვით პიროვნების რომანტიულ ნატურას.

ფრესკა ნარინჯისფერ-წითელ-ყავისფერ გამაშია შესრულებული. დაჟანგული პეტინის ნაფიფქი თვით საქართველოს კოლორიტს შეესაბამება. ფუნჯის ენერგიული მონასმით გადმოსცემს მოძრაობის სწრაფ რიტმს. კომპოზიცია აერთიანებს ჯგუფებსა და სცენებს, რომლებიც მთების, ხევსურული კოშკების, ბობოქარი მდინარის ფონზე ვითარდება.

გივი თოიძე ჯადოქარივით უჩვენებს მთებით გარშემორტყმულ და მთებზე გაშლილ საქართველოს. სწორედ ასეთია პატარა, ზღაპრული საქართველო! ესაა მისი დღესასწაული, მისი ხალხი — მთიელები! მათი ხასიათი, არსი, ცხოვრების წესი, მკაცრი ბუნება და სტუმართმოყვარეობა, ხევსურთა უძველესი კოშკები — ამაყი და მიუდგომელი. მთების ფონზე, ერთიან, მჟღერ რიტმში, კედლებისა და მთების მწყობრ მოხაზულობაში იგრძნობა მუსიკალურობა, სიმღერა, რომელიც ფრესკას ქართულ ხალხურ მელოდიასთან ანათესავებს. ფრესკაში განსჯაც იკვეთება. იგი იპყრობს მაყურებლის ყურადღებას, იბადება ამაღლებული გრძნობა – სიამაყე საკუთარი წინაპრების გამო. სწორედ ეს არის შთაგონების წყარო.

შატილი სტუმრებს მასპინძლობს. ისინი ხალიჩებით მოჩარდახებული ურმებით ჩამოვიდნენ სხვადასხვა სოფლებიდან.

ამაღელვებელი, ლირიკული სცენები მთიელთა ცხოვრებიდან: ხევსურული ცეკვა სალამურის ჰანგზე, მწყემსების სიმღერა, ეროვნული თამაში-ჭიდაობა. ჯირითი, ხარის ნალი, კალაობა, საუკუნეთა წიაღიდან მომდინარე ადათ-წესები. უძველესი საფლავებიდან თითქოს თვალყურს გვადევნებენ წინაპრები. მთელი კომპოზიცია აგებულია ცალკეული და შეკრული სცენებისაგან. მხატვრის ფანტაზია



შეუზღუდავია. აქა-იქ კედლის მხატვრობისათვის დამახასიათებელი დეკორატიულობაც ქრება. წინა პლანზე გამოდის რეალისტურად დახატული ფრაგმენტები, რაც მთლიანობაში ბრწყინვალე სახიერ სამყაროს ქმნის. მთელი ფრესკა ერთ მთლიანობაში იკითხება, როგორც ლამაზი, გაშლილი ნადიმი სიმღერითა და ღვინით, სადაც ღვინო სიმღერასავით იღვრება და სიმღერაც ღვინოსავით მოედინება. ყველაფერი ნანახი აქვს გივი თოიძეს, ამით ცხოვრობდა, შეენივთა მას, სისხლსა და ხორცში აქვს გამჯდარი. ეს სილამაზე ხშირად ესიზმრებოდა. გივი თოიძის მშფოთვარე, შემოქმედებითად მაძიებელი ხასიათი აქ მთელი სისავსით გამოვლინდა. სწორედ ამ ფრესკისთვის დაჯილდოვდა იგი შოთა რუსთაველის სახელმწიფო პრემიით.

კამერული სურათები

თანდათანობით მხატვარი უარყოფს სიუჟეტის გარეგნულ ენერგიას, მაგრამ აღრმავებს გრძნობებისა და აზრის შინაგან დინამიკას, უჩვენებს სამყაროს, რომელიც ღრმად არის შენახული მის სულსა და შემოქმედებით მეხსიერებაში. ეს ის შემთხვევაა, როცა ასაკი თითოეული ადამიანის ნამდვილ სახეს აშიშვლებს. ახალგაზრდობა ადგილს უთმობს ასაკის, ოსტატობის მოწიფულობას, ტემპერამენტის მთლიანობას. ამიტომაც, მისი სურათების პერსონაჟები მეორე პლანზე ინაცვლებენ და ადგილს პეიზაჟებს უთმობენ. თუმცა ამის გამო არ იჩქმალებიან, პირიქით, უფრო მეტად იპყრობენ მნახველის ყურადღებას.

ასეთია მისი ნამუშევრები: „დილა", "მოგონება", „ინდაურები" და ა.შ., სადაც ყველაფერი ორგანულია, ღრმა ცოდნა და ღრმა გრძობაა. როცა მხატვარი ეშმაკობს და პირფერობს, მაყურებელი უმალვე გრძნობს ამას. ტილოსთან მისვლის სურვილი ქრება. გივი თოიძე გულახდილია, უყვარს ის, რასაც ქმნის. ეს კი „მაგნიტია", რომელიც მის სურათებთან გიზიდავთ.

მხატვარი მარტოდმარტო ირჩევს გზას, მარტო გადალახავს უღელტეხილს, საიდანაც სინათლე იღვრება, რომელიც მხოლოდ მისთვის, როგორც რჩეულისათვის, არის ღმერთის მიერ გამოგზავნილი და მხოლოდ მან დაინახა. დაინახო და მიიტანო სხვამდე, გააღვივო კოცონი იმ ვაჟკაცების ხვედრია, ვისაც თავგანწირვა შეუძლია. ეს კი გმირობა და გამარჯვებაა.

მტკიცედ მიაბიჯებს გივი თოიძე ამ „გზაზე", ამაყად და თამამად. ღმერთისაგან ნაბოძებ ამ ნაპერწკალს, როგორც სალოცავს, სიყვარულითა და მღელვარებით ატარებს. ყველაფერი, რაც შეუქმნია, უშუალოა, ნამდვილია, აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე.

გიორგი ციციშვილი,თინა ელბაქიძე, შალვა რადიანის ვაჟიშვილები, ირაკლი აბაშიძე, ტელევიზიის თანამშრომელი და ზაალ ბოტკოველი.საქართველოს მწერალთა ჯავშირის ბაღში, მეორე მსოფლიო ომში დაღუპულ მწერალთა მეომორიალთან. გასული საუკუნის 80-იანი წლები.

ყურადღება!

ჟურნალ „ლიტერატურა და ხელოვნების“ გამოწერა შეიძლება:
სს „მაცნეს“ პუნქტებში, გამსახურდიას 42 – ტელ: 37-61-53, 37-59-62, 37-77-89;
„ელვასერვისი“, იოსებიძის 49 – ტელ: 38-26-74, 38-26-73; 38-80-02; „ჯეომედია”– ტელ: 93-64-72, 99-01-37 და „საქპრესა“ – ტელ: 51-60-04; 51-57-43
6 თვით 18ლ.

„ლიტერატურა და ხელოვნების“ წინა ნომრების შეძენა შეგიძლიათ რედაქციაში.

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

დიზაინერ-დამკაბადონებლები
ლექსო ოთარაშვილი
სალომე პაიჭაძე
ოპერატორი:
თამარ ტყაბლაძე
კორექტორი:
მაია მიქაია
რედაქციის მისამართი:
ნუცუბიძის III მკრ. შესახვევი; მხატვრის ქ. №4
ტელ: (+995 32) 32 73 62; 31 70 47; (+995 99) 25 60 14.
Web: www.litandart.com.ge
litandart@yahoo.com
vaja.otarashvili@yahoo.com
ჟურნალი დაიბეჭდა შპს „ეროვნული მწერლობის“ სტამბაში



გივი თოიძე

ISSN 1512-3189

ფასი 3 ლარი